სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი

ს�ი საუნჯე

4

SUMMARY
РЕЗЮМЕ

დეკემბერი, 2014

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
კვარტალური გამოცემა



სამი საუნჯე

№4(14), 2014



თბილისი
დეკემბერი, 2014

უაკ: 070 (479.22)
ს-21

სარედაქციო საბჭო

ბონდო არველაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ანზორ თოთაძე, გვანცა კოპლატაძე (რედაქტორის მოადგილე), **ნოდარ ლომოური, გრიგოლ რუხაძე** (რედაქტორი), **გრანი ქავთარია.**

დაიბეჭდა საქველმოქმედო ორგანიზაცია
„სინერგიის“ ფინანსური მხარდაჭერით.

გამომცემელი შპს **„სამი საუნჯე“**.

ISSN 2233-338X

© «სამი საუნჯე», 2014.

სარჩევი

მამულიშვილნი

გიორგი გოგოლაშვილი, ილია და იაკობი 4

ქართლის ცხოვრება

ანზორ თოთაძე, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 1226 წელს ... 30

ომარ ფორჩხიძე, ქართული სამთო კომპანიების პრობლემები 48

გრიგოლ რუხაძე, საქვეყნო ამბების მიმოხილვა 54

ლიტერატურათმცოდნეობა

ბორის დარჩია, მეცნიერება და პატიოსნება 69

პოლიტიკა

გულბაათ რცხილაძე, გამოკითხვა 2014: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი 85

იოსებ არჩვაძე, საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია 89

ვალერიან დოლიძე, მაიდანი და უკრაინული სცენარის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში 94

მარუტ ვარდაზარიანი, უკრაინის კრიზისი და ქართულ-სომხური ურთიერთობები 120

ანტიკურობა

გრანი ქავთარია, ეტრუსკები და რომაელები 134

მოსახსენებელი

ნათელა არველაძე, ემირ ბურჯანაძე — შემოქმედი მამულიშვილი 158

ჩვენი ავტორები 163

РЕЗЮМЕ (რუს. თარგ. თამარ ფანცულაიასი) 165

SUMMARY (ინგ. თარგ. თეონა ჩადუნელისა) 170



გიორგი გოგოლაშვილი

ილია და იაკობი

XIX საუკუნის I ნახევარში ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი „მეოხად ჩვენდა ქრისტემან მოგვანიჭა“.

ეს სამება — ილია, აკაკი, იაკობი — ნებისმიერი კულტურული ერის ისტორიას დააშშვენებდა. ის კი არადა, ერთ ეპოქას ერთი მათგანიც ეყოფოდა! დიახ, XIX საუკუნეში ღმერთმა უზარმაზარი წყალობა გაიღო ქართველებისათვის...

ეროვნულ მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულების მაგალითად, გაკვეთილად მომავალი თაობებისათვის უნდა მივიჩნიოთ იაკობისა და ილიას ურთიერთდამოკიდებულება...

ერთგან რევაზ ინანიშვილმა დაიჩივლა: „ნუთუ მართლა არაფერს კითხულობენ ერთმანეთისას ჩვენს საძმოში? და, თუ კითხულობენ, ნუთუ არაფერი აღაფრთოვანებთო“... გასაგებია მწერლის გულისტკივილი... თუ ამ აზრს მუხრან მაჭავარიანი ფიქრსაც მივაშველებთ („ადამიანს შეუძლია მხოლოდ საკუთარი თავი დაახასიათოს, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა იგი სხვას ახასიათებს“), კიდევ უფრო დიდი ფასი მიეცემა კლასიკოსთა ურთიერთდამოკიდებულების გაკვეთილებს, ერთი მეორის მიმართ უშურველად გაღებულ შეფასებებს...

იაკობი და **ილია**...

იაკობი წერს ილია ჭავჭავაძის შესახებ: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვისო...“

ილიას როლის ასე ზუსტად შეფასება მხოლოდ იაკობს შეეძლო. ერთგან მოვიხმეთ იაკობისეული შეფასება აკაკისა: „აკაკი პატარა საქართველოა“. ეს აზრი ასე გრძელდება: „მაგრამ ამ დიდებულს

სახელს მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, რადგანაც თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს: რუსთველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“. ცხადია, ასეთ შეფასებებს კომენტარს ვერ შევბედავთ — ასეთი შეფასებებით უნდა დავტკბეთ, ვიამაყოთ...

ძირითადად ამგვარ შეფასებებს იაკობი ილიას გარდაცვალების შემდეგ აკეთებს. მანამდე? მანამდე ერთმანეთის საქებრად დროს არ კარგავდნენ, საქმეს აკეთებდნენ. უფრო თანამედროვეთა მოგონებებში იჩენს თავს ერთმანეთის მიმართ გამოთქმული შეფასებები.

ალ. ფრონელს (ალ. ყიფშიძეს) უამბია ილია ზურაბიშვილისათვის: „მე და გიგა (გრიგოლ ყიფშიძე — „ივერიის“ რედაქციის გამგე) ერთ საღამოს ილიასთან ვიყავით. შემოუტანეს იაკობ გოგებაშვილის სასწრაფო წერილი. სასწრაფო იმიტომ, რომ პასუხს ახლავე მოითხოვდა. წერილი მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილი. იგი ეხებოდა „ივერიაში“ რომელიღაც დაბეჭდილ თუ დასაბეჭდ წერილს, არ მახსოვს, რაზეო. ილია თავის კაბინეტში შევიდა პასუხის დასაწერად. გაიარა ერთმა საათმა, გაიარა მეორემ, მაგრამ ილია არ გამოდიოდა. ჩვენ გაკვირვებაში ვიყავით, — განა რასა სწერდა იმოდენას... დაბოლოს, როგორც იყო, გამოვიდა და წაგვიკითხა, რაც დაწერა. სულ რამდენიმე სტრიქონი იყო, ხუთი-ექვსი. პასუხის შინაარსი არ მახსოვს, მაგრამ იგი მეტისმეტად თავაზიანი და თანაც, მტკიცე იყოო. როდესაც მე და გიგამ განცვიფრება გამოვთქვით პასუხის მეტისმეტი თავაზიანი კილოს და პაწია ბარათზე დახარჯული დიდი დროის გამო, — ილიამ გვიპასუხა: **იაკობ გოგებაშვილი პატარა კაცი არ არის. ბევრი რამ, რასაც ის მოიწერება ან რასაც იმას მისწერენ, შეიძლება ისტორიის ხვედრი გახდესო...** — შემდეგ კაბინეტში რომ შევიხედე, მთელი იატაკი გადახეული ფოსტის ქაღალდებით მოშანშლული ვნახეო“...

აქ ერთი დეტალია საინტერესო: იაკობის წერილი „მრისხანე იყო და უკმეხად დაწერილიო“... ალბათ სიტყვა „უკმეხად“ არასწორადაა გამოყენებული... მკაცრი, პირდაპირი, მოურიდებელი... ილია და იაკობი ხშირად კამათობდნენ ერთმანეთშიო (ს. მგალობლიშვილის მოგონებიდან)... ისიც გავიხსენოთ, როგორი „დაუნდობელი“ კამათი ჰქონდა იაკობს აკაკისთან... ეს წესი იყო, ეროვნული ინტერესებით ნაკარნახევი... ალბათ ისიც ნიშანდობლივი ფაქტია, რომ იაკობი და ილია ერთმანეთს „შენობით“ ელაპარაკებიან... ერთი წერილია შემორჩენილი იაკობისა ილიასადმი მიწერილი. ასე იწყება:

„ძმაო ილია“ და ასე მთავრდება „შენი ი. გოგებაშვილი. P. შ. იმედი მაქვს, რომ ამ ცნობებს შენებურად, კარგად გამოიყენებ...“ ასევე „შენობით“ ესაუბრება იაკობი პირად წერილებში აკაკის... სხვას, მაგალითად ს. ხუნდაძეს, ა. ჯუღელს და მრავალს — „თქვენობით“ მიმართავს...

ასე რომ, სიმკაცრე და პირდაპირობა ურთიერთდამოკიდებულებაში ჭეშმარიტებისადმი მსახურებით არის ნაკარნახევი... იცის ერთმაც და მეორემაც... ეს ვერ აქარწყლებს პატივისცემას ურთიერთისას... პირიქით...

ცნობილი მოღვაწე ილია ბახტაძე იგონებს: 1903 (თუ 1904) წელს გაიმართა სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრება, რომელსაც ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი. მას „მეტად შინაარსიანი და მიმზიდველი“ სიტყვა უთქვამს. კრების დამთავრების შემდეგ იაკობისათვის სადილი გაუმართავთ. თამადას — მასწავლებელ პოლიკარპე ლორთქიფანიძეს — პირველად იაკობის სადღეგრძელო შეუსვამს... იაკობს ვრცელი სამადლობელი სიტყვით მიუმართავს პედაგოგებისათვის. რამდენიმე მონაკვეთს დავიმოწმებთ:

„...მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდების, რომელიც თქვენ მომიძღვენით; მე ქართველი ხალხისთვის ბევრი არაფერი გამიკეთებია, მაგრამ თუ მართლა რაიმე გავუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს დახმარებით და ხელშეწყობით. მე როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებივით შემომესიენ პედაგოგების ქურქში გახვეული რუსი მოხელეები, ჩემდა სამწუხაროდ ამათ გვერდში ამოუდგნენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულისა და ჩინ-მედლების მოყვარული ქართველები და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესხმოდნენ, ჩემი ერთად-ერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე იყო. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მუდამ ლომივით ესხმოდა თავს და ანიავებდა კ ა ტ კ ო ვ ს, ი ა ნ ო ვ ს კ ი ს და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდნენ შეებღალათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხელხისათვის პირიდან ამოეგლიჯათ თავისი საყვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესპო ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა და ეხლაც ამაყობს...“

იაკობს სამადლობელი სიტყვა ასე დაუმთავრებია: „თუ დღეს ჩემ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს — „დედა-ენას“, „ბუნების

კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს აქტიური დახმარებითა და ხელისშეწყობით... ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე, გამოტეხით უნდა გითხრათ, მუდამ მიშლიდა და ეხლაც მიშლის ხელს ღირსეულად გავმკლავებოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართული ერის, ენის და კულტურის მოსპობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მუდამ იმედად და ნუგეშად მედგა და ეხლაც მიდგას გვერდში...“

იაკობს თავის სამადლობელ სიტყვაში აკაკი წერეთლის როლზეც უსაუბრია: „ამ საქმეში აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბულბულს ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მეხმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელების...“

ასეთ სიტყვაზე რაიმე კომენტარი ჩემგან უხერხულია...

აქვე ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს აზრიც მინდა მოვიხმო: „მთელ საქართველოში ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ერთადერთი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს ქართველობას. იაკობის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაზე“ არ აეხილოს თვალები. ჩ ე მ ი დ ა ი ლ ი ა ს ღ ვ ა წ ლ ი რ ა მ ო ს ა ტ ა ნ ი ა იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას...“

ილიას მსგავსი ჩანაწერები არ დაუტოვებია — არა სჩვეოდა, მაგრამ 1895 წელს საახალწლოდ გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია ლექსი „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი“. ესაა საახალწლოდ სახუმარო შეხმიანება ილიასი თავისი თანამედროვე მოღვაწეებისადმი. ბოლო, XII მონაკვეთი, იაკობ გოგებაშვილს ეძღვნება:

„ჩემი აწ ცანით ყოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია:

დედა-ენა მიჩნს სახელად,
არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართველისა:
მაგარი ვითა ჯიქია...
დედა-ენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედა-ენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედა-ენა მით არს კარგი.“

პოეტის დამოკიდებულება — პატივისცემა, დაფასება — ადრესატისადმი კიდევ უფრო საცნაური გახდება, თუ ამ „ოპერეტის“ სხვა ადრესატებისადმი ილიას იუმორნარევ კრიტიკულ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ. აქ კიდევ ერთი ფაქტია საგულისხმო:

1894 წელს იაკობ გოგებაშვილს პოლემიკა აქვს აკაკი წერეთელთან (საგრამატიკო საკითხებზე). პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო; „კვალში“, „ივერიასა“ და „მოამბეში“ გამოქვეყნდა საკმაოდ საინტერესო წერილები. იაკობს დაუპირისპირდა გიორგი წერეთელიც. ეს დაპირისპირება საკმაოდ უსიამოვნო იყო. იაკობმა ღირსი პასუხი გასცა მოწინააღმდეგეებს (გ. წერეთელსაც). ეს ხანგრძლივი პოლემიკა იყო. ყველაზე აქტიური ამ პოლემიკაში გიორგი წერეთელია — საკმაოდ მკაცრიც და ზოგჯერ ზედმეტად თამამიც (ნუ ვიხმართ სხვა ეპითეტს...). 2-3 ნოემბერს გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს იაკობის წერილს „სიმართლეს ვერსად წაუხვალთ (პასუხად გ. წერეთელს)“. სამწუხაროდ, ეს წერილი 10-ტომეულში არ შესულა. დეკემბრის ბოლოს ჟურნალი „კვალი“ (№ 50) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს — „რიდე აიხადეთ! პსევდონიმს სიმონისძეს“. წერილში გ. წერეთელი ი. გოგებაშვილს სამედიატორო სასამართლოში იწვევს... ფაქტობრივ, ამით დასრულდა ხანგრძლივი პოლემიკა იაკობსა და მის ოპონენტებს შორის 1994 წელს. ილია ჭავჭავაძე ამ პოლემიკაში არ ჩარეულა, მაგრამ ამ დავა-კამათში იგი იაკობის მხარდამჭერი რომ არის, „ორხმიანი საახალწლო ოპერეტიდანაც“ ჩანს. პოეტი იაკობისადმი მიმართვის შემდეგ „ხოროს“ ათქმევინებს:

„მოგახსენებთ, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,
როს ჩვენ ჭირი შინვე გვჭირდეს?
როს გიორგი წერეთელი
დედა-ენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს,
და მაინც კი კადნიერად,
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს,
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“.

ცხადია, ეს იყო ის მხარდაჭერა და თანაგრძნობა იაკობისადმი, რის შესახებაც იაკობი საუბრობდა სამადლობელ სიტყვაში. სხვათა შორის, იაკობს როცა სურს, თავის აზრს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, იტყვის, ილიაც ამ აზრისაა. ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ ჰქონდათ მათ წინასწარ ამ თემაზე საუბარი... ასე რომ, იციან ფასი ერთმანეთისა და, რაც მთავარია, იმ საქმისა, რასაც ემსახურებიან!... ისიც იციან, ამ საქმის წარმატებისთვის რა მნიშვნელობა აქვს ერთმანეთის მხარდაჭერას, თანადგომას...

***

ნუ ვიფიქრებთ ისე, რომ იაკობი ილიას სიტყვითა და საქმით ისე იყო მოხიბლული, ყველაფერში ეთახმებოდა, მხოლოდ აქებდა და ადიდებდა... სოფრომ მგალობლიშვილი იგონებს, „ილია მძლავრი იყო ლაპარაკში; მას ხშირად ეკამათებოდა იაკობ გოგებაშვილი, რომელიც დიდად ნაკითხი იყო და ილიასავით მისდევდა თანამედროვე ლიტერატურასაო“...

თუმცა ეს არ იყო საჯარო პაექრობა, ისეთი — ილიასა და აკაკის რომ ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, ანდა იაკობსა და აკაკის რომ ჰქონდათ ენის სიწმინდის თაობაზე. ესეც საგულისხმო ფაქტია — იაკობი და ილია ურთიერთობას პირადად აგვარებდნენ, ისე, ზემოთ რომ ვისაუბრეთ, ილია ზურაბიშვილის მოგონება რომ მოვიხმეთ.

ერთმანეთის კრიტიკას რომ არ უფრთხიან და არ ერიდებიან, ამის კარგი მაგალითიც გვაქვს. 1889 წელს იაკობი გაზეთ „ივერიაში“ (№ 73) აქვეყნებს ფელეტონს „საღამო წერა-კითხვის საზოგა-

დოებისა“. როგორც ჩანს, ხარება დღეს, 25 მარტს, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გამართა სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. როგორც იაკობი იტყვის, „ამ საღამოს ჰქონდა ორი თავისებურება: წმინდა ქართული ხასიათი და სიფართოვე პროგრამის“. და იაკობი მიმოიხილავს საღამოზე წარმოდგენილ ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ნომრებს — იაკობისეული პროფესიონალიზმითა და ობიექტურობით. საორკესტრო ნომრები, საგუნდო სიმღერები, სოლო შესრულება... ლექსები, ვოდევილი... იყო ასეთი შეფასებებიც: „მონოლოგი ცქრიალა, ოცნებიანის მოზარდის ქალისა ისეთი არტისტულის ღირსებით შეასრულა ქალბატონმა საფაროვისამ, რომ ნამდვილს აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება“... მაგრამ იყო ასეთი შეფასებაც — „გამოვიდა ბ-ნი კოტე მესხი. ცუდს მდგომარეობაშია თეატრი, როცა ხამი ვინმე გამოდის სცენაზედ. მას ფერი მისდის, ეშინიან, არ შევრცხვეო. საზოგადოებასაც ეშინიან, არ შერცხვესო. აქეთაც შიში სუფევს, იქითაც“... და სხვ.

საღამოზე ილია ჭავჭავაძეს წაუკითხავს ნაწყვეტი „ოთარაანთ ქვრივიდან“ (გიორგის სიკვდილის ეპიზოდი). იაკობი დეტალურად აანალიზებს ილიას დეკლამაციას; და ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ილიასადმი მიმართებაში, არამედ დეკლამაციის წესების, მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით. მოვიყვან ვრცელ ამონარიდს იაკობის ფელეტონიდან:

„საქმე თ. ი. ჭავჭავაძეზედ მიდგა. იგი გამოვიდა დინჯად, გაშალა კათედრაზედ რვეული და დაიწყო კითხვა „ოთარაანთ ქვრივიდან“ გიორგის სიკვდილისა. ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ზალაში ბუზის ფრენას გაიგონებდა კაცი. ეს ყურადღება კითხვის გათავებამდის არ შესუსტებულა. მაგრამ მოეწია იგი მიზანს? სამტირალო სცენის წამკითხველმა ცრემლი უნდა მოჰგვაროს მსმენელს, — მხოლოდ ამ შედეგით ცხადყოფს იგი თავის ხელოვნების ღირსებას. გიორგის სიკვდილი სწორედ სატირლად არის აღწერილი, ხოლო ავტორის კითხვამ ვერც ტირილი გამოიწვია საზოგადოებაში და ვერც ცრემლები დააბნევინა ვისმე. მართალია, სრული მართალი, რომ თეატრში დატრიალდა ნამდვილი სიმწუხარის ატმოსფერა, მაგრამ ეს ნახევარ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს. რად მოხდა ესა? რატომ ცოტაოდენი ცრემლი მაინც არ დაიფრქვა? იქნება კითხვის ნაკლის ბრალი იყო? არა გვგონია. მართალია, ილია დეკლამატორი არ არის, ნაფიცს მკითხველების დასს არ ეკუთვნის, მაგრამ სამაგიეროდ შემკულია ბუნებრივის მკითხველის ღირსებით: ხმა აქვს

მუსიკალური, კილო შესაფერი, ლოგიკური ხმის აწევ-დაწევა რიგზე მიჰყავს, გამომეტყველება და მოძრაობა პირისახისა შეესაბამება წასაკითხის შინაარსსა და საზოგადოდ მისი ხმა კაფიოდ ჰხატავს ყოველს აზრსა და გრძნობასა, რომელსაც-კი იპყრობს სიტყვები და ფრაზები წასაკითხისა. მაშ, რატომ არ გამოიწვია მსმენელებში მისმა კითხვამ შესაბამისი ძალის გრძნობა? იმიტომ, რომ ილია წიგნში კითხულობდა და არა ზეპირად ამბობდა...

მკითხველმა ზეპირად არ იცის წასაკითხი, წიგნში იხედება, ხმა მოკლებულია თავისუფლებას, მიდის ქვევით, იატაკისაკენ, და იქითგან უკუქცეული იფანტება თეატრში. ხმას ეკარგება სიმკვირცხლე, გამომეტყველება, სიმკაფე და შთაბეჭდილება ერთი ორად და სამად სუსტდება. სამაგიეროდ, როცა მკითხველი წიგნში არ იხედება, პირი საზოგადოებისაკენ აქვს მიქცეული და ზეპირად ამბობს, მაშინ მისი ხმა სრულიად თავისუფლად მოძრაობს, კაფიოდ გაისმის, პირდაპირ მიდის მსმენელთა ყურებამდის და შესაფერ ჩასახულებას ჰბადავს მათ გულსა და გონებაში... ამ გვარადვე უცვლის სიმღერას ზეპირად მისი თქმა და ნოტებში ცქერა. შეადარეთ ის შთაბეჭდილება, რომელიც გიორგის სიკვდილმა მოახდინა, იმ ძლიერ ჩასახულებასთან, რომელიც დაჰბადა მსმენელებში ლექსების ზეპირად წარმოთქმამ ილიასავე მიერ და თქვენ დამეთანხმებით, რომ ჩვენ სწორედ მართალს ვამბობთ. ან წარმოიდგინეთ, რომ კ. მესხის რკინის გზის სცენა რვეულში წაეკითხნა და არა ზეპირად ეთქვა და ოდნავადაც არ ამიხირდებით, თუ გეტყვით, რომ ერთი ხუთად წააგებდნენ სცენაც და არტისტიც ამ ცვლილებით. ისიც-კი უნდა ვთქვათ, რომ გიორგის სიკვდილი მარჯვე არჩევანს არ შეადგენს სცენისათვის. ავტორის ნაწერებში მოიპოვება ბევრი ათჯერ უფრო სცენაზედ ზედ გამოჭრილი ადგილი და რატომ დასდგა ამ არჩევანზედ, არ გვესმის. თუნდ ავიღოთ „კაცია ადამიანიდგან“ ლუარსაბის სიზმარი. ილიას რომ ზეპირად დაესწავლა ეს ადგილი, მაღალ ნიჭიერებით და მახვილობით სავსე, და თავისუფლად წარმოეთქვა საზოგადოების წინაშე, ისეთს ინტენსიურს სიამოვნებას დაჰბადებდა მასში, ისეთს ძლიერს ტაშის კვრას გამოიწვევდა, რომ ვგონებ, თეატრი მაღლა აიწევდა“.

***

იაკობი და ილია — ეს იმ დროის საქართველოს ორი ბურჯი, ორი დიდი იმედი იყო. თედო სახოკიას მოვუსმინოთ: „ი ლ ი ა

ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროს ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი. თუ რაიმე პოლიტიკის შესახებ წამოიჭრებოდა საკითხი და გაზეთში მტრისათვის პასუხისგაცემა იქნებოდა საჭირო, მაშინვე ყველა ილია ჭავჭავაძეს მიაპყრობდა თვალებს: ვნახოთ, რას იტყვის ილია: მარტო იმას შეუძლია მტერს პირი დააყოფინოსო, ჩვენს თავს აბუჩად არავის ააგდებინებსო (კატკოვი, სუვორინი, „ქვათა ღაღადი“, 1897 წელს თბილისის ქალაქის თვითმმართველობის სულისჩამდგმელთა თავგასულობის წინააღმდეგ გამოლაშქრება და სხვა). მეორე მხრით, როცა სწავლა-აღზრდის შესახებ საკითხი წამოიჭრებოდა, როცა სკოლაში ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ საქმე იყო გასარჩევი თუ გადასაწყვეტი — იაკობ გოგებაშვილს დავუწყებდით ცქერას: ის იყო ქართველთა საესავი, მისგან მოელოდნენ გაჭირვებისაგან ხსნას“.

***

იოსებ იმედაშვილი წერდა: „**სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოღებულიო**“. როგორ ფიქრობთ, ვის გულისხმობდა ავტორი? ცხადია, უპირველესად ილიას ვიგულისხმებთ და მართალიც ვიქნებით. თუმცა ამ შემთხვევაში ი. იმედაშვილი იაკობს ასხამდა ხოტბას... და, რა თქმა უნდა, მართალი იყო!

ისევ გავიხსენოთ თედო სახოკიას მოგონება: „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი, ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველთა საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალი“. და „სამშობლოს სადარაჯოზე ბასრი კალმით“ მდგარნი — „ილია ჭავჭავაძეცა და იაკობ გოგებაშვილიც ოღონდაც რომ ჰგრძნობდნენ თავიანთს ამ მძიმე როლს, რომელიც სრულებით ბუნებრივად დაეკისრათ გაჭირვებაში მყოფ თანამემამულეთაგან; ორსავე შეგნებული ჰქონდა მთელი სერიოზულობა ამ როლისა და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. და ისინიც, თავიანთ სფეროში თავდაუზოგავად იღვწოდნენ“ (თ. სახოკია).

დიახ, თავიანთ სფეროშიო. თუმცა იყო შემთხვევები, როცა საჭირო ხდებოდა ორთავეს შეერთებული ძალით შეეტიათ ქართული საქმის მტრისათვის. ასეთ ფაქტს იხსენებენ. 1881 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი გაზეთ „კავკაზ“-ში

აქვეყნებს წერილს საქართველოში სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ.

ვინ იყო იანოვსკი? — ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“. ეს გეგმაც მისი საერთო მიზნის ნაწილი იყო: სახალხო სკოლაში ქართული ენა უნდა მოესპო... შეშფოთდა ქართული საზოგადოება. იაკობი წერს: „ეს წერილი იანოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში“ და იპყრობდა მის შეხედულებას სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამავალა; მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას მე თვითონ მივუტან, სამაგიეროდ როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ-მეთქი. და ასეც მოხდა“.

ამ ფაქტს ასე იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი: „გარეშე მტრებთან, მეტადრე თუ ესენი შეეხებოდნენ მის წმინდათა-წმინდას — „ქართვლის ბედს“, ილიამ შებრალება არ იცოდა, სასტიკი იყო, მკაცრი... ასევე იყო საქმე, როდესაც ქართველების დაუძინებელმა მტერმა, სახელგანთქმულმა განათლების მზრუნველმა იანოვსკიმ განიზრახა ერთი კალმის მოსმით მოესპო ქართულის სწავლება სკოლებში. ასეთ უკიდურეს მდგომარეობაში ყველა ქართველ მამულიშვილს უსათუოდ მოაგონდებოდა ილია. ის იყო გაჭირვების ტალკვესი. თვით იაკობ გოგებაშვილი, ეს ერთგული მოამაგე ქართული სკოლისა, ეს დაუღალავი გუშაგი ქართული ენის ხელშეუხებლობისა, ის გოგებაშვილი, რომელსაც ჭკუაც მოსდევდა, ცოდნაც და კალამიც კარგად ემორჩილებოდა, ესეც კი ილიას მიაშურებდა და ეტყოდა: „გაგვიძეხ, ბერო მინდიავ! კარს საფრთხე მოგვდგომიაო“, გასრესას, გათელვას გვიპირებენ, ენას პირიდან გვლეჯენო“...

და შეიკრა ერთობა: ილია — იაკობი!... და გაზეთ „დროებაში“ (№ 33, 1881 წ.) გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის წერილი „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“. ეს არის ილიასეული „რკინის ლოგიკით“ დაწერილი წერილი იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს დედაენაზე სწავლას სახალხო სკოლებში. ილია იანოვსკის აცნობს ცნობილი რუსი და ევროპელი პედაგოგების აზრს ამის თაობაზე: „ჩვენ მოგვყავს ეს აზრები მეცნიერებისა იმიტომ-კი არა, რომ გვეგონოს, ვითომც ბ-მა იანოვსკიმ ყოველივე ეს ჩვენზედ უკეთ არ იცოდეს, არამედ იმიტომ, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გა-

იგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხეველად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგვდის. ვკითხულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია. მაშინ სკოლა გონების გახსნის სახსარი-კი არ არის, გონების დაჩაგვრისაა, გონების დახშვისაა, დათრგუნვისაა, გათახსირებისაა, — და განა ეს სასურველია ვისთვისმე?“

წერილი საკმაოდ ვრცელია, დასკვნა — ლოგიკური და პირდაპირი: „იმ პროგრამით კი, როგორც ბ-ნ იანოვსკის მოუფიქრებია, ჩვენებური საერო სკოლა ვერც თავისს საკუთარს საქმეს გაარიგებს და ვერც რუსულს ენას გვაცოდინებს. იმ ვიწრო გზაზედ, რაც საერო სკოლას ჩვენში დანიშნული აქვს. ამ ორივე — სულ სხვადასხვა საგნის — შეხვედრა არც ერთს დააყრის ხეირს და არც მეორესა“.

და გაზეთ „დროების“ 50-ე ნომერში ქვეყნდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „მზრუნველის იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა“. ილიასეულ დიდებულ წერილს იაკობისეული პროფესიონალური სტატია მოჰყვა — დეტალური ანალიზი „იანოვსკის პლანისა“... საინტერესო ჩანს ისიც, რომ იანოვსკის საგაზეთო წერილთან შედარებით „პლანი“ კიდევ უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა თურმე (ცხადია ქართული ენის საზიანოდ!). იაკობი: „რამ განგვაცვიფრა? ბევრმა რამ. პირველად იმან, რომ ბატ. იანოვსკის წერილის და გეგმის, ანუ პლანის, შუა აშკარა უთანხმოება და წინააღმდეგობა ვპოვეთ,“ — წერს შეშფოთებული ავტორი. შთაბეჭდილება ასეთია: იანოვსკიმ ქართული საზოგადოება შეამზადა (საკმაოდ რბილად) სახალხო სკოლების რეორგანიზაციისათვის და „პლანით“ ეს რეორგანიზაცია დაასრულა გაცილებით მძიმე შედეგებით!

ილიას მკაცრ და არგუმენტირებულ წერილს დაემატა იაკობის საქმის ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით გაჯერებული წერილი და გადარჩა ქართული სახალხო სკოლა გარუსებას. აი, ამას გულისხმობდა თ. სახოკია, როცა წერდა — „ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი — აი ეს ორი სახელოვანი ადამიანი იყო იმ დროის ქართველი საზოგადოების ნამდვილი პატრონი, მოამაგე და ჭირისუფალიო“.

როცა იაკობი იანოვსკის წერილისა და „პლანის“ თაობაზე ილიასა და მათ შორის შრომის განაწილებაზე საუბრობდა, განმარტავდა: „ასეთი განაწილება შრომისა ილიასა და ჩემს შორის პირველი არ იყო. როცა გორის საოსტატო სემინარიიდგან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველსა ქართულ-რუსული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცვლად ქართულისა, ილიამ და მე გადავწყვიტეთ მასხრად აგვეგდო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“, და კიდეც შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალდა“. ესეც საინტერესო ამბავია, და ცოტა უფრო ვრცლად.

1876 გორის ქართული პროსემინარიის მასწავლებელს — ნათიევს — მზრუნველისათვის დასაბეჭდად წარუდგენია წერა-კითხვის სასწავლი სახელმძღვანელო — რუსულ-ქართული ანბანით შედგენილი. ილია ასე განმარტავს: „აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაიწეროსო. აუღია და თავის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებით. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია ხუთმეტამდე ნიშნები ჩვენის ხმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები, არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა, არც იმ მთისა და ამ ახალის ასოებით შეუვსია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერთად დაუჭერია. ბარაქალა მის ფეხმარდობას და სისწრაფეს!“ — ესაა ამონარიდი ილია ჭავჭავაძის წერილიდან „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა (№ 10, 1877). გაზეთ „დროებაში“ (№ 74, 75, 77) ქვეყნდებოდა იაკობის წერილი „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში“, რომელიც ფაქტობრივ გაგრძელებაა ილიას წერილისა. ნათიევს ი. ჭავჭავაძის წერილი „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“ გინებად მოსჩვენებიაო, წერს იაკობი, „როდესაც რომ მთელ წერილში არ არის ნახმარი მის შესახებ არცერთი შეურაცხყოფი სიტყვა, ჰაზრები მართალია მწარეა, მაგრამ დამწერმა რა ჰქნას, თუ ფაქტები, რომელსაც ეს აზრები შეესაბამებიან, ცუდი თვისებისანი არიან“. იაკობი თითქოსდა აგრძელებს ილიასეულ მსჯელობას; თითქოსდა აზრის „სიმწარეში“ ეჯიბრება ილიას: „თუ კაცს მახინჯი სახე აქვს, სარკეს ბევრიც რომ დაემდუროს, მით ის პირის სახეს ვერ გაილამაზებს. აგრეთვე ფონს ვერ გავა მრუდეთ და უკუღმართად მომქმედი პირი, რაც უნდა ბევრი იტლიკინოს და იყვიროს მლანძღავენო, როდესაც მის უკუღმართს მოქმედებას ამხილებენ“...

და ეს ორი წერილი („ვიტიროთ თუ ვიცინოთ?“ და „სამწუხარო მოვლენა პედაგოგიაში“) საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „მახინჯი ჩანასახი დედის მუცელში გაწყალებულიყო“. ეს იყო შეერთებული ძალა ილიასი და იაკობისა ქართული საქმის სასიკეთოდ!...

***

არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ წერილი გამოაქვეყნა „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“. ავტორს ილია ჭავჭავაძისეულად მიუჩნევია „ივერიის“ შინაური მიმოხილვიდან შემდეგი ამონარიდი: „ჩვენში პატრიოტობა სხვა თვისებისა, სხვა გვარის ხასიათისაა: იგი იპყრობს მხოლოდ წმინდა გრძნობას მამულის სიყვარულისას. ამ გრძნობაში თავის თავის მეტი არა ურევია-რა. ვისიმე სიძულვილი, დათრგუნვის სურვილი, ვისიმე გაუბედურების წადილი, სრულიად არ იპოვება. ჩვენს პატრიოტებს სურთ აღდგენა და დაცვა ჩვენის უფლებისა, ეროვნებისა, თვითმართველობისა, ლიტერატურისა, კულტურისა, რომელთა გარეშე არა ხალხს შეუძლიან სიცოცხლე და ადამიანური არსებობა“...

თავისთავად საინტერესო ფაქტია: შინაარსობრივად, იდეურად იაკობის ნააზრევი ილიასეულად მიუჩნევია დიდად ნიჭიერ ავტორს — არჩილ ჯორჯაძეს. ამის თაობაზე კომენტარს თავად იაკობი გააკეთებს და განმარტავს, რა გახდა ავტორის შეცდომის მიზეზი: „ბატონმა არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ (...) მიმოხილვის ავტორად კი დასახა თვითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო: ყოველ-თვიურს მასპინძლობას ჟურნალებში მკითხველებს უწევდა პირადად თვითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმართვისათვის მან ვერ მოიცალა, რადგანაც ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმართვა ჟურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე. ამ მიმოხილვის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ყველა დანარჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს კალამსა“...

საინტერესო ფაქტია: იაკობის განმარტების მიზანი ის კი არ არის, ჩემი „მიმართვა“ სხვისი არ გეგონოთო; არა, ილიას მადლიანი კალმის ნაყოფი არ გეგონოთ ჩემი უბრალო მიმართვაო. ილია უკეთესად დაწერდა, დრო რომ ჰქონოდაო.

***

ერთი ფრიად საინტერესო ფაქტიც — იაკობისა და ილიას როლი ნიკოლოზ ბარათაშვილის თბილისში გადმოსვენების საქმეში.

დავით კასრაძისათვის პეტრე მირიანაშვილს უამბია: „მე განჯაში კარგა ხანს მომიხდა სამსახური მასწავლებლის თანამდებობაზე. გულს მიკლავდა ნიკო ბარათაშვილის ობლად მიგდებული საფლავი. თბილისში სამსახურებრივი დავალებანი მოვიმიზეზე და წერა-კითხვის საზოგადოებაში ვინახულე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულის დარდი. ის მაშინვე დაფაცურდა: ეს რა კარგი აზრი მოგსვლია, ნიკო ბარათაშვილი უნდა გადმოვასვენოთო. მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, თუ გვსურს, რომ გადმოსვენება უფრო სახელოვანი იყოს და დიდმნიშვნელოვანი, ეს უნდა იკისროს არა ნიკოს ნათესაობამ, ან კერძო პირებმა, არამედ საზოგადოებამო.

— რომელმა საზოგადოებამ? — შევეკითხე და იქვე პასუხი მივიღე.

— რა თქმა უნდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ!

იაკობი მაშინვე გაექანა ილიასთან, როგორც საზოგადოების მთავარ ხელმძღვანელთან. ილია აღფრთოვანდა, დაუყოვნებლივ მოიწვია გამგეობა და 1892 წლის 9 ოქტომბერს ოქმში შეატანინა საზოგადოების დადგენილება, რომ „ეთხოვოს თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის). ეს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, გადმოსვენების ინიციატივა კი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებისა იქნებოდა... ნებართვის აღება გაძნელდა, მაგრამ გრიგოლმა მაინც მოახერხა“...

ესეც კიდევ ერთი საჭირო ქართული საქმე, რომლის ინიციატივა და ორგანიზაცია იაკობსა და ილიას ეკუთვნოდა.

***

გაზეთ „ივერიაში“ (№ 83, 1900 წ.) მოუთავსებიათ ასეთი ცნობა: „როგორც შევიტყეთ, ბ-ნ იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივსაცემად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგო ასპარეზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული“.

როგორც ჩანს, ამ განზრახვის თაობაზე თავად იაკობსაც გაზეთიდან შეუტყვია და მოკლე ბარათით მიმართა რედაქციას. ეს წერილი გამოქვეყნდა „ივერიის“ 85-ე ნომერში (1900 წ.): „როგორც თქვენი

ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია, გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშლიათ".

მ ყ ი ნ ვ ა რ ი და ი ა ლ ბ უ ზ ი ი ლ ი ა და ა კ ა კ ი არიან, ს ე - რ ი — თავად ი ა კ ო ბ ი. საიუბილეო სადილი ჩაიშალა. უარის მოტივი გასაგებია: ჯერ ილიასა და აკაკისათვის არ გადაგიხდიათ იუბილეო.

10 წლის შემდეგ, 1910 წელს ისევ მოუსურვებიათ იაკობისათვის იუბილეს გამართვა. იაკობი წერილს სწერს „სახალხო გაზეთის" რედაქციას (1910 წ. № 36). წერილის სათაურია „უარის მოხსენება". ისევ მივმართოთ წერილს: „ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდან წინადადებას აძლევს ქართველს საზოგადოებას იუბილეი გამიმართონ. თანაც დასძენს: როგორც ჩვენ ვიცით, გოგებაშვილის ხასიათი, იგი უარს იტყვისო; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებასა.

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწყეს წერა ჩემის 35 წლის იუბილეის გადახდის თაობაზე, კატეგორიული უარი განვაცხადე და ასეთი დავასახელე: ჯერ ქართული ლიტერატურის იალბუზებს გაუმართეთ ღირსეული იუბილეი და მერე სერების იუბილეიზე იფიქრეთ მეთქი.

მასუკან ერთს იალბუზს ქართველმა საზოგადოებამ დიდებული იუბილეი გაუმართა; მაგრამ მეორე იალბუზს ქართველთა ხელმა ღვთაებრივი შუბლი გაუგმირა ტყვიით.

ჩააკვირდით ამ უკანასკნელს საზარელს ფაქტსა, გაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენთვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიქიურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეის გამართვაზე".

წერილი გრძელდება იმაზე მსჯელობით, რომ საერთოდ იუბილეის გამართვა, ღვაწლის დაფასება საჭიროა, თუმცა ითხოვს იაკობი, „ჩემს შესახებ გთხოვთ დიდი თხოვნით, ტყვილად ნუ შეწუხდებითო".

იაკობის იუბილე არც ამჯერად შედგა.

იაკობს აქვს ერთი მხატვრულ-პუბლიცისტური წერილი „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება". წერილი გამოქვეყნდა ლიტერატურულ-მხატვრულ ალმანახში „აკაკის დღეები საქართველოში" (1908 წ. №2).

„საარაკო სინამდვილე" — აკაკის იუბილეა. ბედნიერად რაცხს თავს იაკობი, რომ მოესწრო ამგვარ იუბილეს, „მე სიამოვნებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ ჩვენმა ერმა, უკიდურესად შევიწროებულმა ყოველი მხრით, შესძლო ღირსეულად დაეჯილდოვებინა ზნეობრივად მაინც თავისი ღირსეული შვილი". წერილის პირველი ნაწილი სწორედ ამ ბედნიერების განცდის აღწერაა.

ამ „საარაკო სინამდვილეს" იაკობს რაღაც უფერმკრთალებდა — „მაგრამ ჩემს უღრმეს კმაყოფილებას ერთი რაღაც გამოურკვეველი ნაკლი ამცირებდა, ასუსტებდა. ეს ნაკლი შავი ყორანივით ჩამჩხაოდა გულში და ნეტარებაში ნაღველს ურევდა"... რა იყო ეს ნაკლი? — სწორედ „საიუბილეო ოცნებაშია" საუბარი ამ ნაკლზე... „სავარძელში მოთავსებულმა თავი მივეცი ტკბილ-მწარე ბურანსაო" და...

როგორც ვთქვი, წერილის მეორე ნაწილი „საიუბილეო ოცნებაა"; ცოტა ვრცელია, მაგრამ უნდა გადმოვწერო; ვინც იცის, კიდევ ერთხელ დატკბეს; ვისაც არ წაუკითხავს, მიიღოს პირველი წაკითხვის ბედნიერება:

„უცებ ხელ-ახლად გავჩნდი თეატრში, და ვიხილე უნეტარესი სურათი. აკაკის დიდებული რაინდული სახე მიეღო და აშლილს საზოგადოებას ეუბნებოდა: ერთ წამს, მხოლოდ ერთ წამს კიდევ მოითმინეთ. ცოდოა, დიდი ცოდო, რომ ამისთანა სასახელო, საარაკო იუბილეი დაუგვირგვინებელი დაგვრჩეს... საზოგადოება დაწყნარდა, დასხდნენ ყველანი და სმენად გადაიქცნენ.

— ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი ამ ჟამად, მაგრამ ერთი რამ სწამლავს ამ ბედნიერებას, — სთქვა აკაკიმ.

— რა? რა? — სიმწუხარით შეეკითხა მას სამი ათასი პირი ერთად, ერთხმივ.

— ის, რომ ჩვენ ვერ ვეღირსენით იმის იუბილეის, რომელიც იყო დიდი პოეტიც, დიდი მამულიშვილიც და დიდი ადამიანიც და რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი დაჩაგრული სამშობლო.

ურიცხვს მსმენელთა შორის არც ერთს არ მოსვლია აზრად ეკითხნა აკაკისათვის, ვისზე ლაპარაკობდა იგი, რადგანაც ელვის სისწრაფით, ყველას გონებაში გამოისახა ერთი და იგივე დიდებული

სახელი.

აკაკიმ გააგრძელა: დიაღ, ჩვენ ვერ ვეღირსენით ილია ჭავჭავაძის იუბილეის. მეტი უბედურებაც დაგვატყდა თავზე. ჩვენ არამც თუ ვერ შევამკეთ იმისი გენიოსური თავი დაფნის გვირგვინებითა, არამედ ხელი ვერ შევუშალეთ ჩვენის ერის მტრებსა, რომელთაც ილიას ეკლის გვირგვინი დაადგეს, მსგავსად მაცხოვრისა... მთელი ნახევარი საუკუნე ილია და მე ტოლათ ვეწეოდით მეტად მძიმე უღელს სამშობლოს სამსახურისას, — მომიკლეს, ჯვარს მიცვეს ტოლი და დამარჩინეს ცალად, უტოლოდ, ობლად... დიდება და თაყვანისცემა მოწამე ილიას უკუნითი უკუნისამდე, გაათავა აკაკიმ და მწუხარე თვალებიდან მდუღარე ცრემლის ნაკადული წასკდა.

„ამინ!“ შესძახა სამგლოვიარო ხმით სამი ათასმა მსმენელმა და ფეხზე უმალ წამომდგარმა, თავი მოიხარა, საერთოდ.

ამ რაინდულს სიტყვებს და საქციელს მოჰყვა აუწერელი მოვლენა, იმისთანა მოვლენა, რომელსაც ეღირსნენ მოციქულნი სული წმიდის მოფენის ჟამსა. აკაკის თავზე გაჩნდა ვეებერთელა აპრიალებული კელაპტარი, ყველა მსმენელის თავი შეიმკო პატარ-პატარა კელაპტრებით და თეატრმა საარაკო კაშკაში დაიწყო. მერე დაიძრა აკაკის კელაპტარი და შუა თეატრში მაღლა ჰაერში გაჩერდა. მისკენ გამოქანდნენ ყველა სახის კელაპტრები. გარს შემოეხვივნენ და შექმნეს მომხიბლავი სურათი. ბოლოს ამ ურიცხვის ჩირაღდნის კრებულს აკაკის კელაპტარი გაუძღვა ზეით, თეატრის ბანი გაირღვა და კელაპტართა გუნდი წავიდა მაღლა, მაღლა ზეცაში.

„კელაპტართა გუნდს მიაქვს ილიასთან საიქიოს მთელის ქართველის ერის უმხურვალესი საუკუნო თაყვანისცემა“, შევძახე ისეთი მაღალი ხმით, თითქო ილიასათვის მინდოდა გამეგონებინა ზეცაში, და... გამომეღვიძა.

„დარჩა, დარჩა რაინდულს გვირგვინს მოკლებული ჩვენი დიდებული ეროვნული დღესასწაული“, ამოვიკვნესე და ცრემლი ვეღარ შევიკავე, ვერ შევიკავე იმის გამოც, რომ მთავარი ბრალი ამ დიდი ნაკლისა მედებოდა თვითონ მე. აკაკისთან რომ კრინტი დამეძრა ილიას მოგონების შესახებ, იგი სახელოვანს იუბილეის დაადგამდა ისეთს რაინდულს გვირგვინს, რომ სამაგალითო შეიქმნებოდა თვით კაცობრიობისათვის. მაგრამ თვალი დაუდგეს სამოცდამეცხრე წელს, იმ ჭირს, რომელსაც რუსთველი ყველა ჭირზე ძნელს ეძახის...“

ნუ დაგვავიწყდება — ეს „ოცნება“ იაკობისა აკაკის საიუბილეო

კრებულში დაიბეჭდა 1908 წელს!

იუბილეს მიმართ ილიას დამოკიდებულებაც ისეთივე ყოფილა, როგორიც იაკობისა. შიო მღვიმელი იგონებს: როცა ილიას იუბილეს გამართვა გადაწყვიტეს და ეს ამბავი ილიას აცნობეს, „ილია ჭავჭავაძემ პირველსავე გაგონებაზე ხელები გაასავსავა და სრული უარი გამოაცხადა მისი იუბილის გადახდაზე.

მაშინდელმა მწერალ-მოღვაწეებმა ბევრი სწერეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს შესახებ, მაგრამ ტყუილად.

სხვათა შორის სანოს (სტეპკო ჭრელაშვილი) ჰქონდა მოთავსებული გაზეთში ერთი თუ ორი ფელეტონი ზემოხსენებულ იუბილეს შესახებ, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, ვერც სანომ და ვერც მთელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ დაიყაბულეს ილია. სთქვა და გაათავა. იტყოდა და ზედ ისეთ ბეჭედს დაასვამდა, რომ მას ვეღარავინ წააშლევინებდა. თავის სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც“.

(სხვათაშორის, ასევე ახასიათებდნენ იაკობსაც. „იაკობი სულ მუდამ თავისს ნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყოო“, — ამბობს შიო მღვიმელი).

თუ იაკობი საერთოდ იუბილეების გამართვის წინააღმდეგი არ იყო, ილიას არცთუ დადებითი აზრი ჰქონია იუბილეს შესახებ, იტყოდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არისო“ (ე. თაყაიშვილის მოგონებიდან).

თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ილიას იუბილეს გადახდის წინააღმდეგი მთავრობაც ყოფილა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „რიგი მიდგა თვით ილიაზედაც, მაგრამ იგი, თავისი ჩვეულებისამებრ, თავმდაბლობდა, უარზე იყო და თან ამბობდა, „ეს იუბილე ერთგვარი ყეენობა არისო“. მაგრამ კი ეტყობოდა, რომ ბოლოსა და ბოლოს დათანხმდებოდა. ასე იცოდა ხოლმე ბანკის არჩევნების დროსაც: ჯერ იტყოდა, აღარ შემიძლია, ვეღარ გავუძღვებიო, მაგრამ როცა აირჩევდნენ, უკვე აღარაფერს ამბობდა... საჩუქრების შეგროვებაც კი დაიწყეს და ზოგ საჩუქარს წინასწარ გზავნიდნენ ილიას გაზეთის რედაქციაში. კომისიაც იყო შემდგარი, მაგრამ მთავრობამ ნება არ დართო მას ამ იუბილეს მოწყობისა. არ ვიცი, ოფიციალურად მოსწერეს უარი თუ წინასწარ, მოლაპარაკებისას გააფრთხილეს საიუბილეო კომისია. მაგრამ უთხრეს კი, სჯობს, ნუ ითხოვთ, რადგან უსათუოდ უარს მიიღებთო“.

მოკლედ: სიცოცხლეში იუბილე არ ღირსებია არც ილიას და არც იაკობს. ორივე პრინციპული წინააღმდეგი იყო ამისა.

***

ილიას გარდაცვალება იაკობისათვის, ისევე როგორც სრულიად საქართველოსთვის, თავზარდამცემი ფაქტი იყო. ნინო ნაკაშიძე იგონებს:

„როდესაც ხმა გავარდა, წიწამურში ილია ჭავჭავაძე მოკლესო, თბილისში ყველა აწრიალდა და ყველა სადღაც მირბოდა ამბის გასაგებად. ჩვენც „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში გავიქეცით. გზაში იაკობს წამოვეწიეთ. შემოგვხვდა აგრეთვე ირ. ევდოშვილი, რომელიც ტიროდა და იაკობი რომ დაინახა, შორიდანვე შესძახა:

— ბატონო იაკობ, რომელი ქართველის ხელმა გაუხვრიტა ილიას შუბლი, განა ეს შეიძლება, განა ეს დასაჯერებელია, ბატონო იაკობ?

იაკობი ერთ წუთს შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ისევ უსიტყვოდ წავიდა“... იაკობს ზუსტი ინფორმაცია აინტერესებს. „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში უამბეს, როგორ მოხდა მკვლელობა წიწამურში. „იაკობი პირმოკუმული, ხმაამოუღებლივ უსმენდა და თვალებს იწმენდდა ცხვირსახოცით“, — წერს ნინო ნაკაშიძე, — „იჯდა გაქვავებული ქანდაკებასავით, გაფითრებული. ცივ წყალს არასოდეს არ სვამდა, უცებ დალია“...

წიწამურის ტრაგედია 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა. 8 სექტემბერს ილიას დაკრძალვის დღეს, გაზეთ „ისარში“ (№ 197) იბეჭდება იაკობ გოგებაშვილის წერილი „შურისძიება ისტორიისა“. ამ წერილში იაკობი ილიას მკვლელობას ქრისტეს ჯვარცმას ადარებს: „შეუდარებელია, უებრო შურისძიება იცის ისტორიამ. საუკეთესო ისტორიკოსები ამ აზრზე დგანან, რომ ქრისტიანობა პატარა, ადგილობრივ სარწმუნოებად დარჩებოდა, თუ რომ იესო ნაძირალა ებრაელებს ჯვარს არ ეცვათო. ამ უბედურებს ეგონათ, რაკი იესოს საზარელ სიკვდილს მივცემთ, მასაც საშინლად დავამცირებთ და მის სწავლასაც ამოვფხვრითო და გავაქრობთო. ნამდვილად კი სწორედ ამ საზარელმა სიკვდილმა, ამ ჯვარცმამ გააღმერთა იესო, გახადა იგი საგნად უსაზღვრო თაყვანისცემისა, უმხურვალეს სიყვარულისა, მიანიჭა იმის სწავლას უძლეველი ძალა, მოჰფინა იგი კიდითი კიდედ და ქრისტიანობა გარდააქცია მსოფლიო სარწმუნოებად; ჯვარცმულის ჯალათი კი გააკრა კაცობრიობის თვალში სამარცხვინო ბოძზე უკუნითი უკუნისამდე“.

იაკობის აზრით, „სწორედ ესევე აცხადებდა (და უკვე ცხადდება) ჩვენს უნიჭიერეს პოეტსა და დიდ მამულიშვილზე, რომელსაც

ეხლა გლოვობს უმაგალითო მგლოვიარობით მთელი ქართველობა, გარდა ბნელეთის ნაბიჭვრებისა, უსულგულო და უტვინო ორფეხა მხეცები ვერაგულად ჰკლავენ საშინელის სიკვდილით საუკეთესო შვილს საქართველოსას, რასაკვირველია, იმ განზრახვით და იმედით, რომ დაემცირებინათ მისი დიდებული სახელი, მისი დიდი გავლენა ქართველობაზე“...

წინასწარმეტყველურია იაკობის ფიქრი ილიაზე და ამ საშინელი მკვლელობის შედეგზე: „ამ ვერაგულის მოკვლის შემდეგ ილიას სახელი მოიცვის დიდებული მოწამის შარავანდედით, ერთი ასად იმატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვანება, რომელიც ყოველი ჭკუითა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი; ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებს ჰქონდა და ქართველობა ამ მისს ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუმაძღრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა, მის მკვლელობის შემდეგ უკლებლივ შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას, როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი. მოკლე ხნის განმავლობაში მთელს საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ამშვენებდეს ილიას სურათი, როგორც უძვირფასესის და სათაყვანო ხატის“.

ამავე წერილში იაკობი იმ საჭიროებაზეც საუბრობს, რაც ილიას ნაწერების დაბეჭდვა და ხალხში მოფენაა. „ეს მოფენა ისეთს ნაყოფს გამოიღებს, რომელსაც ეხლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთო“, — წერდა იგი. და იქვე: „ეს იქნება საუკეთესო შურისძიება, ღირსი ჩვენის დიდებულის მიცვალებულისა“.

შურისძიების თემაზე როცა ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ იაკობის ერთი წერილიც.

1908 წლის № 20 „დროებაში“ გამოქვეყნდა იაკობის წერილი „ფრიად საყურადღებო შუამდგომლობა (წერილი რედაქციისადმი)“ (გამოცემებში ასეთი სათაური შევიდა — „სამაგალითო შუამდგომლობა უკვდავის ილიას მეუღლისა“). იაკობი საუბრობს იმის თაობაზე, თუ ქართულ და რუსულ პრესაში რა გამოხმაურება მოჰყვა სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებას, სიკვდილით დაესაჯათ ილიას სამი მკვლელი. საზოგადოება ითხოვდა, მკვლელები „სიკვდილით არ იქნენ დასჯილნი, რადგანაც ასეთი მათი დასჯა პირდაპირ ეწინააღმდეგება ღრმა კაცთმოყვარულს მიმართულებას უღმრთოდ მოკლულის პოეტისას“, — წერს იაკობი. იქვე განაგრძობს: „მაგრამ ყველას წინ გაუსწრო მოსიყვარულე გულმა უკ-

ვდავი ილიას მეუღლისამ. კნეინა ოლგა თადეოზის ასულმა წარსულს ორშაბათს დაამზადა შესაბამისი თხოვნა გენ.-გუბერნატორის სახელობაზე; ხოლო, რადგანაც ავადმყოფობა ნებას არ აძლევდა პირადად მიერთვა არზა, კნეინამ სთხოვა „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს გიორგი ნიკოლოზის-ძე ყაზბეგს შუაკაცობა ეკისრნა და თხოვნა წარედგინა გენ.-გუბერნატორისათვის... თავის არზაში ყოვლად ღირსეული ქვრივი ილიასი სთხოვს გენერალ-გუბერნატორს, სიკვდილით ნუ დასჯიან მისი მეუღლის მკვლელებს, რადგანაც ეს ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსა, რომელსაც თავის ძირითად მცნებად ჰქონდა მაცხოვრისავით პატივება მტრებისაო“.

როგორც ჩანს, იდეა ამგვარი შუამდგომლობისა იაკობს ეკუთვნოდა. ისევ ნინო ნაკაშიძის მოგონებას მოვიხმობთ.

როდესაც ხმა გავრცელდა, რომ ილიას რამდენიმე მკვლელი დაიჭირეს და სასამართლომ მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯაო, იაკობი მისულა რედაქციაში, „სადაც იმ დროს იყვნენ ექიმი ივ. ელიაშვილი და ილიკო ნაკაშიძე. შემოვიდა თუ არა იაკობი, მაშინვე მიმართა იმათ:

— ყმაწვილებო, წაიკითხეთ?

— წავიკითხეთ, ბატონო იაკობ, და ჩვენც ახლა ამაზე ვლაპარაკობდით.

— მერე, რა აზრის ხართ: დიდ ილიას ხსოვნას, იმ ილიას, რომელმაც ისეთი დიდებული სიტყვა წარმოსთქვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ სათათბიროში, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო, იმის ხსოვნას ოთხი ჩამოხრჩობილ კაცის ხსოვნაც აჩრდილივით უნდა სდევდეს უკან?

— სწორედ ჩვენც ახლა ამაზე ვმსჯელობდით.

— არა, მე მინდა, ჩვენ რამე გზას დავადგეთ, ვითათბიროთ.

მე არასოდეს არ მინახავს იაკობი ასე ნერვიულად აჩქარებული. ვერც კი დამინახა, რომ იმავე ოთახში სამუშაო მაგიდასთან ვიჯექი და სთქვა:

— ნინო სად არის? ჩვენთვის საჭიროა ქალის აზრიც. მეც მაშინვე მივედი მათთან და ყველანი დავსხედით.

კარგა ხანს მსჯელობდნენ. იაკობი ამტკიცებდა, რომ ჩვენი, ე. ი. ქართველების მხრით ილიას უპატივცემლობა იქნებოდა, რომ მისი ანდერძი არ შესრულდეს. ელიაშვილი და ილიკოც, თვითონაც ამ აზრისა იყვნენ და მაშინვე დაეთანხმნენ, რომ რამე ღონე იქნას მიღებული, რათა არ ჩამოახრჩონ მკვლელები, მე კი ვსდუმდი, ვყოყმანობდი, არ მემეტებოდა სიცოცხლე ილიას მკვლელებისათვის.

— აი, ასეა მთელი ქართველი საზოგადოება, — სთქვა წყენით იაკობმა, — მაშ, თქვენ არ აფასებთ ილიას მცნებას? პატივს არ სცემთ იმის ანდერძს?

— მე მძულს ილიას მკვლელები.

— ოჰ, არც მე მიყვარს „უმეცრები“, ილიას სიტყვისა არ იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ილია და მისი სიტყვა გვჯეროდეს.

გადავწყვიტეთ ილიას მეუღლეს ოლღას ეშუამდგომლა, არ დაესაჯათ სიკვდილით მკვლელები, თუ, რასაკვირველია, ის ამას მოინდომებდა. შუამდგომლობის დაწერა ოლღასათვის მიანდვეს ილიკო ნაკაშიძეს.

მეორე დღეს გამოგვიარეს იაკობმა და ელიაშვილმა და, იაკობის სურვილის თანახმად, წავედით ოლღასთან ოთხივენი. ოლღა მაშინ ანდრეევის (აწ ორჯონიკიძის) ქუჩაზე ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობის შემდეგ სუსტად იყო, სიამოვნებით მიგვიღო, ყველას გვაკოცა და ატირდა.

იაკობი ახლოს დაუჯდა, აიღო მისი ხელი და ეფერებოდა ხელზე. ნელი, გარკვეული ხმით აუხსნა როგორც ბავშვს, რითვისაც ვიყავით მისული. ოლღა ბეჯითად უსმენდა ყურში სასმენ მილგაკეთებული, სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა და თანხმობის ნიშნად თავს აქნევდა. და როდესაც იაკობმა შუამდგომლობა წაუკითხა, ტირილით თქვა:

— ჰო, რასაკვირველია, მე თვითონაც ვფიქრობდი, მაგრამ ბებერი და ყრუ ვარ და არ ვიცოდი როგორ რა მექნა, და უყოყმანოდ მოაწერა ხელი შუამდგომლობას“.

როცა იაკობი საგაზეთო წერილში ამ ფაქტის შესახებ საუბრობდა, აღნიშნავდა, თუ როგორი აღფრთოვანებული სტატიები უძღვნა რუსულმა პრესამ ამ ინიციატივას. ამონარიდი მოჰყავს გაზეთიდან „Русския ведомости“: „როდესაც მთელს რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე, და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. „აქამდინ ვიცოდით, ამბობს ბოლოს ავტორი, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ: **ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო**“...

***

ისევ დავუბრუნდეთ წიწამურის მოვლენებს. იაკობი ამ მკვლელობაში უფრო მძიმე შედეგებს ხედავს. წერილში „შურისძიება ისტორიისა“ წერდა: „ამასთან ჩვენ უნდა მხნედ შევუდგეთ დიაგნოზს იმ საზოგადოებრივის სენისას, რომელმაც ისე მხეცურად იმსხვერპლა მგოსანი, ჩვენ უნდა უსათუოდ აღმოვაჩინოთ მხეცი მკვლელები და მათი ხელმძღვანელები, თუ ჰყავთ. **არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არ რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივს ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს**“...

ეს მოწოდება იყო... ეს სამოქმედო პროგრამა იყო...

ილიას გარდაცვალების შემდეგ იაკობს ახალი საქმე გაუჩნდა — ილია ჭავჭავაძის უკვდავყოფა. ქართულ და რუსულ პრესაში ქვეყნდება რამდენიმე წერილი ილიას თემაზე. ერთზე („შურისძიება ისტორიისა“) ვისაუბრეთ. ამ ნარკვევში ჩვენ მიზნად ვერ დავისახავთ იმ წერილების ანალიზს. ეს ცალკე, საგანგებო თემაა. აქ მხოლოდ ჩამოვთვლით ამ პუბლიკაციებს:

1907 წელი.

სექტემბრის 8 — „შურისძიება ისტორიისა“ („ისარი“, № 197);

სექტემბრის 9 — „ილია ჭავჭავაძის შეხედულება წოდებათა დამოკიდებულებაზე“ (გაზეთი „ზაკავკაზიე“, № 184);

სექტემბრის 16 — „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“ (გაზეთი „ისარი“, № 202);

სექტემბრის 22 — „მცირე განმარტება“ (გაზეთი „ჩვენი გზა“, № 15);

სექტემბრის 25 — „ილიას ფონდის შესახებ“ (გაზეთი „ისარი“, № 209).

1908 წელი.

იანვრის 1 — „ილიას ფონდის შესახებ“ (ჟურნალი „ნიშადური“, №20. საუბარია საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულებაზე ამ ფონდის მიმართ);

დეკემბერი — „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“ (ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში“, №2);

დეკემბრის 4 — „ფრიად საყურადღებო შუამდგომლობა“ („დროება“, № 20);

დეკემბრის 16 — „ილიას მეორედ მოკვლის წადილი“ (ჟურნალი „საქართველო“, № 9);

დეკემბრის 30 — „მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“ (ჟურნალი „საქართველო“, № 11).

ამ წერილების ანალიზს, როგორც ვთქვით, ამჯერად არ ვაპირებთ. რამდენიმე მომენტს მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

იაკობი იყო ილიას ფონდის შექმნის ინიციატორი. ერთი ამონარიდი: „დღესვე „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვუდგენ ილიას ფონდისათვის ათ თუმანსა და ვალად ვიდებ ყოველ წლივ, — ილიას დაბადების დღეს 27 ღვინობისთვეს, — ამდენიმე წარვუდგინო ხოლმე, ვიდრე ჩემი შემოსავალი ძლიერ არ შემცირდება. ეს ათი თუმანი შეადგენს დაახლოებით ხუთს პროცენტს ჩემის წლიურის შემოსავლისას“...

ფონდის უპირველეს მიზნად ილიას თხზულებათა გამოცემას ისახავდა მიზნად; ასევე: დაარსებულიყო უფასო სამკითხველო, სტიპენდიები სტუდენტებისათვის და წერდა: „ილიას ქმნილებათა გამოცემის შესახებ იმ გვარადვე უნდა გამოვსცეთ თხზულებანი აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი და სხვა ჩვენი საუკეთესო მწერლებისა და მოვფინოთ კიდითი-კიდეთი“... გეგმავდა სხვა ღონისძიებებსაც... სამწუხაროდ, იაკობის ამ ინიციატივას დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ამას ჩიოდა იაკობი „ნიშადურში“ გამოქვეყნებულ წერილში.

ერთ ფაქტსაც მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება. ჩვენს დროში სხვადასხვა ავტორთა მსჯელობა იყო იმის თაობაზე, ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი ვინ იყო. ზოგი დავით აღმაშენებელს ასახელებდა, ზოგი — ილიას. იაკობმა გაავლო პარალელი პირველად ილიასა და დავით აღმაშენებელს შორის: „საქართველომ შავს მიწას მიაბარა თავისი სახელოვანი და უკვდავი შვილი ისეთი ღრმა და გულწრფელი საყოველთაო მგლოვიარობით, ისეთის ცრემლის ნაკადულებით და ისე დიდებულად, როგორც უგლოვნია და დაუმარხია თავისი დამოუკიდებლობის და ძლიერების დროს სახელოვანნი და დიდნი მეფენი: დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე“.

***

გინახავთ აღშფოთებული იაკობ გოგებაშვილი? წაიკითხეთ წერილი „ილიას მეორედ მოკვლის განზრახვა?“

„ილიას მეორედ მოკვლა მოიწადინეს. მოკვლა არა ფიზიკური, რომლის გამეორება შეუძლებლად გახადეს უსულგულო ნაძირალებმა, არამედ მოკვლა სულიერი. ეს უკანასკნელი მკვლელობა, რასაკვირველია, უფრო მძიმეა, ვიდრე პირველი. ფიზიკურმა მკვლელობამ შეიძლება ხელი შეუწყოს სულიერს უკვდავებას, სულიერი მკვლელობა კი მეტნაკლებობით ამართლებს ფიზიკურს მკვლელობასა“...

რა მოხდა? ქუთაისში ჩატარებულა სალიტერატურო საღამო, რომელიც ილიას პატივსაცემად გამართულა. საღამოზე ლექცია წაუკითხავს იონა მეუნარგიას. მან „თურმე დაუგროვა დამსწრე საზოგადოებას ვეებერთელა ზვინი ჭორებისა, საიდანაც გამოდიოდა, რომ ილია ყოფილა: ძუნწი, გულქვა, ზარმაცი, ბანქოში მფლანგავი თავისი ქონებისა, სოფისტი, ეგოისტი, გამჭყლეტელი მართალი ადამიანებისა და თითქმის უნიჭო პუბლიცისტი“.

იაკობი ემყარება გაზეთ „ალის“ კორესპონდენციას, გულისწყრობით რომ წერდა თურმე, „ილია მიწასთან გაასწორაო...“

იაკობს განსაკუთრებით ის აღაშფოთებს, იონა მეუნარგია ილიას დაკრძალვაზე ცხარე ცრემლებს ღვრიდა; „ჯერ მას (იონას) არ გაუცვეთია ის წაღები, რომლითაც იგი ილიას დასაფლავებას დაესწრო, როდესაც იგი თავის სიტყვაში წყევლა-კრულვას უგზავნიდა ჩვენი დიდების მხეცს მკვლელებს, და დღეს კი მას თითქმი ტალახში სვრის“...

იაკობი აქ მეუნარგიას ერთ ზნეობრივ ნაკლზეც საუბრობს. „მეუნარგიას ცოტა არ უწერია, მაგრამ ილიას სიცოცხლის დროს თითქმის კრინტიც არ დაუძრავს რაიმე მისი ნაკლის შესახებ, საზარელი მკვლელობის შემდეგ კი მოიწადინა მისი თითქმის მიწასთან გასწორება“...

იაკობი მიანიშნებს იმ საზარელ როლზე, რომელიც ამგვარმა გამოხტომამ შეიძლება შეასრულოს ილიას ჯერ კიდევ გამოუძიებელ მკვლელობაში. იაკობი განსაკუთრებით გულდაწყვეტილია იმ საზოგადოებაზე, რომელიც მშვიდად ისმენდა ილიას განქიქებას. იაკობის ეს წერილი მაღალზნეობრივი მნიშვნელობის წერილია. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა იაკობის მეორე წერილი იონა მეუნარგიაზე („მეუნარგიას ჭორები ილიას შესახებ“). იაკობი იძულებულია, იძულებულია იმიტომ, რომ რასაც წერს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და არ უნდა დასჭირვებოდა ქართველ საზოგადოებას ამის განმარტება... რომ „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ-ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამოდენაც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსათვის“...

ლამის წონასწორობადაკარგული იაკობი ასე ამთავრებს ამ წერილს: „დაიცადეთ, ჭორიკანა ლილიპუტებო, და რომელიმე ქართველი ლიუისი აღმოაჩენს გულივერ ილიას ცხოვრებაში იმისთანა ფარულ კაცთ-მოყვარეობას, რომ თქვენს სირცხვილის ალში დაიწვებით, თუ ნიჭი სირცხვილისა სრულიად არ გაქვთ დახშული“...

ილია აღარ არის; იაკობი დგას მედგრად მისი ღირსების სადარაჯოზე...

არ უნდა დასჭირებოდა იაკობს ამგვარი წერილების წერა. ამიტომაც დაინანებს: „ილია ჭავჭავაძისათვის ღვთაებრივს შუბლში რომ ტყვია არ გვეთხლიშა იდიოტურის ხელით, და ახლაც ჩვენს შორის ყოფილიყო“, რა გვიჭირდაო!

***

როცა იაკობზე საუბრობენ, როცა იაკობის დახასიათებას ცდილობენ, თითქოსდა თავს ვალდებულ თვლიან, ილიასთან შეადარონ, აკაკისთან შეადარონ. თქვან, რომ თითოეულ მათგანს ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი შეუცვლელი ადგილი ეჭირა — საკუთარი, ორიგინალური, განუმეორებელი... და კიდევ თითოეული მათგანის როლსა და მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავდა, ძალას აძლევდა, რომ ერთი-მეორის გვერდით იდგნენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა იოსებ იმედაშვილის მოგონება:

„და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვუსმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ!... როგორც მოქათქათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახება და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გაღვიძებისაკენ მომწოდებელი, აკაკი — ერის გულში რწმენის ჩამთესი, უკეთესი მერმისის ნაპერწკალთა მკვესავი, მამულიშვილურ გრძნობათა კოცონის აღმგზნები, — იაკობი ორივე ამასთან ერთად, — ბნელში სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომისათვის ყავარჯნის მიმწოდებელი!...“

დიდებული დახასიათებაა.

***

გახსოვთ, რუსულ გაზეთში რომ დაიბეჭდა? — „აქამდინ ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ: ზნეობრივმა მზემ აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქაო!...“

საქართველოდან აღმოშუქებული ზნეობრივი მზე დიდწილად ილიას და იაკობის წყალობა იყო...



ანზორ თოთაძე

თბილისის მოსახლეობის რაოდენობა 1226 წელს

დავით აღმაშენებლის მეფობის დასაწყისში თბილისში ძალიან ცუდ დღეში იმყოფებოდნენ ქრისტიანები. მათ მაჰმადიანები უმიზეზოდ ხოცავდნენ. მემატიანის გადმოცემით, თურქთა ახალი ქარავანი რომ შემოვიდოდა ქალაქში, ისინი ქრისტიანებს დაერეოდნენ და ზოგს მოკლავდნენ და ზოგს ტყვედ წაიყვანდნენო. აკლებული იყო ქვეყანა, რაც ძალიან ამძვინვარებდა დავითის სულსაო. მაგრამ უმჯობესია დავით აღმაშენებლის ისტორიკოს მოვუსმინოთ: „ქალაქი თბილისი იყო, ოდეს ჯერეთ არა სრულად შემოყენებულ იყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ, არამედ სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა: რამეთუ ოდესმე ყვიან ღავღავი და თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი პოვნიან ქრისტიანენი, ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალგამავალნი ქრისტიანენი, და ტყუეობად და სიკვდილად მისცნიან, და ესრეთ ისრვოდა ქუეყანა მრავალჟამ, რომელი-ესე ფრიად ეძვინებოდა სულსა დავითისსა.“[1] მოტანილ ციტატაში ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა მემატიანის ფრაზა: თბილისი „სავსე იყო სისხლითა ქრისტიანეთათა,“ რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისში ქრისტიანები და, უპირველეს ყოვლისა, ქართველები მთელ მოსახლეობაში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ფრაზის დაწერა უაზრობა იქნებოდა. როგორც ჩანს, მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა ქრისტიანები თბილისში მაინც შემოდიოდნენ. ამასთან, მოტანილი ფრაზიდან ისიც ჩანს, რომ ქართველები (ქრისტიანები) თბილისში არავის ამოუწყვეტია და ისინი ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. როგორც ჩანს, როდესაც ცხოველური ჟინი მოუვიდოდათ, თურქები ზოგჯერ ყვიროდნენ და

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. I,თბ; 1955, გვ. 349.

ქრისტიანებს უმიზეზოდ კლავდნენო — „ოდესმე ყვიან ღავღავი და თვინიერ მიზეზისაცა“ მუსრავდნენ ქრისტიანებსო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც ითქვა, ეძვინებოდა (ამძვინვარებდა) დავით აღმაშენებლის სულს, მას გული შესტკიოდა თბილისის ქრისტიანი მოსახლეობის ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაზე. ქართველი მემატიანე ამის შესახებ ერთ მეტად საგულისხმო ფაქტსაც გადმოგვცემს. დავით მეფემ გაიგო, რომ შემოდიოდა ქარავანი ლოჭინის მხრიდან დიდი განძით და თან დიდი რაოდენობით თურქებიც მოყვებოდა. მან თხუთმეტი რჩეული კაცი გააგზავნა ლოჭინთან საძოვარზე მყოფი მათი ნახირის მოსატაცებლად, თვითონ კი მხედრებით „დაიმალა ღელეთა ავჭალისათა ... და თანა წარიტანა წიგნი ღმრთისმეტყველი“ წასაკითხად. მეფის რჩეულმა მხედრებმა დავალება შეასრულეს და ნახირი მოიტაცეს, მათ თურქები დაეწივნენ, დაახლოებით ასი კაცი, და გაიმართა ფიცხელი ბრძოლა. დავით აღმაშენებელი ისე იყო წიგნის კითხვით გართული, რომ სანამდე ბრძოლის ხმა არ შემოესმა, მას „სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე.“ იგი მყისვე „შთაბრიალდა ვითარცა არწივი“ და უმოწყალოდ დაამარცხა თურქები. დავით აღმაშენებლის საბრძოლო მოქმედებებით და მებრძოლის თვისებებით მოხიბლულმა მისივე ისტორიკოსმა საოცარი, ალბათ, ჯერ არსად თქმული, სიტყვებით გამოხატა თავისი აღფრთოვანება: „ფრიადისა ცემისაგან ხრმალმანცა დაღულარჭნილმან უარყო ქარქაში თვისი.“[2] ხოლო სიკვდილის შემდეგ შესანიშნავი სიტყვებით გამოეთხოვა ქვეყნის აღმშენებელ მეფეს: „საქმეთა რომელთა იწყო ქმნად, გაასრულნაცა მაღლად და შუენიერად.“[3] ეს საქმე ქართველი მოსახლეობის გამრავლებასაც შეეხებოდა.

თბილისის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1122 წელი, როდესაც იგი დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა. მანამდე კი დავით მეფემ დიდი წარმატებით შეავიწროვა საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში მყოფი თურქები, თანდათანობით განდევნა ისინი საქართველოს საზღვრებიდან. მან თანდათანობით გაათავისუფლა თბილისისკენ მიმავალი გზები. ჯერ კიდევ 1110 წელს სამშვილდე ხელიდან გამოსტაცა თურქებს. მისი აღებით დავით აღმაშენებელმა სამხრეთ-დასავლეთიდან გახსნა გზა თბილისისაკენ, შემდეგ 1115 წელს რუსთავიც აიღო და სამი წლის შემდეგ კიდევ ლორეს ციხეც დაიპყრო, რომელიც სამხრეთიდან მომავალ მტერს უკე-

[2] იქვე, ტ. I, გვ. 349-350.
[3] იქვე, გვ. 359.

ტავდა გზას. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, „საქართველოს მეფე თბილისის ირგვლივ მდებარე ციხეებსა და ქალაქებს ზედიზედ იპყრობდა და თბილისს თანდათან უახლოვდებოდა.“[4] დავითის ასეთი საბრძოლო წარმატებები აღელვებდა საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში მყოფ თურქებს. ცხადი გახდა, რომ მალე მეფე თბილისსაც აიღებდა და თურქების ხელში მყოფ დმანისს, ანისსა და სხვა მნიშვნელოვან ქალაქებსაც. განსაცდელისაგან თავის დაღწევის მიზნით, მათ თურქეთის სულთანს მიმართეს დასახმარებლად, რომელიც მაჰმადიანთა უზარმაზარი კოალიციური ლაშქრით შემოესია საქართველოს. ბრძოლა, რომელიც ყველა ქართველისათვის ცნობილია, 1121 წელს აგვისტოს თვეში მოხდა თბილისის მახლობლად, დიდგორთან. ამ ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ ერთი ნაბიჯი რჩებოდა თბილისის ასაღებად და 1122 წელს დავითმა თბილისი იერიშით აიღო.

ქართველი მემატიანეები დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების გადმოცემისას მეტად სიტყვაძვირობენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ორიოდე სიტყვით აღნიშნავს: „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ.“[5] ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე კიდევ აღნიშნავს: „ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო.“[6] ვახუშტი ბატონიშვილი კი ფაქტობრივად იმეორებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებს: „დავით აღმაშენებელმა, შემდგომად აღიღო ქალაქი ტფილისი უ~წელთა (400 წელი — ა.თ.) სპარსთა ნაქონები და დაუმკვიდრა ძეთა თვისთა.“[7] სამაგიეროდ, შედარებით დაწვრილებით ცნობებს იძლევიან სომეხი და არაბი ისტორიკოსები. მე-13 ს-ის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ვარდან არეველცი წერს: „იმ ხანებში გაძლიერდა ქართველთა მეფე დავითი, ბაგრატის ვაჟის გიორგის ძე, რომელმაც წაართვა სპარსელებს თბილისი, სასტიკად დაამარცხა განძაკის სულთანი მელიქი და 500 განიარაღებული კაცი ძელზე გასვა ქალაქ თბილისში.“[8] იგი განაგრძობს: „დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები, შემოიერთა უხტიქი და მისი მოსაზღვრე რაიონები — გაგი, ტერუნაკანი, ტავუში, კაიანი, კაინო-

[4] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, თბ. 1952, გვ. 46.
[5] ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 342.
[6] იქვე, გვ. 365.
[7] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 161.
[8] ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია, თბ., 2004, გვ. 139.

ნი, ლორე, ტაშირი, მაჰკანაბერდი, დაიმორჩილა მთელი სომხეთის სამეფოები, რომლებსაც ფლობდნენ კვირიკე და აბასი, კავკასიის მთა, სვანეთის სამეფო, მრაჭული, კლარჯეთი, დვალეთი, ჰერეთი კასპიის ზღვამდე, ჰაბანდამდე და ქალაქ შაპურანამდე.“[9]

არაბი ისტორიკოსის ცნობით დავით აღმაშენებელმა თბილისი ცხარე ბრძოლის შედეგად აიღო. მაჰმადიანი მფლობელების მიერ სასტიკი წინააღმდეგობის გაწევის გამო მეფემ ქალაქი დაარბია და სამ დღეს თბილისი თავის ლაშქარს მისცა საძარცვავად, ხოლო თბილისის აღების პირველ დღესვე ხუთასი მაჰმადიანი ჩამოახრჩობინა. შემდეგში მან შეცვალა თავისი პოლიტიკა და მუსლიმანები მოიმადლიერა — მათ მრავალგვარი შეღავათები დაუწესა. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ „თბილისის ვაჭრობა-ხელოსნობა აქ გაბატონებულ მაჰმადიანების ხელში იყო; მათი შევიწროება, დარბევა და ქალაქის საუკუნეებით განმტკიცებული წესების მოსპობა კი დედაქალაქს დიდი ეკონომიკური ცენტრის მნიშვნელობას დაუკარგავდა.“[10] არაბი ისტორიკოსის ალ-ფარიკის ცნობით, ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანებს — ქართველებსა და სომხებს, აგრეთვე ებრაელებს მეფემ აუკრძალა მუსლიმანთათვის განკუთვნილ აბანოში შესვლა, ასევე აუკრძალა მუსულმანთა უბანში ღორის დაკვლა. თუ გადახვევას გავაკეთებთ, აღვნიშნავთ, რომ ღორის ხორცი შუა სს-ში ყველაზე კარგი და გემრიელი საკვები იყო ქართველებისათვის. ვახუშტი ბატონიშვილი რაჭის დახასიათების დროს აღნიშნავს: „ღორი — სიცოცხლე მათი,“[11] ე.ი. რაჭველებისო. უცხოელი მოგზაურებიც ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავენ. მაგალითად, ფრანგი მოგზაური შარდენი, რომელიც თბილისში 1672 წლის სექტემბერში ჩამოვიდა და 1673 წლის თებერვლის ბოლოს გაემგზავრა თბილისიდან და მოიარა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, წერდა: ქართლში „დიდი რაოდენობითაა აგრეთვე გარეული ღორიც, რომლის ხორცი ისეთივე გემრიელია, როგორც კოლხეთში. უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ღორის ხორცით იკვებება. მთელი სოფლები ღორებითაა სავსე. უნდა ითქვას, რომ ამ ხორცზე უკეთესს ვერაფერს იგემებ. ადგილობრივნი მკვიდრნი ირწმუნებიან, რომ რამდენიც არ უნდა ჭამოს კაცმა ღორის ხორცი, არასოდეს არ აწყენსო. ვფიქრობ, რომ მართლაც ასე უნდა იყოს, რადგანაც, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ჩემი ულუფა ღორის ხორცისგან შედგებოდა, მას არასოდეს უწყ-

[9] იქვე, გვ. 139-140.
[10] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[11] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 770.

ენია ჩემთვის.“[12] ამასვე აღნიშნავდა მოგზაური დელაპორტი, რომელიც თბილისში იმყოფებოდა 1768 წელს; იგი საგანგებოდ მიუთითებდა, რომ ადგილობრივი ღორის ხორცი ძალიან გემრიელი იყო.[13]

თუ ისევ პირველ სათქმელს დავუბრუნდებით, ისიც უნდა ითქვას, რომ დავითმა თბილისის მოსახლეობა ერთი წლით გაათავისუფლა სხვადასხვა გადასახადისაგან, ხოლო მუსლიმანებს სარწმუნოებრივი თავისუფლება მიენიჭათ. ამავე დროს, აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „საქართველოს მესვეურები ომს უცხადებდნენ არა ისლამს, როგორც იდეოლოგიას, არამედ თურქობას, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის საფუძველზე აღმოცენებული მოვლენაც იყო.“[14] მეტად ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ იგივე ალ-ფარიკის ცნობით, მეფეს თავის სასარგებლოდ დაუწესებია ყოველწლიური გადასახადი, ქართველებისთვის— 5 დინარი, ებრაელებისთვის — 4, ხოლო მაჰმადიანთათვის 3 დინარის რაოდენობით.[15]

დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღების შემდეგ თბილისში მაჰმადიანური მმართველობის წესები განიდევნა, ყოფა-ცხოვრებაში მყარად დამკვიდრდა ქართული ცხოვრების წესი. თბილისი მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქი გახდა, რის შესახებაც უცხოელ ავტორებს არაერთხელ აღუნიშნავთ.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის გათავისუფლებით დამთავრდა საქართველოს გაერთიანება. დავით აღმაშენებელმა სამეფო რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და თბილისი კვლავ გახდა საქართველოს დედაქალაქი. „როგორც ქართველ მემატიანეებს, ისე უცხოელ მოგზაურებს მოთხრობილი აქვთ, რომ თბილისი მსოფლიო ქალაქთა შორის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იყო, თავისი კეთილმოწყობილი ქუჩებით, მიუვალი და უზარმაზარი ციხე-კოშკებით, მეფეთა, ფეოდალთა და დიდვაჭართა ულამაზესი სრა-სასახლეებით.“[16] აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა საჭიროა შევაფასოთ მთელი კავკასიის თვალთახედვით — თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება მთელი კავკასიის ხალხები; როგორც ჰ. მანადიანი აღნიშნავს, „ეს ერთსულოვნება ჩვენ უნდა მივაწეროთ

[12] შარდენის მოგზაურობა. თბ., 1975, გვ. 296.

[13] ციტირებულია: Тифлись по однодневной переписи 25 марта 1876 года. Тифлись, 1880, с. 292.

[14] ციტირებულია: თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 103.

[15] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, 1952, თბ., გვ. 47.

[16] დ. გვრიტიშვილი, თბილისის თავგადასავალი, თბ., 1958, გვ. 18.

უმთავრესად იმ გამარჯვებებს, რომელთაც მიაღწია საქართველომ არა მარტო ისტორიულ სომხეთში, არამედ ადარბადაგანშიც.“[17]

თბილისის მოსახლეობის რაოდენობისა და ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრა ცალკეულ პერიოდებში მეტად რთულია. ფაქტობრივად, მე-19 ს-მდე შედარებით ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია. მხოლოდ ცალკეული ცნობების ანალიზისა და რიცხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებების გზით არის შესაძლებელი ასე თუ ისე სარწმუნო დასკვნების გაკეთება, ე.ი. როდესაც ამის შესაძლებლობა გვეძლევა ირიბი გზით დავადგინოთ დედაქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა და ეროვნული შემადგენლობა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მე-12 ს-ის დასაწყისისათვის თბილისის მოსახლეობის რაოდენობის განსაზღვრას იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც ისტორიამ შემოგვინახა. ეს იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ ჩვენ საშუალება გვეძლევა არც თუ ისე დიდი ცდომილებით განვსაზღვროთ თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 1226 წლისთვის, როდესაც ჯალალედინმა თბილისი აიღო. როგორც თბილისის ისტორიის შესახებ ფუნდამენტურ ნაშრომშია[18] აღნიშნული, ალ-ფარიკის ცნობით, „XII ს. 10-იანი წწ. დამლევს დავით აღმაშენებელმა თბილისს ხარკის სახით დააკისრა 10 000 დინარი.“ შემდეგ, იმავე ავტორის ცნობით, როგორც უკვე ითქვა, როცა დავითმა თბილისი საბოლოოდ შეიერთა, ქალაქის მოსახლეობაზე გააწესა გადასახადები ასეთი ოდენობით: ქართველებს უნდა გადაეხადათ წელიწადში ხუთი დინარი, ებრაელებს — ოთხი დინარი, მუსლიმანებს კი სამი. აქედან გამოდის, რომ თავდაპირველად თბილისელებზე გაწერილი ხარკი უდრიდა საშუალოდ 4 დინარს. ასეთ შემთხვევაში XII ს. პირველი მეოთხედის თბილისში სავარაუდებელი იქნება დაახლოებით 2 500 კომლის არსებობა. თუ თითოეულ კომლზე მინიმალურად 6 სულს ჩავთვლით, მაშინ ამ დროს თბილისის მოსახლეობა უნდა ეტოლებოდეს 15 000 სულს, მაგრამ ეს მაჩვენებელი ძალიან მცირე ჩანს ამ დროის თბილისისათვის. ამიტომ სავარაუდებელია, რომ დავით აღმაშენებლის გადასახადები ეკისრებოდა ქალაქის მხოლოდ ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეულ ნაწილს.“[19]

მოტანილ ციტატაში ბევრი რამ არის სადავო და არასწორიც. ნაშრომი დაწერილია ისტორიკოსების მიერ და შეცდომებიც, მათემატიკური გაანგარიშების პროცესში, როგორც ჩანს, ამით აიხსნება. კერძოდ, როგორც მოტანილ ციტატაშია აღნიშნული, ქართველებს უნდა

[17] ციტირებულია: თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990, გვ. 99.

[18] თბილისის ისტორია, ტ. I, თბ., 1990.

[19] იქვე, გვ. 113-114.

გადაეხადათ წელიწადში ხუთი დინარი, ებრაელებს — ოთხი დინარი, მუსულმანებს კი სამი. აქედან მათი არითმეტიკული შეკრების საფუძველზე (5+4+3=12) და მათი გაყოფით 3-ზე ავტორები ასკვნიან, რომ გაწერილი ხარკი საშუალოდ 4 დინარს უდრიდა, რაც არასწორია. ჯერ ერთი, ჩვენ ვიცით, რომ თბილისში ამ პერიოდში ცხოვრობდნენ სომხებიც, მათზე დაწესებული გადასახადი არსად ჩანს. მეორეც, და რაც მთავარია, ამ შემთხვევაში არა მარტივი, არამედ შეწონილი საშუალო არითმეტიკულით უნდა ვისარგებლოთ. ეს იმიტომ, რომ, მაგალითად, თუ 10 ქართველ კომლს წელიწადში 15 დინარი ხარკი უნდა გადაეხადა, ხოლო 30 მაჰმადიან კომლს — 5 დინარი, ამ შემთხვევაში ხარკი საშუალოდ სულაც არ უდრის 10 დინარს. უნდა გავიანგარიშოთ შეწონილი საშუალო არითმეტიკული, რომელიც უდრის $\frac{10\times15+30\times5}{10+30}=\frac{300}{40}=7{,}5$ დინარს. ჩვენს შემთხვევაში სტატისტიკური წონები არის ცალ-ცალკე ქართველ, მაჰმადიან და ებრაელ კომლთა რაოდენობა და რამდენადაც მაჰმადიანები მოსახლეობის დიდ რაოდენობას შეადგენდნენ და ნაკლებ ხარკსაც იხდიდნენ, ხარკი საშუალოდ იქნება არა 4 დინარი, არამედ გაცილებით ნაკლები, ხოლო თბილისში მცხოვრებ კომლთა რაოდენობა არა 2 500, არამედ ასევე გაცილებით მეტი, შეიძლება 3 000 კომლიც ყოფილიყო. ამასთან, მაშინდელი შობადობის პირობებში კომლზე უნდა ვიანგარიშოთ არა 6, არამედ 7-8 სული მაინც. თვით მე-18 და მე-19 სს-ში კომლის საშუალო სიდიდე საქართველოში თითქმის 8 კაცს შეადგენდა. მაგალითად, 1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით საქართველოშო კომლის საშუალო სიდიდე 8 კაცს აღწევდა, ხოლო იოანე ბაგრატიონის მიხედვით 1794-1799 წლებში მის მიერ ჩატარებული „ქართლ-კახეთის“ აღწერის მიხედვით მესხეთში კომლის საშუალო სიდიდე ზუსტად 8 კაცს უდრიდა[20]. ამასთან პრივილეგირებული წოდება, როგორც წესი, არ იბეგრებოდა. თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, თბილისში, ამ პერიოდში დაახლოებით 25 ათასი კაცი ცხოვრობდა.

საერთოდ, მე-11 ს-ში თბილისი უკვე დიდი ქალაქი ჩანს. როდესაც 1045 წელს თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა, „ტფილელნი ბერნი“ ბაგრატ IV ეახლნენ აფხაზეთს და თბილისის გადაცემას შეჰპირდნენ. ბაგრატი სასწრაფოდ ქართლში გადმოვიდა. აქაც მოქალაქეებმა თბილისის ჩაბარება სთხოვეს. ქართველი მემატიანე ბაგრატის მიღებას თბილისში ასე აღწერს: „წარემართა თბილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა და მამათა

[20] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. თბ., 1986, გვ.84.

სიმრავლე იყო მოედანს. და იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა ხმითა იძრვოთა ქვეყანა, და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკვირველი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად (საზრუნავად – ა.თ.). აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შინაგან ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი.“[21]

აკად. ვახტანგ ბერიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ „ეს ტექსტი — დიდი, ხალხმრავალი, სიმაგრეთა მთელი სისტემით აღჭურვილი, ქალაქის შთაბეჭდილებას ქმნის.“[22] ასეთი იყო თბილისი მე-11 ს-ის მეორე ნახევარში. შემდეგ პერიოდში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც თბილისი სრულიად საქართველოს დედაქალაქი გახდა და თბილისში თავი მოიყარა სახელმწიფო მმართველობითმა აპარატმა და სახელმწიფო-საფინანსო დაწესებულებებმა, აშენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ნაგებობა, სავაჭრო-სახელოსნოები, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა.

თბილისი იყო ცნობილი სავაჭრო ცენტრი. აქ მრავალი ადგილობრივი თუ უცხოელი ვაჭარი მიმოდიოდა. მეტად საგულისხმოა, რომ გზების უკეთ გაგნების მიზნით, ქალაქის კარებთან მათთვის დგამდნენ მანძილისა და მიმართულების სათანადო მანიშნებლებს. ერთმა მათგანმა ჩვენამდეც მოაღწია, იგი VIII ს-ში დაუდგამთ.[23] მტკვარი მოფენილი იყო წყლის წისქვილებით. ქალაქის ნაგავს თბილისელები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებზე აგროვებდნენ და წვავდნენ; სამრეწველო გაჭუჭყიანებულ წყალს კი მილებით მდინარე მტკვარში უშვებდნენ. ამასთან, ქალაქში მრავალი საზოგადო და კერძო აბანო ფუნქციონირებდა. საზოგადო აბანოებში საფასურს არ ახდევინებდნენ. XIII ს-ის დასაწყისში თბილისში 65 აბანო იყო.[24] ეს უკანასკნელი მონაცემიც კი (65 აბანო) იმაზე მიუთითებს, რომ თბილისი ამ პერიოდში მეტად ხალხმრავალი ქალაქია.

თბილისის კეთილმოწყობისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად, ბუნებრივია, ქალაქი ძველ საზღვრებში ვეღარ ეტეოდა. მისი ტერიტორია მე-12 და მე-13 სს-ში უკვე საგრძნობლად გაზრდილია. არქეოლოგიურმა გათხრებმა XII ს-ის ძალიან საინტერესო კერამი-

[21] ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 299.

[22] ვ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები. თბ., 1960, გვ. 12.

[23] თბილისის ისტორია, ტ. I, გვ. 125.

[24] „სამყაროს საკვირველებათა “ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ., 1978, გვ. 28.

კული სახელოსნოები გამოავლინა ორთაჭალის მხარეს. მეორე მხარე – დიდუბე უკვე ქალაქის განაპირად ჩანს.[25] დიდუბეში მოეწყო თამარისა და დავით სოსლანის ქორწილი, რადგან აქ საქართველოს მეფეებს თავისი სასახლე ჰქონდათ. „წამოიყვანეს ... დავით, რჩეული ღმრთისა მის, და მოვიდეს სრასა დიდუბისასა, სახანებსა ტფილისისასა. და მუნ ქმნის ქორწილი“, — მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება.[26] ასეთ სანახებს ხალხმრავალი თბილისისთვის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების აგრარული დანამატის მნიშვნელობა ჰქონდა. მე-11 საუკუნიდან თბილისის ორგანული ნაწილია ისანიც, თუმცა აქ ამირებს IX საუკუნიდან ჰქონდათ აგებული ციხე-სიმაგრე და საცხოვრებელი კომპლექსი. სწორედ ისანში გაიგო თამარ მეფემ მამის გარდაცვალების ამბავი: „ესმა ... თამარს ქალაქსა შინა ტფილისსა, საჯდომსა მათსა ციხესა ისანს.“[27] ამრიგად, ისანი უკვე ქართველ მეფეთა რეზიდენცია იყო — „საჯდომი მათი.“

თბილისი სასმელ წყალს ჭებისა და ქალაქის წყაროებიდან იღებდა. წყალი მოსახლეობას მიეწოდებოდა მიწაში ჩალაგებული თიხის მილებით, რომელიც უზრუნველყოფდა წყლის სისუფთავესა და ტემპერატურულ რეჟიმს. მაგრამ ქალაქი ძირითადად მაინც როგორც სასმელად, ასევე სამეურნეო მიზნით მტკვრის წყალს იყენებდა. მდინარიდან წყალი ამოჰქონდათ მრავალი დულაბით.[28]

მე-12 ს-ის საქართველოში გაიშალა სამეურნეო საქმიანობა, აღორძინდა კულტურული ცხოვრება. თბილისის კულტურული ვითარებაც ქართული სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამისი იყო. იმდროინდელი და შემდგომი პერიოდის ქართველი ისტორიკოსების თხზულებებში მთელი სისრულით არის წარმოდგენილი თბილისის და საერთოდ საქართველოს კულტურული დონე. განათლებული ქართველობა კარგად იცნობდა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ კულტურულ სამყაროს. ისინი თავიანთ ფილოსოფიურ, ლიტერატურულ და საისტორიო ნაშრომებში სარგებლობდნენ ჰომეროსის, არისტოტელეს,

[25] ვ. ბერიძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

[26] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 47.

[27] იქვე, გვ. 24.

[28] საქართველოსა და კავკასიის შესახებ „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობების თანახმად, დულაბი (წყალსაწევი) — ესაა წყალში ჩაშვებული, ღერძზე დამაგრებული ბორბალი, რომელსაც წყლის ნაკადი აბრუნებს. ბორბალზე დამაგრებული ჭურჭელი მოძრაობის პროცესში ივსებოდა. სათანადო სიმაღლეზე ასვლის შემდეგ, წყალი იღვრებოდა საამისოდ დადგმულ ღარში, აქედან კი მას შესაფერისი მიმართულებით მიუშვებდნენ, ალბათ, ბაღებისა და ბოსტნების მოსარწყავად. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ.28,40.

პლუტარქესა და სხვა ძველი ბერძენი მოაზროვნეების, აღმოსავლეთის მეცნიერებისა და პოეტების ნაშრომებით. მე-12 ს-ის ქართველ პოეტ ჩახრუხაძეს არისტოტელე ფილოსოფიის მწვერვალად მიაჩნდა. იქმნება არაჩვეულებრივი საერო და სასულიერო ლიტერატურა, დაიწერა მსოფლიო პოეზიის შედევრი შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი.“ განვითარდა ფილოსოფიური აზრი.

თბილისის არნახული ეკონომიკური და სოციალური აღმავლობა, პოლიტიკური სტაბილურობა მოსახლეობის გამრავლების მთავარი ფაქტორი იყო. მოსახლეობას აღარ ჰქონდა რბევა-აწიოკების მუდმივი შიში, ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. თითქმის 104 წლის განმავლობაში (1122 წლიდან 1226 წლამდე) თბილისში მტერს ფეხი არ დაუდგამს. ომები ქვეყნის ტერიტორიის გარეთ წარმოებდა და ისიც იშვიათად. გამოსწორდა მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ქვეყანა დაწყნარებით ცხოვრობდა. ყოველივე ამის შედეგად ქვეყნისა და თბილისის მოსახლეობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მე-12 ს-ის თბილისში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება — არც პირდაპირი და არც ირიბი. ვიცით მხოლოდ ის, რის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ — მე-12 ს-ში ქვეყანასა და თბილისშიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც შესაბამისი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა — საგრძნობლად გაიზარდა თბილისის მოსახლეობის რაოდენობაც, მაგრამ კონკრეტულად რამდენ ათას კაცს უდრიდა თბილისის რიცხოვნობა, ცნობების უქონლობის გამო გაანგარიშებული არ არის. ისტორიკოსები და დემოგრაფები ეყრდნობიან ქართლის ცხოვრებაში დაცულ ერთადერთ ცნობას, რომლის მიხედვით 1226 წელს ჯალალედინმა თბილისის მოსახლეობა თითქმის მთლიანად გაანადგურა — 100 ათასი კაცი დახოცა, შესაბამისად თბილისის მოსახლეობასაც ამ პერიოდში უმთავრესად 100 ათას კაცს ვარაუდობენ. მაგრამ ასეთი გაანგარიშება რეალურ სურათს არ იძლევა. შეიძლება თბილისში, მართლაც, ცხოვრობდა 100 ათასი კაცი, მაგრამ ამ რიცხვის მიღება მტრის მიერ 100 ათასი კაცის დახოცვის საფუძველზე შეუძლებელია, არ არის სწორი.

1225 წელს საქართველოს ხვარაზმელები შემოესივნენ ჯალალედინ სულთნის წინამძღოლობით. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მონღოლები დაემარცხებია, მაგრამ მანამდე საქართველოს დამარცხება გადაწყვიტა. ჯალალედინმა დიდი ჯარი შეაგროვა. ზოგიერთი ცნობით, მისი ლაშქარი 200 ათას კაცსაც კი ითვლიდა. ქართველთა

ლაშქარი კი 60-70 ათას კაცს არ აღემატებოდა. რუსუდან მეფემ საქართველოს ჯარის მთავარსარდლად ივანე ათაბაგი დანიშნა. ხვარაზმელებთან ბრძოლაში ქართველთა ჯარი, რომელიც მთელი 130 წელი, თუ მეტი არა, შიშის ზარს სცემდა მაჰმადიან სამყაროს, დამარცხდა. მემატიანის გადმოცემით, სულთნი „აღაოხრებდეს საქართველოსა, არბევდეს და ტყუე ჰყოფდეს და სრულიად უწყალოდ ხოცდეს, და არავინ იყო ნუგეშინისმცემელი მათი.“[29] მაგრამ ჯალალედინის მთავარი მიზანი იყო უმდიდრესი ქალაქის — თბილისის აღება. იგი 1226 წლის დასაწყისში თბილისისკენ დაიძრა და იანვრის ბოლო რიცხვებში სოღანლუღში დაბანაკდა.

საქართველოს მთავრობამ თბილისის დასაცავად სრული უნიათობა გამოავლინა. რუსუდან მეფემ იმის მაგივრად, რომ თბილისის დაცვის მოფიქრებული და ყოველმხრივ სრულყოფილი გეგმა დაესახა, მოლაშქრეთა და თბილისის მცხოვრებთა სულისკვეთება განემტკიცებინა თბილისის დასაცავად, „ვითარ ცნა ... მოსვლა სულთნისა, აიყარა და წარვიდა ქუთაისს, ხოლო თბილისის მცველად დაუტევა ლაშქარი და თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო.“[30] როგორც ჩანს, რუსუდანს ქვეყნის ბედზე მეტად თავისი ბედი აღელვებდა. იგი ვარაუდობდა, რომ თბილისს, შესაძლოა აოხრებულს, მაგრამ ისევ დაიბრუნებდა. მან „შეიყუარა წარმავალი საწუთრო, დაივიწყა შიში ღმრთისა და სიყვარული ძმისა, და მოიგონა საქმე ყოველთა მიერ განსაკრთომელი.“[31] გიორგი-ლაშა ანდერძით შეევედრა თავის დას რუსუდანს, ვაჟიშვილი დავითი, მას აღეზარდა. რუსუდანმა დავითი თავის ასულსა და სიძეს საბერძნეთში გაუგზავნა, რათა იქ მოეკლათ და მისი ძისთვის სამეფო ტახტის დაკავებისა თუ გაყოფის პრეტენდენტი ჩამოეშორებინა. რუსუდანის ქალიშვილმა და სიძემ დავითი დიდი პატივით მიიღეს, შეიყვარეს და „არა ისმინეს ბრძანება მკვლელებრივი მეფისა რუსუდანისი“,[32] — გულისტკივილით გვაუწყებს რუსუდანის ასეთ დაუნდობელ სურვილს ქართველი მემატიანე, ჟამთააღმწერელი.

დაახლოებით ანალოგიურ ცნობას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი კირაკოზ განძაკელიც, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს ჟამთააღწერელისა და კირაკოზ განძაკელის ცნობები საეჭვოდ მიაჩნია: „არც ჟამთააღმწერელი და არც კირაკოზ განძაკელის სიტყვები, ვითომც რუსუდანს დავით ლაშას ძე თავის სიძესთან მერმე სწორედ მოსაკლავად გაეგ-

[29] ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 171.
[30] იქვე, ტ. II, გვ. 174.
[31] იქვე, გვ. 179-180.
[32] იქვე, გვ. 180.

ზავნოს, ვგონებ მართალი არ უნდა იყოს.“[33] მთავრობის ქუთაისში გახიზვნამ თბილისის მოსახლეობას გამარჯვების იმედი ჩაუკლა, დაეცა თავდაცვისუნარიანობა. ამას დაემატა ისიც, რომ ქალაქის მცხოვრებთა მაჰმადიანური ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა. თვითონ რუსუდანის ქმარი, არზრუმის სულთნის ტორღიალის შვილი, მოღის ედენეც ჯალალედინს მიუვიდა.[34]

ჯალალედინი 8 მარტს შეტევაზე გადავიდა, მაგრამ პირველ დღეს თბილისელებმა გმირულად დაიცვეს ქალაქი და შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ღამით თბილისელმა მუსლიმებმა ჯალალედინს კაცი მიუგზავნეს — შიგნით ქართველებს შეებრძოლებით და ქალაქის კარებს გაგიღებთო. ესეც ჩვენი უნიათობის ბრალია — თბილისი თავისი დიდების ზენიტში იყო საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, და ის ვეღარ მოახერხეს, რომ თბილისის ციხიდან საეჭვო ელემენტები, თბილისელი მაჰმადიანები გამოესახლებინათ და ქალაქგარეთ დაესახლებინათ, ან იმდენი მაინც მოეხერხებინათ, რომ ქალაქის კართა მცველებად სპარსელები არ დაეყენებინათ. მე-14 ს-ის ქართველი ანონიმი ავტორი ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს: „იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლევა აჩვენეს ქართველთა, მერმე მას ღამეს სპარსთა თბილელთა მიუვლინეს კაცი სულთანსა ჯალალედინს შიგნიდაღმა მიცემად ქალაქისა, რათა კართა, რომელთა სპარსნი სცვიდეს, განუხუნეს და შიგნით ბრძოლა უყვეს. ვითარ განთენდა, კუალად აღიჭურა სულტანი მინდობილი სპარსთა შინაგანმცემისა.“[35] ამასთან, თბილისის დაცვის ერთ-ერთი უფროსი მემნა ციხეში სპარსელმა ღალატით მოკლა: „მემნას სპარსმან ვინმე აფთითა (ბრტყელი და ტანგრძელი მახვილი — ა.თ.) ძლიერ დაუხეთქა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა.“[36] მას შემდეგ რაც სპარსელებმა ქალაქის მცხოვრებლებს ბრძოლა გაუმართეს და მტერს ციხის ერთ-ერთი, განჯის კარი გაუღეს, ბრძოლის ბედი ჯალალედინის სასარგებლოდ გადაწყდა.

ჯალალედინმა ენით აუწერელი სისასტიკე გამოიჩინა. საერთოდ, აღმოსავლეთის მმართველები დამარცხებულებს თითქმის ყოველთვის დაუნდობლად ეპყრობოდნენ, მაგრამ დამარცხებული თბილისის მცხოვრებლებს — ბავშვს, ქალს, მოხუცს, უკლებლივ ყველას ენით აუწერელი ტანჯვა მიაყენეს. ამას ერთხმად აღიარებენ უცხოელი და ქართველი მემატიანეები. ჩვენც მათ მოვუსმინოთ. არაბი ისტორი-

[33] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 107.
[34] დ. გვრიტიშვილი, თბილისის თავგადასავალი, თბ., 1958, გვ. 15.
[35] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 174-175.
36 იქვე, გვ. 175.

კოსი იბნ-ალ-ასირი გადმოგვცემს, რომ „ამოწყვიტეს ქალაქში ყველა ქართველი, არ დაინდეს არც დიდი, არც პატარა.“[37] თვით სულთნის მდივანი, ან-ნასაკი, მისი მაქებ-მადიდებელი, აღნიშნავს, რომ ქალაქში ამოწყვიტეს ყველა ქართველი და სომეხი, ეი. ქრისტიანები.[38]

კირაკოს განძაკელის სიტყვით, ჯალალედინმა ქალაქის აღებისთანავე მცხოვრებთაგან უმთავრესი ამოწყვიტა, შემდეგ კი ბრძანება გასცა: „არ შესულიყვნენ იმის გამოძიებაში, სურთ თუ არა ქრისტიანობის უარყოფა და ძალით ყველა წინადაეცვითათ. ამრიგად, ორი მუსულმანი მოედანზე ხელებს გაუკავებდა ქრისტიანს და მესამე კი მახვილით კვეთდა მამაკაცის ასოს კანს.“[39]

ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი კიდევ უფრო ვრცლად აგვიწერს ცხოველური ჟინით აღტყინებული ჯალალედინისა და მისი ლაშქრის ქართველთა ხოცვა-ჟლეტის საშინელ დეტალებს: „ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად ვითარ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედ დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვივიან და რომელსამე ტვინი დაეთხიოს. და უკანის დედანი მოიკვდიდიან; ბერნი უწყალოდ ფოლოცთა (ქუჩა — ა.თ.) შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, და სისხლისა მდინარენი დიოდეს, ტვინი კაცთა, დედათა, ერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლევნი დანითა იღლიასა დასობილნი, სხვანი მკერდსა დაცემითა, რომელნიმე მუცელსა და ზურგსა განიგმირებოდეს ... ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრიბიან, და კვალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ (პატივ-აყრილად — ა.თ.) მკუდარ მდებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა, და არცა თუ დაფლვასა მიწასა შინა ღირს ჰყოფდეს.“[40]

ჯალალედინმა ესეც არ იკმარა და დაანგრია ეკლესიები — „იწყო რღვევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლამდე.“[41] სიონის ტაძარს გუმბათი მოუშალა და ზედ თავისი საჯდომი ააგო, რომელზედაც ხიდი გადო და ისე ადიოდა. მემატიანე აღნიშნავს, რომ ამით „არავე დამშვიდნა ცუდ-რჯული იგი ბილწი: “სხვა სიბოროტეც მოიგონა, მაგრამ სირცხვილის გამო ვერ ვიტყვიო.

[37] ციტირებულია: თბილისის ისტორია, ტ. I, გვ. 169.
[38] იქვე.
[39] იქვე.
[40] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 175-176.
[41] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 177.

ჯალალედინის ბრძანებით მეტეხის ხიდის ყურზე თბილისის აურაცხელი მოქალაქენი მოიყვენეს, ხიდზე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები პირაღმა დადეს და ვინც ხატს ფეხს არ დაადგამდა, თავს კვეთდნენ და მტკვარში აგდებდნენ. უმჯობესია მემატიანეს მოვუსმინოთ, მით უმეტეს, რომ თხრობის ამ მონაკვეთში იგი ეხება მოსახლეობის რაოდენობის საკითხს: „ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკუეთა თავთა. და ვითარ აღასრულებდეს ბრძანებულსა ამას, მოჰყანდეს მამაკაცნი დედათა თანა და აიძულებდეს ესრეთ ყოფად. მრავალთა უკუე ბრწყინვალე ძლევა აჩუენეს არა თავ-დებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატევებად სჯულისა. ხოლო მრავალ სიმრავლე მამათა და აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა.“[42]

„ბევრი“ ძველ ქართულში ათი ათასს ნიშნავდა. ამ ცნობის საფუძველზე ხშირად ასკვნიან: თუ ხმარაზმელებმა თბილისის მოსახლეობა მთლიანად ამოწყვიტეს, მაშინ თბილისში 100 ათას კაცს მაინც უცხოვრია, ხოლო თუ არა — მეტსაცო. ყოველ შემთხვევაში, თბილისის მოსახლეობის დასადგენად აღნიშნულ ცნობას, როგორც ერთ-ერთ ძირითად მონაცემს, თითქმის ყველა მეცნიერი იყენებს. მაგალითად, აღნიშნავენ, რომ, „ჯალალედინის ლაშქრობის დროს... თბილისში ამოწყვეტილ იქნა 100 000 სული. თუ ამ ცნობას დავუჯერებდით, XIII საუკ. დამდეგის თბილისში, რაკი მტრის შემოსევის დროს ყველა არ შეიძლებოდა დახოცილიყო, 100 000-ზე მეტი მცხოვრები მაიც უნდა ყოფილიყო“[43]. მაგრამ ქართველი მემატიანის ეს ცნობა თბილისის მოსახლეობის რაოდენობის დასადგენად დასაზუსტებელია შემდეგი მიზეზების გამო:

1. თბილისის მოსახლეობის დიდ რაოდენობას ამ პერიოდში შეადგენდნენ მაჰმადიანები და, ბუნებრივია, თავი მათთვის არავის წაუკვეთავს;

2. პატიოსან ხატთა იძულებით დასათრგუნად მოყავდათ ზრდასრული მამაკაცები და ქალები, და არა მოზარდები, რომელთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რიცხვში საკმაოდ დიდი იყო;

3. თბილისისათვის ბრძოლაში თბილისის ბევრი მცხოვრები დაიღუპა;

[42] იქვე, გვ. 177-178.
[43] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

4. გამძვინვარებულმა მტერმა არ დაინდო თბილისის მშვიდობიანი მოსახლეობა — „კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა“ ტვინი და თმა ერთმანეთში იყო არეული, ქალაქში „სისხლის მდინარენი დიოდეს;“

5. ზოგმა ვერ გაუძლო სიკდილის შიშს და გამაჰმადიანდა. ამ ცნობას გვაწვდის კირაკოს განძაკელი.[44]

6. ჯალალედინმა ქალაქის აღებისთანავე, ზემოთ მოტანილი კირაკოს განძაკელის ცნობის თანახმად, მცხოვრებთაგან უმთავრესი ამოწყვიტა და დაიწყო ცოცხლად დარჩენილთა ძალით ყველას წინადაცვეთა.

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი მოსახლეობის დანაკლისი არ შედის იმ ასი ათას კაცში, „რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა.“ თუ ჩავთვლით, რომ 100 ათასი მოწამე ყველა თბილისის მაცხოვრებელი იყო, ან თუნდაც მისი ორი მესამედი, მაშინ გამოდის, რომ 1226 წლისათვის თბილისის მოსახლეობა 200 ათას კაცს გადააჭარბებდა, რაც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია. ამ პერიოდში თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დასადგენად ნაკლებად გამოსადეგია ცნობა 100 ათასი კაცის მოწამებრივი სიკვდილით დასჯის შესახებ. როგორც ჩანს, ჯალალედინის მტარვალობის დროს დახოცილთა ზემოთ აღნიშნულ რიცხვში თბილისის ახლომდებარე, აწიოკებული და აოხრებული რაიონებიდან დატყვევებული, ძალით ჩამოყვანილი მოსახლეობაც შედიოდა. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ, როგორც უცხოელი მემატიანე ჯუვეინი აღნიშნავს, ჯალალედინმა „ყოველი სოფელი თუ ციხე თბილისის მიდამოებში, რომლებიც ეშმაკის მიმდევრებით (ე.ი. ქრისტიანებით — ა.თ.) იყო სავსე, მოსთხარა.“[45]

თბილისის მოსახლეობის რაოდენობის ზრდას 1122 წლიდან 1226 წლამდე განაპირობებდა ჩვეულებრივ სამი ძირითადი ფაქტორი:

1. მოსახლეობის ბუნებრივი მატება. ამ პერიოდში დაბადებულთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა გარდაცვლილთა რაოდენობას და, მაშასადამე, თბილისის მოსახლეობის ბუნებრივი მატება დადებითი იყო;

2. მიგრაციული მატება. თბილისში შემოსულთა რაოდენობა, მნიშვნელოვნად ჭარბობდა გასულთა რაოდენობას, ანუ მიგრაციული სალდო იყო დადებითი. ბუნებრივია, უპირველესად მმართველობითი აპარატის თბილისში გადმოტანის, ვაჭრობა-ხელოსნობისა და კულტურის არნახულად განვითარების შედეგად თბილისის მოსახლეობა იზრდებოდა შემოსულთა ხარჯზე. 1122 წლიდან, როდესაც დავით

[44] **ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 62.**

[45] **თბილისის ისტორია, ტ. I, გვ. 170.**

აღმაშენებელმა თბილისი აიღო, იგი იღებდა ღონისძიებებს თბილისში ქრისტიანული მოსახლეობის გასამრავლებლად. ამ მიზნით თბილისში ასახლებდა ქრისტიანულ მოსახლეობას. ცნობილია, რომ მან თბილისში ბევრი სომეხიც ჩამოასახლა, რის შესახებაც წერენ იმდროინდელი სომეხი ისტორიკოსები. მაგალითად, დავით მეფემ თბილისში დაასახლა ანელი სომხები და მათ ქართველებთან თანასწორი მოქალაქეობრივი უფლებები მიანიჭა.[46] ამავე მიზნით, მან თბილისში თავადაზნაურთა და ეკლესიის მსახურთა შვილებისათვის დააარსა სასწავლებელი.[47]

3. თბილისის ტერიტორიის გაფართოება, რის შესახებაც ზემოთ ითქვა.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ პერიოდში მემატიანეებს არ დაუფიქსირებიათ ბუნებრივი და სოციალური კატაკლიზმებით გამოწვეული მოსახლეობის დანაკარგები (მიწისძვრები, ეპიდემიები, ომები საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე, შიმშილი და სხვ.).

თბილისის მოსახლეობის საერთო მატებაში, რომელიც გულისხმობს საერთოდ მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მატების ჯამს, მთავარი კომპონენტი მოსახლეობის ბუნებრივი მატებაა, რომელიც წარმოადგენს გარკვეული დროის (ჩვეულებრივ ერთი ან მეტი წლის) განმავლობაში დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობებს შორის სხვაობას. როგორც წესი, თუ შობადობის შემაფერხებელი პირობები არ არსებობს, ბუნებრივი მატება დადებითი სიდიდეა და მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია ცხოვრების დონე, მით უმეტეს წინა სს-ში. რიგითი მკითხველისათვის მოვლენა რომ უფრო ნათელი გახდეს, აღვნიშნავთ შემდეგს: შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გვიჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 100 სულზე. ანალოგიურად გაიანგარიშება მოკვდაობის კოეფიციენტიც. მაშასადამე, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი კაცით იმატებს მოსახლეობა ყოველ 1000 სულზე. კერძოდ, თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში (ვთქვათ, წელიწადში) მოსახლეობის 1000 სულზე იბადება 35 ბავშვი, ხოლო გარდაიცვლება 20 კაცი, მაშინ მოსახლეობის ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე 15 კაცს უდრის. მოსახლეობის ასეთი ბუნებრივი მატება, თუ მეტი არა, სავსებით შესაძლებელია ყოფილიყო მე-12 ს-ის საქართველოში.

[46] **იხ.** Тифлись по однодневной переписи 25-го марта 1876 года. Тифлись, 1880, с. 275.

[47] **იქვე, გვ. 275.**

ახლა უკვე ისიც უნდა ითქვას, რომ დემოგრაფების მიერ სპეციალური ფორმულის საფუძველზე დადგენილია, თუ მოსახლეობის ბუნებრივი მატების სხვადასხვა მნიშვნელობის დროს, რამდენი წელია საჭირო მოსახლეობის გაორმაგებისათვის და რამდენჯერ გაიზრდება მოსახლეობა 100 წელიწადში უცვლელი პირობების არსებობის შემთხვევაში. ამისთვის მოვიყვანოთ სპეციალური ცხრილები.

მოსახლეობის რიცხოვნობის გაორმაგებისათვის საჭირო წლების რაოდენობა წლიური მატების სხვადასხვა მუდმივი კოეფიციენტების არსებობის შემთხვევაში.[48]

	ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე							
წლიური მატების კოეფიციენტი	5	10	15	20	25	30	35	40
წელთა რიცხვი, რომელიც საჭიროა მოსახლეობის გაორმაგებისათვის	139	69,7	46,5	35,0	28,1	23,4	20,1	17,7

მოსახლეობის ზრდა ასი წლის განმავლობაში წლიური მატების უცვლელი კოეფიცინტის შემთხვევაში[49]

	ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ 1000 სულზე							
წლიური მატების კოეფიციენტი	5	10	15	20	25	30	35	40
რამდენჯერ გაიზრდება მოსახლეობა 100 წელიწადში	1,65	2,70	4,44	7,24	11,8	19,2	31,2	50,5

მიგვაჩნია, რომ თბილისში 1122 წლიდან 1226 წლამდე ყოველწიურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე 15 კაცს მაინც შეადგენდა, ე.ი. მოსახლეობის ყოველ ათას კაცზე 15 კაცით მეტი იბადებოდა, ვიდრე გარდაიცვლებოდა. იმ პერიოდში თბილისში არსებობდა სათანადო პირობები მაღალი შობადობის დონისა და მოკვდაობის შედარებით დაბალი დონის არსებობისათვის, რის შესახებაც ნაწილობრივ ზემოთაც აღვნიშნეთ.

ახლაც, კერძოდ 1989 წელს, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში,

[48] Р. Пресса. Народонаселение и его изучение. Перевод с французского. М., 1966, с. 335. **იხ. აგრეთვე:** В. Медков. Демография. М., 2009, с. 151.

[49] იქვე.

რომ არაფერი ვთქვათ მრავალ სხვა ქვეყანაზე, მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ბუნებრივი მატება 15 კაცზე მეტი იყო: ტაჯიკეთში (32,2); თურქმენეთში (27,3); უზბეკეთში (27,0); ყირგიზეთში (23,2); აზერბაიჯანში (20,0); სომხეთში (15,6); ყაზახეთში (15,4).[50]

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს, იმ პერიოდში მრავალშვილიანი ოჯახები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მე-11 ს-ში იმდენად გავრცელებული ყოფილა 7 და 8 ბავშვიანი ოჯახები, რომ გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი, გიორგი მცირე შემთხვევით რომ წერდა: „უწყი, ვითარმედ არა უმეცარ ხართ შვილთა ზრდასა, მკჳდრნი სოფლისანი, რამეთუ უკუეთუ ვის განუმრავლდენ შვილნი უფროჲს რიცხჳსა, ესე იგი არს შჳდისა გინა რვისა, რაჲზომცა მდიდარი იყოს, დიდსა ჭირსა და ურვასა შთავარდების; ხოლო უკუეთუ გლახაკი იყოს, ყოვლით კერძო მწარე არს ცხორებაჲ მისი და აღსავსე ვაებითა.“[51] ამრიგად, ზომაზე მეტად ოჯახში 7-8 შვილზე მეტი ითვლებოდა.

ჩვენ ზემოთ გავიანგარიშეთ, რომ 1122 წლისთვის, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო, თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 25 ათას კაცს უდრიდა. თუ მივიჩნევთ, რომ ყოველწიურად მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1000 კაცზე მუდმივ სიდიდეს წარმოადგენდა და 15 კაცს მაინც უდრიდა, რაც საკმაოდ რეალური მაჩვენებელია იმ პერიოდის თბილისისათვის, მაშინ თბილისის მოსახლეობა 46,5 წელიწადში გაორმაგდებოდა, ანუ 1169 წლისათვის და მისი მოსახლეობა 50 ათასი გახდებოდა. თბილისის მოსახლეობის შემდეგი გაორმაგება კვლავ 46,5 წელიწადში, 1215 წელს მოხდებოდა და მოსახლეობა 100 ათას კაცს მიაღწევდა. 1226 წლამდე თბილისის მოსახლეობა კიდევ რამდენიმე ათასით გაიზრდებოდა. თუ ზემოთ მოტანილ მეორე გაანგარიშებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომლის დროსაც მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1000 კაცზე მუდმივად 15 კაცი იქნებოდა, მაშინ 100 წლის განმავლობაში თბილისის მოსახლეობა 4,44-ჯერ გაიზრდებოდა და 1226 წელს 111 ათასი კაცი იქნებოდა (25000×4,44). საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისის მოსახლეობამ მხოლოდ ბუნებრივი მატების შედეგად 1226 წელს 115 ათასი კაცი შეადგინა. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისის მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა შემოსულთა და ტერიტორიის გაფართოების ხარჯზეც. შეუძლებელია, რომ

[50] Демографический ежегодник СССР. М., 1990, с. 184-185.

[51] **ძვ. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. II, თბ., 1967, გვ. 170-171.**

ერთ საუკუნეში (104 წელიწადში), იმ პერიოდის თბილისში, ამ ფაქტორის გამო, თბილისის მოსახლეობა 35 ათასი კაცით არ გაზრდილიყო (ყოველწლიურად საშუალოდ ამ 104 წლის განმავლობაში, თბილისში საცხოვრებლად 300-მდე კაცი არ შემოსულიყო და თბილისს ტერიტორიის გაფართოების გამო 104 წელიწადში კიდევ 4 ათასი კაცით არ მოემატა). საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1226 წლისათვის თბილისში დაახლოებით 150 ათასი კაცი ცხოვრობდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, რომ თბილისში 100 ათასი კაციც ვერ იცხოვრებდაო, თითქოს ეშინიათ ამ რიცხვის დასახელება. მათ ავიწყდებათ, რომ თბილისი იმ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების, მთელი ქართული ცივილიზაციის ცენტრი და რვა მილიონიანი ქვეყნის დედაქალაქი იყო.

ხვარაზმელების მიერ თბილისის აღებისა და მისი მოსახლეობის რაოდენობის გარკვევის საკითხს დამთავრებულად ვერ ჩავთვლით, თუ შემდეგიც არ აღვნიშნეთ. თბილისის აღებით უდიდესი უბედურება დაატყდა თავს ქართველ ხალხს, რომელმაც მთლიანად შეცვალა საქართველოს ისტორია. არადა ჯალალედინთან ბრძოლაში, წესით და რიგით, ქართველ ხალხს გამარჯვება უნდა ეზეიმა. 8 მილიონიან საქართველოს თავისუფლად შეეძლო თავიდან აეცილებია ეს საფრთხე, რომ არა მმართველი წრეების უნიათობა, ღალატი, შინაგამცემლობა. საქართველო ისე იყო მიჩვეული გამარჯვებებს, რომ სამხედრო საქმე ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, თვითდინებაზე იყო მიშვებული. ჯალალედინთან საბრძოლველად ჯარიც კი თავის დროზე ვერ შეკრიბეს.

საქართველოს იმ პერიოდში თავისუფლად შეეძლო 400 ათასიანი ლაშქრის გამოყვანა. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საქართველო ომს სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა, მას სულ ცოტა 300 000-350 000 მოლაშქრის გამოყვანა შეეძლოო.[52] თბილისისათვის ბრძოლის წინ რუსუდან მეფე მთელი თავისი ამალით ქუთაისში გაიქცა, მისი ქმარი კიდევ მტერს ეახლა. ჯალალედინთან გამარჯვების შემთხვევაში, შემდეგში ვერც მონღოლები დაგვაკლებდნენ რამეს და ვერც თურქეთი და სპარსეთი, თუკი არ შეგვეყრებოდა ჩვენი უკურნებელი სენი: შური და ამპარტავნობა.

[52] **დ. გვრიტიშვილი, თბილისის თავგადასავალი, გვ. 14.**



ომარ ფორჩხიძე,
სამთო ინჟინერი

ქართული სამთო კომპანიების პრობლემები

საქართველოს რთული რელიეფის გამო საჭიროება მოითხოვდა სამთო დარგისა და სამთო ტექნოლოგიების ჯეროვან განვითარებას. ჯერ კიდევ XI საუკუნის ბოლოს, კლდეში გამოკვეთილი ქალაქი ვარძია კლასიკური მაგალითია ამ დარგის ფენომენალური განვითარებისა. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს მერვე საოცრებაა ვარძიის ქალაქის წყალმომარაგების სისტემა — 7 კილომეტრიანი შემხვედრად გაყვანილი გვირაბი.

საქართველო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ბუნებაში თითქმის არ არსებობს სასარგებლო წიაღისეულის სახეობა, რომელიც ჩვენში უხსოვარი დროიდან არ მოიპოვებოდეს და არ მუშავდებოდეს.

საქართველოში ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები ფეთქებადი მასალის გამოგონების თითქმის პარალელურად განვითარდა. ამის მკაფიო მაგალითია, 1898 წელს მარელისის გვირაბის, 1903 წელს ერწოს გვირაბის, სხვა მრავალი გვირაბის თუ სხვადასხვა კომუნიკაციის გაყვანა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოებით.

საქართველოში ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება XVIII საუკუნიდან იწყება — ჯერ ჭიათურის მარგანეცის, შემდეგ ტყიბულის ნახშირის, მადნეულის — სპილენძის, ოქროს, ტყვიის, თუთიის, ვოლფრამის, რაჭის დარიშხანისა...

ცნობილია, ინგლისური კომპანიების ბურღვა-ფეთქებითი სამუშაოების წარმატებულად ჩატარების შემთხვევები ქალაქის პირობებში, მაგრამ მათზე არანაკლებ საპასუხისმგებლო სამუშაოები ჩაუტარებიათ ქართველ პროფესიონალებს. რასაკვირველია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ რამდენიმეს გახსენებაც კი ნათელს მო-

ჰფენს ქართველი პროფესიონალების არცთუ პატარა წარმატებებს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ორმაგი სარკინიგზო ხაზის გაყვანის დროს, საჭიროებამ მოითხოვა 1898 წელს გაყვანილი მარელისის გვირაბის დანგრევა, რაც ზედმიწევნით და უნაკლოდ შეასრულეს შ.პ.ს. „სამთისის“ სპეციალისტებმა. აღნიშნული საქმის სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ, მეორე ხაზის გაყვანის დროს, იმდენად ახლოს აღმოჩნდა გასაყვანი ახალი ხაზი არსებულ გვირაბთან, რომ სამუშაოებმა გვირაბის გარე კედლის გაშიშვლება მოითხოვა. გვირაბი კი ნაშენები იყო და ყოველ აფეთქებას გვირაბის თაღის ჩამონგრევა შეიძლება გამოეწვია. ამ შემთხვევაში შეწყდებოდა სარკინიგზო მიმოსვლა აღმოსავლეთ-დასალეთს შორის. მაგრამ ქართველი პროფესიონალების დამსახურებით, ამ მონაკვეთზე მოძრაობა ერთი წუთითაც არ შეფერხებულა.

თბილისში, აბანოთ უბანში, ლეღვთა ხევის მშენებლობის დროს საჭირო შეიქნა 150-მეტრიანი რკინა-ბეტონის გვირაბის და მცირე კაშხალის აფეთქება. სამუშაოები გარემოს დაუზიანებლად ჩატარდა. 8 თვის განმავლობაში 100-ზე მეტი აფეთქება მოეწყო, გაშიშვლდა ჭრელი აბანოს სააბაზანოს ნომრები, შენარჩუნებულ იქნა ე. წ. პუშკინის აბაზანის მაშინდელი მოპირკეთება, როგორც შიგნიდან, ისე გარედან.

ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ, რომ ელიზბარ ონისიმეს ძე მინდელის, საბჭოთა კავშირის სამთო საქმის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელისა და ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების განყოფილების შემქმნელის, სახელთან არის დაკავშირებული აფეთქების მართვის მეთოდის შემუშავება, რომელიც ახლაც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. გასული ს-ის 70-იან წლებში დამსახურებული მეცნიერი დაბრუნდა საქართველოში და პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე გააგრძელა; ასევე, პარალელურად დაინიშნა თბილისის სამთო მექანიკის ინსტიტუტის დირექტორად, რომელიც დღესაც ელზიბარ მინდელის სახელს ატარებს.

საქართველოში, უკვე 1990 წლისთვის, საბჭოთა კავშირის დაშლისას, მანამდე არსებული 22 ბურღვა-აფეთქების პროფილის კომპანიიდან მხოლოდ 2 იყო შემორჩენილი. დაახლოებით 2002 წლიდან ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების საჭიროება ისევ გაჩნდა და ნელ-ნელა შესაბამისმა კომპანიებმაც ამოქმედება დაიწყო, მაგრამ

ეს ტენდენცია დიდხანს არ შენარჩუნებულა. 2005 წლიდან საქართველოში დაიწყო თავიანთ ქვეყნებშივე წარუმატებელი უცხოური ფირმებისა და სამთო დარგის დილეტანტი სპეციალისტების შემოდინება.

ჩვენ, როგორც „უზომოდ სტუმართმოყვარე ქვეყანამ“, ეს სტრატეგიული დარგი სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებს ჩავუგდეთ ხელში, ხოლო საკუთარი გავაკოტრეთ, გავანადგურეთ და გავაუქმეთ. მაგალითად, ისეთი წარმატებული კომპანია, როგორიც „სამთისი“ იყო, 2003 წლამდე კაზრეთში ყოველწლიურად აფეთქებდა მილიონნახევარ კუბურ მეტრ (1.500.000 m^3) მასას, დღეს კი სამუშაოების უკმარისობის გამო, უფუნქციოდ არის დარჩენილი. მაშინ, როცა შორეული აღმოსავლეთიდან მოყოლებული ახლო დასავლეთამდე თითქმის აღარ დარჩა კომპანია, რომელიც საქართველოსკენ არ მოისწრაფოდეს. ამ უსამართლობამ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო არა მარტო სამთო დარგი და აღნიშნული კომპანიები, არამედ თავად ქვეყანაც.

ფეთქვითი მასალითა და ასაფეთქებელი საშუალებებით აღჭურვილი უცხოელები წითელი ხიდიდან ენგურის ხიდამდე წარამარა მოძრაობენ. მაგალითად, სამთო სამუშაოებისთვის ინდოეთიდან საქართველოში ჩამოსული 3000-მდე კაციდან, გადაუჭარბებლად ვიტყვით, მხოლოდ 4-5 ადამიანმა თუ იცოდა რაიმე ენაზე წერაკითხვა. არადა, თურმე მაინცდამაინც მათ უნდა ეწარმოებინათ აფეთქებითი სამუშაოები ყოველ ას მეტრზე — კახეთის მსხმოიარე ვენახებში, შუამთის მონასტრის ეზოში, გომბორიდან ცივის, თელავის, ჭერმის ხევის, გურჯაანის გავლით ლაგოდეხის ნაკრძალამდე.

ჩვენთან სამთო საქმე არც ჩინელების ნაკლებობას განიცდის. თუმცა, ამ განვითარებულ ქვეყანასაც უსაფრთხოების თვალსაზრისით თავის მოსაწონი ბევრი არაფერი აქვს. ტელევიზიით თითქმის ყოველ კვირას გადმოიცემა ცნობა, თუ როგორ იღუპებიან ადამიანები ჩინეთის შახტებში.

მიუხედავად ადგილობრივი წარმოების მცირე მასშტაბისა, გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის დონით ქართველი სამთო სპეციალისტები არავის ჩამოუვარდებიან. საქართველოში წიაღისეული სიმდიდრის მოსაპოვებელი მხოლოდ ორი აუზი არსებობს, მაგრამ მათში თავმოყრილია სპეციფიკურ პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელიც კი შესაძლებელია საერთოდ მიწისქვეშა სამუშაოებთან იყოს დაკავშირებული. ჩინეთის მაგალითზე თუ განვიხილავთ ავარიების ტრაგიკულ შედეგებს, მსგავს შემთხვევებს საქართველოში

საერთოდ ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, ტყიბულის მადნის მომპოვებელი შახტის არსებობის 150 წლის განმავლობაში, მიუხედავად მრავალი სირთულისა, უბედურ შემთხვევათა რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელ რიცხვს არ აღემატება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემთხვევებიც არა სამთოელთა არაპროფესიონალიზმის, არამედ არაკვალიფიციური მართვის მიზეზით იყო გამოწვეული.

ერთ ამბავს გავიხსენებთ. 1994 წელს კაზრეთის სპილენძის კარიერში ზუმფი უნდა აგვეფექთებინა. მაშინდელი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გენერალური დირექტორი ქართველ სპეციალისტებს არ გვენდო და სამუშაოს შესასრულებლად თურქები მოიწვია. სამთო პროფესიის მუშაკთათვის ცნობილია, რომ ზუფმის აფეთქებას სპეციალური მომზადება სჭირდება, მაგრამ როგორ მოიქცნენ თურქი სპეციალისტები? — მათ ნახეს, რომ საქმის მცოდნე კაზრეთელი სპეციალისტების მიერ ასაფეთქებელი ბლოკი ნაცვლად 244 მმ-ისა დაბურღული იყო 269 მმ დიამეტრის მქონე ჭაბურღილებით. რამდენადაც მათთვის ასეთი ფართო ჭაბურღილების არსებობა მოულოდნელი აღმოჩნდა, თურქეთიდან სასწრაფოდ ჩამოიტანეს 170 მმ სიგანის საბურღი გვირგვინი და ასაფეთქებელი ბლოკი ხელმეორედ გადაბურღეს. ააფეთქეს კიდეც, მაგრამ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. მიზეზი კი ის იყო, რომ ამ ვაისპეციალისტებს აღნიშნული სიფართოვის ჭაბურღილები ნანახიც არ ჰქონდათ და ამიტომ ვერც იმის გაანგარიშება შეძლეს, თუ რამდენი ფეთქვითი მასალა უნდა მოეთავსებინათ მათში. სხვათა შორის, მიუხედავად ამდენი დავიდარაბისა, კაზრეთის კარიერის საქმე მაინც ქართველი სპეციალისტების გასაკეთებელი შეიქნა.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმაში გარკვევა, თუ როგორ ეკიდებიან ამ სტრატეგიულ დარგს სხვა ქვეყნებში. 1995 წელს შევიტყვეთ, რომ, ფექთვითი მასალის გაძვირების გამო, ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანელებს განჯასთან მდებარე რკინის კარიერის აფეთქება გაუჭირდათ. რადგან ჩვენ ამონიუმის გვარჯილისგან იაფ და თანაც საკმაოდ ძლიერ ფეთქვით მასალას ვამზადებდით, მათ იმ დროისთვის შეღავათიან ფასად შევთავაზეთ ასაფეთქებელი სამუშაოების ჩატარება. პასუხად ის მივიღეთ, რომ უსასყიდლოდაც რომ გაგვიკეთოთ საქმე, კანონი არ გვაძლევს უფლებას, ასაფეთქებელი სამუშაოები სხვა ქვეყნის მოქალაქეებს გადავცეთო. არცაა საკვირველი, სახელმწიფო თავისი მიწა-წყლისა და ხალხის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

მესხეთ-ჯავახეთში თურქულ კომპანიაში ამფეთქებლად ერთი ქართველი სპეციალისტი მუშაობდა, მაგრამ გამოიქცა იქიდან იმის გამო, რომ ერთდროულად 700 შპურის აფეთქებას ავალებდნენ. არადა, ამ რეგიონში თითოეული მტკაველი მიწა საქართველოს ისტორიას ინახავს. ცოტა ხანში, თუ ასე გაგრძელდა, ვარძია და სხვა უნიკალური ძეგლები თავზე დაგვემხობა და მერე, ისევე როგორც ლარსის შემთხვევაში, მოგვიწევს თავის მართლება, რომ ტრაგედია არა სამშენებლო სამუშაოებმა, არამედ გლობალურმა დათბობამ გამოიწვია. მაშ, როგორ მოხდა, რომ კავკასიონის მთებში გვირაბებიც გაიყვანეს, ასობით კილომეტრზე გზებიც გაჭრეს, დარიშხანის შახტებიც რამდენიმე ათეული წელი ამუშავეს, მაგრამ დათბობამ მარტო ლარსთან ჩამოშალა კავკასიონი?

ჩვენი თხოვნა და, გნებავთ, მოთხოვნა მხოლოდ ის არის, რომ დამოუკიდებელმა ქვეყანამ, რომელსაც აქვს საკანონმდებლო ორგანო, ზემოთ აღნიშნული სტრატეგიული მნიშვნელობის სამუშაოთა შესრულების უფლება სხვა ქვეყნის მოქალაქეებსა და კომპანიებს უნდა ჩამოართვას. მეზობელი სახელმწიფოების მაგალითზე მაინც ვისწავლოთ საკუთარ სამშობლოზე ზრუნვა. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს გამოცდილება და პროფესიონალიზმი ქართველი სამთოელებისა, სანამ მათ ამის ძალა ჯერ კიდევ შესწევთ.



გრიგოლ რუხაძე

საქვეყნო ამბების მიმოხილვა

ასოცირების ხელშეკრულება, კოლაბორაციონისტი ნაცების ინიციატივა, უკრაინის ხელისუფლების ახალი კადრი, საყდრისის საბადო, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება, პრემიერის პრესკონფერენცია

1. 2014 წლის 18 დეკემბერს, სტრასბურგში ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების **რატიფიკაცია** მოახდინა, ანუ საქართველოს მიერ 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილ შეთანხმებას იურიდიული ძალა მიანიჭა. საქართველოს მხარე ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მეთაურობით, მაგრამ, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ევროპის სახალხო პარტიის მიწვევით რატიფიკაციის ღონისძიებას საკუთარი ქვეყნიდან გაქცეული ექსპრეზიდენტი მ. სააკაშვილიც ესწრებოდა. ამასთან, ევროპარლამენტმა ჩვენი დელეგაციისთვის განკუთვნილ სექციაში მას უფრო საპატიო ადგილი მიუჩინა, ვიდრე მოქმედ პრეზიდენტს; ამ უკანასკნელს სხდომაზე სიტყვის თქმის უფლებაც კი არ მისცეს.

ამ მრავლისმეტყველი ფაქტის კონსტატირებისთვის აღვნიშნავთ, რომ რატიფიკაციის ღონისძიებაზე დამნაშავე ექსპრეზიდენტის მიწვევით ევროპარლამენტართა მიერ მთელი ქართველი ხალხისა და მისი ხელისუფლების მიმართ გამოხატული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქმედების გამო საქართველოს მთავრობის არცერთ ოფიციალურ პირს არათუ პროტესტი, არამედ მოკრძალებული საყვედურიც კი არ გამოუთქვამს. მართალია, პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართს ხნავს, დიდი ილიაც ასე გვასწავლიდა, მაგრამ საზოგადოებას, თუნდაც მინიშნებით, სახისმეტყველებით ან დიპლო-

მატიის ენაზე, რომელიმე პარლამენტარმა მაინც ხომ უნდა აუხსნას, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებით და რატომ ვართ იძულებული ვდუმდეთ, როცა მოცემული ვითარება გვავალდებულებს პასუხისგებას.

ნახეთ, რა გახსნილი ქარგა აქვთ ჩვენს ნაწრთობ ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს, მაგალითად: «პუტინი ყველაფრის მკადრებელია» (ს. ცისკარიშვილი);[1] «რაც უფრო მეტი პრობლემა ექნება რუსეთს, მით უკეთესი საქართველოსთვის» (დ. ბერძენიშვილი);[2] მედიის მიერ ფილოსოფოსად წოდებული ერთი რესპოდენტი რუსეთის პრეზიდენტს «ბოროტ ხულიგნად» მოიხსენიებს (ზ. ფირალიშვილი);[3] ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ამბობს: «დასავლეთი ხვდება, რომ თუ „ჯინი“, ანუ პუტინი გაექცათ, მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია» (გ. გვაზავა).[4] — რომ არაფერი ვთქვათ ჩვენივე ქვეყნისთვის ამ მავნე გამონათქვამთა ეთიკურ მხარეზე, ისინი ვერც პოლიტიკურ და დიპლომატიურ ჩარჩოებში ეტევა, მაგრამ ჩვენ ამ ბატონების სუბიექტურ მოსაზრებათა დამოწმება მხოლოდ იმისთვის დაგვჭირდა, რომ ღია ბრძოლის ნიმუში გვეჩვენებინა.

2. ჩვენს ხელისუფლებას მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს, რომ აშშ-ის მიერ მართული ქართული მედია-საშუალებები საზოგადოებრივ აზრს ნაცების სასარგებლოდ აყალიბებენ. ვფიქრობთ, ისიც შესახსენებელია, რომ ქვეყანაში წამოჭრილ პრობლემათა არსის არცოდნა საზოგადოებას ხელისუფლებისადმი უარყოფითად განაწყობს. რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევა და ცოდნაა საჭირო იმისთვის, რომ საჭირო ინფორმაცია ადამიანებამდე ზომიერების დაცვით მიიტანო, მაგრამ თანამედროვე კონკურენციის პირობებში სტრატეგიულ საშუალებათა შორის, ეკონომიკურ-ტექნოლოგიურთან ერთად, იდეურ-ინფორმაციული მიმართულება ძირითადია. მისი გათვალისწინების გარეშე, ხელისუფლებამ რა სასიკეთო საქმეებიც უნდა აკეთოს, შეიქმნება შევარდნაძის დროინდელი სიტუაცია, როცა მედიის გამუდმებული ზომბირებით გათანგულმა საზოგადოებამ მ. სააკაშვილი მხსნელად აღიარა.

ჩვენი აზრით, გარდა გარეშე ფაქტორებისა, 2003 წელს ნაცების გამარჯვებას სახელისუფლო ინსტიტუტების მიერ იდეური ბრ-

[1] **გაზ. კვირის პალიტრა, 22.12.2014.**
[2] **გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.**
[3] **გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 25.12.2014.**
[4] **გაზ. საქ. რესპ. 05.09.2014.**

ძოლის უგულებელყოფამ, ეროვნულ-აღმზრდელობითი ინსტიტუტების დაუფინანსებლობამ და, საბოლოო ჯამში, შეძლებული ქართველების უმოქმედობამ შეუქმნა საფუძველი. მაშინ საზოგადოებას ნება არ აღმოაჩნდა ხელისუფლების თანადგომისა, მაგრამ, ფაქტია, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ადამიანებმაც ეროვნულ-იდეოლოგიური ბრძოლის საწარმოებლად ვერაფერი გააკეთეს. ეს საკითხი, სხვათა შორის, ცალკეა შესასწავლი: როგორ მოხდა, რომ დიდი ისტორიული გამოცდილებისა და განათლების მქონე ერის შვილებმა თავის გადასარჩენადაც კი ვერ გამოიყენეს ინტელექტუალური იარაღი და იმის მაგივრად, რომ მოვლენათა ობიექტური და მეცნიერული ანალიზით საზოგადოება გამოეფხიზლებინათ, განზე გადგომა და საერთო მასაში გათქვეფა ამჯობინეს? — ამ ტრაგედიის ასახსნელად, მე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთ მიზეზს ვხედავ: ქართველებს, მიუხედავად უფლისგან მომადლებული მრავალი ნიჭისა, გაერთიანების უნარი გვაკლია. ამ ნაკლს კი, ჩვენი წინაპრებისთვისაც კარგად ცნობილი სულის ჟანგი, შური ასაზრდოებს.

3. თუ დავუბრუნდებით წამოჭრილ თემას, ნაცების აქტიურობის ფონზე უფრო ნათლად დავინახავთ, როგორ ღვივდება შფოთი, როცა სახელისუფლო მხარე ვითარებას თვალს არ უსწორებს, მოვლენათა შეფასებას ვერ ასწრებს და შემდეგ, როცა პოპულისტური მუხტი საზოგადოებაში უკვე შეღწეულია, პოზიციის აღდგენას უკანდახევით ცდილობს. ამ რიგის ერთ-ერთი საკითხი ისიცაა, რომ არა და არ დაადგა საშველი რუსეთის შეურაცხყოფის მიზანშეწონილობაზე ოფიციალური დამოკიდებულების გამოხატვას და ნაცების ამ მთავარი იდეოლოგიური სტიმულატორისთვის სამთავრობო ექსპერტიზის ჩატარებას. ნუთუ პოლიტიკოსებისთვის ძნელია ამ მავნე ტენდენციის გაანალიზება და არგუმენტირებულად დასაბუთება, რომ რუსეთთან მუდმივად მტრულ და შეურიგებელ მდგომარეობაში ყოფნა, ძალისმიერ დაპირისპირებამდეც რომ არ მივიდეს საქმე, ბოლოს და ბოლოს თვით საქართველოს გამოფიტვას? იმის თქმას თუ ვერ ვბედავთ, რომ არა ჩვენი სახელმწიფოს, არამედ დასავლეთის სტრატეგიული მიზანია რუსეთსა და საქართველოს შორის მუდმივი დაძაბულობის შენარჩუნება, რათა მეზობელ ქვეყნებს შორის პრობლემების მოგვარება მოლაპარაკების გზით არ დაიწყოს, ის მაინც ვაღიაროთ, რომ დიდ მეზობელთან ომის დაწყება არა საქართველოს, არამედ სააკაშვილის და მისი ბანდის კისერზეა და ყველას, ვინც დამარცხება გამარჯვებად გამოაცხადა და გლოვის მაგივრად ზეიმი

გამართა, შესაბამისი სახელი ვუწოდოთ: **სამშობლოს მოღალატე**. რა თქმა უნდა, ერთ მშვენიერ დღეს ისტორიის ჩარხი თავის კბილანებში ყველას სათითაოდ მოაქცევს, მაგრამ ახლავე სჯობია მათი ნაქნარის შეფასება, რათა რუსეთის თემით აღგზნებულ ნაცებს საზოგადოების დაშანტაჟების სურვილი გაუქრეთ.

ახლა კი მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ.

2014 წლის 13 აგვისტოს ნაცური მთავრობის ცნობილმა წარმომადგენელმა, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა **ბაჩო ახალაიამ** საგანგებო განცხადება გაავრცელა: «თავისუფალი საქართველოს თავისუფალ მოქალაქეებს!

ძმებო, დღეს ნამდვილად მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისთვის, მომავლისთვის და ეს ფრონტის ხაზი გადის უკრაინაზე. გარწმუნებთ, ყველაფერს ვაკეთებთ საქართველოს პატრიოტები, რომ უკრაინელების 20 წლის წინანდელი, აფხაზეთში ჩვენთვის გაწეული დახმარება არ იყოს დავიწყებული, სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი უკრაინელი ძმები ისევ ჩვენს გვერდით დადგნენ სოხუმის და გაგრის მისადგომებთან. მაგრამ არსებობს კიდევ უფრო დიდი საფრთხე — მაღალი ალბათობა უკრაინაში რუსეთის რეგულარული არმია შეიჭრას. ამ მომენტისთვის გვჭირდება მობილიზება, მხოლოდ ქართველი ოფიცრების და სამხედროების მხარდაჭერა არ იქნება საკმარისი, აუცილებელია თავისუფალი საქართველოს თავისუფალი მოქალაქეების მობილიზება, რათა დამატებითი და ძლიერი წინააღმდეგობა გავუწიოთ უკრაინაში პუტინის რუსეთს.

ამიტომაც მოგიწოდებთ, დღესვე დავიწყოთ მობილიზება, თუნდაც სიების შედგენა იმ გულადი ქართველებისა, ვინც რუსეთის შეჭრის შემთხვევაში მზად იქნება დაუყოვნებლივ, მყისიერად თავისუფლების და აფხაზეთის სახელით გაემგზავრონ უკრაინაში და კიდევ უფრო გავაძლიეროთ იქ ჩვენი მყოფი ქართველობა. უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს თავისუფლების მტრის წინააღმდეგ ყველგან და ყოველთვის!» (ნიუპოსტი).

ამ არა მარტო პოპულისტურ, არამედ დანაშაულებრივ და ანტისახელმწიფოებრივ მოწოდებას შესაბამისი ორგანოების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამიტომ ფლიდი **მ. სააკაშვილი** საქართველოს ყოფნა-არყოფნის თამაშით კიდევ უფრო გაერთო და მისი ღირსების შესაფერისი განცხადება გააკეთა: «ბევრი ქართველი ოფიცერი ამ დღეებში იღებს უკრაინის მოქალაქეობას. უკრაინის

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის ქართველი ოფიცრები, რომლებიც გადაწყვეტენ უკრაინის არმიაში მოღვაწეობას, ყველა უკრაინის მოქალაქე გახდება. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თავდაცვის მინისტრს დაუნიშნეს მოადგილე ბურჯანაძის პარტიიდან, მე ვფიქრობ, ბევრ ქართველ ოფიცერს სხვა გამოსავალს არ უტოვებენ, თუ არა წავიდნენ და გააგრძელონ სამსახური მეგობრულ უკრაინაში, რომელიც იბრძვის იმ ომს, რომელიც საქართველოს მტრებთან ომია» (geotimes.ge — 12.12.2014).

ამის შემდეგ კი თავდაცვის სამინისტრომაც გამოაქვეყნა განცხადება: «ექსპრეზიდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ქართველი ოფიცრები მზად არიან დატოვონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და სამსახური გააგრძელონ სხვა ქვეყანაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. შეიარაღებულ ძალებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ქართველმა ოფიცრებმა დატოვეს ქვეყანა და სხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში დაიწყეს სამსახური. ჩვენი ინფორმაციით, უკრაინაში იმყოფება საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც წლების წინ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და ამჟამად შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხებიან. ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენს. ჩვენი ოფიცრები, სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ არ შეწყვეტენ საკუთარი სამშობლოს, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. ისინი იცავდნენ და ყოველთვის დაიცავენ საქართველოს. მაშინ, როდესაც თვალნათლივ გამოხატულია თავდაცვის სამინისტროს უცვლელი კურსი ნატო-სკენ, მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი, მაღალი დონის შეხვედრები, ყოფილი პრეზიდენტი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და საზოგადოება. ყოფილი უმაღლესი მთავარსარდლის მოწოდება არის უპასუხისმგებლო, გაუმართლებელი პროპაგანდა, რომელიც მიმართულია საკუთარი ქვეყნისა და სახელმწიფო ინსტიტუტების წინააღმდეგ» (mod. gov. ge — 08.12.2014).

როგორც ჩანს, სწორედ ეს «უცვლელი კურსია» მიზეზი იმ თავშეკავებისა, რომელმაც თავდაცვის სამინისტოს საშუალება არ მისცა, ექსპრეზიდენტისთვის მორალურთან ერთად სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დაეკისრებინა. რაზეც, სხვათა შორის, ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **კობა ნარჩემაშვილმა:** «უკრაინის მოვლენების ფონზე სააკაშვილის მო-

წოდება ქართველი ოფიცრების მიმართ პროვოკაციული და ავანტიურისტულია. ის ქმნის საფრთხეს, რომ საქართველო რუსეთთან კონფლიქტში ჩაითრიოს. პროცესები შეიძლება ძალიან სწრაფად, მაღალი ინტენსივობით განვითარდეს. ეს განცხადება ძალიან მყიფეს ქმნის საქართველოს უსაფრთხოებას. ამ პროცესების გაღრმავების შემთხვევაში ჩვენ ვდგავართ რუსეთის მხრიდან ღია აგრესიის საფრთხის წინაშე. მას დასაყრდენი საქართველოში არ აქვს. ამიტომ ის ელვისებური ოპერაციით გავა საბჭოთა კავშირის საზღვრებზე იმისათვის, რომ ომის შემთხვევაში ამიერკავკასიის და საბჭოთა კავშირის ტერიტორია არ გადაიქცეს ისეთ ადგილად, სადაც შემოაღწევენ ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები. ამას რუსეთი არ დაუშვებს. საკაშვილის განცხადებები საქართველოს პროკურატურამ უნდა შეაფასოს» (geotimes.ge — 12.12.2014).

რასაკვირველია, პროკურატურისგან ადეკვატური შეფასების მოსმენა სასურველი იყო, მაგრამ სახელმწიფო ორგანომ, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს კანონების ზუსტად შესრულებას, ამჯერადაც თავი შეიკავა. აღსანიშნავია, რომ ეს ორგანო არ რეაგირებს მაშინაც კი, როცა ბრალდებას უშუალოდ მას უყენებენ. მაგალითად, ზემოთ ნახსენები **ს. ცისკარიშვილი** ამბობს: «პროკურატურა როგორც იყო საქართველოს სირცხვილი, ასეთადვე რჩება სამწუხაროდ».[5] ეს არ არის უბრალო, ერთიდან მეორე ყურში გასატარებელი, ბრალდება. მე ჯერ არცერთი ექსპერტისგან არ მომისმენია სიტყვა პროკურატურის დამსახურებაზე, თუნდაც ის, რომ საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყანა აღარ არის, ანუ ნაცების შემდეგ საქართველო საერთაშორისო დანაშაულებრივი სინდიკატის საქმიანობაში არ მონაწილეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი ნარკოტიკების დიდი რაოდენობით ამოღების რამდენიმე შემთხვევის შემდეგ ეჭვს არ იწვევს, ექსპერტთა ბიურო, როგორც ჩანს, არა დამოუკიდებლად, არამედ დირექტივების მიხედვით მუშაობს და რეალობის აღქმის ინტერესიც კი დაკარგული აქვს. ისინი თავიანთ საქმეს მიზანდასახულად ასრულებენ: სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი აგდებული დამოკიდებულება, მით უმეტეს, როცა შეურაცხყოფაზე პასუხის გაცემაც არავის შეუძლია, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის რეიტინგს დაბლა სცემს. ქვეყნის მესაჭეთა სიფხიზლისთვის ისევ გავიმეორებთ: აღვირახსნილმა ცილისმწამებლურმა პროპაგანდამ და ზღვარდაუდებელმა პოპულის-

[5] **გაზ. საქ. რესპ. 05.11.2014.**

ტურმა განცხადებებმა მოიყვანეს ნაცები ქვეყნის სათავეში.

4. სააკაშვილის განცხადების უმტკივნეულოდ ჩავლის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ნაცებს თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად, ანუ საზოგადოებაში დაძაბულობის გასაღვივებლად, რაღაც ახალი საბაბისთვის უნდა მიეგნოთ. ასეთი ხელმოსაკიდი შემთხვევა მათთვის აღმოჩნდა **თავდაცვის სამინისტროს განცხადება,** რომელიც მან უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი მებრძოლის თაობაზე გაავრცელა: «გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ალექსანდრე გრიგოლაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი მოწოდებები არის უპასუხისმგებლო და ემსახურება საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას.

თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აყვეს პროვოკაციას და სხვადასხვა შემოთავაზების სანაცვლოდ არ ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში»[6] (20.12.2014).

განცხადების გავრცელებასთანავე ვიღაც ვირტუალურმა მბრძანებელმა განგაშის ღილაკს თითი დააჭირა და მთელი ნაც-შემადგენლობა, ძველი საბარგო მატარებლის ვაგონებივით, ერთმანეთის მიყოლებით აჭრიალდა: ნ. ჟორჟოლიანი, არ. გამზარდია, ი. ნადირაშვილი, ალ. პეტრიაშვილი, გ. ხაჩიძე, დ. ზურაბიშვილი, ალ. ელისაშვილი, ი. გრიგოლია, გ. თარგამაძე, ნ. ფანჯიკიძე, ხ. ლაგაზიძე, ლ. რამიშვილი, ლ. ჯავახიშვილი, მ. სააკაშვილი, ტუ-ტუუ[7]... შესაძლოა, ვინმე შემედაოს, აქ დასახელებული შემადგენლობის ყველა წევრი ნაცი არ არისო, მაგრამ, ზემოთ მოყვანილი ანალოგიის მიხედვით, რა მნიშვნელობა აქვს ვაგონების ნუმერაციას, თუ ყველა ერთნაირი ბალასტით არის დატვირთული?

ამ «ქვეყნის იმიჯის» დამცველი და საკუთარ ქვეყანაზე «გაგიჟებული» შემადგენლობის ეთიკურ შეფასებაზე დროს ვერ დავხარჯავთ, მაგრამ თუ მათი ნააზრევიდან სალანძღავ და საგინებელ ფრაზებს გამოვხშირავთ, შეგვრჩება სრულიად დაუსაბუთებელი და

[6] **გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.**

[7] **ინფორმაციის წყარო: ambebi.ge.**

განყენებული ტერმინები, რომლითაც ისინი თავდაცვის სამინისტროს განცხადებას აფასებენ: *სამარცხვინო, ამორალური, ანტისახელმწიფოებრივი,* ხოლო ძირი ყველა ამ გამონათქვამისა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სიძულვილით არის საზრდოები.

სხვათა შორის, ამ კონგლომერატში აღმოჩნდა გამძვინვარებული დავით თევზაძეც, თავდაცვის ექსმინისტრი, რომელმაც თავდაცვის სამინისტროს განცხადებაზე ამგვარი რეაგირება მოახდინა: «ამ განცხადებით თქვენ მწუხარება კი არ გამოთქვით, არამედ დაგვანახეთ, რომ თქვენც ისევე დაგვყრით დაუმარხავებს, როგორც თქვენმა კოლეგებმა 2008 წელს დაგვყარეს, იმიტომ, რომ იმავე გვარისა ხართ».[8] — დედაბრულ წყევლას კი ჰგავს ეს გამონათქვამი, მაგრამ ქართველი გენერლისას — არა! მართლაც რომ წარწყმდეს მხედრული სული და მთელი თავდაცვის სამინისტრო სააკიანთ გვარისა აღმოჩნდეს, ამ წერილის შემდეგ, «ვალდებულების» მოსახდელად რომ გამოგიქვეყნებიათ, თქვენ მაინც აღარავინ გამოგყვებათ, ბატონო ექსმინისტრო!

ახლა დავუბრუნდეთ თავდაცვის სამინისტროს განცხადებას და სანამ მას კრიტიკულად შევაფასებდეთ, გარდაცვლილი მეომრის მამის სიტყვა გავიხსენოთ და ჭეშმარიტად ღირსეული ქართველი ჭირისუფლის ნათქვამი შთამომავლობას ჩვენც შემოვუნახოთ:«მე მინდა მადლობა ვუთხრა მთავრობას და საელჩოს, რომ ჩემი შვილის გადმოსვენებაში დამეხმარნენ. უნდა მორჩეს პოლიტიკური სპეკულაციები და ვთხოვ ყველას, თავი დაგვანებონ. არავის დაუძალებია ჩემი შვილისთვის საომრად წასულიყო. რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს, მათ განცხადებაზე კომენტარს არ გავაკეთებ».[9]

გამგები გაიგებს მამის ნათქვამს, მაგრამ ჩვენ მოვალენიც ვართ, პასუხი გავცეთ პოლიტიკურ სპეკულანტებს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში აღნიშნულ «სხვადასხვა შემოთავაზებას» ჯარისკაცის დამცირებად და შეურაცხყოფად განიხილავენ. მაგრამ ერთია — რას ამბობენ ნაცები, ხოლო მეორე — მართლაც რა შინაარსი აქვს განცხადებას. საერთოდ, სექტანტებისთვის დამახასიათებელი მეთოდია — სიტყვის ან ფრაზის ამოგლეჯა კონტექსტიდან და შემდეგ მათთვის სასურველი ინტერპრეტაციის გამოგონება.

სინამდვილეში, თავდაცვის სამინისტროს 8 და 20 დეკემბერს გაკეთებული განცხადებები შინაარსობრივად იდენტურია და ექსპრეზიდენტის მზაკვრული ზრახვების მხილებასა და საზოგადოების

[8] **გაზ. ახალი თაობა, 22.12.2014.**

[9] **გაზ. საქ. რესპ. 23.12.2014.**

გაფრთხილებას ემსახურება. მაგრამ იმ ბრალდების გადასაფარად, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ ქართველი მებრძოლის დაღუპვის გამო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს სრულიად სამართლიანად წაუყენა, დაიდგა ნაცნობი ნაცური სპექტაკლი, რომლის ლიბრეტო ისევ და ისევ «საქართველოს მტერი რუსეთის» სიძულვილზე აიგო. იდეოლოგიურ «შემოთავაზებათა» მთავარი მომწოდებელი კი უცხოეთიდან გზავნის სტატუსებს, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა საქართველოს მოქალაქეობა დატოვონ და უკრაინაში საომრად წავიდნენ.

ისე, ამ ქართველთმოძულე და ლაჩარი ექსპრეზიდენტის მიმდევრებს მინდა ვკითხო, თქვენ რომ ტერორისტებსა და სეპარატისტებს უწოდებთ, პ. პოროშენკოს მარიონეტულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ უკრაინელ მოქალაქეებს ვგულისხმობ, ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ იმათ მხარეს მებრძოლი ქართველი რომ დაიღუპოს, დაკრძალვაზე მიხვალთ? — რასაკვირველია, არა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი, თქვენი გაგებით, მტრის მხარეს იბრძვიან, მეორე მხრივ კი, თქვენ არა მარტო რუსები, არამედ ის ქართველებიც გძულთ, ვინც დასავლურ ზნეობრივ ღირებულებებს, უფრო ზუსტად, გარყვნილების პოლიტიკურ კურსს არ იზიარებს და თქვენს ჰალსტუხთმტკვერელ კერპს არ ეთაყვანება.

თქვენ, რუსთმოძულენი, დაუნდობელნი ხართ ყველა განსხვავებულად მოაზროვნის მიმართ. ვერც კი ხვდებით, რომ სინამდვილეში კაცთმოძულეებად გადაიქეცით. თქვენ თვითონ ხომ ისტორიის არავითარი ცოდნა არა გაქვთ, მაგრამ, საუბედუროდ, აღარც სხვისი მოსმენა შეგიძლიათ. განა სასურველი არ იქნებოდა ქართველთა შორის ურთიერთგაგებასა და შენდობაზე სიტყვის ჩამოგდება? მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის; თქვენ ცოდვებმა ისე გაგაბოროტათ, რომ თავს ვეღარ სჯობნით. რეალობას ვეღარ აღიქვამთ და ვერ ხვდებით, რომ თქვენგან შერისხული ახლანდელი ხელისუფლება არის თქვენივე არსებობის ერთადერთი გარანტი, თორემ თქვენი ბოღმის ნთხევისგან დაგესლილი ხალხი სიკვდილსაც კი მოგანატრებდათ.

ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომელიმე თქვენგანის შეგონებას ვცდილობ, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ; იქნებ ვინმე სიმართლის მაძიებელს გამოადგეს მოვლენათა შეფასების დროს და მერყევი აზრი სიკეთისკენ მიაქციოს. თორემ თქვენთან კამათს რომ არავითარი აზრი არ აქვს, ჩემთვის ეს დღესავით ნათელია. მით უმეტეს, აქამდე არსებული ფაქტების სერიას ზემოაღნიშნული კიდევ ერთი აშკარად მოღალატური მოწოდება მიემატა. ახალაიასა და

სააკაშვილის «შემოთავაზებას» რომ აყოლოდა ქართული მხედრობა, გარდა იმისა, რომ საქართველო უშუალოდ ჩაერთვებოდა რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში, ქვეყანა არა მარტო ფიზიკურად (დიდი ალბათობით), არამედ იურიდიულადაც დაკარგავდა თავის მრავალ მოქალაქეს; ვინაიდან საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეობის შესახებ დადგენილია: «საქართველოს მოქალაქე დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა სხვა ქვეყნის სამხედრო სამსახურში ან პოლიციის ან უშიშროების სამსახურში» (მუხ. 21.1.ა.).

5. წერილი თითქმის დასრულებული გვქონდა, როცა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა **პრესკონფერენცია** (26.12.2014) გამართა და ჩვენ მიერ უკვე განხილულ საკითხებთან ერთად რამდენიმე სხვა საინტერესო კითხვასაც უპასუხა. ამიტომ ვსარგებლობთ შემთხვევით და პრესკონფერენციის დაბეჭდილი ტექსტიდან ამონარიდებს შემოგთავაზებთ.[10] მით უმეტეს, რომ ჩვენ მის პოზიციას აქ წამოჭრილ პრობლემებზე სრულიად ვიზიარებთ.

ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

ჩვენ გახმაურებული საქმეების გამოძიების ძირითადი ნაწილი, პრაქტიკულად, დავასრულეთ. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც დანაშაულებრივი სისტემის არქიტექტორები და შემქმნელები იყვნენ, ან სხედან ციხეში, ან არიან გაქცეულები. რამდენიმე საქმე ძიების პროცესშია და მუშაობა დასრულდება. როგორც დაპირებული იყო, წლის ბოლომდე ძირითადი საქმეები დაიხურებოდა და პრინციპში ასეც არის. **შეიძლება უკვე კრიმინალებად ოფიციალურად მოვიხსენიოთ ეს ადამიანები.**

საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც ყველა ევროპული სახელმწიფო და მთელი მსოფლიო, უკრაინაში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისგან გამიჯნულია. ჩვენი მხარდაჭერა შემოიფარგლება, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების და პოლიტიკური მხარდაჭერის სახით, უკრაინელი ხალხის და უკრაინელი მოსახლეობის მიმართ.

ირაკლი ღარიბაშვილმა „პროვოკაციული“ უწოდა კითხვას, არის თუ არა **ვლადიმერ პუტინი** საქართველოსა და უკრაინის საერთო მტერი. როგორც მან ტელეკომპანია „ტაბულას“ პასუხად განაცხადა, საქართველოს მიმართ მტრულად და მოღალატეობრივად ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოქმედებს, რომელიც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს უკრაინაში მიმდინარე

[10] **გაზ. საქ. რეს. 27.12.2014.**

საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისკენ მოუწოდებს. თქვენს ფავორიტ სააკაშვილს ერთადერთი საზრუნავი აქვს — მოხდეს საქართველოში კონფლიქტი, არეულობა და საქართველო კიდევ ერთხელ შევიდეს შეიარაღებულ დაპირისპირებაში რუსეთთან. აი, ეს არის ჩვენი ქვეყნის და ხალხის მტრობა, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ. მთელი ფილოსოფია იმაში კი არ არის, ვინ უფრო გაბედულად იტყვის, მტერია თუ არა, შეაგინებს თუ არა. საქმე ის არის, რომ უნდა ვიყოთ პასუხისმგებელი ჩვენს თითოეულ განცხადებაზე. მე ვარ მთავრობის მეთაური და უნდა გავაკეთო განცხადება, რომელიც სიკეთის მომტანი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ხალხისათვის და არა ის, რაც ქვეყანას დააზიანებს. ამ განცხადებით გინდათ გასიამოვნოთ თქვენ და ნაციონალური მოძრაობის 20-კაციანი სექტა. მე ამას არ დავუშვებ, რადგან პასუხისმგებლობა მაქვს ხალხის და ქვეყნის წინაშე.

რაც შეეხება უკრაინასთან დაკავშირებით გაკეთებულ პროვოკაციულ განცხადებებს, რომ ყოფილი პრეზიდენტი, ბრალდებული მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები მოუწოდებდნენ ქართველ ჯარისკაცებს, მიდიოდა პირადი მოლაპარაკებები, რომ დათმონ მათ საქართველოს მოქალაქეობა, დათმონ საქართველოს შეიარაღებული ძალები და წავიდნენ უკრაინაში, რადგან იქ მაღალი ანაზღაურება ექნებათ, ეს არის პირდაპირი ღალატი და მოწოდება ღალატისაკენ. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, ეს მართლაც იყო. თავდაცვის სამინისტროს განცხადება თქვენ ყველას ძალიან გაგიკვირდათ და მე ვთქვი, რომ ის განცხადება სამინიტროს არ უნდა გაეკეთებინა, მაგრამ პოლიტიკოსი თუ გააკეთებდა განცხადებას, იქ არაფერი უჩვეულო არ ეწერა.

პრემიერის განმარტებით, **ტელევიზიების უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში დეზინფორმაციას ავრცელებს**. მოსახლეობას აქვს განცდა, რომ რაღაც არ კეთდება. ეს ფსიქოლოგიური მომენტია, რადგან როცა ადამიანს ერთსა და იმავეს უმეორებ 24 საათის განმავლობაში, როგორც მინიმუმ მას ეჭვი აღეძვრება და ეჭვის თვალით შეხედავს ყველაფერს. ჩვენ ტელევიზიებს რეალურად უნდა დავარქვათ სააკაშვილი, უმრავლესობა ხშირ შემთხვევაში სიცრუის ტირაჟირებას ახდენს.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, ტელევიზიებში დღეს მიზანმიმართული ქაოსი, სიცრუის ტირაჟირება და მოსახლეობის დაძაბვა ხდება. ნაციონალური მოძრაობა — ეს არის დესტრუქციული ძალა, რომელიც ჩამოყალიბდა სექტად და მათი თითოეული ქმედება

მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს არეულობის ფონის შექმნა საქართველოში. ამისთვის მათ აქვთ ისეთი მძლავრი იარაღი, როგორიცაა ტელევიზია.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩვენ შევისწავლეთ ყველა ის განაცხადი, რომელიც ოფიციალურად შევიდა პროკურატურაში და რომელიც უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას, ბიზნესებს, ასევე იმ რეპრესირებულ ადამიანებს უკავშირდებოდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ უკანონოდ იხდიდნენ სასჯელს ციხეებში, რომ იყვნენ წამების, არაადამიანური მოპყრობის, გაუპატიურების მსხვერპლნი. პროკურატურამ დაასრულა ყველა ამ განაცხადის შესწავლა. მაქსიმუმ თებერვლამდე ჩვენ საზოგადოებას წარვუდგენთ კონკრეტულ გეგმას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება და დასრულება, როგორ მოხდება კომპენსირება.

ხშირად მე არაპოპულარულ განცხადებებს ვაკეთებ, მაგრამ ვალდებული ვარ, დავაფიქსირო სიმართლე. **საყდრისში** 3 ათასი ოჯახი მუშაობს, ამიტომ პოლიტიკოსებმა უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა გავაკეთოთ განცხადებები, უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს. მხოლოდ პოპულიზმზე არ უნდა იყოს გათვლილი ესა თუ ის განცხადება. 3 ათასი ოჯახი სასოწარკვეთილების პირასაა. ძალიან მარტივია განცხადებების გაკეთება, საქმის კეთებაა რთული. ჩვენ უნდა შევაფასოთ, რომელი სიკეთეა უფრო მნიშვნელოვანი. თუ გინდათ, შევინარჩუნოთ არქეოლოგიური ობიექტი — დავაკონსერვოთ და 3 ათასი ოჯახი გავუშვათ სახლებში, მაგრამ მე ამის პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ და არ ავიღებ. მე ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ამ 3 ათას ოჯახს დავიცავ და დიახ, შევუქმნით პირობებს, რომ კომპანიამ და ამ ოჯახებმა იქ გააგრძელოს მუშაობა.

მთავრობის მეთაურის მტკიცებით, **საყდრისთან დაკავშირებით დაწყებული კამპანიის თანაორგანიზატორი ნაციონალური მოძრაობაა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის მზაობა არსებობს.* მისი თქმით, ამ შეხვედრას სჭირდება ძალიან კარგი დაგეგმვა და მომზადება. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ შეხვედრა შეხვედრისთვის არ უნდა შედგეს.

*** ვ. პუტინმა 2014 წლის 18 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე თ. გოცირიძის დასმული შეკითხვის შემდეგ პირდაპირ განაცხადა: «Если грузинское руководство сочтёт возможным, мы будем рады любого представителя грузинского руководства — и Президента, и Премьера — видеть в Москве» (რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური საიტი).**

ჯერ ნაადრევია საუბარი იმაზე, როდის და რა ფორმატით შედგება შეხვედრა. ჩვენ მზაობა გვაქვს, ვფიქრობ, უნდა შედგეს ასეთი შეხვედრა, მაგრამ ამას სჭირდება ძალიან კარგი მომზადება, რომ იყოს შედეგიანი".

„პოლიტიკა არის პოლიტიკოსების საქმე. ჩვენ გვაქვს ყველაზე მთავარი პრობლემა რუსეთის ხელისუფლებასთან ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. რუსეთის ხალხთან, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ კარგი, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდეს. პოლიტიკა არ უნდა აისახოს ხალხებს შორის ურთიერთობებზე. მე მხოლოდ მივესალმები რუსი ტურისტების ჩამოსვლას საქართველოში. ისტორიულად, ჩვენ ხალხებს შორის პრობლემა არ გვქონია, პირიქით, გვაქვს მეგობრული ურთიერთობა", — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა და დასძინა, რომ ჩვენთვის რუსი ტურისტები, ისევე როგორც ყველა ტურისტი, ძვირფასები არიან.

6. წინამდებარე მიმოხილვაში ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის **საშობაო მილოცვას** ექსპრეზიდენტისადმი, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ გაზეთში ტექსტი არასრულად და არაზუსტად დაიბეჭდა: «ბატონო მიხეილ, მიიღეთ ჩვენი მილოცვა შობა-ახალწლის ზეიმთან დაკავშირებით; დღესასწაულთან, რომელიც სიხარულით აღავსებს ყოველი ადამიანის გულს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მრავალჟამიერ სიცოცხლეს და ღვთისსათნო საქმეთა აღსრულებით მონიჭებულ ბედნიერებას».

ეტყობა, პატრიარქისადმი წამხედურობამ გადაადგმევინა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს თამამი ნაბიჯი და ყოფილ პრეზიდენტს საახალწლოდ წარმატებები უსურვა. თუ სულიერ წინამძღოლს იმედი აქვს «უძღები შვილის დაბრუნებისა», დ. უსუფაშვილმა ნამდვილად უნდა იცოდეს მ. სააკაშვილის სანუკვარი და დაუფარავი ოცნების შესახებ — დაბრუნდეს საქართველოში, რათა «დასაჯოს ყველა, ვინც მისი ქვეყნის წინააღმდეგია». — ამ სიტყვის თქმას როგორ ბედავს ქვეყნის დამაქცევარი, ჩვენ ამაზე ამჯერად არაფერს ვიტყვით, მაგრამ ბოლოს მოხმობილი ციტატიდან თუ ზედმეტ სიტყვას — ქვეყნის — ამოვიღებთ, უფრო ადვილად დავინახავთ, რომ მ. სააკაშვილს ქართველთა სისხლი ისევ სწყურია და ამ წყურვილის მოსაკლავად იგი არაფერზე უკან არ დაიხევს. განა სპიკერმა ეს არ იცის? ან იქნებ ქრისტიანული სულგრძელობის გამომხატველია მისი საახალწლო მისალოცი? — ეგზეგეტიკურ

წიაღსვლებს მოვერიდებით, მაგრამ მოკლედ შევნიშნავთ: ერთია — სიყვარული მტრისა, და მეორე — არა წარმატების სურვება, არამედ საკადრისის მიგება ქვეყნის მაოხრებელისთვის.

7. საკადრისის მიგება კი, ახალი ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას,უკვე დაწყებულია. მ. სააკაშვილის წინააღმდეგ პროკურატურამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო სახსრების დატაცებისა და სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბების ბრალდებით. გარდა იმისა, რომ მასზე ქვეყნის შიგნით გამოცხადებულია ძებნა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ინტერპოლში გაგზავნა ყველა აუცილებელი დოკუმენტი ექსპრეზიდენტის «წითელ ცირკულარში» შესაყვანად, რომლითაც ყველაზე სახიფათო დამნაშავეებზე საერთაშორისო ძებნა ცხადდება.

მართალია, საზოგადოება სამართლიანობის აღდგენას ჩქარობს და მთავრობისგანაც იმავეს მოითხოვს, მაგრამ ანგარიშის გაწევა უთუოდ გვმართებს, რადგან ახლანდელ ხელისუფლებას ძველის გასასამართლებლად არა მარტო უამრავი ფაქტის გამოწვლილვა, არამედ ცალკე საერთაშორისო ასპარეზზე სიმართლის გასატანად დიდი ძალისხმევა სჭირდება. ზემოთ მოხსენიებულ ფაქტებს ისიც მივუმატოთ, რომ საქართველოში კრიმინალურ სისტემად გამოცხადებული «ნაციონალური მოძრაობის» წევრები (ალ. კვიტაშვილი, ე. ზღულაძე) პ. პოროშენკომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად და თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნა. ფაქტია, რომ აშშ თავისი პოლიტიკური კადრის შერჩევისას სხვა ხალხთა ინტერესებს, იქნება ეს ქართველების თუ უკრაინელებისა, არავითარ ანგარიშს არ უწევს. ამიტომ, შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამომდინარე, «უცვლელი კურსი» ქვეყანას ტაძრამდე ვერ მიიყვანს.

დასავლეთის წინააღმდეგ იმდენი მორალური და პოლიტიკური სამხილი დაგროვდა, რომ მისი რეაბილიტირება პრინციპულად უკვე შეუძლებელია. გამოსავალი, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოინახოს. თუ ხელისუფლებას ძალუძს რეალობისთვის თვალის გასწორება, მაშინ, ჩვენი აზრით, ყურადსაღებია პოლიტოლოგ **გულბაათ რცხილაძის** მოწოდება და ქვეყანაში წარმოქმნილი ვითარების ადეკვატური ანალიზი: «პრემიერ-მინისტრმა მძლავრად უნდა დაჰკრას ხელი ნაცურ ქვეწარმავალს და ხერხემალში გადატეხოს იგი. დღეს ხალხი დიდი ენთუზიაზმითაა მოცული და გაჰყვება პრემიერ-მინიტრს, თუკი იგი აღიარებს, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური კრიზისი და ამ კრიზისის გადასაწყვეტად აუცილებელია

რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება და პოლიტიკური სისტემის ძირეული ცვლა. დღეს ღარიბაშვილის პოპულარობა ეჭვს არ იწვევს. ხვალ და ზეგ, შეიძლება, გვიანი აღმოჩნდეს!»[11] — გვიანი აღმოჩნდება, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ საქართველოს «უცვლელი კურსი» საბოლოოდ ჩვენი ტრადიციის, ზნეობისა და ეკლესიის ამოძირკვისკენ არის მიმართული, ხოლო, მეორე მხრივ, თუ ძალიან გავჯიუტდით და ჩვენი ექსპერტების ჭკუაზე ვიარეთ, დღევანდელი ეფემერული მშვიდობაც კი სანატრელი გაგვიხდება. რუსეთი მოსაზღვრე ტერიტორიებს ნატოს არ დაუთმობს და ყულფს თავზე არ ჩამოიცვამს![12]



[11] გაზ. საქ. რესპ. 26.11.2014.

[12] სტატიის აკკარგიანობაზე მოსაზრებათა გაზიარებისთვის მადლობას მოვახსენებთ ბ-ნ ავთანდილ წულაძეს.



ბორის დარჩია

მეცნიერება და პატიოსნება

ნაწილი I

2014 წელს ბატონმა **როსტომ ჩხეიძემ** გამოსცა ვეებერთელა წიგნი „საგა ვახტანგური, ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა“. ეს არის ჩინებული მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის **ვახტანგ ჭელიძის** ქებათა ქება. ცნობილია, რომ ბატონი ვახტანგი და ბატონი როსტომის მამა, გამოჩენილი და დიდად თავისებური სტილის მწერალი **ოთარ ჩხეიძე** განუყრელი მეგობრები იყვნენ. ბატონი როსტომი ბავშვობიდანვე თვალს ადევნებდა ამ ახლობელი კაცის მოღვაწეობას. როგორც ჩანს, მისადმი სიყვარული იქიდანვე ჩაესახა და შემდეგ და შემდეგ უფრო და უფრო გაუღვივდა. ბატონი ვახტანგი იმდენად დიდი მოღვაწეა, საზოგადოებისათვის მისი ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობა უაღრესად საჭირო და მისასალმებელია. ის სიყვარულიც, რომელიც ამ წიგნის ყველა გვერდზე გამოსჭვივის, გასაგებია და მოსაწონი. მეც დიდი კმაყოფილებით შევხვდი ამ წიგნსა და მასზე გამოქვეყნებულ **ბონდო არველაძის** აღფრთოვანებულ რეცენზიას (გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, 2014, აგვისტო, გვ. 10, 12).

მაგრამ, სამწუხაროდ, აქვე ბატონი როსტომი უაღრესად უსამართლოდ ამცირებს და აბუჩად იგდებს ჩვენს გამოჩენილ და ამაგდარ მეცნიერებს — **ალექსანდრე ბარამიძესა** და **გივი მიქაძეს**. მოვუსმინოთ მას:

„და ვახტანგს ალექსანდრე ბარამიძისადმი გულში ჩადებული წყენა რომ გაახსენდებოდა, ნოდარ დუმბაძეს მიანდობდა პამფლეტის დაწერას, შესაფერისი მასალის ამოკრებას კი რა უნდოდა ამ აღიარებული და დაფასებული მეცნიერის ნაშრომებიდან და წიგნებიდან — ყოველ ნაბიჯზე დიდრონი «მარგალიტები» შემოგეფეთებოდა. და ნოდარი ვეღარც აუდიოდა მათ ამოწერას, მკაცრად

განსაზღვრული საჟურნალო ფართობი რომ არა.

და შეითხზებოდა მეტად სალაღობო და სახალისო პამფლეტი — «მომენტალური მელანქოლია» ანუ «ჩვენ ვჩქარობთ...» — «ნიანგის» 1955 წლის მე-16 ნომერში რომ იხილავდა მზის სინათლეს ***ავერიონ მაცაბერიძის*** *ფსევდონიმით. თხზულება პარალელური მონაცვლეობის პრინციპზე აგებულიყო, ალექსანდრე ბარამიძის დაკვირვება-შეხედულებებს რუსთველის, გურამიშვილისა და ბესიკის შემოქმედების ირგვლივ ფონად რომ გამოჰყვებოდა... «ხეხილისა და დეკორატიულ მცენარეთა კატალოგი», რაც კიდევ უფრო გაამკვეთრებდა პამფლეტის ირონიულ, მეტიც, სარკასტულ პათოსს.*

პუბლიკაცია ერთბაშად გახმაურდებოდა და ალექსანდრე ბარამიძეს მეხივით დაატყდებოდა თავს... და მიხვდებოდა, გაყუჩება მირჩევნია, თორემ ვაითუ უარესიც მოჰყვესო.

ვახტანგ ჭელიძე შეეცდებოდა, დაეფარა ნოდარი მოსალოდნელი შურისძიებისაგან. – ამკარად თუ თავს აარიდებდნენ სამაგიეროს გადახდას, ფარულად უსათუოდ რაღაცას მოსწევდნენ. და რაკიღა გაითვალისწინებდა, რომ ფსევდონიმის გაშიფვრის მოწადინენი აუცილებლად გამოჩხრეკდნენ და ჩაიხედავდნენ საჰონორარო უწყისში, იქ ჰონორარს ნოდარისა კი არა, თავის სახელზე გამოწერდა, – თვითონ აიღებდა ფულს და იმას გადასცემდა. ასე რომ, კვალს მარჯვედ წაშლიდა.

ალექსანდრე ბარამიძე კი ვერ მიაგნებდა პამფლეტის ნამდვილ ავტორს, მაგრამ «ავერიონ მაცაბერიძე» მოულოდნელად ერთ გამოცემაში ამოჰყოფდა თავს. გივი მიქაძე დაინტერესებულიყო ფსევდონიმების ახსნა-გაშიფვრით და «ნიანგის» იმ პუბლიკაციის ავტორის დასადგენად მოიძევდა საჰონორარო უწყისს, თავის ძიებებში კი თავის მიკვლევას ასე აღბეჭდავდა:

ავერიონ მაცაბერიძე - ვახტანგ ჭელიძე.

ხალისობდა ვახტანგი: ვინ იცის, სხვა ფსევდონიმებიც ასეა გახსნილიო" (გვ. 362-363).

ვნახოთ ეს „პამფლეტი", რომელიც წარმოდგენილია რუბრიკით „ნუ დავანაგვიანებთ ენას":

„მომენტალური მელანქოლია" ანუ „ჩვენ ვჩქარობთ"...

შებინდებული იყო, როდესაც შიო შინჯიკაშვილმა გადაშალა ალ. ბუჩუკურისა და ერ. ნაჭყებიას წიგნი - „ხეხილისა და დეკორატიულ

მცენარეთა კატალოგი" (1954 წ. თბილისი) და კითხვა დაიწყო.

ერთხანს შიოს ხელს უშლიდა აივანზე განმარტოებით მჯდარი შვილიშვილის ხმამაღალი კითხვა. იგი უმაღლეს სასწავლებელში შესვლას აპირებდა და საგნებს იმეორებდა. შიო თანდათან ისე გააოცა წიგნის შინაარსმა, რომ შვილიშვილის ხმამაღალი კითხვა აღარც კი ესმოდა.

გაოცება პირველი:. „სანერგე მეურნეობის ძირითად ამოცანას შეადგენს: 1. დაიცვას ა ს ა ზ რ დ ე ლ ი ნერგების ჯ უ რ ო ბ რ ი ვ ი და ჯიშობრივი შემადგენლობის სიწმინდე".

— ეს რა ჯურის სიტყვაა, — აღმოხდა შიოს.

— მე მითხარი რამე, პაპა? — გადმოსძახა აივნიდან შვილიშვილმა.

შიოს შვილიშვილის სიტყვები არ გაუგონია.

გაოცება მეორე: „კაკალი — ნიადაგის მიმართ არ აყენებს განსაკუთრებულ მოთხოვნილებას"...

— ნეტა მაჟალოც ეგრეა?

— მე მეკითხები, პაპა?

შიოს კვლავ არ გაუგონია.

გაოცება მრავალი: „მოკრეფის შემდეგ რამდენიმე დღეში მოხმარებითი სიმწიფე ეძლევა"... „ნაყოფის რბილობი საკმაოდ წვნიანია"... „გადამწიფებისას ქაშდება"... „ადრე შედის მსხმოიარობაში"... „ხე ძლიერი პირამიდული ზრდისაა"... „შუშხუნა გემოსია"... „მუქი წითელი ხაზობრივი შეფერვით, მოკლე ხავერდოვანი შებუსვით. რბილობი თეთრი აქვს, კურკასთან წითლად შეფერილი"...

— პაპა, ცოტათი ჩუმად იკითხე, ხელს მიშლი.

„მართალს მეუბნება, სირცხვილია, ვინმემ არ გაიგონოს" — გაიგონა შიომ და წიგნი გადასდო.

ახლა უკვე გარკვევით ისმოდა, თუ რას იზუთხავდა შიოს შვილიშვილი:

„ამ პირობებში მოცემულია ბესიკის მხატვრული შემოქმედების იდეური დიაპაზონი. არისტოკრატიული უდარდელობისა და ნაყროვან-ხორციელი (ჰედონური) სიყვარულის აპოლოგეტიკა ბესიკის პოეზიის ძირეულ-შინაარსობრივი ხაზია. «ვარდბულბულიანურ» სიმბოლიკას ვნებაატეხილი კაცის მომენტალური მელანქოლია ნისლავს ხოლმე დროგამოშვებით, თორემ სიახლესა და სიამეს კარგად ჩვეულია სიყვარულისა და სიმშვენიერის მეხოტბე, მაგრამ ჩვენ ვჩქარობთ..."

— ჰოდა, ნუ ჩქარობ. ხომ ხედავ, სიჩქარით რა აბდაუბდა გამოგდის.

— მე კი არ ვჩქარობ, პაპა, ამას პროფესორი ალ. ბარამიძე წერს.

— პროფესორიო? გააგრძელე, გააგრძელე.

„მაღალი პოეტური სიტყვის სინოყივრე და მხატვრული მზერის მსუყე ყამირი“...

— კი მაგრამ სადაა, შვილო, მხატვრული მზერის ეს მსუყე ყამირი?

— აქაა, პაპა, ამ წიგნში.

— ნუ გამაგიჟებ, ქალო! და შიოს წუთით დაავიწყდა, რომ „ხეხილისა და დეკორატიულ მცენარეთა კატალოგის“ ავტორებზე ალ. ბუჩუკურზე და ერ. ნაჭყებიაზე იყო გაბრაზებული.

„აქ ბატონობს მხოლოდ ვნებააშლილი წყურვა ხორცისა, თავდავიწყებული გზნება «წელთა ციალისა», ექსტაზი ბაგეების, მსუნაგი ტრფობა ფართო მკერდების და ეროტიკულ-ისტერიკული ბოდვა, თუ მელანქოლიური ურვა ჟინმოკლული კაცისა «სევდის ბაღიდან»“...

ბაღის ხსენებაზე შიოს კვლავ მოაგონდა „ხეხილისა და დეკორატიულ მცენარეთა კატალოგი“.

— გეყოფა, შვილო, ბაღზე ისევ ჩემს წიგნში წავიკითხავ, ზოგიერთი სიტყვა მაინც მესმის. გასამეორებელი სხვა რამე არა გაქვს?

— კი, პაპა, გურამიშვილი.

— ჰოდა გურამიშვილზე წაიკითხე.

ქეთინომ დაიწყო:

„რომანტიული ილუზიები, სამშობლოს სამსახური, ზნეობრივი იდეალები ნაფლეთებად იქცა გამოწვდილი მსუქანი და გემრიელი ლუკმის წინაშე. ამისათვის ტყუილად იკატუნებს თავს პოეტი გურამიშვილი... გურამიშვილი თავს მორცხვად «იძვრენს»“...

— ნუ მეხუმრები, შვილო, ასეთ რამეზე არ ხუმრობენ.

— არ ვხუმრობ, პაპა. მართლა ასე უწერია ბარამიძეს..

— მერე სად იშოვე, შვილო, ეს წიგნები?

— გუშინწინ თბილისიდან ჩამოვიტანე, პაპა, ბუკინისტურ მაღაზიაში ვიყიდე.

ქეთინომ განაგრძო:

„აღშფოთებულ გრძნობას შეუპყრია ჩვენი პოეტი. გაბოროტებული ცოფიანივით თავს ესხმის ვიღაც «მეშურნეს»“.

— ჰაი დედასა, ცოფიანივით კი არა, კბილით დასაგლეჯია, ამას რომ კაცი დაგაბრალებს.

„პოეტის კონცეფციით დედაკაცის უმაღლესი მოწოდებაა, ვუ-

ლგარულად რომ ვთქვათ, «დედლური სამსახური», წვრილშვილების დაჩეკა და აღზრდა“.

— ჰმ, აღზრდა...

„ასე გვესახება ჩვენ დავით გურამიშვილის შორეული პოეტური პროფილი“...

— ასე გვესახება?.. ჰაი, დედასა!..

— იქნებ ჩვენ ვცდებით, პაპა. აი, მაგალითად, რუსთაველის ფატმანი ჩვენ სხვაგვარად წარმოგვედგინა, ასე არ ყოფილა თურმე. დაუგდე ყური, რას ამბობს ბარამიძე:

„უმართებულო იქნებოდა ფატმანისათვის გვეწოდებინა ზნეწამხდარი პროსტიტუტკა. ფატმანი მიჯნურობის გარკვეული ფორმის მიმდევარია “...

ვაითუ მაგ სიტყვების ავტორსაც ჰყავს მიმდევრები, — გაიფიქრა შიომ.

— შეიძლება მართალი იყოს პროფესორი. რადგან მაშინ, — მის სიტყვებს ვკითხულობ: „ჩანს, სწორედ მიჯნურობად საღდებოდა გრძნობის ყოველი ქავილი“.

— გოგო, შენ ზურგი ხომ არ გექავება, ეგ წიგნი დახურე, თორემ...

— დაიცა, პაპა, აგერ გაზეთში ბარამიძის წერილია გურამიშვილზე, ბარემ ესეც წავიკითხოთ, სულ ახალი მასალაა.

შიო წამოდგა, გარეთ გაპარვა დააპირა, მაგრამ პირველ სიტყვებს რომ მოჰკრა ყური, გაქვავდა:

„ლეკებს არ აწყობდათ გურამიშვილის თავისთან მონად დატოვება“.

— რომელ ენაზე კითხულობ, გოგო!

— ნუ გეშინია, პაპა, მგონი ჩვენებურია.

„აქედან აშკარად ჩანს, რომ პოეტის პირველი გაპარვა არამც და არამც არ მომხდარა დაღესტანში ჩასვლისთანავე“.

შიომ მეორედ დააპირა გაპარვა, მაგრამ „არამც და არამც არ მომხდარა“ ქეთინოს წყალობით.

— პაპა, დაუგდე ყური: „ტანსაცმელი შემოაგჯა და ფეხშიშველიც გახდა“.

— ქეთინო, გეუბნები გაჩუმდი, თორემ ფეხშიშველიც ვერ გამასწრებ აქედან.

ქეთინო გასაქცევად მოემზადა, მაგრამ ვერ მოითმინა და ერთი წინადადება კიდევ წაიკითხა:

„დიდი შთაგონებით დახატა გურამიშვილმა ვახტანგის უაღრ-

ესობამდის კოლორიტული სახე“.

— ეჰ, წავალ, შვილო, ისევ ჩემს ბაღს მივხედავ. მაგ საქმეს მე ვერ გამოვასწორებ და თავს ტყუილუბრალოდ ვიწუხებ.

თქვა შიომ და თავის ბაღს მიაშურა. წამოწვა ჩეროში და დაქანცულს უცებ ჩაეძინა. ეძინა შიოს და ესიზმრებოდა სევდის ბაღი, სადაც „**კაკალი ნიადაგის მიმართ არ აყენებდა განსაკუთრებულ მოთხოვნილებას**“. ბაღში შემოვიდა ბესიკი, მივიდა ხესთან, რომელიც **„ძლიერი პირამიდული ზრდის იყო**“. მოწყვიტა „**მსხმოიარობაში ადრე შესული**“ ნაყოფი, რომელიც „**გადამწიფებისას ქაშდება**“, მოუძებნა „**საკმაოდ წვნიანი რბილობი**“ და ხმამაღლა თქვა - „**შუშხუნა გემოსია**“. შემდეგ მადლობა გადაუხადა შიოს და უხმოდ გავიდა ბაღიდან. ბაღში გურამიშვილი შემოვიდა. მას ხელთ ეპყრა „**შთაგონებით დახატული ვახტანგის უაღრესობამდის კოლორიტული სახე**“. მივიდა შიოსთან, ხელი გაუწოდა, „**თავი მოიკატუნა**“, „**მსუქანი და გემრიელი ლუკმა სთხოვა**“. სამაგიეროდ „**რომანტიკული ილუზიების, სამშობლოს სამსახურის და ზნეობრივი იდეალების ნაფლეთებად ქცევას**“ დაპირდა. გულკეთილი კაცია შიო, მაგრამ ასეთი რამ მაინც „**არ აწყობდა**“ და ამიტომ უარი უთხრა სახელოვან პოეტს. მაშინ პოეტს „**გრძნობის ქავილმა**“ მოუარა, „**ცოფიანივით დაესხა თავს**“ შიოს. „**ტანსაცმელი შემოეგჯა და ფეხშიშველიც გახდა**“ და ბაღიდან გაიპარა. „**მისი გაპარვა არამც და არამც არ მომხდარა**“, გაიფიქრა შიომ და ხმამაღლა დაიძახა: დავით, დავით! დავითი კი იქვე იყო, სადაც **„ბოღმა აღრჩობდა შემოქმედებითი საქმიანობის მწვერვალს**“.

ბაბუის ხმაზე ქეთინოს გამოეღვიძა. მასაც ჩასძინებოდა აივანზე. სიზმრად უნივერსიტეტს ხედავდა, გამოცდა ჰქონდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. გამომცდელი ბარამიძე იყო, ქეთინოს სწორედ გურამიშვილის შემოქმედებას ეკითხებოდა...

გვინდოდა გვეამბნა, რომ ქეთინო გამომცდელს მისივე წიგნიდან ამოღებულ გურამიშვილის დამამცირებელ სტრიქონებს უყვებოდა. და რომ პროფესორი ალექსანდრე ბარამიძე ღიმილად დნებოდა, მაგრამ „**ჩვენ ვჩქარობთ**“... (№ 16., 1955, გვ. 4-5).

***

ბატონი როსტომი ისე მსჯელობს, თითქოს ალექსანდრე ბარამიძეზე მამხილებელი მასალა „ნიანგში“ რამდენიმეჯერ დაბეჭდილიყოს. „*ალექსანდრე ბარამიძისადმი გულში ჩადებული*

წყენა რომ გ ა ა ხ ს ე ნ დ ე ბ ო დ ა, ნოდარ დუმბაძეს მ ი ა ნ დ ო ბ დ ა პამფლეტის დაწერას“-ო, სინამდვილეში, ისე მახსოვს, მხოლოდ და მხოლოდ ეს ერთი პამფლეტი გამოქვეყნდა.

ეს პამფლეტი რომ დაიბეჭდა, უნივერსიტეტში მეორე კურსზე ვიყავი და სტუდენტებმა ის და „ნიანგში“ სხვაც, — კორნელი კეკელიძესა და ტრიფონ რუხაძეზე — გამოქვეყნებული ფელეტონები წავიკითხეთ. ალ ბარამიძეს მანამდე იმდენი მეხთატეხა ჰქონდა გადატანილი, არ ვიცი, ამ „მეხს“ როგორ შეხვდა. მაშინ ის და ტრიფონ რუხაძე გვასწავლიდნენ და ლექციებზე რომელიმესთვის პირადად მე რაიმე — სევდა, მოწყენილობა, უხასიათობა — არ შემინიშნავს. მაშინ ჩვენ **ეკატერინე (კატუშა) კეკელიძისაგან** ვიცოდით: კ. კეკელიძემ და ალ. ბარამიძემ ვახტანგ ჭელიძე ასპირანტურაში არ დატოვეს და ძველი ქართული მწერლობის კათედრის წევრებს სამაგიეროს ამით უხდისო.

საინტერესოა, რომ, ვახტანგ ჭელიძე როგორც კი „ნიანგის“ რედაქტორი გახდა, ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის წევრებს ცეცხლი უმალვე გაუხსნა. რედაქტორია 1955 წლის მე-9 ნომრიდან. ორი ნომრის შემდეგ, მე-12 ნომერში, ბეჭდავს: „*დოცენტ ტრიფონ რუხაძის ლექსიკონი*“ (გვ. 7). სამი ნომრის შემდეგ, მე-16 ნომერში, უკვე ალექსანდრე ბარამიძეს მიადგა.

არ მახსოვს, ამ ფელეტონს სხვებისაგან რამე გამოხმაურება მოჰყოლოდეს. აქედან რომ ვუყურებ, ასე მესახება: ვინც ალ. ბარამიძეს არ იცნობდა, მისთვის ეს პამფლეტი საყურადღებო არ უნდა ყოფილიყო, ხოლო, ვინც ჯეროვნად იცნობდა, მისთვის დამაჯერებელი ვერ იქნებოდა. ერთი სიტყვით, ვფიქრობ, ამ შეტევამ თქმულების იმ ქარავანივით ჩაიარა, ძაღლი რომ უყეფს. პამფლეტში მასალები იმდენად ტენდენციურად და ბოღმითაა შერჩეული, ზედ ეტყობა (რასაც ახლა კიდევაც ადასტურებენ), ისინი ბატონი ვახტანგის შერჩეულ-შეგროვებულია, ხოლო იმდენად მწერლური ოსტატობითაა შესრულებული, უეჭველია, იგი მართლაც ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის. ამას გვიჩვენებს გამოგონილი კომპოზიციური ქარგა, კერძოდ, შემაჯამებელ ნაწილში (სიზმრის ეპიზოდში) მარჯვედაა გამეორებული ნაკლოვანი ფრაზები და წინადადებები, როგორც ბატონი როსტომიც შენიშნავს, ალ. ბარამიძის ტექსტი ალ. ბუჩუკურისა და ერ. ნაჭყებიას წიგნთან ისეა დაკავშირებულ-შეერთებული, ჩვეულებრივ მკითხველს მათი ენობრივი ცოდვები ალექსანდრე ბარამიძისად მოეჩვენება.

როცა ალექსანდრე ბარამიძეს ებრძოდნენ, ყოველთვის ასე იქცეოდნენ — იმოწმებდნენ მის ადრინდელ, ახალგაზრდობისას დაწერილ, ნაშრომებს, თავიანთ საკბილოს იქ ეძებდნენ და პოულობდნენ. იმას კი არაფრად დაგიდევდნენ, რომ მის შემდგომ გამოცემებში ნაკლი გამოსწორებულია. აქაც იგივე ვითარებაა. ბესიკის შესახები ციტატები ამოღებულია ბესიკის „*თხზულებათა სრული კრებულიდან*“, რომელიც ალექსანდრე ბარამიძისა და ვარლამ თოფურიას რედაქციით 1932 წელს გამოიცა. ნაშრომს წინ ერთვის ბატონი ალექსანდრეს გამოკვლევა: „*ბესარიონ გაბაშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ნარკვევი)*“ აი, აქედანაა აღებული პამფლეტში დამოწმებული ორივე ციტატა. პირველი („*ამ პირობებში მოცემულია...*“) იკითხება 042 გვერდზე, ხოლო მეორე („*აქ ბატონობს...*“) — 057 გვერდზე. ამ ნარკვევის წერა ბატონ ალექსანდრეს, როგორც თვითონ ათარიღებს, 1931 წლის აგვისტოში დაუმთავრებია, როცა 29 წლისა ბრძანდებოდა.

ასევეა დავით გურამიშვილის მიმართაც. ციტატი — „*პოეტის კონცეფციით, დედაკაცის უმაღლესი მოწოდება...*“ — დასტურდება ალ. ბარამიძის ნარკვევში „*დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი)*“, რომელიც წინ უძღვის ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით 1931 წელს გამოცემულ დავით გურამიშვილის „*თხზულებათა სრულ კრებულს*“ — გვ. DLXVIII. ამ ნარკვევს ავტორი ათარიღებს 1930 წლის 28 მარტით, რდესაც 28 წელი წინა დღეს შეუსრულდა.

მაგრამ 1940 წელს გამოდის ალ. ბარამიძის წიგნი: „*ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*“ (მეორე ტომი), სადაც ავტორმა გადამუშავებული სახით შეიტანა ორივე მწერლის შესახებ დაწერილი ნარკვევები, მაგრამ აქ აღნიშნული არც ერთი ციტატა აღარ ჭაჭანებს. ასევეა ამ ნარკვევების შემდგომ პუბლიკაციებშიც.

სამწუხაროდ, ახლა მე, ავადმყოფი (ინსულტგადატანილი), გარეთ ვერ გავდივარ და სხვებს ყველაფერზე ვერ ვაწუხებ. ამიტომ იმის გარკვევას, თუ საიდანაა დანარჩენი ციტატები, ვერ გამოვედევნები. თუმცა ეს არცაა საჭირო, როგორც ვთქვით, არც ერთი მათგანი შემდგომ გამოცემებში არ იკითხება. ხოლო, ვინც ბატონი ალექსანდრეს შემოქმედებას იცნობს, მას მშვენივრად მოეხსენება, რა დიდებული მეცნიერ-მკვლევარი, ბრწყინვალე ლექტორი და მოქართულე გახლდათ იგი. ძალიან მიკვირს, უნივერსიტეტდამთავრებულმა ბატონმა როსტომმა ეს რომ არ იცის!

თურამდენად ნამუსიანია ის, რომ 1955 წელს, როდესაც ბატონი ალექსანდრე 53 წლისაა და ბესიკსა და გურამიშვილზე შექმნილი ნარკვევები რამდენიმეჯერ აქვს გამოქვეყნებული, ისევ პირველი, ახალგაზრდობის დროინდელი, ჯერ კიდევ არასრულყოფილად ჩამოყალიბებელი მეცნიერის პუბლიკაციიდან მოიყვანო, პასუხი ცხადზე ცხადია. ეს არც ვახტანგ ჭელიძესა და არც როსტომ ჩხეიძეს ეკადრებათ!

***

ვიდრე გივი მიქაძეზე ვისაუბრებდეთ, არ შეიძლება, უყურადღებოდ დავტოვოთ ბატონი როსტომის ნაამბობი იმის თაობაზე, რომ ბატონი ვახტანგი პასკვილის ავტორ ნოდარ დუმბაძეს საგულდაგულოდ ფარავდა. ამას თურმე იმისთვის ცდილობდა, რომ ალექსანდრე ბარამიძე შეეცდებოდა „*სამაგიეროს გადახდას, ფარულად უსათუოდ რაღაცას მოსწევდნენ*“. ნეტავი მაცოდინა, რა ძალა ჰქონდა უპარტიო ბატონ ალექსანდრეს, ეს ჩაედინა — ბატონი ნოდარი მისი თანამშრომელი გახლდათ თუ მას სახელმწიფო დაწესებულებებში რაიმე თანამდებობა ეჭირა ან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, მეტადრე, უშიშროებასთან რაიმე კავშირი ჰქონდა? ალ. ბარამიძეს უამრავი თავდასხმა გადაუტანია და როდისმე ყოფილა, ზემდგომი ორგანოებისათვის თუნდაც ერთხელ მიემართოს?! ყველას, ვისაც პასუხის ღირსად მიიჩნევდა, თავისი კალმით უსწორდებოდა! უფრო საინტერესო ისაა, თავად ვახტანგ ჭელიძეს რატომ არ ეშინოდა სამაგიეროს გადახდისა, ნოდარ დუმბაძესავით თვითონაც ხომ რეპრესირებული იყო?! იმიტომ ხომ არა, რომ თავად უშიშროებისაგან საშიშროებას არ ელოდა?!

ცნობილია, როგორც წესი, უშიშროება რეპრესირებულს ან მის შთამომავალს გადაუბირებლად არ ტოვებდა და თავის სამსახურში აყენებდა. ნუთუ ვახტანგ ჭელიძე იყო გამონაკლისი?! ისიც ცნობილია, დეკანოზოვმა ალ. ბარამიძეს როგორ მოუნდომა გადაბირება, მაგრამ, რადგან კარგი მეცნიერი, პატიოსანი და უმწიკვლო პიროვნება გახლდათ, შარი ვერაფერში მოსდო და საწადელს ვერ მიაღწია! არც ის შეიძლება შემთხვევითობით აიხსნეს, რომ ვ. ჭელიძე, თითქოს ძველი რევოლუციონერი ყოფილიყოს, ყოველთვის პრივილეგირებული გახლდათ, მუდამ მაღალი თანამდებობები ეჭირა. დავიმოწმებ „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას“, რომელიც მისი ცხოვრების ერთ, პირველ, ნაწილს

ასახავს (1987, № 11, გვ. 390): 1917 წელს დაბადებული 1950 წლიდან **სკკპ**–ის წევრია, იყო გამომცემლობა „საბლიტგამის“ მთავარი რედაქტორი (1948-1952), ჟურნალების „ნიანგისა“ (1955-57) და „ცისკრის“ (1957-62) რედაქტორი, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი (1963-67), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი (1967-73). 1967 წ. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა.შემდეგ არის გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი.

ერთი სიტყვით, წარმატებით თანამშრომლობდა საბჭოთა რეჟიმთან. იმ ხელისუფლებას, რომელიც ადამიანს თავისუფლებას თუ ანიჭებს და ცხოვრებაში ადგილს მისი ნიჭის შესაბამისად უანგაროდ უმკვიდრებს, ბარაქალა და მის წინააღმდეგ საბრძოლველიც არაფერი ყოფილა! ბატონ ვახტანგს მოგონებებში, რომელიც „მნათობში“ დაიბეჭდა, თავი ისე გამოჰყავს და ბატონი როსტომიც მას ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ცხოვრება საბჭოურის წინააღმდეგ ბრძოლაში გაეტარებინოს. არა, ბატონო! ისიც ისეთივე ფუნქციონერი კომუნისტი იყო, როგორც სხვები. უფრო მეტიც: პაპზე მეტი კათოლიკეც ბრძანდებოდა.

სანიმუშოდ ორ ფაქტს აღვნიშნავ: „ნიანგის“ კიდევ სამი ნომერი და იმავე 1955 წლის მე-19 ნომერში იბეჭდება დავით გურამიშვილის „ზუბოვკის“ პირველი სტროფი: „*ზუბოვკიდან მომავალმან ვნახე ერთი ქალი...*“ ქვემოთ, მარჯვნივ, დახატული კაცი, რომელიც დ. გურამიშვილი უნდა იყოს, ზემოთ შეჰყურებს ქრისტეს სურათს. მას კი მამაკაცის სახე აქვს და კაბა აცვია. სულ ქვემოთ აღნიშნულია: „*ზოგიერთი მეცნიერის წარმოდგენით ეს ქალი ... ქრისტე-ღმერთი ყოფილა. მხატვარმა მანწკავამ დახატა ამ ლექსის ილუსტრაცია, აღნიშნულ მეცნიერთა წარმოდგენის მიხედვით*“ (გვ. 5).

დღევანდელ განათლებულ საზოგადოებას მოეხსენება, ის მეცნიერები, რომლებმაც დავით გურამიშვილის პოეზიაში რელიგიურ-ალეგორიული სიმბოლოები გამოავლინეს და დაადგინეს, კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე არიან. ეს ნათლად და გარკვევითაა მოცემული მათ ადრინდელ ნაშრომებშიაც. ახლა დავით გურამიშვილის მცოდნე მკითხველისათვის უეჭველია, რომ „ზუბოვკა“ ორპლანიანი ნაწარმოებია. არც ისაა საეჭვო, რომ „ნიანგის“ ეს მკრეხელობა ვახტანგ ჭელიძეს ეკუთვნის. ეს არის სწორედ იმ კომუნისტთა უცოდინარობა და თავხედობა, ყველგან რომ ათეიზმს

ხედავდნენ, „ვეფხისტყაოსანიც“ ათეისტურ ნაწარმოებად მიაჩნდათ. იმ ხანებში, 1955 წლის 30 სექტემბერს, „ლიტერატურულ გაზეთში“ ვახტანგ ჭელიძისნაირების გასანათლებლად დაიბეჭდა კ. კეკელიძის წერილი „ალეგორია დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“.

და კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: მაშინდელ ლენინგრადში სამეცნიერო მივლინების დროს, არქივში, ქაღალდის მოზრდილ ყუთში, სხვადასხვა ქაღალდების გროვაში, ვნახე ფურცლის ნაგლეჯი, რომელზედაც დახატულია ხელისგულები და ცხრილები. თითოეულზე სხვადასხვა ციფრი ქართული ასოებით წერია. ბოლოს ლექსად არის:

„ორ ოცდაორობს, ათ, ოცდაათ ათვრამეტს შუა მჯდარობსა,
შვიდ ოცდაშვიდით, ათხუთმეტ, ოთხ, ოცდაოთხად მხდარობსა“
და ა. შ.

დავადგინე ხელი და სტილისტური ანალიზით ვაჩვენე, რომ ყველაფერი ეს ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის; გავშიფრე, რომ იგი კალენდარული დანიშნულებისაა და მისი მეშვეობით ხელისგულზე ხდება ნებისმიერი წლის აღდგომის თვისა და რიცხვის გამოანგარიშება.

მოვამზადე პატარა წერილი და 1986 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მივიტანე, როდესაც მისი მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე ბრძანდებოდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი ვიკითხე, წერილების განყოფილების გამგე მამუკა წიკლაურმა დაბეჭდვაზე უარი მითხრა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ საჩვენო არ არისო. შევედი ბატონ ვახტანგთან და ავუხსენი: ვახტანგ მეექვსის, ამ დიდი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, თავისებური ლექსია, რომელიც მაჰმადიანური სამყაროს გამუდმებული შემოტევის პირობებში ქრისტიანობის აღორძინებას ემსახურება, გთხოვთ, პირადად გაეცნოთ-მეთქი. ორი კვირის შემდეგ ისევ ბატონი მამუკას პირით უარი მივიღე.

ბატონი როსტომი გვაცნობს, ბატონმა ვახტანგმა რა სუსხი იწვნია ერთი რელიგიური შეფერილობის სიტყვის დაბეჭდის გამო, მაგრამ 1986 წელს, დისიდენტური მოძრაობის ბუმის დროს, ვითარება შეცვლილი იყო და ამგვარ ამბებს ყურადღება აღარ ექცეოდა. ჩემი ეს სტატია შევიტანე ჩემს წიგნში „*ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა*“ (გვ. 223-226), რომელიც იმავე 1986 წელს გამოიცა. მან თავლიტიც გაიარა, მაგრამ რაიმე დაბრკოლება არ შეხვედრია. შემდეგ, ვინც კი შეეხო, ყველა აღფრთოვანებას გამოხატავდა.

ყოველივე ამას ნიშნის მოგებით სრულიადაც არ ვამბობ. პირიქით, ბატონ ვახტანგს თანავუგრძნობ, რომ მას იმის სამსახური უწევდა, რაც არ მოსწონდა და რისიც წინააღმდეგი იყო. მაგრამ, როცა კახაბერი არა ხარ, კახაბრობაზე თავს არ უნდა დებდე!

მე ისიც მახსოვს, ვახტან ჭელიძე ალექსანდრე ბარამიძის მოძულე ბოლომდე დარჩა. როდესაც ბატონი ალექსანდრეს მემუარები „ახლო წარსულიდან“ გამოვიდა, ის მკვახე სიტყვებით შეხვდა მას, ხოლო ნოდარ დუმბაძე, პატიოსანი კაცი, ალექსანდრე ბარამიძის დიდად დამფასებელი გახლდათ. 1973 წელს მან გამოსცა წიგნი „ოთხი რომანი“ და იგი მეცნიერს შემდეგი წარწერით უსახსოვრა: *„ბატონ ალექსანდრე ბარამიძეს! დიდებულ მწერალს, მეცნიერსა და ერისკაცს უზომო პატივისცემით. ნ. დუმბაძე. 17. ^IV, 74 წ.“*

***

ბატონი როსტომი დამცინავი ტონით მოიხსენიებს **გივი მიქაძეს**, მის დამსახურებას ფსევდონიმების კვლევა-ძიებაში. მისი ცნობით, ბატონი გივი, თურმე, ვ. ჭელიძის ეშმაკობას ვერ მიხვდა და ავერიონ მაცაბერიძე ვახტანგ ჭელიძე ჰგონებია. „ჰხალისობდა ვატანგი“: გ. მიქაძის სხვა ფსევდონიმებიც საჰონორარო უწყისებით თუ არის გაშიფრულიო. ჩემმა მზემ, სხვისი ნაკლი და წარუმატებლობა ძალიან სახალისოა! „ქილილა და დამანას“ ვახტანგ მეექვსის პროზაულ თარგმანში წერია: „რომელმაც იმხიარულოს სხვათა ავს საქმეზედან, მას მინდობა არა აქვს, გვარად და მოდგმით სჭირს ზნე ეს“.

„ვინც იხარებდეს სხვის ავზე, იმას მიენდოს სხვა ვინა?
ზნეთა სჭირს, გვარად ეს მოსდგამს, ნეტამცა დამაწვევინა!“

სულხან-საბა ორბელიანის გალექსილი:

„ეჭკო იხარებს სხვისასა შეწუხებასა დიდებსა,
მისგან კეთილსა ნუ ელი, თუ არ ავს დასარიდალსა!“

ბატონი როსტომი არ მიუთითებს, საიდან ჩანს გ. მიქაძის დაბნეულობა. ბატონ გივის ფსევდონიმებზე სამი წიგნი აქვს გამოცემული: 1. **ფსევდონიმების ლექსიკონი** („ქართული წიგნის“ გაუშიფრავი ფსევდონიმები, თბ. „მეცნიერება“, 1969); 2. **ფსევდონიმების ლექსიკონი**, თბ. „მეცნიერება“, 1984; 3. **ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში** (თბ. 1998). დავასახელოთ ესეც: 4. **ძველი ქართული მწერლობის ბიბლიოგრაფია**, თბ., 1968. არც ერთ ამ წიგნში არც „ავერიონ მაცაბერიძე“ და არც „ვახტანგ ჭელიძეა“ ნახსენები. ვისი ფანტაზიის ნაყოფია ის, რასაც ბატონი როსტომი გ. მიქაძეს

მიაწერს, თავისი თუ ვახტან ჭელიძისა?

ნუთუ ბატონმა როსტომმა არ იცის, გივი მიქაძე რა თავდადებითა და რუდუნებით იკვლევდა ქართველ და არა მარტო ქართველ მოღვაწეთა ფსევდონიმებს. განა მარტო სახელფასო უწყისებს ეყრდნობოდა იგი?!

როგორც ვახტანგ ჭელიძეს, ბატონ როსტომსაც ხომ არა ჩარჩა გულში წყენა, რომ ბატონმა გივიმ მის მიერ გახსნილი ფსევდონიმი სხვაგვარად გახსნა?!

აი, რა კეთილი გულით ეპყრობა ის ახალგაზრდა როსტომს პავლე ინგოროყვას ფსევდონიმების დადგენისას, რა ფართოდ წარმოაჩენს მის ნაზრევს და თავაზიანად ასწორებს მის მცდარ შეხედულებას:

„1924 წლის ჟურნალ «კავკასიონში» (1-2), — წერს გ. მიქაძე, — *დაბეჭდილია ავარიელთა ისტორიული ლექსი «**რაჟბადინ ბელადი** და ერეკლე მეფე», რომელიც თარგმნილია **ასმიდოდ ჩერქეზელის** მიერ. სახელის ფორმამ ჩააფიქრა ახალგაზრდა ლიტერატურისმცოდნე და კრიტიკოსი **როსტომ ჩხეიძე**. მისი ვარაუდით, ეს უნდა იყოს არა ნამდვილი სახელი, არამედ ფსევდონიმი. მკვლევარმა დიდი მუშაობა ჩაატარა დასახელებული ფსევდონიმის გასაშიფრავად და სხვადასხვა მონაცემების მიხედვით სწორად დაადგინა, რომ **ასმიდოდ ჩერქეზელი** არის ცნობილი მწერლისა და მეცნიერის **პავლე ინგოროყვას** ფსევდონიმი. მანვე გაარკვია ისიც, რომ «კავკასიონში» პოლ კლოდელის ლექსის «წმინდა საკითხავის», **პლატონის** ეპიგრამებისა და **ანაკრეონტის** ლექსების მთარგმნელის ხელმოწერები As. და Asmi არის შემოკლებული ფორმა Asmidod-ისა, ე. ი. **ასმიდოდ ჩერქეზელისა**. რ. ჩხეიძის მოსაზრება გამოთქმულია წერილში — «ასმიდოდ ჩერქეზელის გამო», რომელიც გამოქვეყნდა 1986 წელს ჟურნალ მნათობის მეთერთმეტე ნომერში.*

რ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ სიმ. ყაუხჩიშვილს «ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში» (ტ. I, 1946) ანაკრეონტის შემოქმედების განხილვისას სწორედ «კავკასიონიდან» მოჰყავს სანიმუშოდ ლექსის ფრაგმენტი, მაგრამ ფსევდონიმი Asmi გაშიფრული არა აქვს. იგი ასკვნის: «შეუძლებელია სიმონ ყაუხჩიშვილს თავის დროზე არ სცოდნოდა, თუ ვისი იყო ეს ფსევდონიმი, რადგან ჯერ ერთი, ადრიდანვე მეგობრობდა პავლე ინგოროყვასთან, და, მეორე, «კავკასიონშიც» თანამშრომლობდა, მაგრამ, რადგანაც მთარგმნელის ვინაობას არ ამხელს, ეტყობა, თვითონ პავლე ინგოროყვამ არ მოინდომა თავისი ფსევდონიმის გახსნა»“ (გივი მ ი ქ ა ძ ე, ქარ-

თულ ფსევდონიმთა სამყაროში, თბ. 1998, გვ. 166-167).

შემდეგ რ. ჩხეიძე ჩამოთვლის ნაშრომებს, სადაც ეს ფსევდონიმი განმარტებული არაა და მათ შორის ასახელებს გ. მიქაძის წიგნსაც. გ. მიქაძეს მოჰყავს ბატონი როსტომის სიტყვები: „*არც ერთი ეს ფსევდონიმი (და არც ინციალები – **ბ. ი.**) არ არის შეტანილი გ. მიქაძის «ფსევდონიმების ლექსიკონში» (1984)*“.

გ. მიქაძე განაგრძობს: „*უნდა ითქვას, რომ, რ. ჩხეიძის დაკვირვებები სავსებით სწორია. სიმ. ყაუხჩიშვილმა კარგად იცოდა ბ. ინგოროყვას ყველა ფსევდონიმი, და მათ შორის Asmi-ც. სიმ. ყაუხჩიშვილის წიგნი «ბერძნული ლიტერატურის ისტორია» 1946 წ. გამოქვეყნდა. მე ვიყავი ამ წიგნის კორექტორი და ბატონმა სიმონმა წიგნისათვის საძიებლების შედგენა დამავალა. საძიებელში Asmi-ის ვინაობა არ გავშიფრე, რადგან ბ. ინგოროყვა წინააღმდეგი იყო მისი ფსევდონიმის გაშიფრვისა. როდესაც ანაკრეონტისებური ლექსების ალ. ჭავჭავაძისეულ თარგმანზე წერილი გამოვაქვეყნე, 1972 წელს გავშიფრე Asmi–ს ვინაობა*“ (*გ. მიქაძე, ანაკრეონტისებური ლექსი // «მაცნე», ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 1, გვ. 82, შენ. 29). დასახელებული წერილი რ. ჩხეიძეს მხედველობიდან გამორჩა*“ (გვ. 167).

ახლა იმ ფსევდონიმზე, რომელსაც გ. მიქაძე სხვაგვარად განმარტავს. ესაა CetP. გ. მიქაძის ახსნით, Cet არის **კონსტანტინე ჭიჭინაძე**, ხოლო P — ბ. ინგოროყვა. სხვაგვარად ფიქრობს რ. ჩხეიძე. მოვუსმინოთ მას: „*P მართლა პავლე ინგოროყვა უნდა იყოს..., რადგან თარგმანის კითხვისას აშკარად იგრძნობა, რომ საბოლოო რედაქცია მისია. მაგრამ C მეეჭვება, რომ აქ კონსტანტინე ჭიჭინაძე იყოს. მართალია, კონსტანტინე პავლესთან მეგობრობდა და «კავკასიონშიც» აქტიურად თანამშრომლობდა, არაერთი თარგმანი აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მხოლოდ ლექსების თარგმანები. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს პროზაული არაფერი ეთარგმნა, მითუმეტეს, ორიოდე წლის შემდეგ ჟურნალ «მნათობში» დაიბეჭდა მისეული თარგმანი ეპტონ სინკლერის რომანისა «მეფე-ნახშირი», მაგრამ ცოტა უცნაურად მეჩვენება, რომ ედშმიდის ნოველა ეთარგმნა ბ-ნ პავლესთან ერთად. თანაც მართლა ერთად რომ ეთარგმნათ, პავლე ინგოროყვა ინციალად დაწერდა არა P-ს, არამედ A-ს (ასმიდოდს), როგორც სხვა თარგმანებს მოაწერა.*

ამიტომ, მგონია, რომ C უფრო შესაძლებელია იყოს პავლე ინგოროყვას მეუღლე, რომელიც სწორედ პროზას თარგმნიდა... მათი თანამშრომლობაც უფრო რეალური ჩანს და ფსევდონიმის არჩევის მიზეზიც: CetP- ქეთო და პავლე; თან არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ასოები ერთმანეთზეა მიტყუებებული, ოდნავადაც კი არ არის დაშორებული და არც დეფისით გამოყოფილი, როგორც ვთქვათ, «აკ-სიმ-კოლი» (აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და ნიკოლოზ ჩაჩავა), თუ «ან-და-დონი» (აკაკი შანიძე და დავით ყიფშიძე); და როგორც ეს ფსევდონიმიც დაიწერებოდა, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძე ყოფილიყო. ამას გარდა, არც ის არის აღნიშნული, ფსევდონიმი ერთ პიროვნებას ეკუთვნის თუ ორს. – არ წერია არც «თარგმნა», არც «თარგმნეს». ასეთი კიდევ უფრო გასაიდუმლება ფსევდონიმისა იმის მაჩვენებელია, რომ C ქეთევან ბაქრაძეა“ («მნათობი», 1986, № 11, გვ. 157).

გ. მიქაძემ, როგორც პროფესიონალმა, ადრე დაიჭირა თადარიგი: რასაც სხვა მოღვაწეებთან აკეთებდა, კ. ჭიჭინაძეს წერილობით სთხოვა, ეცნობებინა თავისი ფსევდონიმები. მანაც 1960 წლის 31 მაისს სხვა ფსევდონიმებთან ერთად აუწყა: „*«კავკასიონის» № 1-2-ში მოთავსებულია ნაწყვეტი ეტმონტიდან «დამპყრობი», რომელსაც მოწერილი აქვს CetP, ეს მე და პავლე ინგოროყვა ვართ ერთად*“ (ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, გვ. 169).

გ. მიქაძე ასკვნის: „*ამ წერილის მიხედვით საბოლოოდ დადგენილად უნდა ვაღიაროთ, რომ ფსევდონიმი CetPეკუთვნის კ. ჭიჭინაძესა და ბ. ინგნოროყვას. (...) მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა ერთი ავტორის ნაწარმოები მეორეს არ მივაკუთვნოთ. რ. ჩხეიძე ისე ლოგიკურად და თანმიმდევრულად ასაბუთებს ქ. ბაქრაძის ავტორობას, კ. ჭიჭინაძის ავტოგრაფი ხელთ რომ არ გვქონდეს, ძნელად თუ შევძლებდით, ვინმე დაგვერწმუნებინა სიმართლეში*“ (იქვე, გვ. 169-170).

აი, ნიმუში, თუ ბატონი გივი რა სიღრმით, სიფართოვითა და კეთილშობილებით განიხილავს საკითხს!

ბატონი **გივი მიქაძე** მრავალმხრივი და ამაგდარი მოღვაწე ბრძანდებოდა და მასზე ქილიკი არავის ეკადრება (მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. ჩემი წიგნი „ფილოლოგიური ძიებანი, I“, გვ. 363-383).

***

უზუსტობისაგან რომ არავინაა დაზღვეული, ბატონ როსტომს ერთ შეცდომაზე მინდა მივუთითო, რომელიც ამ წიგნშია გაპარული; მაგრამ მერწმუნეთ, ამას არა ნიშნის მოგებით, არამედ გაკვირვებითა

და კეთილი გულით ვაკეთებ — რომ იგი მისი გავლენით სხვა ნაშრომებშიც არ გამეორდეს. ამჯერად ეს (ნაკლოვანი) მხარეები რომ მაინტერესებდეს და ვეძიებდე, არ ვაჭარბებ, საამისო ნიმუშები აქედანაც საკმაოდ „შემომეფეთა“. ახლა მხედველობაში მაქვს შემდეგი: ბატონი როსტომი იმეორებს ძველ შეხედულებას, რომ განთქმული აფორიზმი „**საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან!**“ შოთა რუსთველისაა. ერთი ამერიკელი მწერლის ნოველაზე მსჯელობისას მისი პერსონაჟის შესახებ წერს: *„...ისღა დარჩენოდა, უარი ეთქვა შტატის გუბერნატორობაზე.* ***საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანო,*** *— ამ რუსთველური შეგონების თავისებური და მოხდენილი ილუსტრაცია გახლავთ ამერიკელი მწერლის ეს მცირე თხზულება*“ (გვ. 511).

ეს აფორიზმი ადრე ბევრს, მათ შორის ილია ჭავჭავაძესაც, დიდი რუსთველის კუთვნილად მიაჩნდა. მე სათანადო წყაროს მივაგენი და გავარკვიე, რომ იგი ხალხურია. ეს წერილი პირველად დავბეჭდე 2002 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის კრებულში „რუსთველოლოგია“ (II, გვ. 236-243) და შევიტანე ჩემი რუსთველოლოგური გამოკვლევების პირველ ტომში (თბ. 2010, გვ. 10-21), რომელიც ბატონ როსტომს დიდი მოწიწებით ვუსახსოვრე. გამაკვირვა-მეთქი, მარტო ამიტომ არ ვწერ. ეს წერილი თავიდან მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე როსტომ ჩხეიძის ჟურნალისა და გაზეთის რედაქციაში მივიტანე. მივიტანე იმიტომაც, რომ ვხედავდი, ბატონი როსტომი არა მარტო ჩინებული ლიტერატორი და ლიტერატურათმცოდნე, არამედ ასეთივე ფოლკლორისტიც ბრძანდება. მის დაბეჭდვაზე კი იქაურმა თანამშრომელმა ახალგაზრდა ქალმა უარი მითხრა. არ მირკვევია, გააცნეს თუ არა ის ბატონ როსტომს, პირადად ამაზე კი თავად ვერ შევაწუხე.

ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ, სიყვარული ბრმაა, მაგრამ ყველაფერზე არ უნდა დაგვაბრმაოს. მარტო შეცდომებზე დაყრდნობით მკაცრი განაჩენი არ უნდა გამოგვქონდეს. მთავარია, ესა თუ ის ავტორი მასთან შედარებით პოზიტიურს რას იძლევა. **ალექსანდრე ბარამიძე** და **გივი მიქაძე** ქართული ლიტერატურის დიდი და ჭეშმარიტი მკვლევარები იყვნენ, უმნიშვნელოვანესი დამსახურება მიუძღვით ქართული მწერლობის შესწავლაში და ამ საქმეში მათი აბუჩად აგდება გამართლებული არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, სტუდენტობისას მაღალი ნიშანი დაგვიწერეს თუ არა!

გულბაათ რცხილაძე

გამოკითხვა 2014: საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი

ევრაზიის ინსტიტუტმა 2014 წლის 10-იდან 17 ნოემბრამდე განახორციელა ბოლო ორი წლის მანძილზე მეორე სოციოლოგიური გამოკვლევა, საქართველოს მასშტაბით. ამჯერად გამოკითხვის თემატიკა მხოლოდ და მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ასპექტებს მოიცავდა, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (ნატო) ინტეგრაციისადმი და საკუთრივ ამ ორგანიზაციისადმი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატებისადმი.

გამოკითხვა ჩატარდა ქალაქებსა და სოფლებში, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სავსებით შეგნებულად, მეთოდოლოგიური (და არა რაიმე სხვა) მოსაზრებით, ჩვენ გვერდი ავუარეთ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებს — ქვემო ქართლსა და ჯავახეთს.

საველე სამუშაოებს ევრაზიის ინსტიტუტის თანამშრომლები აწარმოებდნენ რესპონდენტების საცხოვრებელ ადგილზე, მათი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, და არავითარ ზეგავლენას მათზე არ ახდენდნენ. გამოკითხვა ანონიმურია, რაც მითითებულია კიდეც ყველა ანკეტა-კითხვარზე.

გამოკითხვის გეოგრაფია შემდეგნაირად გამოიყურება:

თბილისი (საბურთალო, დიდი დიღომი, ვერე, ჩუღურეთი, დიდუბე) – 482 რესპონდენტი (გამოკითხულთა საერთო რაოდენობიდან 28,1%);

გორი – 262 (15,3%);

ბათუმი – 296 (17,2%);

ზუგდიდი – 151 (8,8%);

ზუგდიდის რ-ნის სოფლები – 100 (5,8%);

საგარეჯოს რაიონი – 160 (9,3%);

მცხეთის რაიონი – 48 (2,8%);

დუშეთის რაიონი – 73 (4,2%);

ლტოლვილები ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონიდან (დასახლებულნი **მცხეთის** რაიონში) – 146 (8,5%).

მთლიანობაში: 1718 რესპონდენტი მთელი საქართველოდან. მათგან 825 მამაკაცი (48.5%) და 875 ქალბატონი (51.5%). გამოკითხულთა სოციალური სტატუსი: თვითდასაქმებულები - 22.8%, სახელმწიფო მოხელეები - 11.2%, ბიზნესმენები - 2.9%, უმუშევრები - 35.2%, პენსიონერები - 17.3%, სტუდენტები - 8.2%, დაქირავებული მუშაკები - 2.5%.

გამოკითხულთა ასაკობრივი დიაპაზონი ასევე დაბალანსებულია: 18-25 წელი – 14.5%, 26-35 წელი – 16.0%, 36-45 წელი – 20.9%, 46-55 წელი – 19.7%, 56-65 წელი – 14.7%, 65 წელზე ზევით – 14.1%.

მოსახლეობამ აქტიური მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში. განსხვავებით **2012 წლის აგვისტო-სექტემბრისაგან**, აშკარაა ხალხის მეტი გაბედულება, გამოხატოს საკუთარი აზრი; ძალიან ცოტა იყო მათი რიცხვი, ვინც უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ან ცალკეულ შეკითხვებს პასუხი არ გასცა, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამჟამინდელი გამოკითხვა მხოლოდ საგარეო პოლიტიკას შეეხებოდა.

ცალკეული საკითხების კორელაციამ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების საკმარისად მაღალი სანდოობის ხარისხი აჩვენა. ამიტომ, ეს გამოკითხვა შეიძლება, ჩაითვალოს რეპრეზენტატიულად.

ევრაზიის ინსტიტუტი გეგმავს, უახლოეს პერიოდში მოაწყოს მასმედიისა და ყველა დაინტერესებული პირისათვის გამოკითხვის შედეგების პრეზენტაცია და გამოაქვეყნოს დეტალური მონაცემები (რეგიონულის, სოციალურისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით). აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყველაზე «პრონატოურ“ და „პროამერიკულ“ რეგიონი აღმოჩნდა ქალაქი ზუგდიდი და ზუგდიდის რაიონი, ხოლო ყველაზე „ანტინატოურ“ და „ანტიამერიკულ“ შედეგები მცხეთისა და დუშეთის რაიონებში, ლტოლვილების ჩათვლით, აგრეთვე, ქალაქ ბათუმში დაიდო.

მაგრამ ყველაზე მთავარს — საქართველოს მასშტაბით მიღებულ გამოკითხვის შედეგებს — მკითხველთა ყურადღებას უკვე ახლა ვთავაზობთ:

1. ნატო თქვენი აზრით არის...

ა) თავდაცვითი სამხედრო ბლოკი ---------- 51%

ბ) აგრესიული სამხედრო ბლოკი ---------- 28%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 21%

2. თქვენი შეფასებით, ნატო საკმარისად ეხმარება თუ არა საქართველოს?

ა) დიახ ---------- 20%

ბ) არა ---------- 66%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 13%

3. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ შეერთებული შტატებისა (აშშ) და ნატოს მიზნები და ინტერესები ემთხვევა საქართველოს მიზნებსა და ინტერესებს, მეორე ნაწილის აზრით კი — ეს მიზნები და ინტერესები არ ემთხვევა. თქვენ რომელ მოსაზრებას იზიარებთ?

ა) ემთხვევა ---------- 29%

ბ) არ ემთხვევა ---------- 52%

გ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 13%

4. თანახმა იქნებით თუ არა, რომ ახლო მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ბაზები განთავსდეს?

ა) თანახმა ვიქნები ---------- 20%

ბ) არ ვიქნები თანახმა ---------- 55%

გ) ნეიტრალურ პოზიციას დავიკავებ ----------18%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 7%

5. როგორ აფასებთ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებას, გააგზავნოს სამხედრო კონტინგენტები აშშ-ისა და ნატოს სამხედრო ოპერაციების ზონებში?

ა) დადებითად ---------- 16%

ბ) უარყოფითად ---------- 62%

გ) ნეიტრალურად ---------- 18%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 7%

6. თქვენი აზრით, რას წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოსათვის?

ა) აშშ არის მეგობარი, მოკავშირე ---------- 29%

ბ) აშშ არის მოწინააღმდეგე, გამოუცხადებელი მტერი ---- 17%

გ) აშშ არც ერთია და არც მეორე, არამედ სახელმწიფო, რომელიც მხოლოდ საკუთარ ინტერესებს ახორციელებს ----- 44%

დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 11%

7. ხვალ რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან დაკავშირებით პლებისციტი იმართებოდეს, თქვენი არჩევანი როგორი იქნებოდა?

ა) დადებითად ვუყრიდი კენჭს ---------- 32%
ბ) უარყოფითად ვუყრიდი კენჭს ---------- 40%
გ) არ წავიდოდი ხმის მისაცემად ---------- 16%
დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 12%

8. როგორ მიგაჩნიათ, იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ნატოში გაწევრიანების კურსს განაგრძობს, ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან...

ა) გაუმჯობესდება ---------- 8%
ბ) გაუარესდება ---------- 64%
გ) არ შეიცვლება ---------- 18%
დ) მიჭირს პასუხის გაცემა ---------- 10%

ძირითადი დასკვნა: საქართველოს მოსახლეობა მთლიანობაში საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს ნატოსთან და შეერთებულ შტატებთან საქართველოს თანამშრომლობას. ამ დღეებში (2014 წლის ბოლო) რომ ტარდებოდეს პლებისციტი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის რიგებში საქართველოს შესვლას, ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით, ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლები მისცემდა (32% „დადებითად ვუყრიდი კენჭს“ + 12%, ვისაც პასუხის გაცემა გაუჭირდა + 4% მაქსიმალურად დასაშვები სტატისტიკური ხარვეზი, ესეც ნატოს მომხრეთა სასარგებლოდ ჩავთვალოთ = 48%).

მოსალოდნელია, რომ დასავლური საელჩოების მიერ დაფინანსებული ანგაჟირებული ორგანიზაციები ჩვენი გამოკითხვის შედეგებს საკამათოდ გახდიან და ჩვენი ინსტიტუტის „ევრაზიულ“ დასახელებაზე გაამახვილებენ ყურადღებას. მაგრამ ჩვენ მზად ვართ, წარმოვადგინოთ ყველა შევსებული ანკეტა-კითხვარი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჩავატაროთ განმეორებითი გამოკითხვა.



იოსებ არჩვაძე

საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ორიენტაცია

დიდი ინტერესით გავეცანი ევრაზიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის **„საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-სადმი“** შედეგებს. სულ რამდენიმე კვირის წინ (2014 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში) ჩატარებული გამოკითხვა არ მიეკუთვნება რიგით სოციალურ თუ კონიუნქტურულ კვლევებს, რომელთა შედეგების პრეზენტაციას დიდ დროსა და სივრცეს უთმობენ თანამედროვე მედია-საშუალებები. ეს გამოკითხვა რეზონანსულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი თემატიკით, რადგანაც იგი ეხება აქტუალურ, ჩვენი ქვეყნისათვის ფაქტობრივად ბედგანმსაზღვრელ პრობლემას.

სანამ უშუალოდ მიღებულ შედეგებს შევეხებოდე, მინდა აღვნიშნო გამოკითხვის საკმაოდ მაღალ, აკადემიურ დონეზე ჩატარება, რაც გულისხმობს შერჩევის ველის სწორად შერჩევას და მაღალ რეპრეზენტატულობას. – 1718 რესპონდენტი სავსებით საკმარისია დამაჯერებელი, სარწმუნო ინფორმაციის მისაღებად. შედარებისათვის ვიტყვი, რომ ეს ციფრი 52 პროცენტია საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონების შინამეურნეობების მიხედვით შემოსავლებისა და ხარჯების კვლევისათვის შერჩეული რესპონდენტების რაოდენობისა (სულ 3350 შინამეურნეობა), რომლებსაც ჯერადად მეტ კითხვარსა და ფორმულარზე უწევთ პასუხების გაცემა. ასე რომ, გამოკვლევის შედეგებს საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია აქვთ. ამის გათვალისწინებით, **გამოკვლევის შედეგები შეიძლება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგების მორალურ საპირწონედაც კი გამოდგეს** (მაშინ, მოგეხსენებათ, შედეგების დაჯამებისას „რატომღაც“ ოთხჯერ მოხ-

და ნატოს მხარდამჭერი მოსახლეობის წილის ცვლილება... ზრდის მიმართულებით).

გამოკვლევის რესპონდენტთა შერჩევაში გენდერული თანაფარდობა თითქმის „ბალისტიკური სიზუსტითაა“ განხორციელებული (კვლევაში — მამაკაცები/ქალები: 48.5/51.5%, საქართველოს მოსახლეობაში, შესაბამისად — 47.7/52.3%). ასევე, საკმაოდ მაღალია ასაკობრივი ნიშნით რესპონდენტთა განაწილების თანხვედრა საქართველოს მოსახლეობის შესაბამის ასაკობრივ განაწილებასთან (იხ. ქვემორე ცხრილი).

ცხრილი 1

გამოკითხვის რესპონდენტებისა და საქართველოს მთელი მოსახლეობის განაწილებას ასაკობრივი ნიშნით (პროცენტი)

	18-25	26-35	36-45	46-55	56-65	65 წელზე მეტი
ოფიციალური სტატისტიკით	17,1	16,3	15,3	17,7	15,6	19,2
გამოკვლევით	14,5	16,0	20,9	19,7	14,7	14,1

ასაკობრივ განაწილებაზე ყურადღებას ვამახვილებ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ახალგაზრდული რადიკალიზმი და ასაკობრივი კონსერვატიზმი ზოგადად, ყოველთვის ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ადამიანთა მსოფლმხედველობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაზე. ეს აისახა აღნიშნული გამოკითხვის შედეგებშიც. თანაც, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ **გამოკითხვამ დასმულ კითხვებზე სხვაობა რეგიონულზე მეტად ასაკობრივი ნიშნით მოგვცა.** ცალკეული პოზიციების მიხედვით 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის აზრი მნიშვნელოვნად (ხშირად, 2-3-ჯერ) განსხვავდებოდა ახალგაზრდების (18-25 წლიანები) შეხედულებისაგან. მაგალითად, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) ნატოს თავდაცვით ბლოკად მიიჩნევს, თუმცა ახალგაზრდებში (18-25 წელი) ეს მაჩვენებელი 63.5 პროცენტია, მაშინ როდესაც პენსიონერებში (65<) — მხოლოდ 34 პროცენტი. ანალოგიური მასშტაბებისაა სხვაობა სხვა პასუხების მიხედვითაც, რაზეც ქვემორე ცხრილი იძლევა წარმოდგენას.

ცხრილი 2

გამოკითხვის პასუხები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

	საშუალოდ	18-25 წელი	65 წელზე მეტი
ნატო თავდაცვითი ბლოკია	51	63.5	34
საქართველოსა და ნატოს ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს	29	44.2	20
თანახმა ვარ, რომ ნატოს ბაზები განლაგდეს საქართველოში	20	33.3	12
აშშ საქართველოს მეგობარია	29	40.6	23
აშშ საქართველოს მოწინააღმდეგეა	17	11.2	19.8
პლებისციტზე საქართველოს გაწევრიანებას ნატოში:			
— მხარს დავუჭერ	32	47	24
—მხარს არ დავუჭერ	40	29.3	45.5
ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში გაუარესდება ურთიერთობა რუსეთთან	64	47.0	75.0

აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფები (18-25 წლიანები და 65 წელზე უფროსი ასაკის) რამდენადმე ნაკლები სიხშირით არიან წარმოდგენილი გამოკითხვაში (18-25 წლიანები — 2.6 პროცენტული პუნქტით, 65 წელზე უფროსი ასაკის რესპონდენტები — 5.1 პროცენტული პუნქტით), ვიდრე მთლიან მოსახლეობაში (ამ ჯგუფებისაგან განსხვავებით, 36-55 წლიანებში საპირისპირო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე). ვფიქრობ, **გამოკითხულ რესპონდენტებს შორის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა წილები შესატყვისი რომ ყოფილიყო მოსახლეობაში შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების წილებთან (იხ. ცხრილი 1), მიღებული პასუხების კონტრასტულობა, ფაქტობრივთან შედარებით, უფრო მეტი, ხოლო**

საშუალო მაჩვენებლები ნატოსა და აშშ-სადმი მოსახლეობის დამოკიდებულებისა — რამდენადმე უფრო ნეგატიური იქნებოდა.

ასაკოვანი მოსახლეობის პასუხებში ნატოსა და აშშ-ისადმი ნეგატიური დამოკიდებულების დონე დაახლოებით 2-ჯერ და მეტად მაღალია სახელმწიფო მოხელეებისაგან მიღებულ პასუხებთან შედარებით.

რესპონდენტთა 35.2 პროცენტი უმუშევარია. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, საინტერესო იქნებოდა უმუშევართა პასუხების რესპონდენტთა ასაკთან კორელაციაც.

გამოკითხვამ აჩვენა **საქართველოს მოსახლეობის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულება ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ოპერაციათა ზონებში საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობაზე**. აღნიშნულს მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 16 პროცენტი, მაშინ როდესაც უარყოფითადაა განწყობილი თითქმის 4-ჯერ მეტი — 62 პროცენტი. ამასთან, რაც უფრო მაღალი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებთან გვაქვს საქმე, მით უფრო ნეგატიურია დამოკიდებულება (საპენსიო ასაკის მოსახლეობაში — მხოლოდ 8.3%). მხარდამჭერების კონტინგენტი, პროცენტულად, ყველაზე მაღალია 25 წლამდე რესპონდენტებში — აქ მათი წილი 24.5 პროცენტია, თუმცა ამ ასაკობრივ ჯგუფში აღნიშნული გარემოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მქონეთა რაოდენობა მხარდამჭერთა რაოდენობას თითქმის ორჯერ აღემატება (49.4%).

ყოველი 10 გამოკითხულიდან 3 რესპონდენტი (29%) აშშ-ს საქართველოს მეგობრად მიიჩნევს. თუმცა მათი 4/5-იც კი (81.2%) თვლის, რომ ის არასათანადოდ ეხმარება საქართველოს. ამასთან, ყოველი მეექვსე გამოკითხული (17%) აშშ-ს მიიჩნევს მტრად. მხოლოდ 25 წლამდე ახალგაზრდებშია ეს მაჩვენებელი დაბალ დონეზე (11.2%), დანარჩენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით იგი მერყეობს 14.6%-დან 20.1%-მდე, რაც სერიოზული დაფიქრებისათვის უნდა განაწყობდეს ხელისუფლებას.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ **პლებისციტის შემთხვევაში იდეა საქართველოს ნატოში საქართველოს გაწევრიანების შესახებ დამარცხდებოდა — მას მხარს დაუჭერდა მოსახლეობის 1/3-ზე ნაკლები, მაშინ როცა წინააღმდეგ ხმას მისცემდა 2/5.** უნდა ვივარაუდოთ, რომ ის 16%-იანი კონტინგენტი, რომელიც არ წავიდოდა პლებისციტზე, დიდწილად ნატოში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგეა.

ასეთთა რიგებს მე მაღალი ალბათობით მივაკუთვნებდი იმ 12 პროცენტის დიდ ნაწილსაც, რომელმაც თავი შეიკავა პასუხის გაცემისაგან.

მოსახლეობას, მიუხედავად პროპაგანდისტული კლიშეებისა და პერმანენტული „ტვინის გამორეცხვისა“, საკმაოდ მაღალ დონეზე აქვს ეროვნული თვითშენახვისა და გადარჩენის ინსტინქტი (ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ერი ვერც გაუძლებდა საუკუნეთა ქარტეხილებს). სწორედ ამ ინსტინქტის საფუძველზეა გაკეთებული დასკვნა, რომ **ნატოში გაწევრიანებაზე კურსის გაგრძელება დაძაბავს რუსეთთან ურთიერთობებს**. რუსეთთან ურთიერთობების გაუარესებას ამ შემთხვევაში ვარაუდობს 8-ჯერ მეტი რესპონდენტი იმათთან შედარებით, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ ამ ურთიერთობების გაუმჯობესებას (შესაბამისად, 64% და 8%).

ზოგადად, ასეთი ტიპის სოციალური გამოკვლევებით ჩვენი საზოგადოება განებივრებული არაა, ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ კითხვარში არსებულთან ერთად დამატებით შესულიყო კითხვები იმის თაობაზეც, თუ რატომ გვინდა ნატოში გაწევრიანება, რა იმედებს და პრაქტიკულ სარგებელს მოუტანს (მოუტანდა) ნატოს წევრობა საქართველოს, როგორი იქნებოდა ნატოსა და სხვა სტრუქტურების (ან მსხვილი სახელმწიფოების) როლი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში, რამდენად დაბალანსებულია საქართველოს წვლილი ნატოსა და აშშ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებსა და კოლექტიური უსაფრთხოების სიტემაში და ამის საფუძველზე მიღებული სარგებელი, სად გადის ნატოსა და აშშ-ის, ერთი მხრივ და რუსეთის, მეორე მხრივ, ინტერესთა თანხვედრა ან შეუთავსებლობა საქართველოსთან მიმართებაში და ა.შ. ვფიქრობ, აღნიშნული კვლევით მიღებულ შედეგებზე მიზანშეწონილი იქნებოდა ფართო საზოგადოებრივი დისკუსია და ანალოგიური დატვირთვის, ოღონდ უფრო გაფართოებული ფორმატის, გამოკითხვის გარკვეული პერიოდულობით, რეგულარულად ჩატარება.

თბილისი, დეკემბერი, 2014 წ.

ვალერიან დოლიძე

«მაიდანი» და უკრაინული სცენარის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში

უკრაინის „მაიდანი“ და აგორებული თოვლის გუნდის ეფექტი

უკანასკნელ ხანს, მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ბევრი ცვლილება აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის წესით წარიმართა. ამ დროს, დომინოს პრინციპის მსგავსად, სახალხო გამოსვლების შედეგად, ერთმანეთის მიყოლებით შეიცვალა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეჟიმები, რასაც საფუძვლად მაგალითის ძალა ედო. სწორედ ასე წარიმართა „არაბული გაზაფხული“, რომელიც ამ ეფექტის ერთ-ერთ უკანასკნელ შემთხვევას წარმოადგენს. პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის ეს მექანიზმი გულისხმობს რომელიმე ქვეყანაში მომხდარი ღრმა პოლიტიკური ცვლილების მაგალითის გავლენის შედეგად, მსგავსი ცვლილებების გავრცელებას მის საზღვრებს გარეთ, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში.

უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, რომლებსაც „მაიდანი“ ეწოდა, საზოგადოების ერთ ნაწილში წარმოშვა კითხვა — ხომ არ შეიძლება განმეორდეს უკრაინული სცენარი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში? იმისათვის, რომ მას ვუპასუხოთ, საჭირო ვიცოდეთ — როგორია ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლის დროსაც ერთი ქვეყნის მაგალითი ჯაჭვური რეაქციის სახით იწვევს მსგავსი პოლიტიკური ცვლილების გავრცელებას სხვა ქვეყნებში. ფერადი რევოლუციების განხორციელება პოსტსაბჭოთა სივრცეში აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის შთაბეჭდილებას ტოვებს,

რადგანაც ისინი დროში თანამიმდევრულად, ერთმანეთზე მიყოლებით გაიშალა. მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობის აუცილებლობას. როცა ვსაუბრობთ აგორებული თოვლის გუნდის ეფექტის შესახებ, საჭიროა, გავითვალისწინოთ ისიც, რომ პოლიტიკური ცვლილებები შეიძლება შედეგი იყოს არა გარე მაგალითის გავლენისა. მთავარია ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარება — რამდენად უწყობს ხელს ის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას. თუ ქვეყანა მომზადებულია ამისათვის, მაშინ სხვა ქვეყნის მაგალითმა შეიძლება დეტონატორის როლი შეასრულოს და გამოიწვიოს პოლიტიკური ცვლილება.

„მაიდანი“ – ერთი თუ მრავალი?

„მაიდანი“ აღნიშნავს უკრაინაში განვითარებულ დრამატულ პოლიტიკურ მოვლენებს, რასაც შედეგად მოჰყვა ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი შეცვლა. მაგარამ ეს სიტყვა შეიძლება გამოყენებული იყოს აგრეთვე ხელისუფლების შეცვლის ან დესტაბილიზაციის გამოწვევის ზოგადი წესის აღსანიშნავად, როცა დედაქალაქის რომელიმე ადგილი გადაიქცევა პროტესტის გამოხატვის ეპიცენტრად, სადაც თავმოყრილია პროტესტანტების დიდი რაოდენობა, რომელთა პროტესტი უწყვეტად მიმდინარეობს, რაც იწვევს დესტაბილიზაციას და უკიდურესად ძაბავს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, რომლის შედეგადაც შეიძლება მოხდეს ხელისუფლების არაკონსტიტუციური ცვლა. უკრაინული მაიდანის ეგვიპტურ ეკვივალენტად შეიძლება მივიჩნიოთ ქაიროში ტაჰრილის მოედანი, სადაც პროტესტანტთა დიდი რაოდენობით ხანგრძლივი კონცენტრაციის საბოლოო შედეგი მუბარაქის ხელისუფლების დამხობა გახდა. ასეთივე რამდენიმე მაიდანი იყო საქართველოშიც, როცა პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირზე არსებული ტერიტორია, რამდენჯერმე გახდა საპროტესტო აქციის პერმანენტული კონცენტრაციის ადგილი. ამის შედეგად მივიღეთ ჯერ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, შემდეგ ე. წ. „ვარდების რევოლუცია“, რასაც მოჰყვა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციები, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ უსასტიკესად ჩაახშო და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამას მოჰყვა სააკაშვილის ფორმალური გადადგომა და მისი ხელახალი „არჩევა“. ამის შემდეგ რუსთაველის გამზირის აღნიშნული მონაკვე-

თი კვლავ იქცა საპროტესტო ტალღის ახალი გავრცელების ეპიცენტრად, როცა თბილისი გამოცხადდა საკნების ქალაქად,ხოლო მისი ცენტრალური ნაწილი კი საკნებით იქნა დაფარული. ერთხელ და სამუდამოდ ქართული მაიდანის თავიდან მოშორების მიზნით, მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტი საერთოდ გადაიტანა თბილისიდან ქუთაისში.

უკრაინის სახელმწიფოს თავისებურება

უკრაინა, როგორც სახელმწიფო, ორი განსხვავებული კულტურული კომპონენტის ბალანსის საფუძველზე არსებობს. როგორც სერგი დაციუკი აღნიშნავს, „უკრაინა რთული ქვეყანაა, რომელიც თავისი ისტორიის განმავლობაში თავისი ნაწილებით სხვადასხვა ცივილიზაციებს მიეკუთვნებოდა. ამიტომ ის ყოველთვის ემყარებოდა ქვეყნის შიგნით არსებულ ცივილიზაციათა ბალანსს“.[1] დასავლეთ უკრაინა, როგორც გეოგრაფიულად, ასევე კულტურულადაც უფრო ახლოს დგას ევროპასთან, ვიდრე აღმოსავლეთი. ამიტომ „ხშირად დასავლეთ უკრაინას უფრო უკრაინულად თვლიან, ვიდრე აღმოსავლეთს“.[2]

დასავლეთ უკრაინა დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა აღმოსავლეთ უკრაინისაგან იზოლირებულ რეჟიმში, განსხვავებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში. მისი მიწები შედიოდა ავსტრია-უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და რუმინეთის შემადგენლობაში. დასავლეთ უკრაინას აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის გარკვეული გამოცდილებაც: აქ არსებობდა დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა (1919-1921). უკრაინული მიწების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებამ ისინი განვითარების საერთო რეჟიმში მოაქცია, მაგრამ იმდენად ძლიერი აღმოჩნდა განსხვავებული ისტორიის გავლენა, რომ მათ შორის არსებული კულტურული და პოლიტიკური დაახლოება საჭოთა ხელისუფლების წლებშიც კი ვერ მოხერხდა, რამაც მთელი სიმწვავით იჩინა თავი უკვე დამოუკიდებელ უკრაინაში.

თავისი სპეციფიკის, აღმოსავლელებისაგან განსხვავების დაფიქსირება, დასავლელ უკრაინელებში წარმოშობს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მოტივაციას. უკრაინელი პუბლიცისტის მოწმობით, უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასავლეთის რეგიონის მცხოვრებლებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ საუკეთესოდ იცხოვრებდნენ „აღმოსავლელი ძმების“ გარეშე. (იქვე) უკვე ვიზუალურ დონეზეც ფიქსირდება განსხვავება, რომელიც არსებობს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის: „ბევრი ჩვენი თანამემამულე, რომელიც იმყოფებოდა დასავლეთ უკრაინაში, გააკვირვა ახალმა, გაზიფიცირებულმა, აკურატულად მოვლილმა სოფლის სახლებმა, რომელთაც თვალითაც კი ვერ ნახავთ ჩვენს სოფლებში“ (იქვე). ცხოვრების დონეებს შორის არსებული ასეთი განსხვავება უკმაყოფილებას იწვევს აღმოსავლეთში მცხოვრებ უკრაინელებში, რადგანაც ამას უსამართლობად მიიჩნევენ.

მათი აზრით, მაშინ როცა, მოსახლეობის კეთილდღეობას უკრაინის აღმოსავლეთი ქმნის, ამ უკანასკნელის მოსახლეობა ვერ სარგებლობს მის მიერ შექმნილი სიმდიდრით, რადგანაც მისი გადანაწილება ხდება დასავლეთ რეგიონების სასარგებლოდ. აღმოსავლელების აზრით, სწორედ მათი შრომა აძლევთ დასავლელებს იმის საშუალებას, რომ მხოლოდ თავიანთ პირად კეთილდღეობაზე ხარჯონ ის რესურსები, რომლებსაც ისინი იღებენ ევროპაში საშოვარზე სიარულის შედეგად: „საშოვრიდან დაბრუნებული ადგილობრივი მცხოვრები აშენებს კოხტა სახლს, თავის ხარჯზე ახდენს მის გაზიფიკაციას, ხოლო მისკენ მიმავალი გზა კი გაჰყავს სახელმწიფოს იმ ფულით, რომელიც ბიუჯეტისთვის არის გადახდილი აღმოსავლეთის მიერ. ამავე ფულით ხდება სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვა“ (იქვე). აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებში უკმაყოფილება იწვევს ისიც, რომ მათ ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში უწევთ არსებობა, მაშინ როცა დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა საკურორტო პირობებში ცხოვრობს: „ჩვენი თანამემამულენი მუშაობენ მძიმე პირობებში შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებში, ჩვენ ვცხოვრობთ ეკოლოგიური კატასტროფის პირობებში, უზრუნველვყოფთ რა როგორც ჩვენი რეგიონის, ასევე მთელი უკრაინის კეთილდღეობას, ხოლო დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები, რომლებიც საკურორტო პირობებში ცხოვრობენ, სარგებლობენ დოტაციისა და რეგულარული დახმარების სახით ყველა იმ მატერიალური სიკეთებით, რომელიც იწარმოება უკრაინის სამხრეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთში“ (იქვე).

დასავლეთ უკრაინელებში დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის მო-

[1] **Сергіи Дацюк. Что такое майдан. Украінска Правда. 20 лютого 2014.http://blog.prauda.com.ua/authors/datsuk/530cb8896062**

[2] **Так кто же кормит Украину? vlasti.net Пятница, 17 октября 2014. http://vlasti.net/news/82804**

ტივაციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის განვითარების მოლოდინი, რომელიც, მათი აზრით, შეიძლება ამ რეგიონის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან ბაზად იქცეს. მაგრამ აღმოსავლელთა აზრით, დასავლეთ უკრაინას არც ამისათვის გააჩნია საჭირო რესურსები: „დასავლეთ უკრაინა დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ტურისტული ბიზნესის განვითარებას, რადგანაც ის ვერ დაფარავს ხარჯებს, რომელიც ასეთი პოლიტიკის გატარებასთან არის დაკავშირებული... იმისათვის, რომ მოიზიდო ტურისტები, საჭიროა შექმნა პირობები მათი ცხოვრებისათვის და მთელი ტურისტული ინფრასტრუქტურა. მაგრამ რომ ააშენო, საჭიროა ფული, რომლის აღებაც შეიძლება მხოლოდ უკრაინის ეკონომიკურად განვითარებულ ოლქებში – ანუ ჩვენთან. ამიტომ სანამ დაიწყებენ დასავლეთ უკრაინის დამოუკიდებლობის დეკლარირებას, ჩვენმა დასავლელმა ძმებმა უნდა იფიქრონ იმაზე, თუ ვის ფულზე ისწავლიან მათი ბავშვები“ (იქვე). ასეთი მოსაზრება უკრაინის ეკონომიკური ფუნქციონირების თავისებურებას ეფუძნება. ამ ქვეყნის ბიუჯეტი ძირითადად აღმოსავლეთის, სამხრეთის და სამხრეთ-აღმოავლეთის ოლქების ხარჯზე ივსება. მისი დონორები არიან დნეპროპეტროვსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, ლუგანსკის, ხარკოვის ოლქები. ყველა სხვა რეგიონი ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტის დოტაციის ხარჯზე. ყველაზე მომგებიანი დარგების – შავი და ფერადი მეტალურგიის,ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის — ძირითადი საწარმოები, ნედლეულის ადგილმდებარეობის შესაბამისად, განლაგებულია ქვეყნის აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში. საწარმოო პოტენციალის არაპროპორციული განაწილება განაპირობებს აგრეთვე საგადასახადო ტვირთის არაპროპორციულად განაწილებასაც — აღმოსავლეთის რეგიონების საწარმოო შესაძლებლობები იწვევს საგადასახადო ტვირთის გაზრდას ამ რეგიონებზე (იქვე).

დასავლეთ უკრაინაში მრეწველობა, რომელიც არასოდეს გამოირჩეოდა ძლიერი ეკონომიკით, ამჟამად სრული დაცემის პირობებში იმყოფება. სუსტი საწარმოო პოტენციალი განაპირობებს იმას, რომ უკრაინის დასავლეთის ოლქები არსებობენ საბიუჯეტო დოტაციის ხარჯზე. აქ არ არის მსხვილი სამრეწველო საწარმოები, ხოლო საშუალო ზომის ქარხნები, რომლებიც ოდესღაც მუშაობდნენ, ან გაჩერდნენ ან კიდევ ძლივსღა არსებობენ. სამუშაო ადგილების დეფიციტისა და ხელფასის დაბალი დონის გამო, მოსახლეობა

იძულებულია წავიდეს საშოვარზე ევროპის ქვეყნებში – ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, იტალია. სულ საზღვარგარეთ სამუშაოდ გასულია 7 მლნ. უკრაინელი, რომლებიც ძირითადად დასავლეთ უკრაინიდან არიან. უცხოეთში საშოვარზე სიარული უკრაინელებს უზრუნველყოფს საკუთარი არსებობისათვის საჭირო რესურსებით, მაგრამ უკრაინა, როგორც სახელმწიფო, აქედან სარგებელს ვერ ნახულობს. საბოლოო ჯამში უკრაინელების საზღვარგარეთ მუშაობა ემსახურება პირადად მათსა და იმ სახელმწიფოების კეთილდღეობას, სადაც ისინი მუშაობენ. ეს აძლიერებს ეკონომიკურ ტვირთს აღმოსავლეთის რეგიონებზე, რომლებმაც უნდა იმუშაონ იმისათვის, რომ შეინახონ საკუთარი თავიცა და დასავლეთის რეგიონებიც. დასავლეთ უკრაინის ადგილობრივი ბიუჯეტების 80% ფორმირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დოტაციის შედეგად, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტსა და საპენსიო ფონდში ეს ფული შედის შესაბამისად უკრაინის აღმოსავლეთისა და სამხრეთის რეგიონებიდან. ყოველი 6 კაპიკიდან, რომელიც გამომუშავებულია სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიერ, 4 კაპიკი მიდის დასავლეთში, ერთი რჩება ცენტრში და მხოლოდ ერთი კაპიკი ხმარდება საკუთარი რეგიონის განვითარებას (იქვე).

სასურსათო თვალსაზრისითაც, დასავლეთ უკრაინა ქვეყნის სამხრეთსა და აღმოსავლეთის რეგიონებზეა დამოკიდებული. ვინაიდან აქ ხორბლის საკვები ჯიშების მოყვანა არ არის მიზანშეწონილი, მოჰყავთ ისეთი ჯიშები, რომლებიც ადგილობრივი მეცხოველეობისათვის არის საჭირო. მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ისევე, როგორც მთელ უკრაინაში, დასავლეთშიც მეცხოველეობა განადგურებულია. დასავლეთ უკრაინის სოფლის მეურნეობის საფუძველია შაქრის ჭარხლის წარმოება, მაგრამ სსრკ-ს დანგრევის დროიდან, მოთხოვნა შაქრის ჭარხალზე შემცირდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა შესაბამისი წარმოების განვითარებაზეც. ამიტომ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის ფუნქცია კვლავ უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთის რეგიონებზე მოდის (იქვე).

ასეთმა კულტურულმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განსხვავებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილმა განსხვავებული რეაგირება მოახდინა მთავრობის გადაწყვეტილებაზე — დროებით შეეჩერებინა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა.

„მაიდანის“ გენეზისისა და განვითარების ქრონოლოგია

უკრაინის მაიდანი წარმოიშვა და განვითარდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე დაპირისპირების პირობებში. მას ბიძგი მისცა უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებამ, დროებით შეეჩერებინა ხელმოწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. ამის საპასუხოდ ხელმოწერის მომხრეებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეს აკრძალული იყო სასამართლოს მიერ, 2013 წლის 21 ნოემბერს კარვები გაშალეს ევროპის მოედანზე. მათ მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფამ გამოიწვია მილიციის ჩარევა, რომელიც, სასამართლოს ნების აღსრულების მიზნით, შეეცადა გაეწმინდა მოედანი პროტესტის მონაწილეებისაგან. 22 ნოემბერს სამართალდამცავთა უშედეგო მცდელობას, დაეშალა კარვების ქალაქი, მოჰყვა პირველი შეტაკება მომიტინგეებსა და მილიციას შორის. ეს გადაიქცა დეტონატორად საპროტესტო აქციების გავრცელებისათვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ ისინი არც მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდნენ და არც განსაკუთრებული სიმწვავით. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიტინგი გაიმართა ლვოვში — 2000 კაცის შემადგენლობით, ხოლო ყველაზე მცირერიცხოვანი ხარკოვში — 50 კაცი. მიტინგებში მონაწილეთა რაოდენობა ძირითადად ასეულობით ადამიანს არ აღემატებოდა.[3]

მაიდანი, რომელიც ჩაისახა, როგორც პასიური პროტესტის ფორმა, 24 ნოემბრიდან უკვე აქტიურსა და შემტევ ხასიათს იძენს, თანდათანობით საკუთარ ხელში იღებს ინიციატივას და სახელისუფლებო ძალებს აყენებს ისეთ პირობებში, რომ ეს უკანასკნელნი იძულებულნი ხდებიან, გამოიყენონ ძალა პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მათზე დაკისრებული კონსტიტუციური მოვალეობების შესრულება. სახელმწიფოს მიერ ძალის ასეთი იძულებითი გამოყენება უარყოფით რეზონანსს იწვევდა საერთაშორისო საზოგადოებაში, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს მაიდანს. უკრაინის ხელისუფლება, რომელიც თავად იყო ევროპაზე ორიენტირებელი, ასეთ პირობებებში იძულებული ხდება, თანდათანობით შეამციროს მაიდანისათვის წინააღმდეგობის გაწევა და საბოლოოდ შეწყვიტოს ის, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების ლეგიტიმურობის კრიზისი, რამაც ბიძგი მისცა სახელმწი-

[3] **Хронология Евромайдана https://ru.wikipedia.org**

ფოს დაშლის პროცესის დაწყებას.

მაიდანის ისტორიის დასაწყისშივე იკვეთება ოპოზიციის მისწრაფება ხელისუფლების დაუფლებისაკენ. ასეთი გარდატეხა მის აქტიურობაში დაიწყო 24 ნოემბერს და გაგრძელდა მაიდანის მთელი ხანმოკლე ისტორიის მანძილზე, სანამ მის ხელში არ გადავიდა მთელი ხელისუფლება. ამ დღეს არა მხოლოდ მკვეთრად გაიზარდა, როგორც პროტესტის მონაწილეთა აქტიურობა და გაფართოვდა პროტესტის გეოგრაფია, არამედ მაიდანმა მიიღო აგრეთვე შემტევი და ძალადობრივი ხასიათი, გაჩნდა აჯანყების პირველი ნიშნებიც.

ყველაფერი დაიწყო მშვიდობიანი აქციით. 24 ნოემბერს კიევში ჩატარდა მრავალათასიანი მსვლელობა და მიტინგი დამოუკიდებლობის მოედანზე. მიტინგის ორგანიზატორთა აზრით, მასში მონაწილეობდა 100 000, ხოლო პოლიციის მონაცემებით – 50 000 ადამიანი. მასზე გამოცხადდა უვადო აქციის დაწყება და მიიღეს „სახალხო ვეჩეს“ რეზოლუცია, რომლითაც ითხოვდნენ მთავრობის გადაყენებას (ნაციონალური ინტერესების ღალატისათვის), ევროინტეგრაციის კურსის განახლებას, ვილნიუსის სამიტზე ასოციაციის შესახებ ხელის მოწერას და სხვ. (იქვე).

24 ნოემბერს გამოიკვეთა აგრესია აქციის მონაწილეთა მხრიდან, რომლებიც პირველად შეეცადნენ, არა მხოლოდ ხელი შეეშალათ, არამედ საკუთარი კონტროლისათვის დაექვემდებარებინათ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობა. ხელისუფლების ხელში ჩაგდების პირველი მცდელობა ბერკუტის მიერ წინააღმდეგობის გაწევის შედეგად ჩაიშალა. მიტინგის შემდეგ, დემონსტრანტთა ნაწილი — ძირითადად პარტია „თავისუფლების“ მომხრეები — შეეცადნენ, რომ შეჭრილიყვნენ მინისტრთა კაბინეტის შენობაში. მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ბერკუტის სპეცრაზმელებმა, რომლებმაც გამოიყენეს ხელჯოხები და გაზი. თავის მხრივ პროტესტის მონაწილეებმაც გამოიყენეს გაზი და ისროლეს რამდენიმე ასაფეთქებელი პაკეტი. მილიციის ერთ-ერთ თანამშრომელს თავი გაუტეხეს რკინის მილით. ამის შემდეგ მაიდანის აქტიურობა სუსტდება – ყველანი ელოდებიან ვილნიუსის სამიტის შედეგებს. ღამღამობით კარვების ქალაქში მუდმივად რჩებოდა მცირე რაოდენობის ახალგაზრდობა.

მაიდანის დასაწყისშივე დაუჭირა მხარი ზოგიერთმა უცხოელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, რომლებიც არა მხოლოდ სტუმრობდნენ, არამედ მონაწილეობდნენ კიდეც მაიდანის მიერ მოწყობილ ზოგი-

ერთ აქციაში. მაგალითად, მოლოდინის რეჟიმში მყოფ მაიდანს ესტუმრა ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ლ. გრაუჟინენე (იქვე).

მაიდანმა თავიდანვე წარმოაჩინა მის რიგით შემადგენლობასა და პოლიტიკურ ლიდერებს შორის არსებული უნდობლობა, რამაც მაიდანის დროებითი გაყოფა გამოიწვია. 24 ნოემბერს, იმის გამო, რომ პროტესტის მონაწილეებს არ სურდათ პოლიტიკოსების ხილვა, პარტიების კარვები გაიშალა ევროპის მოედანზე, ხოლო საზოგადოებისა — დამოუკიდებლობის მოედანზე. ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს მაიდანის სოციალურ ძირებს, თავად მაიდანის მონაწილეებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და რაც ყველაზე საგულისხმოა — იმას, რომ ხალხი არ ენდობოდა არა მხოლოდ მთავრობის მომხრე პოლიტიკოსებს, არამედ პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილსაც, რომელიც ოპოზიციაში გადავიდა და მაიდანის ლიდერებად მოგვევლინა. ეს გაყოფა დიდხანს არ გაგრძელებულა. 26 ნოემბერს ორივე მიტინგი გაერთიანდა, ხოლო ოპოზიციის ლიდერებმა და კარვების ქალაქის ორგკომიტეტმა განაცხადეს, რომ ისინი ერთიანნი იყვნენ. იულია ტიმოშენკომ მოუწოდა ხალხს, რომ მაიდანიდან მოეშორებინათ პარტიული სიმბოლიკა. მაიდანი უნდა გაგრძელებულიყო 2013 წლის 1 დეკემბრამდე. ამ დღეს ოპოზიციის ლიდერებმა დანიშნეს დამამთავრებელი აქცია, რომლითაც უნდა დამთავრებულიყო პირველი ფაზა (იქვე).

30 ნოემბერს ღამის 4 საათზე მილიციამ მოითხოვა მაიდანის დაშლა, რომელიც ახალი წლისათვის უნდა მოემზადებინათ. ამ მოთხოვნას მომიტინგეები არ დაეთანხმნენ. შედეგად მოხდა მათი დარბევა, რაც, მილიციის მონაცემების მიხედვით, მომიტინგეთა მხრიდან წესრიგის დამცველების მიმართ მიმართული აგრესიის შედეგი იყო. განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა „მემარჯვენე სექტორი", რომლის საიტიც „ბანდერელი" ამ დროს წერდა, რომ „მემარჯვენე სექტორმა" გამძაფრებული წინააღმდეგობა გაუწია ბერკუტს. ამის მიუხედავად, ქსელში ხვდება მხოლოდ დემონსტრანტების ცემის ფაქტები. მასმედია მოსახლეობის ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო განწყობის გაძლიერების მიზნით, მხოლოდ წესრიგის დამცველების მხრიდან განხორციელებული ძალადობის ფაქტებს აშუქებდა. სწორედ ამაზე მოუთითებს ის ფაქტი, რომ პირველი სიუჟეტი, რომელშიც ნაჩვენებია პროვოკაციები მემარჯვენე ორგანიზაციების აქტივისტების მხრიდან, გამოჩნდა მხოლოდ 30 ნოემბერს, დღისით, და გაგრძელდა მხოლოდ

30 წამის განმავლობაში. ხოლო ის, თუ რა ხდებოდა მოედანზე მოვლენათა განვითარების დასაწყისში, არ იქნა ნაჩვენები. მაიდანის ძალის გამოყენებით დაშლამ გამოიწვია ფორმალური მოტივაციის წარმოშობა „ეროვნული წინააღმდეგობის შტაბის" შექმნისა და მაიდანის აქტივისტების ახალი აგრესიის განსახორციელებლად, რაც 1 დეკემბერს სამთავრობო დაწესებულებებზე თავდასხმით და ახალი ტალღის აგორებით გამოიხატა (იქვე).

30 ნოემბერს პროტესტის ახალ აქციას საფუძველი ჩაუყარა ამავე დღეს მიხაილოვის მოედანზე დაწყებულმა მიტინგმა, რომელზედაც, სვადასხვა მონაცემებით, შეიკრიბა 10-დან 15 ათასამდე ადამიანი. მიტინგის დაწყებამდე, ოპოზიციის ლიდერები არსენ იაცენიუკი, ვიტალი კლიჩკო და ოლეგ ტიაგნიბოკი შეხვდნენ ევროკავშირის წარმომადგენლებს. მიტინგზე წამოაყენეს მოთხოვნები, რომელთაგანაც მთავარი იყო პრეზიდენტ იანუკოვიჩის გადადგომა, შინაგან საქმეთა მინისტრის ვიტალი ზახარჩენკოსა და მთელი რიგი ოლქების „ბერკუტის" მეთაურების პასუხისგებაში მიცემა, რომლებმაც ძალა გამოიყენეს მომიტინგეების წინააღმდეგ. მიტინგზე იაცენიუკმა ხალხს მოუწოდა საგაფიცვო კომიტეტების შექმნისაკენ და უკრაინის პრეზიდენტისა და მთავრობის ვადამდელი გადადგომის მიზნით საერთო ეროვნული გაფიცვის გამოცხადებისაკენ. მიხეილის მოედანზე იწყება თვითდაცვის რაზმების შექმნა.

30 ნოემბერს ევრომაიდანის დაშლამ ძლიერი რეზონანსი ჰპოვა რეგიონებში. რეგიონალურმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა მიიღეს ერთმანეთისაგან განსხვავებული რეზოლუციები – ზოგი მხარს უჭერდა მთავრობას, ზოგი კი ოპოზიციას. მთავრობის მხარდამჭერთაგან ყველაზე უფრო რადიკალურობით გამოირჩეოდა ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელმაც არა მხოლოდ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ევროინინტეგრაციის კურსიის შეჩერებას, არამედ ოპოზიციის მოქმედება შეაფასა, როგორც დესტრუქციული და გამოვიდა მოწოდებით რუსეთთან მეგობრული კავშირების განმტკიცებისკენ. ის მთავრობისგან მოითხოვდა წესრიგის დამყარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საგანგებო მდგომარეობის შემოღებასაც. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი გამოაცხადა, რომ რეგიონის ავტონომიას ემუქრებდა საფრთხე და მის მცხოვრებლებს მოუწოდა, მზად ყოფილიყვნენ ავტონომიის დასაცავად. დონეცკის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ განაცხადა

,რომ პრეზიდენტი კანონიერად იყო არჩეული და დონბასი დაიცავდა თავის არჩევანს. დონეცკის საქალაქო საბჭომ დაგმო ძალის გამოყენება ევრომაიდანის მონაწილეების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს გამოხატა შეშფოთება მაიდანის მიერ საერთო ეროვნული პოლიტიკური გაფიცვისაკენ მოწოდების გამო (იქვე).

განსხვავებული პოზიცია დაიკავეს დასავლეთ უკრაინაში. იმიერკარპატების საოლქო საბჭომ მხარი დაუჭირა ევრომაიდანის მონაწილეებს, ხოლო ევრომაიდნის დაშლას კი დანაშაული უწოდა. მან მოითხოვა მთავრობის გადადგომა,ხოლო მოქალაქეთა წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდების გამოყენების შემთხვევაში სამოქალაქო დაუმორჩილებლობისა და უკრაინის საერთო გაფიცვაში მონაწილეობის უფლება დაიტოვა. ივანოვო-ფრანკოვსკის საოლქო საბჭომ დაგმო 30 ნოემბერს ევრომაიდანის დაშლა და ევროკავშირსა და აშშ-ს მოუწოდა, რომ სანქციები დაეწესებინა უკრაინული ხელისუფლების წინააღმდეგ. მან აგრეთვე უნდობლობა გამოუცხადა საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციას და მიიღო გადაწყვეტილება მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების გამოთხოვის შესახებ. კიევის საოლქო საბჭომ თავის გადაწყვეტილებით დაგმო ევრომაიდანზე მილიციის მოქმედებები. ლვოვის საოლქო საბჭომ, ივანოვო-ფრანკოვსკის მსგავსად, საოლქო სახელმწიფო ადმინისტარაციას ჩამოართვა მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებები. ლვოვის მერმა ანდრეი სადოვიმ განაცხადა, რომ არ დაუშვებდა ევრომაიდანის დარბევას ლვოვში და დაგმო ბერკუტის ძალადობრივი მოქმედება კიევში. ლვოვის საქალაქო საბჭოში კი რეგიონების პარტიის ფრაქციამ შეწყვიტა არსებობა.

ოდესის ოლქში ოდესის საქალაქო საბჭომ მოუწოდა ხალხს, რომ თავი შეეკავებინათ რადიკალური განცხადებებისაგან, ხოლო პრეზიდენტს — მიეღო ზომები სიტუაციის სტაბილიზაციისათვის და გაეთვალისწინებინა ხალხის აზრი საგარეო ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების დროს. საბჭო პოლიტიკური პარტიებისგან მოითხოვდა ხელისუფლებასთან ცივილიზებული დიალოგის წარმოებას.

ტერნოპოლის საოლქო საბჭომ უნდობლობა გამოხატა ტერნოპოლის საოლქო სახელმწიფო ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა მილიციის განსაკუთებული დანიშნულების რაზმების ლიკვიდაცია. ხარკოვის ოლქში ხარკოვის საოლქო საბჭომ მხარი დაუჭირა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას, შეერთებოდნენ ევროპის საზოგადოებას, რომელსაც ახასიათებს ცხოვრების მაღალი

დონე, დემოკრატია და კანონის პატივისცემა, აგრეთვე — ზომიერსა და თანამიმდევრულ ზომებს, რომელსაც ამ მიმართულებით იღებდა უკრაინის პრეზიდენტი და მთავრობა. მან აღიარა ადამიანების მიერ ნების თავისუფლად გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების უფლება, მაგრამ ამავე დროს დაგმო ოპოზიციის მოქმედებები, რომელიც სახელმწიფოში სოციალურ დაძაბულობის გამოწვევაზე იყო მიმართული (იქვე).

1 დეკემბერს, კიევში, ოპოზიციის კოლონა გაემართა მიხაილოვის მოედნიდან ჯერ შევჩენკოს პარკის, ხოლო შემდეგ კი დამოუკიდებლობის მოედნისაკენ, რომელიც მათ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიკავეს: მილიციამ უბრძოლველად დაუთმო მათ მოედანი, რომელიც მომზადებული იყო ახალი წლის შესახვედრად. ამ აქციაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ევროპელი დიპლომატები, ევროპარლამენტარები და სხვა უცხოელი პოლიტიკური მოღვაწეები. მსვლელობის პროცესში კოლონის რაოდენობა 100 ათასამდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ მიტინგის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ მიტინგი, რომელსაც უწოდეს „სახალხო ვეჩე“, არ გასცდებოდა თავისუფლების მოედანს, მიტინგის მსვლელობის პროცესში მემარჯვენე აქტივისტებმა იერიში განახორციელეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაზე მისი დაუფლების მიზნით, რომლის დროსაც ძალა გამოიყენეს უიარაღო შინაგანი ჯარის მებრძოლთა წინააღმდეგ. იერიშის მოგერიება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბერკუტის გამოძახების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე ორგანიზაციის წარმომადგენლები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სწორედ ისინი იღებდნენ მონაწილეობას პრეზიდენტის ადმინისტრაციის შტურმში, ოპოზიციის ლიდერებმა თავიდან ეს მოვლენა მთავრობის პროვოკაციად მონათლეს, მაგრამ მალევე დაიწყეს შტურმის მონაწილეების დაცვა და მათი პატიმრობიდან განთავისუფლების მოთხოვნა. რეალურად ეს ნიშნავდა ოპოზიციის ლიდერების მხრიდან ძალადობრივი მოქმედებების მხარდაჭერასა და წახალისებას. იმავე დღეს ოპოზიციამ დაიწყო სახელმწიფო ორგანოების შენობების დაკავება, რაც სამართლებრივ პირობებს ქმნიდა მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისათვის, მაგრამ იანუკოვოჩის მთავრობამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა. დაახლოებით პირველი საათისათვის, მემარჯვენე სექტორის აქტივისტებმა დაიკავეს კიევის სახელმწიფო საქალაქო ადმინისტარციის შენობა, სადაც განთავსებული იყო,

აგრეთვე, კიევის საქალაქო საბჭო. იმავე დღეს მათ დაიკავეს პროფკავშირების სახლი, ხოლო 2 დეკემბერს — ოქტომბრის სასახლე. მთავრობა იძულებულია, გადავიდეს თავდაცვის რეჟიმზე, რათა თავი დაიცვას მაიდნის აქტივისტების აგრესიისაგან. ამ მიზნით კიევში შემოიყვანეს შინაგანი ჯარის 100 მოსამსახურე, რომლებიც სახელმწიფო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების გასწვრივ განალაგეს. ამავე დროს მაიდანზე აგებენ ბარიკადებს შტურმისაგან თავის დასაცავად და ქმნიან თავდაცვის რაზმებს (იქვე).

უკრაინაში განვითარებული მოვლენები თავიდანვე მოექცა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში. კიევში ჩამოვიდა ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთაშორისო საქმეებში და უსაფრთხოების პოლიტიკაში ქრისტინ ეშტონი, რომელიც შეხვდა ვ. იანუკოვიჩს და შეატყობინა გაერთიანებული ევროპის აზრი, რომ ყველა საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მშვიდობიანად. მაგრამ პრობლემის ასეთი გადაწყვეტა საჭიროებდა ორივე დაპირისპირებული მხარის თანამშრომლობას, რაც შეუძლებელი იყო მემარჯვენე სექტორის შეურიგებლობისა და აგრესიულობის გამო; ამასთანავე, იგი სათანადო წინააღმდეგობას არ აწყდებოდა არც ოპოზიციის და არც ევროკავშირის მხრიდან. მათი პოზიცია, პირიქით, ხელს უწყობდა მემარჯვენეების აგრესიულობის გაძლიერებას და მთავრობის მიერ წინააღმდეგობის გაწევის უნარის დასუსტებას. კიევში ჩამოვიდა აგრეთვე აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი. საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად გადაწყდა „მრგვალი მაგიდის“ გამართვა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

მთავრობასთან დაპირისპირების პროცესში მიმდინარეობს მაიდანის ორგანიზაციული და პოლიტიკური განვითარება. იქმნება მისი საკოორდინაციო საბჭო, ყალიბდება თავდაცვის რაზმები საკუთარი მეთაურებითურთ, ხოლო 22 დეკემბერს ჩატარებულ მორიგ ვეჩეზე გამოცხადდა სახალხო გაერთიანება „მაიდანის“ შექმნა. მაიდანი ჩამოყალიბდა ორგანიზაციად საკუთარი მართვის ორგანოებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტატუსით, როგორც რეალური ძალისა და გავლენის ცენტრი, სახელმწიფოსადმი დაპირისპირებული კარგად ორგანიზებული და კოორდინირებული ძალა, რომელიც აშკარად სარგებლობდა საერთაშორისო მხარდაჭერით, რაც აძლიერებდა მის ლეგიტიმაციას და როგორც მორალურად, ასევე პოლიტიკურად აძლიერებდა მას.

ხელისუფლება სულ უფრო მეტად კარგავდა სიტუაციაზე კონ-

ტროლს. ქვეყანაში მკვიდრდებოდა უკონტროლობა და ძალადობა. ასეთ პირობებში, საკუთარ ხელში ინიციატივის აღებისა და სიტუაციის შემობრუნების მიზნით, მთავრობა შეეცადა შეეცვლა კანონმდებლობა. 2014 წლის 16 იანვარს პარლამენტმა მიიღო კანონები, რომლებიც მიმართული იყო უკრაინაში ძალადობის ტალღის შემცირებისა და წესრიგის აღდგენისაკენ. ახალი კანონების მიღებამ პროტესტისა და ძალადობის ახალი ტალღის აგორება გამოიწვია. 19 იანვარს ჩატარებულმა ვეჩემ 16 იანვრის კანონები დიქტატურის დამყარების მცდელობად გამოაცხადა. მან მოითხოვა სახალხო მთავრობის შექმნა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ამას თან მოჰყვა სამთავრობო დაწესებულებების ბლოკირების ახალი ტალღის აგორება. შეჯახებები დაიწყო მას შემდეგ, რაც მილიციამ აღკვეთა ოპოზიციის მხრიდან უზენაესი რადის დაბლოკვის მცდელობა, რომლებიც 16 იანვარს მიღებული კანონების გაუქმებას მოითხოვდნენ. იმავე დღის სამი საათისათვის აქტივისტების ორმა ჯგუფმა გაარღვია დაცვის კორდონი და შტურმით აიღო სამთავრობო კვარტალი (იქვე).

თებერვალში ხელისუფლება საბოლოოდ კარგავს წინააღმდეგობის გაწევის უნარს და სიტუაციის კონტროლი მთლიანად გადადის მაიდანის ხელში. 19 თებერვალს ოპოზიციამ დაიკავა მთავარი ფოსტამტი, კონსერვატორია და რადიოს სახელმწიფო კომიტეტი. 21 თებერვალს უკრაინის შსს-ის ცნობით, მაიდანის აქტივისტებმა კვლავ დაარღვიეს დაზავება და ცეცხლი გაუხსნეს შსს-ის თანამშრომლებს. ასეთი დაპირისპირების ფონზე სიტუაციის განმუხტვის უკანასკნელ მცდელობას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ვიქტორ იანუკოვიჩის, ხოლო, მეორე მხრივ, ოპოზიციის ლიდერების – ვიტალი კლიჩკოს, არსენი იაცენიუკისა და ოლეგ ტიაგნიბოკის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება „უკრაინის პოლიტიკური კრიზისის დარეგულირების შესახებ“. ეს დოკუმენტი შეიქმნა პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის ევროკავშირისა და რუსეთის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად და ითვალისწინებდა 2004 წლის კონსტიტუციაზე დაბრუნებას ანუ საპარლამენტო-საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლას, სამთავრობო ძალების გაყვანას კიევიდან და ოპოზიციის მიერ იარაღის ჩაბარებას.

ხელის მოწერის მოწმეებად გამოვიდნენ გერმანიისა და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრები და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონტინენტური ევროპის დეპარტამენტის ხელმძ-

ღვანელი. ამასთან, უზენაესმა რადამ მიიღო დადგენილება ყველა დაკავებულის გათავისუფლებისა და 2004 წლის კონსტიტუციაზე დაბრუნების შესახებ. ბერკუტმა და შსს-ის ქვედანაყოფებმა დატოვეს კიევი (იქვე). შექმნილ სიტუაციაში ეს იყო ხელისუფლების ნებაყოფლობითი განიარაღება შეტევაზე გადმოსული შეიარაღებული ოპოზიციის წინაშე. ოპოზიციის ყველა მოთხოვნა შესრულებული იყო და ამ უკანასკნელის რეალური სურვილის შემთხვევაში, მოვლენები მშვიდობიანი გზით განვითარდებოდა, მაგრამ ოპოზიციას არაფრის დათმობა არ სურდა. როგორც მოვლენების განვითარებამ გამოამჟღავნა, ოპოზიცია არ აპირებდა შეთანხმებას, მას სურდა, ერთპიროვნულად დაუფლებოდა ხელისუფლებას. ასეთ პირობებში მოხდა ხელისუფლების განიარაღება შეიარაღებული ოპოზიციის წინაშე, რომელმაც დაუყონებლივ ისარგებლა ამით და საკუთარ კონტროლს დაუმორჩილა სახელმწიფო სტრუქტურები.

მაიდნის ახალი მოთხოვნით, თუ იანუკვიჩი არ გადადგებოდა 22 თებერვლის 10 საათამდე, ხალხი შეიარაღებულ შეტევაზე გადავიდოდა.[4] ასეთი ფონი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მემარჯვენე სექტორის აქტიურობისათვის, რომელმაც ასევე არ მიიღო ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმება. ის უკმაყოფილო იყო იმით, რომ მასში არ იყო გათვალისწინებული იანუკოვიჩის დაუყონებლივი გადადგომა და რადის დათხოვნა. მემარჯვენე სექტორი მაიდანის მსგავსად იმუქრებოდა, რომ თუ პრეზიდენტი დაუყონებლივ არ გადადგებოდა, მაშინ ის შტურმით აიღებდა პრეზიდენტის ადმინისტარციასა და უზენაეს რადას. გარდა ამისა, მას არ აწყობდა რეფორმების თანდათანობით განხორციელება, რაც დოკუმენტით იყო გათვალისწინებული და სხვ. მემარჯვენე სექტორის ლიდერმა დიმიტრი იაროშმა ამ დოკუმენტს მორიგი თვალის ახვევა უწოდა და უარი განაცხადა მის შესრულებაზე.

22 თებერვლის ღამით, ევრომაიდანის აქტივისტემა დაიკავეს სამთავრობო კვარტალი, რომელიც დატოვებული ჰქონდათ სამართალდამცავებს, და თავის კონტროლს დაუქვემდებარეს უზენაესი რადის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მინისტრთა კაბინეტის და შსს-ს შენობები და მოითხოვეს იანუკოვიჩის დაუყონებლივი გადაყენება. ვლადიმერ პუტინის მოწმობით, იანუკოვიჩი ენდობოდა ოპოზიციასთან დადებულ შეთანხმებას, რომლის გარანტორებიც

[4] **Майдан освистил лидеров опозиции и дал Януковичу время до утра http://politozar.net/show-13552-maydan-osvistal-liderov-oppozicii-i-dal-yanoko0**

ევროპელი მინისტრები იყვნენ და ამიტომ გადაწყვიტა კიევის დატოვება და ხარკოვში წასვლა კონფერენციაზე დასასწრებად. მისი რწმენა, რომ დადებული ხელშეკრულება არ დაირღვეოდა, იმდენად ძლიერი იყო, რომ მან მილიციაც კი გამოიყვანა კიევიდან. პუტინს კი ასეთი მოქმედება შექმნილ სიტუაციაში გაუმართლებლად მიაჩნდა. ამ უკანასკნელის მოლოდინი გამართლდა: შეთანხმების არსებობის მიუხედავად, მეორე დღესვე, როგორც კი იანუკოვიჩმა დატოვა კიევი, ოპოზიციამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით დაიკავა მთავრობის ადმინისტრაციული შენობები.[5]

იმავე 22 თებერვალს სახალხო დეპუტატმა, პარტია ბატკივშჩინის წევრმა, ევრომაიდანის კომენდანტმა ანდრეი პარუბიმ გამოაცხადა, რომ სამთავრობო კვარტალი, უზენაესი რადა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მინისტრთა კაბინეტი და შსს გადავიდა მაიდანის კონტროლის ქვეშ, მილიციას კი მისცა წინადადება, რომ სამთავრობო კვარტალსა და კიევში კონტროლი მაიდნელებთან ერთად განეხორციელებინა. მისი განცხადების თანახმად, კიევის კონტროლი გადავიდა სამხედრო შტაბის ხელში, რომელიც არ დაუშვებდა რაიმე მოქმედებას მასთან შეთანხმების გარეშე.

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა იანუკოვიჩის უკანონო (კონსტიტუციის მიხედვით, მისი გადაყენება შესაძლებლი იყო მხოლოდ იმპიჩმენტით) გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან, რასაც საფუძვლად დაუდეს ბრალდება, რომ თითქოს მან საკუთარი ნებით აარიდა თავისი მოვალებების შესრულებას; უზენაესი რადის ხელმძღვანელობის გადადგომა და უმაღლესი სამთავრობო პოსტების დაკავება ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ. ამის შემდეგ იწყება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის რღვევისა და ტერიტორიების დაკარგვის პროცესი, სამოქალაქო ომი და ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკის ნგრევა. ეს იყო პოლიტიკური პროცესის დემოკრატიული და კონსტიტუციური საზღვრებიდან გამოსვლისათვის გადახდილი ფასი.

მაიდანის წარმოშობის მთავარი ფაქტორი იყო ფრუსტრაცია, რაც უკრაინის საზოგადოების ერთ ნაწილში წარმოშვა მთავრობის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, დროებით შეეჩერებინა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, მისი უარყოფითი შედეგების თავიდან აშორების გზების მიგნების მიზნით. ასოცირების ხელშეკრულებაზე

[5] **Путин на Валдае: «Это не я – вся Россия. Это для меня Россия вся жизнь. http://www.trud.ru/article/24-10-2014/1318910 _ putin_na_valdae eto_ne _ja _vsia_rossia_ eto_dlia_menja**

ხელმოწერა დაკავშირებული იყო იმედთან, რომ ევროკავშირის საშუალებით უკრაინა სწრაფად განვითარდებოდა, ამაღლდებოდა მატერიალური ცხოვრების დონე და დამკვიდრდებოდა ცხოვრების ევროპული სტანდარტები. ასეთი მოლოდინი უფრო გრძნობად-ემოციურ ხასიათს ატარებდა ვიდრე რაციონალურს, ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებამ გამოიწვია ძლიერი ენებათა ღელვა ხელმოწერის მომხრეებს შორის. სავარაუდოდ, ასეთი იმედგაცრუება ხელისუფლების დამხობით მაინც არ დამთავრდებოდა, რომ წინასწარ არ არსებულიყო ხელისუფლების შეცვლის გეგმა. მაიდანის მთელი მსვლელობა და განვითარება წინასწარ მომზადებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ აზრს ამტკიცებს უკრაინის უშიშროების სამსახურის ქცევაც, რომლის შეიარაღებულმა თანამშრომლებმა „ბატკივშჩინის“ პარტიის ოფისში ჩაატარეს ჩხრეკვა და მოახდინეს სერვერის კონფისკაცია. 31 იანვარს უკრაინის შსს-მ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ 2013 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, პროტესტები იყო არა სტიქიური, არამედ წინასწარ დაგეგმილი, განვითარების ძალისმიერი სცენარის ჩათვლით. სამინისტროს აზრით, ამაზე მეტყველებდა „ბატკივშჩინას“ სერვერებიდან ამოღებული მასალები. უკრაინის უშიშროების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდების ფაქტთან დაკავშირებით.[6]

მაიდანს მხარს უჭერდა აშშ და ევროკავშირიც, რაც მისი ლეგიტიმაციის გაძლიერებასა და მთავრობის გავლენის დასუსტებას უწყობდა ხელს. 1 თებერვალს კლიჩკომ და იაცენიუკმა მონაწილეობა მიიღეს მიუნჰენის კონფერეციაში, სადაც შეხვდნენ ჯონ კერის და ევროპის ხელმძღვანელებს. გარდა ამისა, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოუწოდა ევროკავშირს, რომ ადრესული სანქციები მიეღო იმ უკრაინელი ჩინოვნიკების, პარლამენტარებისა და ოლიგარქების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაში. მათ ამავე დროს მოუწოდეს ევრომაიდანელებს, თავი შეეკავებინთ ძალის გამოყენებისაგან. ევროკავშირმა დაგმო ძალადობა, როგორც მთავრობის ასევე ოპოზიციის მხრიდან; მოუწოდა მთავრობას ბერკუტისა და სხვა სპეცდანაყოფების გამოყენების შეწყვეტისაკენ და ა. შ. მოცემულ სიტუაციაში ასეთი რეზოლუცია დესტრუქციული ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს, რომელთა წინააღმდეგ, როგორც ევროკავშირს, ასევე ოპოზიციის სხვა ლიდერებსაც რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ევ-

[6] **Хронология Евромайдана https://ru.wikipedia.org**

როკავშირს შეეძლო თავისი ავტორიტეტის გამოყენება ექსტრემისტული ძალების წინააღმდეგ, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია. მისი ავტორიტეტი რეალურად იანუკოვიჩის მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოხატა თავისი უკმაყოფილება ევროკავშირის მიერ უკრაინის მთავრობის შეფასების გამო. გაუგებარია, რა ზომები უნდა მიეღო მთავრობას, როცა ოპოზიცია შეტევებს ახორციელებდა სამთავრობო დაწესებულებების წინააღმდეგ? ასეთ პირობებში ბერკუტისა და სხვა რაზმების გამოყენებაზე უარის თქმა არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების კაპიტულაციის ტოლფასი იყო. საბოლოო ჯამში ასეც მოიქცა უკრაინის მთავრობა, რამაც ეს სახელმწიფო კატასტროფის წინაშე დააყენა.

როგორც ვნახეთ, იანუკოვიჩის მთავრობის გადაწყვეტილებას ასოცირების ხელშეკრულების შეჩერების შესახებ ერთნაირი რეაქცია არ გამოუწვევია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. მას მოწინააღმდეგეების გარდა ჰყავდა მომხრეებიც, რაც უკრაინის სხვადასხვა რეგიონის განსხვავებული პოლიტიკური კულტურის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. აღმოსავლეთის რეგიონებისათვის, სადაც განლაგებულია სამრეწველო ცენტრები, ის ეკონომიკურად ზიანის მომტანი იყო, რადგანაც გამოიწვევდა უმუშევრობას, წარმოებისა და შემოსავლების შემცირებას და ა. შ. ამიტომ აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებლებისათვის ნათელი იყო ამ ხელშეკრულების უარყოფითი შედეგები. ამ ხელშეკრულების შედეგები ნაკლებად გამჭვირვალე იყო აგრარული დასავლეთ უკრაინის მცხოვრებთათვის, სადაც წარმოება ისედაც გაჩერებული იყო, ხოლო უმუშევრობის დონე კი მაღალი. ამიტომ დასავლეთ უკრაინის მცხოვრებლები ინდივიდუალურ დონეზე, ერთი შეხედვით, არაფერს კარგავდნენ – პირიქით, იგებდნენ კიდევაც, რადგანაც მათ ეს ხელშეკრულება საშუალებას აძლევდათ, რომ უფრო ადვილად ევლოთ ევროპაში საშოვარზე. მაგრამ ინდივიდუალურ დონეზე არსებული სარგებლობის მიღების ასეთი მოლოდინი, ნიღბავდა იმ ზიანს, რასაც აღმოსავლეთ უკრაინის მრეწველობის გაჩერება მოუტანდა დასავლეთ უკრაინის რეგიონებს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთ უკრაინა უშუალოდ ესაზღვრება ევროკავშირის ქვეყნებს, რაც აგრეთვე აძლიერებს მის ევროპულ ორიენტაციასა და მოლოდინს.

ევრომაიდანის აქტიური მხარდამჭერი იყო ახალგაზრდობის ნაწილი, განსაკუთრებით სტუდენტობა, რომელიც ასევე დიდ

იმედებს ამყარებდა ევროპასთან დაახლოებაზე, რასაც უკავშირებდა ცხოვრების ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას, საკუთარ კარიერულ მიზნებს, ხარისხიანი, ევროპული განათლების მიღებას, ევროპაში ცხოვრებასა და მუშაობას, მაღალ ანაზღაურებას და ა. შ. ახალგაზრდობის პოლიტიკურ ცნობიერებაში ევროკავშირის მითოლოგიზებული სახის არსებობა ნაკლები ინფორმირებულობის შედეგი იყო. სწორედ ამას მოწმობს სტუდენტთა ქცევების შეცვლა პოლონელი პუბლიცისტის კიპრიან დარჩევსკისთან საუბრის შემდეგ, რომელიც მან ჩაატარა თავის სტუდენტებთან დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში. სტუდენტებს შორის, ევროკავშირთან მიერთების მოტივაციის წარმოშობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა უვიზო რეჟიმის შემოღების, უფრო მაღალი გამომუშავების მიღების, გზების გაუმჯობესების მოლოდინი. სტუდენტები მხარს არ უჭერდნენ იანუკოვოჩს იმის გამო, რომ ის მიაჩნდათ ევროკავშირის მოწინააღმდეგედ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ის პოზიციებს შეიცვლიდა, მაშინ ახალგაზრდები მზად იყვნენ, მისი მმართველობა მიეღოთ.

დარჩევსკიმ აუხსნა თავის სტუდენტებს, რომ უვიზო რეჟიმის მიღება, რომელიც მოქმედებდა ბევრ ისეთ ქვეყანასთან, რომელიც არ იყო გაერთიანებული კავშირში, არ საჭიროებდა ევროკავშირში შესვლას. მან ახალგაზრდებს ისიც უთხრა, რომ ევროკავშირი არ გაზრდიდა შემოსავლებს, რაც აუდიტორიამ უნდობლად მიიღო. სამაგიეროდ, არცერთ სტუდენტს არ სურდა, უფრო მეტი ფული გადაეხადა სხვადასხვა მომსახურებაში, მათ შორის გაზსა და ბენზინში. დარჩევსკის მოწმობით, ახალგაზრდებთან ნახევარსაათიანი საუბრის შემდეგ, მათი ევროენთუზიაზმი საგრძნობლად დასუსტდა.[7]

აღსანიშნავია ისიც, რომ უკრაინაში არსებული ფართოდ გავრცელებული კორუფციის ფონზე, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება საზოგადოების ერთ ნაწილში, რომელიც არ იყო დაკავშირებული მრეწველობის წამყვან დარგებთან, აღქმული იყო როგორც არსებული სიტუაციიდან გამოსვლის საშუალება. მაიდანის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, აგრეთვე, უკრაინაში არსებულმა არაჯანსაღმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ, რომელიც ფართოდ გავრცელებულ კრიმინალსა და კორუფციას უკავშირდება.

[7] **Киприан Дарчевски. Польша-Украина: окно с видом на психушку. http://www.polska-kaliningrad.ru/news/2541-polandukraine**

მაიდანის გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში

უკრაინის მოვლენების გავრცელების პერსპექტივა სამხრეთ კავკასიაში დამოკიდებულია უკრაინული მაგალითის მიმართ ამ ქვეყნების რეზისტენტულობის სიძლიერეზე, რასაც განსაზღვრავს პოლიტიკური რეჟიმების სტაბილურობის დონე. ამ რეგიონში გარედან წამოსული იმპულსების მიმართ ყველაზე მგრძნობიარე თითქოს საქართველო უნდა იყოს. აქ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 24 წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება და მხოლოდ ერთხელ არჩევნების გზით — 2012 წელს, როცა ნაციონალებმა დაკარგეს ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შედეგად. მანამდე ხელისუფლების ცვლა მიმდინარეობდა რუსთაველის მოედანზე, პარლამენტის წინ დაწყებული აქციების — ქართული მაიდნების საშუალებით. პარლამენტს ყოველთვის აკონტროლებდა პრეზიდენტის პარტია. მაგრამ, ამავე დროს, ავტორიტარული ელემენტების გვერდით არსებობდა კარგად განვითარებული დემოკრატიული ელემენტებიც, რომლის ბოლომდე დამორჩილებასაც ხელისუფლება ვერ ახერხებდა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საზოგადოებაში დაგროვებული პროტესტის პერიოდულად აფეთქების საფუძველზე ხელისუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლისათვის. ასეთი ცვლილების შემდეგ, გამარჯვებული ძალა ატარებდა პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნებს, რითაც ხდებოდა ხელისუფლების არაკონსტიტუციურად ცვლის ლეგიტიმაცია და პოლიტიკური პროცესიის კონსტიტუციურ საზღვრებში მოქცევის იმიტაცია. ასეთი პერიოდული აფეთქებების ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო ხალხი, ხოლო მიზეზი — მისი უკიდურესი გაჭირვება.

იმის გამო, რომ ამ ადამიანებს არ ჰყავდათ საკუთარი ინტერესების გამომხატველი ძლიერი პოლიტიკური ძალები, მათ უკმაყოფილებას ხელისუფლებაში მოსვლისათვის იყენებდნენ ის პოლიტიკური სუბიექტები, რომლებსაც საზოგადოებაში დაგროვებული უკმაყოფილების მობილიზაციის საფუძველზე საპროტესტო ტალღის აგორებისა და წარმართვისათვის საჭირო მატერიალური და ორგანიზაციული რესურსები გააჩნდათ. საპროტესტო აქციების ლიდერებისა და რიგითი მონაწილეების ინტერესები და მოტივაციები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებოდა. ხელისუფლების ყოველი მორიგი ცვლილების შემდეგ, ეს განსხვავება მალევე ხდებოდა ნათელი, რაც ახალი

უკმაყოფილების დაგროვებას იწვევდა საზოგადოებაში და ამზადებდა ხელისუფლების მორიგ ცვლას ქართული მაიდანის საშუალებით. მაგრამ მაიდანის პოტენციალი საქართველოში საგრძნობლად დასუსტდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რომელმაც თითქოს დროებით გამოუშვა ორთქლი პოლიტიკური სისტემიდან.

საქართველოს პოლიტიკურ სისტემაზე ზეწოლის დროებითი დასუსტების შედეგია ის, რომ: 1. გაძლიერდა უნდობლობა პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას შორის, რომელიც ყოველი წარმატებული მაიდანის შემდეგ იმედგაცრუებული რჩებოდა. დღეს ჯერ-ჯერობით არ ჩანს ისეთი პარტია ან პიროვნება, რომელიც შეძლებდა თავის ირგვლივ პროტესტულად განწყობილი საზოგადოების საკმარისად დიდი მასის მობილიზაციას;

2. 2012 წლის არჩევნების შედეგად, ხელისუფლებაში ქართული ოცნების მოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად შესუსტდა სახელმწიფოს ზეწოლა საზოგადოებაზე, გაიხსნა პოლიტიკური სისტემა. მან აჩვენა, რომ არჩევნების გზით საქართველოში შესაძლებელია ხელისუფლების შეცვლა.

3. მიუხედავად ქართული ოცნების გავლენის მნიშვნელოვანი დასუსტებისა და მის მიმართ არსებული იმედების გაცრუებისა, საზოგადოებაში არ არის დაგროვებული იმ დონის უკმაყოფილება და სიძულვილი ხელისუფლებისადმი, რომელიც ქუჩაში გამოიყვანდა ადამიანების იმ რაოდენობას, რომელიც უკრაინული სცენარის გამეორებისათვის არის საჭირო;

4. სავარაუდოდ, ხელისუფლება გადამჭრელ ზომებს მიიღებს ოპოზიციის მხრიდან შესაძლებელი პროვოკაციური და კანონსაწინააღმდგო ქმედებების აღსაკვეთად, რაც მანამდე არ გაუკეთებია არცერთ ქართულ მთავრობას, რომელიც მაიდანის მსხვერპლი აღმოჩნდა, და არც იანუკოვიჩს უკრაინაში. პოსტსაბჭოთა მაიდანების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის ხელისუფლების არაადეკვატური რეაგირება ოპოზიციის კანონსაწინააღმდეგო, აგრესიული, პროვოკაციული ქმედებებზე. ნოემბრის მოვლენების დროს, სააკაშვილმა უკანონოდ გამოიყენა ჯარი და პოლიცია ქართული მაიდანის წინააღმდეგ და შეძლო საკუთარი პოზიციების შენარჩუნება, მაშინ როცა, ვერც იანუკოვიჩმა და ვერც შევარდნაძემ ვერ შეძლო ძალის კანონიერი გამოყენება ოპოზიციის დესტრუქციული ქცევების აღკვეთის მიზნით.

5. საზოგადოებაში მნიშვნელოვნად სუსტდება პროდასავლური მუხტი. ქვეყანამ უკვე მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების

ხელშეკრულებას, რომელსაც საზოგადოებისათვის რაიმე საგრძნობი პოზიტიური ცვლილებები არ მოუტანია, რაც ხელს უწყობს ევროკავშირის დემითოლოგიზაციის დაწყებული პროცესის გაძლიერებას. საზოგადოების სულ უფრო მეტი ნაწილისათვის ნათელი ხდება რუსეთის მნიშვნელობა საქართველოსათვის. ამიტომ ის პარტიები, რომლებიც საზოგადოების მიერ აღიქმებიან, როგორც რადიკალურად პროდასავლური და ანტირუსული ორიენტაციის მატარებლები, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, საქართველო ყველაზე უფრო მეტად გამოირჩევა თავისი პროდასავლური ორიენტაციით. მაგრამ დღეს მიმდინარეობს მისი დასუსტების პროცესი.

თუ საბჭოთა კავშირისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას მივიჩნევთ დასავლეთისადმი დამოკიდებულების არაპირადაპირ მაჩვენებლად, მაშინ საბჭოთა კავშირის დანგრევისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება შეიძლება განხილული იყოს, როგორც დასავლური ორიენტაციის სიძლიერის ან სისუსტის არაპირადპირი მაჩვენებელი. გელაპის მიერ პოსტსაბჭოთა 11 ქვეყნის გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 33% უარყოფითად აფასებს საბჭოთა კავშირის დაშლას და მხოლოდ 37% მიიჩნევს მას დადებითად.[8] ეს სხვაობა, სავარაუდოდ, რამდენიმე წლის წინ, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიის დასაწყისში, გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა. სსრკ-ის დაშლისადმი უარყოფითი მაჩვენებლის ზრდა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ვშორდებით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მით უფრო ძლიერდება საზოგადოებაში საბჭოთა კავშირის დაშლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რაც პროდასავლური განწყობების დასუსტების მანიშნებელიც შეიძლება იყოს.

აქვე ისიც არის აღსანიშნავი, რომ მმართველი კოალიციის წამყვანი პარტიები სწორედ პროდასავლური ორიენტაციისანი არიან, მაგრამ გაცილებით უფრო მეტი ზომიერებით გამოირჩევიან, ვიდრე ნაციონალური მოძრაობა – ყოფილი სახელისუფლებო პარტია. ამიტომ საზოგადოების ისედაც დასუსტებული პროდასავლური ნაწილი გაყოფილია ოცნების მმართველ კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის. მათ ემატება, აგრეთვე, ალასანიას თავისუფალი დემოკრატების გადასვლა ოპოზიციაში, რაც ასევე

[8] **Институт Геллапа. Большинство жителей постсоветских стран сожалеют распад СССР. Прогрессивная социалистическая Партия Украины.(http://www.vitzenko.org/start,php2lang=3@articleid=18286)**

აძლიერებს პროდასავლური ძალების დაქსაქსვას.

მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობენ ისეთი ძალები, რომლებიც შეიძლება შეეცადონ უკრაინული სცენარის ქართული ვარიანტის განხორციელებას. ასეთია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“,“ რომელმაც ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ და არჩევნებში დამარცხების მიუხედავად, ხელისუფლების ხელშეწყობით, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს დასავლეთიდან წამოსულ ზეწოლას, ხელოვნურად შეძლო ისეთი პოზიციების შენარჩუნება პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც სრულებით არ შეესაბამება მის საგრძნობლად დასუსტებულ გავლენას საზოგადოებაში. ეს პარტია ძლიერი ოპოზიციური ფრაქციით არის წარმოდგენილი პარლამენტში, აქვს ძლიერი ტელევიზიები, ფული და კარგად დაფინანსებული „არასამთავრობო“ ორგანიზაციების მთელი ქსელი. მან შექმნა მაიდანის ავანგარდის, „მემარჯვენე სექტორის“ მსგავსი ორგანიზაცია — „თავისუფალი ზონა“, რომელსაც სავარაუდოდ შეუძლია პროვოკაციური და აგრესიული ქმედებების განხორციელება, ხელისუფლების ისეთი რეაგირების გამოწვევის მიზნით, რის გამოყენებასაც შეეცდებიან მისი დისკრეტიზაციისათვის. მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა ვერ სარგებლობს საზოგადოების მხარდაჭერით, რის გამოც ის ვერ შეძლებს იმ რაოდენობის ადამიანების ქუჩაში გამოყვანას, რაც საჭიროა ქუჩიდან ხელისუფლების დამხობისათვის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის სომხეთი ყველაზე უფრო ძლიერი პრორუსული ორიენტაციით გამოირჩევა. გელაპის გამოკითხვის მიხედვით, სომხეთის მოსახლეობის ^66% სსრკ-ის დაშლას ზიანის მომტანად მიიჩნევდა და მხოლოდ 12% თვლიდა მას სარგებლობის მომტანად (იქვე). საქართველოსაგან განსხვავებით, სომხეთის პოლიტიკური სისტემა უფრო მეტი სტაბილურობით გამოირჩევა. აქ ვერ გავრცელდა არა თუ ფერადი რევოლუცია, არამედ საერთოდ არ ჰქონია ადგილი ხელისუფლების არაკონსტიტუციურ ცვლას, სახელმწიფო გადატრიალებას, ქუჩიდან მოსული ხალხის მიერ ხელისუფლების დაუფლებას. საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც პარლამენტში დომინირებს ხოლმე ერთი პარტია, რომელიც როგორც წესი, არა მხოლოდ პრეზიდენტის მიერ არის შექმნილი, არამედ მისი გავლენის წყალობითაც არის მოხვედრილი პარლამენტში, სომხეთის პოლიტიკური სისტემა წარმოშობს საპარლამენტო კოალიციებს, რაც უკანასკნელ დრომდე უცხო იყო ქართული პოლიტიკური სისტემისათვის.მიუხედავად იმ კრიტიკისა, რაც სომხური არჩევნების მიმართ გამოითქმის, მათი გვერდის ავლით ჯერ არცერთი ხელისუფლება არ შეცვლილა.

ამის მიუხედავად, უკანასკნელ ხანს სომხეთში განვითარებული მოვლენები შეიძლება გარკვეულ საფუძველს იძლეოდეს იმისათვის, რომ დავუშვათ სომხური მაიდანის განვითარების შესაძლებლობა. სომხეთის მმართველი რესპუბლიკური პარტიის მიერ ინიცირებული საკონსტიტუიო რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს სომხეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან საპარლამენტო რესპუბლიკის მართველობის რეჟიმზე გადასვლას, ოპოზიციურმა პარტიებმა აღიქვეს, როგორც ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტის – სარქისიანის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობა, რასაც მძლავრი საპროტესტო აქციებით უპასუხეს. ერევნის მთავარ, თავისუფლების მოედანზე 2014 წლის 10 და 24 ოქტომბერს ჩატარდა მრავალათასიანი მიტინგები სამთავრობო კოალიციის გარეთმყოფი საპარლამენტო პარტიების – „აყვავებული სომხეთი“, „სომხური ეროვნული კონგრესი“ და „მემკვიდრეობის“ — ხელმძღვანელობით.

ოპოზიციამ მოითხოვა ხელისუფლების დაუყონებლივი გადადგომა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, საკონსტიტუციო რეფორმაზე უარის თქმა და გამოაცხადა უვადო ბრძოლა ხელისუფლების შეცვლისათვის. მთავრობის ურჩობის შემთხვევაში, ითვალისწინებდნენ მის შეცვლას სახალხო დაუმორჩილებლობის გზით.[9] მაგრამ უკრაინული მაიდანისაგან განსხვავებით, ოპოზიციის უკმაყოფილებას იწვევს არა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, არამედ საშინაო. მისი ლიდერები მყარად უჭერენ მხარს სომხეთის პრორუსულ ორიენტაციას და ემიჯნებიან უკრაინულ მაიდანსაც. თითოეულ მიტინგში მონაწილეთა რაოდენობა არ აღემატებოდა 18-25 ათასს ადამიანს, რაც ბევრად ჩამორჩება იმ

[9] Гордон 25 октября 2014 года. http://gordona.com./news/worldnews ; Майдан в Армении:тысячи демонстрантов в Ереване требуют смены государственной власти. Диалог-26.10.2014.http://www.dialog.ua/news/245471414178326; (Итоги митинга в Ереване:основная цель- смена власти в Армениию10.10.2014- регнум 26 октябряю2014.http://www. regnum.ru/news/polit/185585); (Следующий митинг опозиции пройдет 24 октября .7 or.arm октябрь 26,2014) Рубен Акопян: «Поставлен задача смены власти» 7 or.arm 24 октября 2014. http://www.7or.am/ru/news/view/76502/)«Мессиджи» Гасика Царуккяна обществу и Сержу Саргсяну- 7or.am октябрь 26, 2014 http://www.7 or.am/ru/news/view/75832/).(В Ереване прошел многотысячный митинг оппозиции-10.10. 2014 newsland(http://newsland.com/news/detail/id/1442803 (Невластные фракции НС подняли в парламенте два внеочередних вопроса (7 or.am Октябрь 26,2014 http://www.7 or.am/ru/news/view/76223) Глава фракции : правящая партия Армении сама осуществляет смену власти. Еркрамас. http://www.yerkramas.org/2014/10/24/glava-frakcii-pravyas hhaya-partiya-armeni)

მასას, რაც საჭიროა მაიდანის მსგავსი აქტიურობის განვითარებისათვის, ხოლო ერევნის თავისუფლების მოედანი არ გადაქცეულა პერმანენტული პროტესტის ეპიცენტრად. მისი ორგანიზატორები ხაზს უსვამდნენ ხელისუფლების მშვიდობიანი, კონსტიტუციური შეცვლის აუცილებლობას და ამით ემიჯნებოდნენ უკრაინული სცენარის გამეორების შესაძლებლობას სომხეთში. მაგალითად, სომხეთის უმდიდრესმა ადამიანმა, „აყვავებული სომხეთის“ ლიდერმა ცარუკიანმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი (ე. ი. ოპოზიცია) მაიდანს არ უჭერენ მხარს, მაგრამ, მისი სიტყვებით, „მაიდანის ალტერნატივა არ შეიძლება იყოს უძრაობა“ (იქვე). „მემკვიდრეობის“ ლიდერის, რაფიკ ოვანესიანის სიტყვებით — ეს რევოლუცია იქნება კონსტიტუციური, მშვიდობიანი და კანონიერი. მისი აზრით, სომხეთს სჭირდება აზრების, სულის, ხალხის, მოქალაქისა და ეროვნული მომავლის რევოლუცია. სომხური ეროვნული კონგრესის ლიდერი ტერ-პეტროსიანი ხაზს უსვამდა იმას, რომ ოპოზიცია კონსტიტუციის ფარგლებში გეგმავდა საერთო ეროვნული ზეწოლის ორგანიზებას მთავრობაზე მისი გადაყენების მიზნით, რომლის შემდეგაც უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტისა და პარლამენტის რიგგარეშე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები.[10]

შეიძლება დავასკვნათ, რომ სომხეთში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის წინააღმდეგობა არ არის იმდენად ღრმა, რომ მან წარმოშვას უკრაინული სცენარის გამეორების შესაძლებლობა, რასაც ხელს უშლის აგრეთვე სომხეთის პოლიტიკური ტრადიციაც.

თუ საქართველო გამოირჩევა დასავლური, ხოლო სომხეთი კი პრორუსული ორიენტაციით, ნავთობით მდიდარი აზერბაიჯანი საკუთარ თავზეა ორიენტირებული. შავი ოქროს ფლობა Aაზერბაიჯანის მთავრობას აძლევს იმის საშუალებას, რომ უფრო კმაყოფილი ჰყავდეს მოსახლეობა, ვიდრე მეზობელი სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებას. გელაპის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანში ყველაზე მეტია იმათი რაოდენობა, ვინც თვლის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სარგებლობა მოუტანა მის ქვეყანას — 44%, მაშინ როცა, იმათმა რიცხვმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ მოვლენამ აზარალა მათი ქვეყანა, შეადგინა 31%.[11]აზერბაიჯანის

[10] **Майдан в Армении:тысячи демонстрантов в Ереване требуют смены государственной власти. Диалог-26.10.2014.http://www.dialog.ua/ news/245471414178326**

[11] **Институт Геллапа. Большинство жителей постсоветских стран сожалеют распад СССР. Прогрессивная социалистическая Партия Украины. http://www.vitzenko.org/ start,php2lang=3@articleid=18286)**

პოლიტიკური ელიტა საკმაოდ ეფექტურად აკონტროლებს პოლიტიკური პროცესების ფუნქციონიერებას ქვეყანაში. ამიტომ, დღევანდელი მონაცემებით, უკრაინული მაიდანის მასშტაბის მოვლენის გამეორება აზერბაიჯანში ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიაში ამჟამად არ არსებობს ხელისუფლების დამხობისათვის საჭირო ისეთი ძლიერი და საკმარისად ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება, რაც გამოიწვია უკრაინაში იანუკოვიჩის მთავრობის მიერ ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შეჩერებამ. ოპოზიცია არ სარგებლობს ისეთი გავლენით, რომ მან შეძლოს მაიდანის მოწყობისათვის საჭირო ხალხის აუცილებელი რაოდენობის გამოყვანა ქუჩაში. სამხრეთ კავკასიის მმართველ ელიტებს საკმარისი ნებისყოფა გააჩნიათ იმისათვის, რომ დროულად აღკვეთონ აგრესიული ოპოზიციის მიერ ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ბლოკირების ისეთი შემთხვევები, რასაც ადგილი ჰქონდა კიევში განვითარებული მოვლენების დროს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უკრაინული სცენარის გამეორება სამხრეთ კავკასიაში ამჟამად შეუძლებელია, თუმცა არ გამოვრიცხავთ ოპოზიციის გარკვეული ნაწილისა და ხელისუფლების დაპირისპირების გამწვავების ცალკეულ შემთხვევებს, რომლებიც, ალბათ, მაიდანის მასშტაბებს ვერ მიაღწევენ, თუნდაც რომ ამით გარე ძალები იყვნენ დაინტერესებულნი.

მარუტ ვარდაზარიანი

**ისტორიის მეცნიერებათ კანდიდატი, დოცენტი,
ერევნის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო
ურთიერთობათა და დიპლომატიის კათედრის გამგე**

უკრაინის კრიზისი
და ქართულ-სომხური ურთიერთობები*

საკვანძო სიტყვები — *უკრაინის კრიზისი, სამხრეთ კავკასია, აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ქართულ-სომხური ურთიერთობები, MAP*

უკრაინის კრიზისი ახალ ფაზაში შევიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაზე გავრცელდა. აშშ-ს და ევროკავშირის ამ კონფლიქტში ჩართულობის გამო, მან საერთაშორისო ხასიათი მიიღო. ოფიციალურმა მოსკოვმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ არ გეგმავს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მიერთებას რუსეთთან. მიუხედავად ამისა, დასავლეთის პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ რუსეთმა თავის აღმოსავლეთ საზღვრებთან მიიღო „მინავლებული“ კონფლიქტი, რომელზეც მას არ შეუძლია რეაგირება არ მოახდინოს.

უკრაინა თანდათან იქცევა ბრძოლის არენად, ერთი მხრივ, აშშ-ს და ევროპას, და მეორე მხრივ, რუსეთს შორის. უკრაინის კრიზისი, პირველ რიგში, შიდაპოლიტიკური პრობლემების შედეგია. უკრაინისთვის, რომელიც მძიმე ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა, რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვანი პარტნიორია და თუ რუსეთი დაუყოვნებლივ არ მიიღებს ზომებს, უკრაინა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში აღმოჩნდება. „ანტიტერორისტული ღონისძიებები“ გრძელვადიან პერსპექტივაში არ შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს.

* **E. mail: marut.vardazaryan@ysu.am — თარგმანი გიორგი ვეკუასი.**

უკრაინის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დასავლეთს არ გააჩნია მკაფიო სტრატეგია დსთ-ს სივრცის მიმართ. აშშ ძირითადად კონცენტრირებულია წყნარი ოკეანის რეგიონზე, გააჩნია მრავალი გადაუჭრელი პრობლემა ახლო აღმოსავლეთში და არ სურს ბრძოლის ახალი ფრონტის შექმნა. ჯ.სოროსმა სამართლიანად აღნიშნა, რომ „ამჟამად ევროპა წარმოადგენს ქვეყანა-კრედიტორების და ქვეყანა-მოვალეების ჯგუფს, რომელშიც თითოეული ქვეყანა თავის ეროვნულ ინტერესს იცავს“.[1]

ევროპარლამენტში ბოლო არჩევნების შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ პოლიტიკური კუთხით ევროპა ახლა გარდამავალ ეტაპზე იმყოფება. ევროპის ლიბერალური საზოგადოება, გლობალური გამოწვევების გავლენის გამო, იძულებულია გადახედოს თავისი ქმედებების მრავალ ფორმატს. ამგვარად, უკრაინის კრიზისს ევროპა შეხვდა განვითარების გარდამავალ ეტაპზე, ერთიანი პოლიტიკის და მიდგომების გარეშე.

უკრაინის კრიზისის დროს მოსკოვი ითვალისწინებდა ასევე 2008 წლის აგვისტოს ქართულ-რუსული ომის გაკვეთილებს. ფრანგი ანალიტიკოსი დომინიკ მუაზი აღნიშნავს, რომ „ჩინეთმა და რუსეთმა ძალის გამოყენების საპირისპირო ლოგიკა გამოამჟღავნეს. იმ დროს, როცა ჩინეთი ცდილობს მსოფლიოს დაპყრობას და გაოცებას ოლიმპიური მედლების რაოდენობით, რუსეთს სურს გააოგნოს მსოფლიო თავისი სამხედრო ძლიერების დემონსტრაციით“.[2] რუსეთის მიერ ხისტი ძალის გამოყენებამ შეასუსტა მისი პრეტენზიები ასეთი ქმედებების კანონიერებაზე, ჩამოაყალიბა უნდობლობის ატმოსფერო აღმოსავლეთ ევროპაში და რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში. რუსეთმა ვერ მიიღო შანჰაის ორგანიზაციის მხარდაჭერა, ხოლო პოლონეთმა, რომელსაც ეეჭვებოდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საკუთარ ტერიტორიაზე განლაგების მიზანშეწონილობა, პოზიცია შეცვალა.

სოჭის ოლიმპიადის დროს რუსეთმა პასიური პოზიცია დაიკავა მაიდანზე მიმდინარე მოვლენების მიმართ. რუსი სპორტსმენების წარმატებული გამოსვლა ოლიმპიადაზე ხელს უწყობდა რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას. ამას მოჰყვა კრემლის მკვეთრი ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, რუსეთ-საქართველოს ომისგან განსხვავებით, მოსკოვის შესაძლებლობები პოლიტიკური და ეკო-

[1] **“Деловой Экспресс”, N10, март 2014 г.**

[2] **Най, С. Джозеф (младший), Будущее власти. – Москва: АСТ, 2014, с. 19.**

ნომიკური მანევრირების კუთხით უფრო შეზღუდულია. თუ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფის შემდეგ, გაეროს გენ. ასამბლეაზე, ანტირუსული რეზოლუცია მიღებულ იქნა 14 ხმით, 11-ის წინააღმდეგ, ხოლო 105-მა თავის შეიკავა, ყირიმის რეფერენდუმის შემდეგ გაეროს რეზოლუცია რუსეთის ქმედებების დაგმობით, უკვე 100 ხმით იქნა მიღებული, 11 იყო წინააღმდეგი, 58-მა თავი შეიკავა. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ უფრო ნაკლები ყურადღება მიაქცია სამხრეთ კავკასიის მოვლენებს, ვიდრე ყირიმისა.

უკრაინის კრიზისმა გამოძახილი ჰპოვა სამხრეთ კავკასიაშიც. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყირიმის მოვლენების შემდეგ დსთ, როგორც ინტეგრაციული პროექტი, მნიშვნელოვნად ჩიხში შევიდა. ბელოვეჟის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი იყო თანამეგობრობის ფარგლებში საზღვრების ურღვევობის აღიარება. თუ 2008 წელს მოხდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე საზღვრების გადასინჯვის პირველი მცდელობა, 2014 წლის პრეცედენტი უკვე სხვაგვარ ხასიათს ატარებდა. ამ შემთხვევაში საქმე ეხება სადავო ტერიტორიას, რომელიც მეორე სახელმწიფოს ნაწილი ხდება. მოვლენების ამგვარ განვითარებაში თავისი წვლილი მიუძღვის ვაშინგტონს და ბრიუსელსაც. ცივი ომის დამთავრების შემდეგ თამაშის წესები მოითხოვდნენ, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკების და საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა არ უნდა გავრცელებულიყო სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებზე, ოლქებზე და მხარეებზე. ჩეჩნეთის შემთხვევაში ეს პირობა შესრულდა და დასავლეთი საუბრობდა ადამიანის უფლებების საკითხებზე, მაგრამ არა თვითგამორკვევაზე.

თუმცა, კოსოვის აღიარებით, დასავლეთმა პირველმა დაარღვია თამაშის წესები. რაზეც რუსეთმა განაცხადა, რომ ადეკვატური პასუხის სახით, სცნობს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ჟირაირ ლიპარიტიანის ცნობით[3], საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მას უთხრა, რომ „იმ დროს ვაშინგტონში ის შეხვდა კონდოლიზა რაისს და სთხოვა მას, რომ აშშ არ წასულიყო ამ ნაბიჯზე და არ ეცნო კოსოვოს დამოუკიდებლობა, რადგან ეს მათთვის თავის ტკივილი გახდებოდა. რაისმა უთხრა მას, რომ ეს საკითხი დახურულია“.

ყირიმის მოვლენები არაერთგვაროვნად იქნა აღქმული თბილისში, ბაქოსა და ერევანში. საქართველოსა და აზერბაიჯანისთვის უკრაინა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური პარტნიორია. ეს

[3] ჟირაირ ლიპარიტიანი 1991-1997 წწ. იყო პრეზიდენტ ლ. ტერ-პეტროსიანის საგანგებო დავალებათა დესპანი.

სამი სახელმწიფო შედის სუამში და ერთნაირი პოზიცია გააჩნიათ ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. სწორედ ამ მიზეზით, ევროპის საბჭოში ბაქომ დახმარება აღმოუჩინა კიევს და დაგმო რუსეთის ნაბიჯები ყირიმის მიერთებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება საქართველოს, უკრაინის საკითხში ოფიციალური თბილისის პოზიცია ძირითადად ემთხვევა დასავლეთის მიდგომას. საქართველოს პარლამენტმა ბობოქარი სამდღიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო „ქართული ოცნების“ რეზოლუციის პროექტი „უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის მხარდაჭერის შესახებ“. ეს რეზოლუცია 75 ხმით მიიღეს, ამასთან ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არ მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში და თავისი პროექტი გამოიტანა, რომელსაც ხმა მისცა მხოლოდ 27 დეპუტატმა[4]. ამის თაობაზე პრემიერ-მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა შენიშნა: „ჩვენი პოზიცია, მდგომარეობა არსებითად განსხვავდება იმ ქვეყნების სიტუაციისგან, რომლებიც მხარს უჭერენ უკრაინელ ხალხს, რადგან, ჩვენ გარდა, არც ერთ სხვა ქვეყანას არ განუცდია რუსეთის მხრიდან აგრესია“[5].

მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლების ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა ხელისუფლებისგან. მიუხედავად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არსებული მრავალი უთანხმოებისა, საქართველოს ხელისუფლება უფრო მეტად დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებს. „ქართულმა ოცნებამ“ მიუღებლად ჩათვალა „ნაციონალური მოძრაობის“ ის მიდგომა, რომლის თანახმად საქართველო უნდა მიუერთდეს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს და გაატაროს რეგიონში მოსკოვის იზოლაციის პოლიტიკა. „ქართულმა ოცნებამ“ აღნიშნა, რომ მზად არის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად დაგმოს რუსეთის ქმედებები უკრაინაში, მაგრამ არ აპირებს, ყირიმის მოვლენების გამო მათ განთავისუფლებას წარსული შეცდომების პასუხისმგებლობიდან“[6]. თუმცა, ორი მთავარი ქართული ძალისთვის პირველი რიგის ამოცანად რჩება ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ეს მნიშვნელოვანია ძალაუფლების კვლავწარმოების თვალსაზრისით.

[4] **Парламент Грузии принял резолюцию в поддержку Украины – newsgeorgia.ru/politics/20140307.216421121:html**

[5] **Ираклий Гарибашвили: У Грузии – прагматичный, но решительный подход к украинским событиям-www.golos-ameriki.ru/content/georgia-garibashvili-ukraine-russia/1871342.html**

[6] **„Мечтатели“ и „Националы“ задались украинским вопросом. kavpolit.com/articles.mechtateli-nationaly-zadalis-ukrainskim-voprosom-1450/**

ამგვარად, უკრაინული მოვლენები შეუძლებელია არ ასახულიყო რუსულ-ქართულ დიალოგზე. ყირიმის მოვლენები ქართველებისთვის ასოცირდებოდა 2008 წლის სამხრეთ-ოსურ და აფხაზურ მოვლენებთან. ცნობილი ქართული ანსამბლი „ერისიონი“ აღარ წავიდა მაშინ კრემლში საგასტროლოდ, ხოლო საქართველოს კულტურის პალატამ გააუქმა სერგეი ბეზრუკოვის თეატრის გასტროლები თბილისში, რომელიც 2014 წლის მაისში იყო დაგეგმილი.

ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქართველოში საზოგადოებრივი აზრის არსებობაზე, რომელიც შეიქმნა სააკაშვილის მმართველობის დროს. ქართველი პოლიტოლოგის გიორგი აბაშიძის აზრით, „უკრაინის მოვლენებმა და ყირიმის კონფლიქტის ესკალაციამ ძალზე შეაშინა საქართველო. გაისმის კითხვები: დაგვიცავს კი ჩვენ ევროპა, თუ მას არ შეუძლია უკრაინის დაცვა? საქართველოში ეშინიათ, რომ თუ ჩვენ გადავდგამთ რაღაც ნაბიჯებს, რომლებიც არ მოეწონებათ რუსეთში, შეიძლება დაიწყოს პროვოკაციები იმ რეგიონებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები ან სომხები — ჯავახეთში, ქვემო ქართლში. ქვეყანა შეიძლება დანაწევრდეს და სწორედ ამის ეშინიათ ყველაზე მეტად. ამიტომ პოლიტიკოსები და ექსპერტები სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა უფრო სწრაფად სვლა დასავლეთისკენ, ინტეგრაციის ყველა მექანიზმების გამოყენება“[7]. 2014 წლის თებერვლის ბოლოს ვაშინგტონში ვიზიტით იმყოფებოდა ი. ღარიბაშვილი. თავიდან დაგეგმილი იყო მხოლოდ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან ჯოზეფ ბაიდენთან შეხვედრა, მაგრამ მათ საუბარში მონაწილეობა მიიღო ასევე ბ. ობამამ. პროფ. გიორგი მჭედლიშვილის აზრით, სწორედ უკრაინის ფაქტორმა განაპირობა ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრა საქართველოს პრემიერთან.[8]

ქართველი ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ასევე იზიარებს იმ აზრს, რომ უკრაინის მოვლენებმა დააჩქარა ქართული დელეგაციის ვიზიტი ვაშინგტონში. თბილისი ისევ ცდილობს დაადასტუროს თავისი საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობა და მიიღოს საქართველოს უსაფრთხოების საკითხში სტაბილური გარანტიები[9].

[7] **Ольга Алленова, „Грузия более уязвима, чем Украина“, Власть, №10 (1065), 17 марта, 2014 г., с.31.**

[8] **Обама и Байден встретились с Гарибашвили в Белом Доме – www.golos-ameriki.ru/content/obama-biden-met-with-georgian-prime-minister-in-white-house/1858736.html**

[9] **Михаил Вардзелашвили, Гарибашвили едет в США из-за Украины? – www.georgiatimes.info/articles/98848 – 1.html**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ „სასიამოვნო სიურპრიზად“ ჩათვალა სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს მიმართ დახმარების შესახებ ვაშინგტონის მხრიდან, ე.წ. „მაპის“ მიღების საკითხში.

ატლანტიკურ საბჭოში ი. ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ელის მაპის მინიჭებას, სადაც მკაფიოდ იქნება ნათქვამი, თუ როდის გახდება მისი ქვეყანა ნატოს წევრი.[10] ქართული ხელისუფლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ წლის განმავლობაში საქართველო ჩართული იქნას ნატოს წევრობის მოსამზადებელი მოქმედებების გეგმაში. ამით ისინი დაუმტკიცებენ ქართულ საზოგადოებას, რომ მათი პოლიტიკა დასავლურ სტრუქტურებში წევრობისა წარმატებულია.

აშშ-გან განსხვავებით, ევროპაში კარგად ესმით, რომ თუ მოსკოვს ჯერ კიდევ შეუძლია შეურიგდეს ევროკავშირთან ასოცირების პროცესს საქართველოსთვის, ნატოში გაწევრიანება ის რუბიკონი გახდება, რომელიც საბოლოოდ გააფუჭებს რუსეთთან ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად სამართლიანია გ. რცხილაძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობა დასავლური ფასეულობების მატარებლად გამოდის და არ ამბობს უარს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე.

თუკი ევროკავშირში შესვლის იდეა იზიდავს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსაც, ნატოს წევრად გახდომის მისწრაფება გამოიწვევს საქართველოს იზოლაციას რეგიონში. რამდენად უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს ეს ფაქტორი რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის უკვე აფერხებს მეგობრული და ნდობაზე დამყრებული ურთიერთობების ჩამოყალიბებას რუსულ მხარესთან.[11] ევროკავშირის ლიდერმა გერმანიამ ვერ გაამართლა საქართველოს იმედები იმასთან დაკავშირებით, რომ მისი „პროგრესი“ დაფასდებოდა მაპის მინიჭებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ ბრიფინგზე, რომელიც 2014 წლის 2 ივნისს გაიმართა, ა. მერკელმა განაცხადა: „ჩემი აზრით, საქართველოს ჩართვა მაპის პროგრამაში არ დგას ნატოს მორიგი სამიტის დღის წესრიგში და საქართველოს პროგრესი სხვა საშუალებებითაც

[10] **Госдеп США преподнес Грузии „приятный сюрприз“, „Независимая газета“, 27.02.2014**

[11] **Гулбаат Рцхиладзе: Новый президент Грузии и российско-грузинские отношения: что дальше? – http://georgians.ru/news.asp?idnews=135002**

შეიძლება შეფასდეს“.[12] უშიშროების საკითხების და საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის დირექტორი ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ „მიუხედავად უკრაინის კრიზისისა, გერმანიამ ჯერ ძირეულად არ შეცვალა თავისი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში“.[13] მსგავსი მიდგომა ჩამოყალიბდა პარიზშიც. თავისი ტურნეს დროს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში, ფრანსუა ოლანდმა საქართველოს ხელისუფლებას განუცხადა, რომ „საქართველოს მთავრობამ კონცენტრირება უნდა მოახდინოს ეკ-თან ასოციაციის ხელშეკრულების იმპლემენტაციაზე და არ უნდა აჩქარებდეს ბრიუსელს „სხვა პერსპექტივებით“.[14]

ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივების შესახებ ელისეს სასახლის პატრონის განცხადებები ასევე თავშეკავებული იყო: უნდა განისაზღვროს ნატოსთან რესპუბლიკის ურთიერთობების ფორმა და ამისთვის არ არსებობს მზა რეცეპტი. მსგავსი იდეები გაისმა 21 მაისს საქართველოს მთავრობის და ევროკომისიის წევრებს შორის შემდგარი შეხვედრის დროს ევროპელების მხრიდან.[15]

უკრაინის კრიზისის პირობებში, როცა გამწვავდა დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა და ხორციელდება რუსეთის იზოლირების მცდელობები, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კეთილმეზობლური ქართულ-სომხური ურთიერთობების შენარჩუნება და ამისთვის ყველა საფუძველი არსებობს. 2014 წლის 18 ივლისს საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების, გიორგი მარგველაშვილისა და სერჟ სარგსიანის შეხვედრის შემდეგ, სომხეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „ქართულ-სომხური პარტნიორობის თანმიმდევრული გაძლიერება სომხეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მყიფე სტაბილურობა და მშვიდობა მნიშვნელოვან წილად განპირობებულია სომხეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის სიმტკიცით. ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით ერთმანეთის გადაწყვეტილებებს, ვაცნობიერებდით რა, რომ პირველი რიგის ამოცანაა საკუთარი სახელმწიფოების გაძლიერება და გვიხაროდა ეს, იმიტომ რომ საქართველო და სომხეთი ერთმანეთით და ერთმანეთთან არიან ძლიერები“.[16] ქართულ-სომხურმა ურთიერთობებმა დროის გამოცდას გაუძლო და შეიძლება თანამშრომლობის მრავალი მაგალითის მოყვანა. პოსტსაბჭოთა პერიოდში სომხეთი და საქართველო სხვადასხვა გზებით მიდიან, განსხვავებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების წევრები არიან. სომხეთმა უარი თქვა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე და გადაწყვიტა ევრაზიულ ინტეგრაციულ პროცესებს შეერთებოდა. საქართველო აღრმავებს ურთიერთობებს ევროკავშირთან, ნატოსთან და აშშ-თან, 2014 წლის 27 ივნისს მან ხელი მოაწერა ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ასევე აფუძნებს თავისუფალი ვაჭრობის ზონას ეკსა და საქართველოს შორის. ქართველი პოლიტოლოგი, მშვიდობის და დემოკრატიის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი გია ნოდია მიიჩნევს, რომ „საქართველოს და სომხეთს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა პრიორიტეტები, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ორმხრივი ურთიერთობების დონეზე. მე ვთვლი, რომ სომხეთის და საქართველოს ხელისუფლებებმა გამოავლინეს პრაგმატული მიდგომა ამ საკითხისადმი: არის დიდი საერთაშორისო პოლიტიკა, მაგრამ არის სომხურ-ქართული ურთიერთობებიც, რომლებიც ორივე ქვეყანას სჭირდება და საჭიროა მათი განვითარება“.[17]

ორი სუვერენული ქვეყნის ლიდერებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, მიმართული იმისკენ, რომ საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის და სომხეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების შემდეგ, საქართველო-სომხეთის საზღვარი არ გადაიქცევა სადემარკაციო ხაზად. უკრაინის, საქართველოს და მოლდავეთის მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გახდა მანიშნებელი პოსტსაბჭოთა სივრცეზე გარდამავალი ეტაპის დასრულებისა და სათავე დაუდო ახალ ეტაპს. მოსკოვი, ახალი ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესების ინიცირებით, ცდილობს ისევ გააერთიანოს პოსტსაბჭოთა სივრცე. შეიქმნა ახალი სიტუაცია, რომელიც გულისხმობს ახალი მიდგომების გამომუშავებას.

მოვლენები შეიძლება ორი მიმართულებით განვითარდეს. პირველი — ასოცირების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს საქართველომ, უკრაინამ და მოლდოვამ, თავდაპირველად არ ითვალისწინებდა რუსეთის იზოლაციას, მაგრამ შეიძლება საფუძველი ჩაუყაროს ამგვარ პროცესებს. რაც შეეხება ქართულ-სომხურ

[12] **Расмуссен: В НАТО пока не приняли решения в связи с Грузией – www.golos-ameriki.ru/content/georgia-nato-membership-options/1929.html**

[13] იქვე.

[14] **Отложенная евроатлантическая интеграция Грузии: новое “испытание” выборами – www.kavkazoved.info/news/2014/06/05.otlozhennaja-evroatlanticheskaja-integracija -gruzii-novoe-ispytanie-vyborami.html**

[15] **იქვე.**

[16] **Армяно-грузинское сотрудничество является одной из важнейших задач РА – С. Саргсян. news.gisher.ru/ru/politics/naxagahy-vrastanum.html**

[17] **„ჟამანაკი", 27 მაისი 2014 წ.(სომხ.ენ.).**

ურთიერთობებს, შექმნილ სიტუაციაში საქართველო აპირებს თავისი სავაჭრო პოლიტიკა ევროკავშირის სტანდარტებით აწარმოოს. თავის მხრივ, საბაჟო კავშირში სავაჭრო პოლიტიკას ძირითადად განსაზღვრავს რუსეთი, რომლის საბაჟო ტარიფები განსხვავდება ევროპულისგან. ეს ფაქტორები შეიძლება აისახოს ექსპორტის და იმპორტის მოცულობაზე ორ ქვეყანას შორის.

მოვლენათა განვითარების მეორე ვარიანტმა ასახვა ჰპოვა სომხეთის პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებაში, საქართველოში ვიზიტის დროს, 19 ივნისს. მან აღნიშნა: „დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო, რომელმაც ხელი მოაწერა ასოციაციის ხელშეკრულებას და გახდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის წევრი, ქმნის შესაძლებლობებს სომეხი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ხედავენ თავიანთ მონაწილეობას ევროპის ბაზარზე, რომ მათ განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში და ვხედავ საპირისპიროსაც — საბაჟო კავშირში სომხეთის შესვლის შემდეგ იხსნება პერსპექტივა ქართველი ბიზნესმენებისთვის, რომ განახორციელონ ინვესტიციები სომხეთში და გავიდნენ რუსეთის და საბაჟო კავშირის სხვა ბაზრებზე“.[18]

რესპუბლიკური ინსტიტუტის სამხრეთ კავკასიური ინსტიტუტის პროგრამების დირექტორი ივლიანე ხაინდრავა, კითხვაზე: „შეუძლია თუ არა სომხეთის და საქართველოს შესვლას სხვადასხვა ეკონომიკურ ბლოკებში შექმნას პრობლემები ორი ქვეყნის ურთიერთობებში?“ — პასუხობს: „თეორიულად შეუძლია, პრაქტიკულად არ უნდა შექმნას. ჩემი წარმოდგენით, ორი მეზობელი ქვეყნის პოლიტიკურ კლასებში უკვე მყარად ჩამოყალიბდა პარადიგმა, რომელიც არ უშვებს ორმხრივი ურთიერთობების გაუარესების შესაძლებლობას, იმის მიუხედავად, თუ რომელ ალიანსებში, ბლოკებში, კავშირებში მოხვდებიან სომხეთი და საქართველო. ამ ურთიერთობებმა დროს და სხვადასხვა გარემოებებს გაუძლეს. იმის გაგება, თუ რამდენად ახლო ვართ და ვჭირდებით ერთმანეთს, პრევალირებს ტაქტიკურ უთანხმოებებზე, როცა, მაგალითად, საქართველო და სომხეთი სხვაგვარად აძლევენ ხმას ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში. არსებობს გრძელვადიანი ინტერესები და ეს ინტერესები, ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა“.[19]

[18] **Визит Сержа Саргсяна в Тбилиси был в центре внимания западных послов в Грузии – ru.1in.am/1050956.html**

[19] **Ивлиан Хаиндрава: Угроза армяно-грузинским отношениям исходит от третьей стороны, „Деловой Экспресс“, N 26 (1070), июль 2014 г.**

მაგრამ ეს სიტუაცია ახალი არ არის, რადგან, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სომხეთი და საქართველო სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. ამ პოზიციების მიუხედავად, თბილისი და ერევანი ყოველთვის დიდად აფასებდნენ კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნებას. საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ქართველებიც და სომხებიც ევროპულ ოჯახს ეკუთვნიან კულტურულად, ისტორიულად, გენეტიკურად. იქნება მცდელობები, რომ ჯავახეთის სომეხი მოსახლეობა გამოიყენონ საქართველოს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მათ გონიერებაში“.[20]

2008 წლის ომის დროს სომხეთი შეეცადა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, რომ კონფლიქტი უსწრაფესად მოგვარებულიყო. თუმცა, მაშინ საქართველოს ხელისუფლებამ არ უპასუხა ერევნის შემოთავაზებას შუამავლობის შესახებ, მაგრამ თბილისი გაგებით მოეკიდა ამგვარ ინიციატივას. ი. ხაინდრავა აღნიშნავს, რომ „ჩვენი პირველი დამოუკიდებლობისგან განსხვავებით, 1918-1920 წლებში, ამ დამოუკიდებლობის დროს სომხეთმა და საქართველომ შესძლეს ექსცესების თავიდან არიდება. თითქოს ზოგადი გარემო არ უწყობდა ამას ხელს, მაგრამ არის ორმხრივი გაგება იმისა, რომ არ გვაქვს უფლება საფრთხე შევუქმნათ არსებულ ურთიერთობებს“.[21]

საქართველოში აფასებენ სომხეთის ლოიალურობას და იმ გარემოებას, რომ სომხეთმა არ სცნო სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის დამოუკიდებლობა. თუმცა, საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებიც ცდილობენ დააშინონ ქართული საზოგადოება „სომხური საფრთხით“ და საქართველო ხელში ჩაუგდონ თურქებს და აზერბაიჯანელებს. ამის შესახებ ორგანიზაცია „გაერთიანებული ჯავახკი“-ს ხელმძღვანელი ვაჰან ჩახალიანი აღნიშნავს, რომ „უკრაინაში და საქართველოში მიმდინარე პროცესები განსხვავდება ერთმანეთისგან. უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნული უმცირესობების საკითხებს. მე არ ვიცი, საიდან წარმოიშვა აზრი, რომ ჯავახეთის სომხები პრორუსულად არიან განწყობილი და ა.შ. ჯავახკის სომხები არასოდეს არ მოქმედებდნენ მესამე ქვეყნების ბრძანების საფუძველზე, ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბდა

[20] **„ჟამანაკი“, 2 აპრილი 2014 წ.(სომხ.ენ.)**

[21] **„ჟამანაკი“, 20 მაისი 2014 წ.(სომხ.ენ.)**

მ. სააკაშვილის ხელისუფლების პროპაგანდის გამო".[22] უფრო მეტიც, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭო მიესალმება საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. მათ განცხადებაში, რომელიც 2014 წლის 30 ივნისს მიიღეს, ნათქვამია: „ჩვენი საბჭო ყოველთვის დადებითად უყურებდა ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციულ ვექტორს, რადგან ევროპული ფასეულობების სული და პრინციპები მისაღებია სამცხე-ჯავახეთის სომხური მოსახლეობისთვის. თავის მომავალს ჩვენი ხალხი ხედავს ევროპულ ოჯახში, სადაც არ იქნება დისკრიმინაცია, არანაირი ნიშნით".[23]

ის, რომ ახალმა ხელისუფლებამ გააცნობიერა სააკაშვილის ხელისუფლების შეცდომები ეროვნულ საკითხში, ჩანს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებიდანაც იმის შესახებ, რომ „წინა ხელისუფლება ჩვენს ძმებს, აფხაზებს და ოსებს, ელაპარაკებოდა სიძულვილის ენაზე. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა ტერიტორიის დაბრუნებაზე, არამედ ჩვენსა და ჩვენს ძმებს შორის ნდობის ხიდის აღდგენაზე".[24]

ქართულ-სომხურ ურთიერთობას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოსთვის, თურქულ-აზერბაიჯანული ფაქტორის დაბალანსების კუთხით. სააკაშვილმა თურქეთი გამოაცხადა საქართველოს „ისტორიულ მეგობრად" და ანკარას ფართო შესაძლებლობები გაუხსნა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდისთვის. შედეგად, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა თურქეთში აჭარას განიხილავს, როგორც თურქეთის „განუყოფელ ნაწილს". სარგებლობენ რა საქართველოს ეკონომიკური პრობლემებით და „უფროსი ძმის" სტატუსით, თურქები აქცენტს აკეთებენ საგანმანათლებლო პროგრამებზე, და მათში ითრევენ ძირითადად ღარიბი ოჯახების ბავშვებს. დღეისათვის აჭარაში 50 თურქული სკოლა-ინტერნატი არსებობს, ბათუმში 25 ათასი თურქი ცხოვრობს, ახალციხეში თურქული უნივერსიტეტი არსებობს, ხოლო აზერბაიჯანელთა თემი 500 000 კაცს ითვლის. ამგვარად, საქართველო კვლავ აღმოჩნდა ორი თურქულენოვანი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მარწუხებში. საქართველოს ევროორიენტაცია ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნების

[22] „ჟამანაკი", 20 მარტი 2014 წ. (სომხ.ენ.).

[23] Координационный Совет армянских общественных организаций Самцхе-Джавахка и Квемо-Картли приветствует подписание договора об Ассоциации Грузия-ЕС – javakhkmedia.com/координационный-совет-армянских общ. (5 ივლისი 2014 წ.).

[24] „ჟამანაკი", 4 აპრილი 2014 წ.(სომხ.ენ.).

თვალსაზრისით ვერ იქნება ეფექტური, იმიტომ რომ ევროპა თავად დგას ისლამიზაციის ზღურბლზე და ვერ ახერხებს საკმარისი ნებისყოფის გამოჩენას შექმნილი სიტუაციის დასაძლევად.

თურქულ-აზერბაიჯანული ზეწოლის შედეგად თბილისი დათანხმდა ბაქო-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობას, რომელიც ხელს არ აძლევს საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისით, იმიტომ რომ ამცირებს ბათუმის და ფოთის პორტების მუშაობის ეფექტურობას. სომხეთის პრეზიდენტმა სარგსიანმა თბილისში ვიზიტის დროს ისევ დასვა საკითხი აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენელი რუსეთთან დარეგულირების საკითხებში ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ ქართული მხარე მზად არის ყურადღებით მოისმინოს რუსეთის წინადადებები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესახებ აფხაზეთის გავლით. „ჩვენ სერიოზული პირობები გვაქვს რკინიგზის აღდგენისთვის. თუ რუსეთის მხრიდან წამოყენებული იქნება სერიოზული ინიციატივა, ჩვენ მზად ვართ ძალიან ყურადღებით განვიხილოთ ის, მაგრამ ჩვენს პირობებსაც წარმოვადგენთ", თქვა ზ. აბაშიძემ. აზერბაიჯანის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა არაზ ალიზადემ განაცხადა: „სომხეთისთვის სარკინიგზო მოძრაობის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ჩვენ გვეცოდინება, ვინ არის აზერბაიჯანის მტერი და ვინ მეგობარი".[25] ქართული მხარე ცდილობს თავისი პოზიცია დაასაბუთოს ეკონომიკური „მიზანშეწონილობით", მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორებიც. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის გიორგი ვოლსკის სიტყვებით, რკინიგზის აღდგენის საკითხს უშიშროების საბჭო განიხილავს. მან ასევე აღნიშნა: „ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მარტო საქართველო არ იღებს. აქ ასევე უნდა გავითვალისწინოთ სომხურ-აზერბაიჯანული ურთიერთობები და ბაქოს რეაქცია; ასევე — შტატების რეაქცია. რკინიგზა დააკავშირებს რუსეთს სტრატეგიულ მოკავშირესთან სამხრეთ კავკასიაში და ფაქტობრივად იქნება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცვლილების ნიშანი რუსეთთან მიმართებაში, კონფრონტაციულიდან უფრო რბილისკენ. გაითვალისწინეთ ასევე „მე-5 კოლონის ფაქტორი" - სააკაშვილის მომხრეების, რომლებიც გააფთრებულ ისტერიკას მოაწყობენ. და რესპუბლიკელების

[25] Араз Ализаде: „В случае восстановления железной дороги в Армению через территорию Грузии мы будем знать, кто для Азербайджана друг, а кто – враг" – http://javakhkmedia.com/?p=3289

და ალასანიას როლი „ოცნებაში“, რომლებიც რადიკალური „პროამერიკელები“ არიან და მცირედით თუ განსხვავდებიან სააკაშვილის მომხრეებისგან. ჩემი პროგნოზით — ამ ეტაპზე საკითხის გადაწყვეტა ნაკლებად სავარაუდოა“.[26]

სომხები არაერთხელ დარწმუნებულან მსოფლიო მოთამაშეების ორმაგ სტანდარტებში. უკრაინის კრიზისის გამოყენებით, აშშ და ეკ ცდილობენ რუსეთის გავლენა შეამცირონ და კვლავ მიდიან თანხმობამდე, სამხრეთ კავკასიის ხალხების ინტერესების უგულვებელყოფით. მაგალითად, ზ. ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ დასავლეთმა უნდა ჩაატაროს საიდუმლო მოლაპარაკებები რუსეთთან, ისეთი მოლაპარაკებები, რომლებმაც წარსულში გადაწყვიტეს ფინეთის და ავსტრიის საკითხი.[27] დასავლეთში ასევე ბევრი თვლის, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები, აშშ-ს მოთხოვნით „იმპორტირებული“, ვერ მოახდენენ რუსეთზე ზეწოლას და ევროპისთვის უფრო მტკივნეული იქნებიან. აშშ-ს ფინანსთა მინისტრი დევიდ კოენი თვლის, რომ „რუსეთის წინააღმდეგ სანქციების გამო ყველა იძულებული გახდება გადაიხადოს ფასი, მათ შორის აშშ. ჩვენ არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ ყველაზე ძლიერი დარტყმა ევროპას მიადგება“.[28]

აშშ ასევე ცდილობს უკრაინის კრიზისის გამოყენებას რუსეთსა და ევროკავშირს შორის დაძაბულობის შესაქმნელად. ეკონომიკურ სანქციებს შეუძლიათ რუსეთს შემოსავლები შეუზღუდონ, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება მოახდინონ მოსკოვის ძალისხმევის სტიმულირება პოსტსაბჭოთა სივრცეზე ინტეგრაციული ნაბიჯების გადასადგმელად, ასევე ერთიანი ვალუტის და ეროვნული საგადამხდელო სისტემის შესაქმნელად. საქართველოს და სომხეთის იმედები იმის შესახებ, რომ დასავლეთი მათი გულისთვის რუსეთთან კონფრონტაციაზე წავა, არარეალისტურია. სწორედ ამიტომ, საგარეო პოლიტიკის გამოცხადებული პრიორიტეტის — ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს ხელისუფლებამ ვერ მიაღწია თვისებრივ გარღვევებს. დასავლელი პარტნიორები კიდევ ვერ გარკვეულან მისთვის მაპის მინიჭების საკითხში.

განა იდეალური არ არის ორი ქვეყნისთვის პერსპექტივა, გახდნენ „სამხრეთ კავკასიის ფინეთი“, არ დაუპირისპირდნენ რუსეთს და აშშ-ს. გაატარონ რეფორმები, აშენონ დემოკრატიული სისტემა.

[26] **Джавахк является препятствием для создания Великого Турана. – http://javakhkmedia.com/?p=3269**

[27] **„ჟამანაკი“, 22 მაისი 2014 წ.**

[28] **„ჟამანაკი“, 9 მაისი 2014 წ.**

ეს მოდელი უზრუნველყოფს ორი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, მინიმუმამდე შეამცირებს საგარეო ზეწოლას. ორი მოძმე ხალხის თანამშრომლობა, უდავოდ, უზრუნველყოფს რეგიონში ბალანსის დამყარებას. რა დასკვნები უნდა გამოიტანონ ჩვენი რეგიონის ქვეყნებმა უკრაინის კრიზისიდან?

- პოსტსაბჭოთა ქვეყნების შიდა პრობლემების ტრანსფორმაციამ საერთაშორისო კონკურენციად შესაძლოა გამოიწვიოს ქაოსი და არ არის საჭირო ქვეყნების დაყენება მკაცრი არჩევანის წინაშე.
- უკრაინის მოვლენებმა ყველას დაანახა ევროკავშირის პოლიტიკის ნაკლოვანებები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ასოცირების ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ევროკავშირში შესვლის პერსპექტივას. ამის შესახებ ბრიუსელს არაერთხელ განუცხადებია, რომ სამხრეთ კავკასიის არცერთ ქვეყანას ამგვარი პერსპექტივა არ აქვს. თვით რეგიონში ყველაზე პროდასავლურად ცნობილმა საქართველომაც ვერ მოახერხა, ხელშეკრულების ტექსტში შეეტანა პუნქტი ევროკავშირში წევრობის პერსპექტივის შესახებ.
- რაც შეეხება სომხეთს, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა განსაკუთრებულ ეკონომიკურ პერსპექტივებს არ სახავს, რადგან ევროპის ბაზარზე შესასვლელად საჭიროა ევროპული სტანდარტების მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქცია, რომელიც ჩვენ არ გვაქვს. პოლიტიკური კუთხით, სომხეთის არჩევანი განპირობებულია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რადგან, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, რეგიონული გეოპოლიტიკური სიტუაცია უფრო მეტად მოქმედებს სომხეთზე, დახურული საზღვრების გამო.

სომხეთმა და საქართველომ უნდა გაითვალისწინონ უკანასკნელი მოვლენების შედეგები. ორი მოძმე ხალხის თანამშრომლობა დროის მოთხოვნაა, ის ნაკარნახევია გეოპოლიტიკური და ცივილიზაციური პროცესებით. ჩვენ გვინდოდა, სტატია დაგვესრულებინა საქართველოს მეორე პრეზიდენტის სიტყვებით, რომლებიც მან წარმოთქვა ერევანში ოფიციალური ვიზიტის დროს. ე. შევარდნაძემ ახალქალაქის ერთ-ერთი მოქალაქის სიტყვები გაიხსენა: „ქართველი, რომელიც სომხეთის წინააღმდეგ გამოდის, პირველ რიგში საქართველოს მტერია, ასევე სომეხი, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ გამოდის, პირველ რიგში სომხეთის მტერია“.[29]

[29] **Армяно-грузинская дружба: блеф или реальность? – noev-kovcheg.1gb.ru/article.asp?n=45@a=1**



ᲒᲠᲐᲜᲘ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲘᲐ

ᲔᲢᲠᲣᲡᲙᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲔᲑᲘ

აპენინის ნახევარკუნძულის ცივილიზაციას ეტრუსკებმა ჩაუყარეს საფუძველი. თავიანთი არსებობის შესახებ ამ ლეგენდარულმა ხალხმა საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია დატოვა, მაგრამ მთავარი, ვინ იყვნენ და საიდან გაჩნდნენ იტალიაში, გაურკვეველია. ეტრუსკების შესახებ თითქოს ბევრი რამ ცნობილია (ასე ჩანს გარეგნულად), მაგრამ სინამდვილეში მთელი მათი მრავალსაუკუნოვანი ისტორია თეთრი ლაქებითაა დაფარული.

აპენინის ნახევარკუნძულის არქეოლოგიური სიძველეები ადასტურებენ, რომ ეტრუსკები ვილანოვას კულტურის მემკვიდრეები იყვნენ (ვილანოვას კულტურა დათარიღებულია ძვ.წ. IX ს-ით). ეტრუსკების დასახლებები ფართოდ ჩანს ძვ.წ. VIII საუკუნიდან ტოსკანის ტერიტორიაზე, იმ სივრცეში, რომელიც ადრე ვილანოვას კულტურის მატარებელ ტომებს ეკავათ. იტალიაში ეტრუსკთა ბატონობის პერიოდი მოიცავს ძვ.წ. VII-IV მეოთხე სს-ს.

ეტრუსკებმა (ლათ. ტუსკი, ეტრუსკი; ბერძ. ტირენი, ტირსენი; თვითწოდება — რასენა) თვალსაჩინო როლი შეასრულეს რომამდელი იტალიის ისტორიაში, მიაღწიეს კულტურული და პოლიტიკური განვითარების მაღალ დონეს, შექმნეს ხელოვნების საყურადღებო ძეგლები. აგებდნენ ქალაქებსა და ციხე-სიმაგრეებს, ტაძრებს, ფართოდ იყენებდნენ დამწერლობას. ეტრუსკები ჩართული იყვნენ საერთაშორისო მოვლენებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეცნიერებაში ვარაუდის დონეზე გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ეგვიპტური წარწერების ზღვის ხალხების („ტურშა“) მოკავშირეებად ნახსენები უნდა იყონ ეტრუსკები.

მატერიალური კულტურის ძეგლების გარდა ეტრუსკებმა თავიანთი არსებობის შესახებ ათი ათასზე მეტი წერილობითი დოკუ-

მენტი დატოვეს, მაგრამ მათ ისტორიას ლეგენდების საბურველი არ შორდება. გაურკვეველია მთავარი: ვინ იყვნენ, საიდან მოვიდნენ იტალიაში, როგორ მოხდა მაღალი კულტურის შემქმნელი ხალხის დავიწყების ფერფლით დაფარვა.

ეტრუსკების ისტორიითა და წარმომავლობით დაინტერესებული იყო ანტიკური მწერლობა. „ისტორიის მამამ“ ჰეროდოტემ ეტრუსკები ლიდიელების შთამომავლებად გამოაცხადა. ჰეროდოტეს თანახმად, ლიდიელების იტალიაში გადასახლება განაპირობა სტიქიურმა უბედურებამ (გვალვამ და მოუსავლიანობამ). ისტორიკოსი წერს,განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანების ბედით შეწუხებულმა მეფის ძემ ტირსენმა (ტირენმა) მამას თხოვა, რომ მოსახლეობის ნახევარს გაიყვანდა ლიდიიდან და დაასახლებდა სხვა ქვეყანაში. ჰეროდოტეს ვერსიას მრავალი მომხრე ჰყავდა ბერძნულ-რომაულ მწერლობაში და, რაც მთავარია, პოპულარულია დღესაც.

ჰეროდოტესაგან განსხვავებული ვერსია წამოაყენა ძვ.წ. I ს-ში მცხოვრებმა ისტორიკოსმა დიოდორე სიცილიელმა.მისი მტკიცებით, ეტრუსკები იტალიის აბორიგენები იყვნენ.

რომაული მწერლობა იზიარებდა ეტრუსკების წარმომავლობის აღმოსავლურ თეორიას, მაგრამ მითოლოგიური გადმოცემების გაღრმავებით შეეცადა გარკვეულ მოვლენასთან მის დაკავშირებას. ამის ნათელი დადასტურებაა ვერგილიუსის პოემა „ენეიდა“, რომელშიც ეტრუსკები წარმოდგენილნი არიან ტროელების შთამომავლებად.

ახალი პერიოდის ანტიკოლოგიაში ეტრუსკებს საიდუმლოების საბურველი არ ჩამოხსნიათ. ეტრუსკოლოგია რჩება „ტერა ინკოგნიტად“ და შესანიშნავ ნიადაგს იძლევა, კვლევა რეალობიდან წარმოსახვებში გადაიზარდოს. ლეგენდარული ეტრუსკები ლეგენდების სამყაროში რჩებიან. იფრქვევა ფანტასტიკური წარმოდგენები, ეტრუსკები თამამად მოგზაურობენ უკიდეგანო დედამიწაზე და საოცრებებს სჩადიან. ამ კუთხით განსაკუთრებული გაბედულებით გამოირჩევა შვეიცარიელი მეცნიერის ჰ. მიულენშტაინის ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, ეტრუსკების თავდაპირველი სამშობლო იყო არა მცირე აზია, არამედ საჰარის უდაბნო. მისი ვარაუდით, დედამიწაზე მომხდარმა გეოლოგიურმა კატაკლიზმებმა გამოიწვია საჰარის გაუდაბნოება. განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხი იძულებოლი გახდა, დაეტოვებინა აფრიკა და ახალი საცხოვრისი მოეძებნა. ადამიანების ტალღა მოადგა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს და გაიფანტა სხვადასხვა მიმართულებით. ერთმა ჯგუფმა

დაიკავა იბერიის ნახევარკუნძული, მეორე დამკვიდრდა იტალიაში, დანარჩენები განაწილდნენ ეგეოსის ზღვის ნაპირებზე, პელასგების სახით, და საქართველოში.

ჰ.მიულენშტაინის „მიგნებას“, როგორც გადაჭარბებით ფანტასტიკურს, იბერების, ეტრუსკების, პელასგების და ქართველების ნათესაური კავშირების დადგენაზე გავლენა არ მოუხდენია. ეტრუსკოლოგთა ყურადღების გარეთ დარჩა, აგრეთვე, ნ.მარის არანაკლებ ფანტასტიკური ვერსია. მისი მსჯელობით, ხმელთაშუა ზღვის ხალხებისა და ქართველების ნათესაური სიახლოვე მომდინარეობს შორეული წარსულიდან. ამ შემთხვევაშიც მოვლენების ცენტრში აღმოსავლეთი დგას.გადასახლების მიზეზად ნ.მარი, ჰეროდოტეს მსგავსად, გვალვასა და მოუსავლიანობას ასახელებს. მეცნიერს წარმოდგენილი აქვს რამდენიმე გზის აღწერა,რომლითაც მოხდა ლტოლვილთა გადაადგილება კავკასიიდან ესპანეთამდე. ნ. მარის დასკვნით, ქართველები, იბერები, პელასგები და ეტრუსკები, საერთო წარმომავლობის ხალხები არიან და ამ ერთობის საფუძველი იყო მათი თავდაპირველი სამშობლო. ნ.მარის უზარმაზარი ავტორიტეტის მიუხედავად, მის ეტრუსკოლოგიურ შტუდიებს პრობლემის კვლევის არსში არაფერი შეუცვლია.

სენსაციების მოყვარულები ეტრუსკებს ჩაძირული ატლანტიდის გადარჩენილ ნაწილადაც კი წარმოსახავენ.

ეტრუსკების შესახებ ლეგენდების შექმნას აძლიერებს ის რეალობა, რომ ხმელთაშუა ზღვის აუზში მათ ენას ანალოგი ვერ მოუძებნეს. ლეგენდის სათავე მაინც მათი დამწერლობაა, რომლის წაკითხვა სიძნელეს არ წარმოადგენს (ძირითადად ბერძნულ დამწერლობას იყენებდნენ), მაგრამ შესრულებულია უცნობ ენაზე. ეტრუსკული არც ერთს, არც ცოცხალსა და არც მკვდარ ენას არ უახლოვდება.

ეტრუსკებმა თავიანთი ისტორია და ენის საიდუმლოება საფლავში ჩაიტანეს. საოცრად მწირი იქნებოდა მათი ამქვეყნიური არსებობა ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროების გარეშე. მეცნიერებას ეტრუსკთა ეთნოგენეზისა და მათი ენობრივი კუთვნილების ერთადერთ იმედად მათი დამწერლობის გაშიფრვა მიაჩნია, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს. ანტიკურ ავტორებს ჩაწერილი აქვთ ეტრუსკული სიტყვები მცირე რაოდენობით, მაგრამ მეცნიერებას საიდუმლოს ამოხსნაში ფრაგმენტულმა ჩანაწერებმა დახმარება ვერ აღმოუჩინა. ბერძნული ანბანის მცოდნისათვის ეტრუსკული ტექსტების წაკითხვა სირთულეს არ წარმოადგენს. ცნობილია ათი

ათასზე მეტი ეტრუსკული წარწერა (მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება). წარწერების გრაფიკული მოხაზულობა გასაგებია და კარგად იკითხება, მაგრამ შინაარსი არის გაუგებარი. თუმცა ამ უზარმაზარი კორპუსის დიდი ნაწილის წარწერები საფლავის ქვების ეპიტაფიებს წარმოადგენენ და მათი შინაარსი ცნობილია.

წარწერები არის ლაპიდარული (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით). ის გვაუწყებს, ვინ არის დაკრძალული, რამდენი წლის იყო გარდაცვალების დროს. სხვა ინფორმაციას ეპიტაფია არ იძლევა.

წარწერები შესრულებულია, აგრეთვე, საფლავის ფირფიტებზე, შრომის იარაღებზე, ვაზებსა და ფრესკებზე. ისინი გვაუწყებენ გარდაცვლილთა საკუთარ სახელებს, ასაკს. ამის გამო არიან მოკლე, თუმცა არის გამონაკლისებიც. ვრცელი ტექსტი აღმოჩნდა ქალაქ ტარკვინიუსის წარჩინებულის (ლარტ პუნელას) სარკოფაგის სახურავზე, რომელზეც გამოქანდაკებულია ხანდაზმული კაცი და წარწერა (59 სიტყვა), ალბათ, მის დამსახურებათა ჩამონათვალი. საკუთარი სახელის გარდა ტექსტს სიახლე არ მოუტანია. ქალაქ მოლიანოში ნაპოვნი ტყვიის ფირფიტა ორივე მხრიდან დაფარული იყო წარწერებით (120 სიტყვა). ვრცელი ტექსტის მიუხედავად, არც მის კვლევას მოჰყოლია შედეგი.

არქეოლოგიური გათხრების მონაპოვართა შორის განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ კაპუის მახლობლად აღმოჩენილ თიხის ფირფიტაზე, რომელზეც გარკვევით იკითხება 300 სიტყვა. ვრცელი ტექსტის გამო, ფირფიტას მხსნელადაც კი მიიჩნევდნენ (და მიაჩნიათ დღესაც). მეცნიერები ენერგიულად თარგმნიდნენ (და თარგმნიან), მაგრამ აღიარება ვერავინ მოიპოვა. ეტრუსკები არ თმობენ ბრძოლის ველს, ჯიუტად დგანან და ფეხს არ იცვლიან დაკავებული სიმაღლიდან.

მე-19 ს-ის ბოლოდან ეტრუსკოლოგია იმედის თვალით შეჰყურებს ზაგრების მუმიას. ბალზამირების ყოველგვარი წესების დაცვით შესრულებული მუმია, 1848 წელს ეგვიპტეში მოგზაურობისას შეუძენია სიძველეთა მოყვარულ ხორვატ მიხეილ ბარიჩს. ნახევარი ს-ის შემდეგ, როდესაც ბარიჩი გარდაიცვალა, მისმა ძმამ მუმია გადასცა ზაგრების მუზეუმს. მუზეუმის თანამშრომლებმა მუმიის საბურველზე შეამჩნიეს დამწერლობის უცნობი ნიშნები. კვლევაში ჩაერთნენ სპეციალისტები და დადგინდა, რომ ნაჭერზე, რომელშიც გახვეული იყო მუმია, დაცულია ეტრუსკული დამწერლობა (თუ გავითვალისწინებთ მუმიფიცირების სიძვირეს, მუმიფიცირებულია მდიდარი

ეტრუსკი მანდილოსანი). ტექსტი შედგება 1200 სიტყვისგან, შესრულებულია ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნაზე (ეტრუსკოლოგიას არაფერს ჰმატებს ის ფაქტი, რომ მუმიფიცირებული ქალის სიმაღლე არის 162 სმ). ეტრუსკული ენის საიდუმლოების ამოცნობას ვერ დაეხმარება იმის კვლევა, თუ როგორ მოხვდა ეტრუსკი ქალი ეგვიპტეში. ზაგრების მუმია ჯერჯერობით ეტრუსკოლოგიის იმედს ვერ ამართლებს.

აღმოჩენილია რამდენიმე ეტრუსკულ-ფინიკიური ბილინგვა.ფინიკიური გასაგებია, ეტრუსკული არ თმობს საიდუმლოებას.

ეტრუსკულ ენაზე ბერძნული ანბანით შესრულებული წარწერა აღმოჩენილია კუნძულ ლემნოსზე.

ეტრუსკულ წერილობით მასალებში, მათი შეზღუდული დანიშნულების გამო, საისტორიო შინაარსის ტექსტები თითქმის არ ფიქსირდება, ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს ფინიკიურ-ეტრუსკული ბილინგვა, რომლის აღმოჩენასაც არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია მოჯადოებული წრის გარღვევაში.

რომაულ პერიოდში მცხოვრებ განათლებულ ეტრუსკებს, რომლებსაც შესანიშნავად შეეძლოთ წერა (ლათინურად და ბერძნულად), ერთი სტრიქონიც არ დაუწერიათ, რომ მშობლიური ქვეყნის წარსული მისაწვდომი გაეხადათ ბერძენ-რომაელი მკითხველისათვის. ნუთუ ყველაფერზე თანახმანი იყვნენ, რაც მათ შესახებ იწერებოდა? რომანიზებულ ეტრუსკებს არ გასჩენიათ სურვილი, თავიანთი ისტორია ფართო ასპარეზზე გაეტანათ. მათ ხომ ეტრუსკული ტექსტების თარგმნა არ დასჭირდებოდათ, ყველა ეპიგრაფიკული ძეგლის შინაარსი მათთვის გასაგები იქნებოდა. ეტრუსკები, რომლებსაც შეეძლოთ, მაგრამ არ დაწერეს მშობლიური ისტორია, იყვნენ: სატირიკოსი პოეტი ავლუს პერსეუს ფლაკუსი, ციცერონის მეგობარი ავლუს ცეტინა და ყველაზე გამოჩენილი ეტრუსკი გაიუს ცილნიუს მეცენატი.

რომაულ პერიოდში ეტრუსკების ისტორიაზე მსჯელობდნენ იმ წყაროებით, რაც ბერძენმა და რომაელმა ავტორებმა მიიჩნიეს ხაზგასმის ღირსად. რაოდენ საინტერესო იქნებოდა თვით ეტრუსკების ინფორმაციები, როგორ უყურებდნენ ისინი თავიანთ ისტორიას. რა თქმა უნდა, მათ არ ექნებოდათ გაბმული ისტორია, მაგრამ უცხოელებზე (ბერძნებზე და რომაელებზე) მეტად რომ მიუწვდებოდათ ხელი ეტრუსკულ წყაროებზე, საეჭვო არ არის (ძნელი დასაჯერებელია, რომ ისტორიით დაინტერესებულ ბერძნებსა და

რომაელებს ეტრუსკული ენა ცოდნოდათ. ბერძნები ლათინურსაც იშვიათად სწავლობდნენ). ამ საერთო გულგრილობის ფონზე ჩნდება გარკვეული გამონათება, იმპერატორ კლავდიუსის (41-54) სახით. დაბადებიდანვე ავადმყოფი კლავდიუსი საიმპერატორო კარმა პოლიტიკური მოღვაწეობისთვის უვარგისად მიიჩნია და როგორც არასრულფასოვანს, ისე განიხილავდა. გარეგნულადაც იმდენად შეუხედავი იყო, რომ მასთან ურთიერთობას ნათესავთა ვიწრო წრეც კი თავს არიდებდა. ათვალწუნებული და მოძულებული ცხოვრობდა განმარტოებით. იმდენად ჩლუნგის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ სისხლიანმა იმპერატორებმა (ტიბერიუსი, კალიგულა) მასში კონკურენტი ვერ დაინახეს და სიცოცხლე შეუნარჩუნეს. კლავდიუსი იმპერატორი გახდა სრულიად შემთხვევით. აღმოჩნდა, რომ თავისი უჩინარი ცხოვრება კლავდიუსს უქმად არ დაუკარგავს. იჯდა როგორც განდეგილი და მუშაობდა საისტორიო მწერლობის ნაკლებად ცნობილ პრობლემებზე. წერდა ბერძნულ ენაზე. კლავდიუსის ბიოგრაფის გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის გადმოცემით, იმპერატორს მრავალი თხზულება დაუწერია, რომელთა შორის აღსანიშნავია, კართაგენის ისტორია რვა წიგნად და ეტრუსკების ისტორია ოც წიგნად. ამ უდავოდ საინტერესო დასახელების ნაშრომებიდან ფრაგმენტებიც არ არის მოღწეული.

ეტრუსკების ისტორიის მოცულობით თუ ვიმსჯელებთ (ოცი წიგნი),კლავდიუსის თხზულებაში აღწერილი იქნებოდა გადაშენების პირას მისული ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის სრული სურათი. მის დროს ეტრუსკულ ქალაქებში ეტრუსკული ძირითადი საურთიერთობო ენა იქნებოდა. საეჭვო არ არის,ეტრუსკები მრავლად იცხოვრებდნენ რომშიც (კლავდიუსის პირველი მეუღლე პლავცია ლაურგულანილა ეტრუსკი იყო).

კლავდიუსის ეტრუსკების ისტორია იქნებოდა მწიგნობრული და ზეპირი გადმოცემების ნაზავი.სავსებით დასაშვებია, რომ განათლებულ იმპერატორს განხილული ექნებოდა ცოცხალი ეტრუსკული ენის განმასხვავებელი ნიშნები. სამწუხაროდ, ღვთის მიერ განწირული ეტრუსკები ვერც იმპერატორის კეთილგანწყობამ გამოსტაცა დავიწყებას.

ეტრუსკები ასპარეზზე გამოჩენისთანავე კულტურული და ეკონომიკური დონით მაღლა იდგნენ იტალიის დანარჩენ ტომებზე. მათი გაბატონებული მდგომარეობის დამადასტურებელია არქეოლოგიური აღმოჩენები ლაციუმის, კამპანიის და იტალიის სხვა არაე-

ტრუსკულ ტერიტორიებზე.

ეტრუსკების ისტორიას ანტიკური ავტორები რომთან მიმართებაში განიხილავდნენ. თვით ეტრუსკებს თავიანთი წარსულის შესახებ წერილობითი ცნობები არ დაუტოვებიათ (ეპიტაფიები და საკულტო დანიშნულების წარწერები საკითხის გარკვევას დახმარებას ვერ უწევს).

ბერძნულ-რომაული მწერლობის ყურადღების ცენტრში იდგა რომი. ბერძენი ისტორიკოსები, ჰეროდოტეს გარდა, რომაულ პერიოდში წერდნენ. რაც შეეხება ჰეროდოტეს, იგი გარკვეული წლების განმავლობაში სამხრეთ იტალიაში, ქალაქ თურიუმში ცხოვრობდა და, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს, რომი ნახსენები არ აქვს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ნუთუ ჰეროდოტეს დროს (ძვ.წ. 485-425) რომი იმდენად უმნიშვნელო ქალაქი იყო, რომ ისტორიის მამამ მისი ხსენება ზედმეტად ჩათვალა? თუ გავითვალისწინებთ რომის მეხოტბეებში დამკვიდრებულ ტრადიციას, აღნიშნულ პერიოდში რომი დიდი და ძლიერი ქალაქი იყო.

წყაროებში მითითებულია, რომ ეტრურიის ვრცელ და ნაყოფიერ მიწებზე გაბატონებული იყო ეტრუსკების თორმეტი ქალაქი. ამ ქალაქთა გაერთიანება არ მომხდარა და მთლიანობაში ეს იყო მათი სისუსტის მიზეზი.

ძვ.წ. VII ს-დან იტალიის საგარეო პოლიტიკას ეტრუსკები წარმართავდნენ. ადგილობრივი ტომები (მათ შორის ლათინები) ფართო მასშტაბის კონტაქტებს ვერ წვდებოდნენ. მათი დაქსაქსულობისა და პრიმიტიულობის გამო ეტრუსკებს გაუჩნდათ ამბიცია, დაემყარებინათ კონტროლი მთელ ნახევარკუნძულზე. ეტრუსკთა აღმავლობას დაემთხვა ბერძნული კოლონიზაცია.იტალიის სამხრეთ სანაპიროები დაიფარა ელინური ახალშენებით, რომლებიც მოკლე ხანში მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებად გადაიქცნენ.

იტალიაში ბერძნული ქალაქების დაარსებას საოცარი წინააღმდეგობით ხვდებოდნენ ეტრუსკები. ისინი არ აძლევდნენ მოახალშენეებს გავლენის სფეროს გაფართოების საშუალებას. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ეტრუსკების კონტროლს დაქვემდებარებულ ოლქებში ბერძენმა მოახალშენეებმა ფეხი ვერ მოიკიდეს და იძულებულები გახდნენ მიმართულება შეეცვალათ (ამან განაპირობა მასალიისა და სამხრეთ საფრანგეთის კოლონიზაცია).

დაპირისპირების მიუხედავად, ეტრუსკები ფართოდ უღებდნენ

კარს ელინურ კულტურას. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებისგან გადაიღეს დამწერლობა. დიდია ბერძნული გავლენა ეტრუსკულ ხელოვნებაზე (მხატვრობა, ქანდაკება, სამკაულები). მიბაძვებისა და ელინური მოტივების გარდა, გვხვდება წმინდა ბერძნული ნაკეთობანი. ბერძნული ხელოსნობის ნაწარმით მოფენილია მთელი ეტრურია. ცნობილია ისიც, რომ ბერძენი ხელოსნები ეტრუსკულ ქალაქებში ქმნიდნენ აღნიშნული პერიოდისათვის პოპულარულ პროდუქციას. ბერძნების შეღწევამ ეტრურიაში გააცხოველა ხელოსნობა და ვაჭრობა. გარე სამყაროსთან სავაჭრო სიახლოვე, აღმოსავლური წარმომავლობის ნივთების სიმრავლე, ძირითადად ბერძნული კერამიკა, ვაზები, ვერცხლის ნაკეთობანი სირიიდან, კვიპროსიდან, ფინიკიიდან, სპილოს ძვალი და ხელოვნების სხვა მრავალი შედევრი მოხატულია მითოლოგიური სცენებით. ეტრუსკულ ქალაქებში აღმოჩენილი ნივთები ნათლად მეტყველებს ბერძენი და ეტრუსკი ვაჭრების საგარეო კონტაქტებზე. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მათი ურთიერთობა კართაგენელებთან.

კართაგენი წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის აუზში ყველაზე მნივნელოვან საზღვაო და სავაჭრო სახელმწიფოს. კართაგენელები საშუამავლო ვაჭრობის დიდოსტატები იყვნენ, ერთმანეთთან აკავშირებდნენ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს, აგრძელებდნენ ფინიკიურ ტრადიციებს, აწარმოებდნენ პირენეის ნახევარკუნძულის კოლონიზაციას, გადიოდნენ ატლანტის ოკეანეში. მტკიცედ ჰქონდათ ჩაკეტილი გიბრალტარის სრუტე და ბერძნებს, როგორც მთავარ კონკურენტებს, არ აძლევდნენ მიახლოების საშუალებას. კართაგენის უმთავრესი ამოცანა იყო, ხმელთაშუა ზღვის სტრატეგიული პუნქტების ხელში ჩაგდება. კართაგენელები ვერ ურიგდებოდნენ სიცილიაში ბერძნების გაბატონებას და ეტრუსკებთან კავშირით ცდილობდნენ მათ განდევნას.

ეტრუსკებსა და კართაგენელებს ეკონომიკურის გარდა პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდათ. ბერძენთა გააქტიურება ზღუდავდა, როგორც კართაგენელების, ისე ეტრუსკების სავაჭრო ინტერესებს; კართაგენისას სიცილიაში (რომლის მიტაცება მისი მთავარი ოცნება იყო), ხოლო ეტრუსკებისას იტალიაში. კართაგენელები იბრძოდნენ სიცილიისთვის, ეტრუსკები — იტალიისთვის.

მოკავშირეებმა ყველაზე ხელსაყრელ დროდ მიიჩნიეს ქსერქსეს ლაშქრობა საბერძნეთში. მათი ფლოტი განლაგდა ჰიმერასთან. ბრძოლა მოხდა ძვ.წ. 480 წელს (ჰეროდოტეს თანახმად, ჰიმერასა და

სალამინის ბრძოლა ერთ დღეს გაიმართა). დასავლეთის ბერძნებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და დაიცვეს საერთო ელინური ინტერესები.

ბერძნები აგრძელებდნენ ეტრურიის კულტურულ ექსპანსიას.

ეტრუსკების ისტორიაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რომთან ურთიერთობამ. რომმა ეტრუსკები იმ გზაზე გადაიყვანა, რომელზეც თვითონ იდგა. ლეგენდარული ეპოქიდან მოყოლებული, რომი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თავის უახლოეს მეზობელთან და მტერთან.

ანტიკური ავტორების თანახმად, ადრეული რომის ისტორია (მეფეთა ხანა) ეტრუსკებთან ბრძოლების ისტორიაა. არ არის საფუძველს მოკლებული მტკიცება იმის შესახებ, რომ რომის რამდენიმე მეფე, მათი საკუთარი სახელებიდან გამომდინარე: ტარქვინიუს ძველი, ტარქვინიუს ამაყი,ეტრუსკები იყვნენ. ეტრუსკად მოიხსენიებენ წყაროები სერვიუს ტულიუსსაც. ეტრუსკების ადრინდელი ისტორია უცნობია, მაგრამ არც რომის ისტორიაშია ყველაფერი ნათელი.

ანტიკური ავტორები გარკვევით აღნიშნავდნენ თორმეტი ეტრუსკული ქალაქის არსებობას. საყურადღებოა, ამ ქალაქთა შორის არ არსებობდა პირველი, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ერთიანობას. წყაროები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ეტრურიის სამხრეთით მდებარე ქალაქებზე, რადგან მათ ხშირი ურთიერთობა (უმეტესად საომარი) უხდებოდათ რომთან. ამიტომაა, რომ მეფეთა ხანის რომის ისტორიაში ფართოდ ფიგურირებენ ვეის, ცერეს, კლუზიუმის, ტარქვინიუსის მეფეები.

რომის აღმავლობა ეტრუსკთა ძლიერების ხანაში დაიწყო. რომაელების მთავარ მტრებად ეტრუსკები რჩებოდნენ. ყველა წყარო მიუთითებს, რომ ტახტის დასაბრუნებლად მებრძოლი ტარქვინიუს ამაყის ძირითადი მხარდამჭერები ეტრუსკები იყვნენ. ისმის კითხვა, ეტრუსკებს მეფის ტახტზე დაბრუნება აინტერესებდათ თუ სხვა მიზნები ამოძრავებდათ? ხომ არ ცდილობდნენ გამოღვიძებულ რომზე აღედგინათ ადრინდელი გავლენა? ფაქტია, რომ ეტრუსკები არ ცნობდნენ რომის დამოუკიდებლობას, მას განიხილავდნენ საკუთარ ნებას დამორჩილებულ მოუწესრიგებელ ტერიტორიად, რომელსაც არ გააჩნდა დამოუკიდებელი პოზიციის გამოვლენის უნარი. რომაული ტრადიცია იცნობს ეტრუსკებთან ბრძოლის მრავალ ეპიზოდს. მათ შორის დასახელებულია ათწლიანი (ძვ.წ. 406-396 წლები) ომი ქალაქ ვეისთან.რომის არმიას მეთაურობდა დიქტატორი მარკუს კა-

მილუსი.რომაელებმა გაიმარჯვეს და ვეის სამფლობელოებზე კონტროლი დაამყარეს.

ეტრუსკებისა და რომაელების ბრძოლებზე მრავალი ლეგენდა შეიქმნა. ლეგენდები დგანან რომაული მახვილისა და გმირული შემართების სამსახურში (მხედველობაში გვაქვს მუციუს სცევოლას თავგანწირვა, რომელიც მარადიული ქალაქის უკვდავ ხატად იქცა). რამდენიმე სერიოზული მარცხის შემდეგ ეტრუსკებმა შეწყვიტეს ბრძოლა, რაც ნიშნავდა რომის დამოუკიდებლობის აღიარებას. სამეფო ხელისუფლების დამხობამ და რესპუბლიკური წყობილების დამყარებამ არსებითი გავლენა მოახდინა რომაული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობაზე. დაიწყო არსებითად ახალი პერიოდი იტალიის ისტორიაში. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე გამოიკვეთა რომაული დიპლომატიის საყოველთაოდ ცნობილი ნიშნები, რომელთა დახვეწაც საუკუნეთა მანძილზე მის უპირატესობას წარმოადგენდა.

რომაელები გართულებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, თავიანთი გეგმების შესაბამისად, ივიწყებდნენ მტრობას და გამოდიოდნენ მათი ინტერესების დამცველებად.

ეტრუსკებზე უპირატესობის მოპვებას დაემთხვა ახალი მტრის გამოჩენა აპენინის ნახევარკუნძულზე. V ს-ში გალებმა (კელტებმა) გადმოლახეს ალპები, დაიკავეს ჩრდილოეთ იტალია და შეუდგნენ ეტრუსკების შევიწროებას. ანტიკური ავტორების თანახმად, გალებმა ალყა შემოარტყეს ეტრუსკების ქალაქ კლუზიუმს (ძვ.წ. 390 თუ 387 წელს). რომმა ელჩობა გაგზავნა გალებთან. მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. რომის ელჩები არ შემოიფარგლნენ მისიით და ბრძოლაში ჩაებნენ. დიპლომატების ეს ნაბიჯი გახდა გალების რომზე გალაშქრების საბაბი. გალებმა ტიბრის შენაკად ალიას ნაპირებთან დაამარცხეს რომაელები, მიჰყვნენ დამარცხებულებს, აიღეს და გაძარცვეს ქალაქი. გალების მიერ ქალაქის აღება (ალიას დღე) რომაელთა ხსოვნაში დარჩა, როგორც წარსულის ყველაზე ტრაგიკული ფურცელი (აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შეიქმნა ლეგენდა ბატების მიერ რომის გადარჩენასთან დაკავშირებით).

რომის მიერ იტალიის დაპყრობის პროცესი (ძვ.წ. V-III სს) იტალიის მრავალრიცხოვან ტომთა მკვეთრი წინააღმდეგობის ფონზე მიმდინარეობდა. (თვალსაჩინოებისთვის საკმარისია დავასახელოთ სამი ომი სამნიტებთან, ბერძნულ პოლისებთან). იტალიურ ტომებს არავითარი სახელმწიფოებრივი წესრიგი არ გააჩნდათ, რომაულ

აგრესიას ებრძოდნენ სტიქიურად. დამოუკიდებლობისკენ ლტოლვა იტალიკებში რომაულ პერიოდშიც რამდენიმე საუკუნე არ ჩამქრალა, რომი ყოველთვის დამპყრობელად ჰყავდათ მიჩნეული.

ეტრუსკებთან ყველაფერი შებრუნებით მოხდა. მაღალი კულტურითა და სახელმწიფოებრივი წესრიგით აღჭურვილი, საერთაშორისო ასპარეზზე ანგარიშგასაწევი ძალა უცნობმა რომაელებმა ისე ჩაფერფლეს, რომ მათ ქალაქთა ნანგრევებში ერთი ნაპერწკალი არ გაღვივებულა.ჰანიბალის იტალიაში ლაშქრობის დროს, როდესაც რომის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე იდო, არცერთი ეტრუსკული ქალაქი კართაგენის მხარეს არ გადასულა.

ეტრუსკებისა და რომაელების ურთიერთობა, ანტიკური ავტორების ინფორმაციების მიუხედავად, ბურუსითაა მოცული. საინტერესოა ერთი რეალობის ხაზგასმა,კართაგენ-ეტრუსკების კავშირისა და ბერძნების დაპირისპირებისას რომაელები საერთოდ არ ფიგურირებდნენ.

ეტრუსკების დაქვეითებას და რომაელების აღმავლობას რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო ხელი. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გალების გამოჩენა აპენინის ნახევარკუნძულზე.ჩრდილოეთიდან გადმოსულმა ტომებმა სერიოზული დარტყმა მიაყენეს რომსაც, მაგრამ მთავარი სიმძიმე ეტრურიამ განიცადა, რომელსაც მთელი ძალით დაატყდა ბარბაროსი ტომების ამაოხრებელი შემოსევები. გალებმა გადმოლახეს რა ალპები და დაიკავეს მდ. პადუსის (პოს) სანაპიროები, მიადგნენ ეტრუსკების საზღვრებს. ანტიკური ავტორები ამის შესახებ ფრაგმენტულად მოგვითხრობენ, მაგრამ ფაქტია, რომ ეტრუსკების საომარი პოტენციალი გალებმა შეიწირეს. გალებმა რომაელებს გაუთავისულეს სამოქმედო ასპარეზი. სისხლისგან დაცლილი, გაძარცული და დასუსტებული ეტრურია აღმოჩნდა აღმავლობის გზაზე მდგომი რომის პირისპირ. გალების გამოჩენის შემდეგ, ეტრუსკები წელში ვეღარ გაიმართნენ (რაც შეეხებათ რომაელებს, მათ მალე მოიშუშეს ძვ.წ. 390 თუ 387 წელს მიყენებული ჭრილობა).

ეტრუსკების დასუსტებაში გარკვეული წვლილი მიუძღვით დასავლეთის ბერძნებსაც. ხმელთაშუა ზღვის აუზში მიმდინარე პროცესებში კარგად ინფორმირებულმა სიცილიელებმა, როდესაც დაინახეს, რომ იტალიაში მათმა მთავარმა კონკუტენტებმა ადრინდელი ძალმოსილება დაკარგეს, დაიწყეს აქტიური მოქმედება. სიცილიელთა ლაშქრობას სათავეში ედგა სირაკუზის ტირანი დიონისე. ძვ.წ. 384 წელს ბერძენთა ფლოტმა გაანადგურა იტალიის სანაპიროები, აიღო

და ნანგრევებად აქცია ცერეს პორტი პიგრი. საგარეო ფაქტორებმა ეტრურიის პოზიციების დასუსტება დააჩქარა და ბრძოლის ველზე მოვლენებს რომაელები წარმართავდნენ. ეტრუსკებისა და რომაელების დაპირისპირების ბოლო ეტაპზე ადგილი ჰქონდა საოცარ დაუნდობლობას ერთმანეთის მიმართ.ტიტუს ლივიუსს აღწერილი აქვს შემზარავი სცენები, რომლებშიც ადამიანის სიცოცხლე გათანაბრებულია უსულო არსებებთან. ფაქტის დამადასტურებლად მემატიანეს მოტანილი აქვს ბრძოლები რომსა და ტარქვინიუსს შორის. ბრძოლები ხანგრძლივი და მძიმე იყო ორივე მხარისათვის. დაპირისპირებისას გამოვლინდა ომის კანონების სრული უარყოფა. რომაელების განსაკუთრებული გაღიზიანება და გააფთრება გამოიწვია ტყვეებისადმი არაადამიანური სისასტიკით მოპყრობამ. ეტრუსკებმა სამასზე მეტი ტყვე რომაელი მსხვერპლად შესწირეს თავიანთ ღმერთებს. რამდენიმე წლის შემდეგ მსგავსი უკეთური ქმედება ჩაიდინეს რომაელებმაც.

გამარჯვების სასწორი რომის მხარეს იყო გადახრილი. ეტრუსკებს აღსასრული უახლოვდებოდა. იმედგადაწურულნი უკანასკნელი გაბრძოლებისთვის ემზადებოდნენ. გადარჩენის გზების ძიებამ ეტრუსკები თავიანთ ძველ მტრებთან, ბერძნებთანაც კი მიიყვანა. მათ კავშირი გააბეს სიცილიასთან,რომელიც ეომებოდა კართაგენს. ბერძნებთან კავშირს შედეგი არ მოჰყოლია. ბერძენ-კართაგენელთა კონფლიქტში ჩართვით ეტრუსკებმა მოიკვეთეს კართაგენისკენ მიმავალი გზები. აპენინის ნახევარკუნძულზე დარჩა ორი დაპირისპირებული ძალა.

რომაელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული ხმელეთზე. ზღვის სანაპირო ზოლს ეტრუსკების ფლოტი ფლობდა, მაგრამ რომმა ამ უპირატესობასაც მოუღო ბოლო.

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ეტრუსკები შეუკავშირდნენ გალებს და რომაული პოლიტიკით უკმაყოფილო იტალიელ ტომებს. განწირულის უკანასკნელ გაბრძოლებას შედეგი არ მოჰყოლია. გამარჯვებებით განებივრებულმა რომის ლეგიონებისაგან შედგენილი კოალიციური ლაშქარი აპენინის ნახევარკუნძულის უმეტესი ნაწილის ერთპიროვნული მფლობელი გახდა. ეტრუსკებმა ბრძოლით დატოვეს ასპარეზი. უკანასკნელი ეტრუსკული ქალაქი ვოლსინი რომაელებმა აიღეს ძვ.წ. 265 წელს. დამთავრდა ეტრუსკების მრავალსაუკუნოვანი ისტორია. ეტრუსკებთან ბრძოლაში დამტკიცდა რომაული სამხედრო ორგანიზაციის უპირატესობა, რომელმაც სრულიად

გაანადგურა წინამორბედთა სამხედრო ძალები.

ეტრუსკების მზის ჩასვენება და რომაული ვარსკვლავის ამობრწყინება ერთდროულად მოხდა. ეტრუსკებთან ერთად რომმა, ხანგრძლივი ბრძოლებით, თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა იტალიის მრავალრიცხოვანი ტომი და მაღალკულტურული ელინური პოლისები. მთელი ნახევარკუნძული რომის სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

ეტრურიის დაპყრობის კვალდაკვალ დაიწყო მისი ნაყოფიერი მიწების მიტაცება. ფართოდ ამუშავდა რომაული საკოლონიზაციო სისტემა. ეტრუსკულ ქალაქებში მრავლად ჩასახლდნენ რომის მოქალაქეები. ლათინურად მოლაპარაკე მოსახლეობის რიცხვის გაზრდამ განაპირობა ეტრუსკული ენის ფუნქციების შევიწროება და დროთა განმავლობაში მისი განდევნა ხმარებიდან. ეტრუსკული ქალაქები გადაიქცნენ რომაულად.

საურთიერთობო ენად ლათინურის დამკვიდრებამ დააჩქარა ეტრუსკების რომანიზაცია. მშობლიურ ენასთან კავშირის გაწყვეტამ პირდაპირი ზემოქმედება მოახდინა საკუთარი ქვეყნის წარსულის დავიწყებაზე. ეტრუსკების რომანიზაცია იმდენად ღრმად წარიმართა, რომ ეტრუსკებს ახ.წ. I ს-ში საკუთარი ქვეყნის ისტორიასთან კავშირი თითქმის გაწყვეტილი ჰქონდათ და თავს რომაელებად თვლიდნენ. რომაული პერიოდის რომანიზებულ ეტრუსკებს მცდელობაც კი არ ჰქონიათ, დაეწერათ მშობლიური ქვეყნის ისტორია (ძველ სამყაროში ამის საუკეთესო დამადასტურებელია მანეთონისა და ბეროსის ისტორიები (ეგვიპტისა და ბაბილონის). რამდენად კარგ მდგომარეობაში იქნებოდა ეტრუსკოლოგია, მანეთონის და ბეროსის ინტერესების მქონე ეტრუსკს რომ ეცხოვრა ძვ.წ. I ს-ში).

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მეორე პუნიკური ომის დროს (ძვ.წ. 218-201) ჰანიბალმა მოწოდებით მიმართა იტალიაში მცხოვრებ ხალხებს, გაერთიანებული ძალით ებრძოლათ დამპყრობელი რომაელების წინააღმდეგ. გალები და რამდენიმე იტალიური ტომი გადავიდნენ ჰანიბალის მხარეზე. ეტრუსკებმა თავიანთი ისტორიული მოკავშირეების, კართაგენელების, მხარდაჭერაზე უარი განაცხადეს.

ეტრუსკები კულტურითა და ეკონომიკური ცხოვრების დონით რომზე მაღლა იდგნენ. მათი გავლენა მოიცავდა საზოგადოებრივი ყოფის ფართო სფეროს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბერძნული დამწერლობა ეტრუსკების გავლით დამკვიდრდა რომში. რომაულმა ხელოვნებამ ბერძნულზე ადრე ეტრუსკულის გავლენა განიცადა.

მსოფლიოში გავრცელებული მრავალი სიტყვა ეტრუსკულიდან მომდინარეობს. ვარაუდობენ, რომ სიტყვა ტირანი, რომელიც ჰომეროსს ნახსენები არ აქვს, ბერძნულში შესულია ეტრუსკულიდან (თუ ლიდიურიდან ?). ეტრუსკებისგან ისესხეს ლათინებმა ლუკუმონი. ცნობილია, რომ ეტრუსკული და ბერძნული ენები ამდიდრებდნენ ლათინურს და ამკვიდრებდნენ საერთაშორისო ასპარეზზე. ეტრუსკული და ბერძნული სიტყვები რომის ისტორიის გარიჟრაჟზე დამკვიდრდა და შეესისხლხორცა მსოფლიოს მომავალი მპყრობელების ბუნებას. რომაელებმა პოპულარული გლადიატორების ბრძოლები ეტრუსკებისგან მემკვიდრეობით მიიღეს. სადავოდ არ მიგვაჩნია, რომ გამარჯვებული რომაელები ფართოდ უღებდნენ კარს ბერძნულ-ეტრუსკულ კულტურას.

რომაული მახვილის ქვეშ მოქცეული ეტრუსკები დროთა დინებაში შეურიგდნენ ბედს, გაწყვიტეს კავშირი საკუთარ ფესვებთან და შეუერთდნენ მსოფლიოს მპყრობელებს. რომანიზებული ეტრუსკები მკრთალად სჩანან რომის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს იმპერიის დასაწყისის რომაული დიდმპყრობელური პოლიტიკის აქტიური იდეოლოგი, კულტურის თვალსაჩინო ფიგურა გაიუს ცილნიუს მეცენატი (ძვ.წ. დაახლ. 74 — 8). ოქროს საუკუნის რომაული ლიტერატურა წარმოუდგენელია მეცენატის როლის გარეშე (და არა მარტო ლიტერატურა).

ეტრუსკული წარმომავლობის რომაელი არისტოკრატი გაიუს ცილნიუს მეცენატი ძვ.წ. I ს-ის განათლებული რომაელის ტიპური წარმომადგენელია. ჩანს, მისმა წინაპრებმა რომანიზაცია ადრე განიცადეს და მეცენატის სახით, ანტიკურობამ მიიღო რომაული დიდების მეხოტბე, რომლის საქმიანობაში არარომაელის კვალი საერთოდ არ შეიმჩნევა.

მეცენატი ასპარეზზე გამოვიდა რომის სამოქალაქო ომების დამამთავრებელ ეტაპზე. ეს იყო ძველი მსოფლიოს ისტორიის სისხლისღვრით გამორჩეული ეპოქა. ეპოქა, რომლის ჩონჩხი გამოკვეთა გენიალურმა იულიუს ცეზარმა, ხოლო ხორცი შეასხა მისმა ნაშვილებმა (დისწულის შვილმა) ოქტავიანე ავგუსტუსმა.

პატარა იტალიური ქალაქის ინტერესთა მოთხოვნით შექმნილი მმართველობის რესპუბლიკური სისტემა ვერ პასუხობდა მსოფლიო სახელმწიფოს წინაშე დასმულ ამოცანებს. ხმელთაშუა ზღვის აუზზე გაბატონებამ ნათელი გახადა რესპუბლიკური მმართველობის ფორმების უკმარისობა. რომაული სახელმწიფოს მომავალ ბედზე

პირველი გამოსვლა დაკავშირებულია გრაკხუსების სახელთან. გრაკხუსები დამარცხდნენ.

ლუციუს კორნელიუს სულას დიქტატურამ რესპუბლიკა მიწასთან გაასწორა, მაგრამ გადადგომით სიცოცხლე შეუნარჩუნა.

გაიუს იულიუს ცეზარმა რესპუბლიკას მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა. მისმა დიქტატურამ არსებითად დაამთავრა მისი არსებობა. ცეზარის ერთპიროვნულ მმართველობას რესპუბლიკის დამცველებმა ტერორით უპასუხეს, მაგრამ მიცვალებულის გაცოცხლებას სისხლის მდინარეებმაც ვერ უშველა. ცეზარი მოკლეს შეთქმულებმა. მისი ანდერძით მემკვიდრემ,ახალგაზდა გაიუს იულიუს ოქტავიანემ, საოცარი სიბრძნით და წინდახედულობით გააგრძელა დიდი წინამორბედის იდეები და რომის ძლევამოსილი სახელმწიფო მმართველობის ახალ ფორმაზე გადაიყვანა, თუმცა გარეგნულად რესპუბლიკური სამკაულები შეუნარჩუნა.

იულიუს ცეზარს დიდების შარავანდედი შეუქმნა გალიის ომებმა, უძლეველად მიჩნეული პომპეუს დიდის დამარცხებამ და მრავალი ბრძოლის ბრწყინვალედ წარმართვამ.

ოქტავიანეს ბიოგრაფიაში საბრძოლო ეფექტები არ ფიგურირებდნენ. მისი მთავარსარდლობით წარმართული ბრძოლა წყაროებში დაფიქსირებული არ არის. ამ მხრივ მისი ცეზართან შედარება შეუძლებელია, მაგრამ ოქტავიანეს გააჩნდა ისეთი ღირსებები, რომლებითაც აღემატებოდა თავის დიდ მასწავლებელსა და გზის გამკვალავს. ავგუსტუსი ფლობდა უნარს ქვეშევრდომებში გამოერჩია ცალკეული დარგის მცოდნენი და ხელი შეეწყო მათთვის, ეკეთებინათ ის, რაც იცოდნენ. ავგუსტუსის დასაყრდენს წარმოადგენდა არმია, რომელსაც სათავეში ედგნენ სამხედრო ხელოვნებაში განსწავლული პირები. მათ შერჩევაში ავგუსტუსი შეუდარებელი იყო და ამ ალღომ დიდად შეუწყო ხელი გამარჯვების მოპოვებაში.

რა პროგრამა ჰქონდა ცეზარს, უცნობია. ამ ფონზე ოქტავიანე წარმოგვიდგება ფართო მასშტაბის დინჯ სახელმწიფო მოღვაწედ (მისი დევიზი იყო: „იჩქარე ნელა“), რომელმაც რომი ახალ სიმაღლეზე აიყვანა და საფუძველი დაუდო უზარმაზარი იმპერიის მართვა-გამგეობის ფორმას, პრინციპატს, გარეგნულად რესპუბლიკურს, შინაარსით მონარქიულს. პრინციპატი, მრავალი უარყოფითი გადახრის მიუხედავად, სამი საუკუნე არსებობდა რომში.

ავგუსტუსი მკაცრიც იყო და სამართლიანიც. პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ იჩენდა უკიდურეს სისასტიკეს (თუმცა „საქ-

მენში“ ხაზგასმით აქვს მითითებული, რომ დამნაშავეთა მიმართ იჩენდა ლმობიერებას). მეორე ტრიუმვირატის თავაშვებულმა მძვინვარებამ უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა; მათ შორის, რომაული აზროვნებისა და ორატორული ხელოვნების მშვენება მარკუს ტულიუს ციცერონი.ავგუსტუსი ცდილობდა მის შველას, მაგრამ ვერ შეძლო.

ოქტავიანე ძვ.წ. 31 წელს მარკუს ანტონიუსის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ რომის ერთპიროვნული გამგებელი გახდა და შეუდგა სამოქალაქო ომებით დანგრეული ქვეყნის აღდგენას. გამარჯვებულმა ოქტავიანემ დიპლომატიური თავდაჭერილობით მოხიბლა ძმათამკვლელ სისხლისღვრებს გადარჩენილი რომაელი არისტოკრატები. “მარადიულ ქალაქში“ ტრიუმფით შესული, მოკრძალებული ტიტულით, „პირველი სენატორი“ (Princeps senates), დაკმაყოფილდა.რესპუბლიკურ რომში პირველი სენატორი განმასხვავებელ ნიშნებს ატარებდა. ოქტავიანეს მოქმედება წარმოადგენდა ჭკვიანურად მოფიქრებულ ნაბიჯს, რომ არ გაეღიზიანებინა ნაომარი რომაელები, რომელთაც სიმშვიდეს პირდებოდა.ამავე დროს, სენატორებმა იცოდნენ, რომ ოქტავიანეს უკან უზამაზარი არმია იდგა. ამიტომ უმაღლესი ხელისუფალის სურვილს შეუპასუხებლად აკმაყოფილებდნენ. ამას მოჰყვა ოქტავიანეს რელიგიურ, სამხედრო ტიტულატურათა კასკადი: უმაღლესი ქურუმი, ღვთაებრივი, სამშობლოს მამა; მის ხელში იყო სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება, ითვლებოდა მუდმივ კონსულად და ტრიბუნად.

იმდროინდელი ლიტერატურულ-ფილოსოფიური იდეების ღრმა ცოდნით აღჭურვილ ოქტავიანეს მრავალი განათლებული მეგობარი ედგა გვერდით, რომელთა რჩევებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ პირებად დასახელებული არიან: ვალერიუს მესალა კორვინი, მისი თხზულებებიდან არაფერია მოღწეული; ასინიუს პოლიონი, მრავალი ლიტერატურული და საისტორიო შინაარსის ნაშრომის ავტორი, მისი თხზულებებიც დაკარგულია; მესამე პირი იყო გაიუს ცილნიუს მეცენატი.

იმპერატორის საგანმანათლებლო პოლიტიკა რომაული კულტურისა და აზროვნების ყველა სფეროს მოიცავდა. განსაკუთრებით დიდი აღმავლობა განიცადა ლიტერატურამ. ავგუსტუსის პერიოდის რომაული პოეზია დღესაც საყოველთაო მოწონებას იმსახურებს (სვეტონიუსის თანახმად, იმპერატორიც წერდა ლექსებსა პროზაულ თხზულებებს. ფრაგმენტები მოღწეულია). პრინციპატის

ისტორიისათვის უპირველეს წყაროს წარმოადგენს ოქტავიანეს „საქმენი“, რომელშიც მოთხრობილია ყოველივე იმის შესახებ, რაც „სამშობლოს მამამ“ გააკეთა ქვეყნის საკეთილდღეოდ. „საქმენის“ ტექსტიდან კარგად ჩანს, რაოდენ დახვეწილი ლიტერატორი იყო მისი ავტორი.

ოქტავიანეს გარშემო შემოკრებილ განათლებულ პერსონათა შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ლიტერატურისა და ხელოვნების აღიარებულ მფარველს, გაიუს ცილნიუს მეცენატს (რომანიზებულ ეტრუსკს).

ცნობები მეცენატის შესახებ ფრაგმენტულადაა მოღწეული.ანტიკური ავტორები ძირითადად მსჯელობენ რომაელ პოეტებთან მის ურთიერთობაზე. მაგრამ არსებობს ფრაგმენტები, წმინდა პოლიტიკური დატვირთვის შემცველი ტექსტებით, რომლებშიც კარგად ჩანს მისი დამსახურება რომაული სახელმწიფოს წინაშე.

მეცენატი რომის ისტორიის მღელვარე ეპოქაში ცხოვრობდა. ეს იყო ეპოქა, როდესაც ორად გათიშული რომაელები დაუნდობლად ღვრიდნენ ერთმანეთის სისხლს და ეს უკეთურობა დიდ გმირობად და პატრიოტობად საღდებოდა. მეცენატი ასპარეზზე გამოვიდა რესპუბლიკისა და იმპერიის დაპირისპირების ყველაზე დაძაბულ ეტაპზე. რომი ომებში იყო ჩართული. ომი იყო ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც.

მეცენატი იყო დიდი რომაელების თანამედროვე (ციცერონი, ცეზარი, ოქტავიანე ავგუსტუსი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი) და ჩართული იყო აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მას თავიდანვე ჰქონდა განსაზღვრული ბარიერის რომელ მხარეს დამდგარიყო და მთელი სიცოცხლე მის მსახურებაში გაატარა; იგი მონარქისტული იდეების ერთგული იყო და ასეთად დარჩა.

მეცენატი გავლენიან რომაელთა შორის გამონაკლისია. იგი უყოყმანოდ დადგა ახალგაზრდა ოქტავიანეს გვერდით. წყაროებში ხაზგასმულია, რომ მეცენატი სახელისუფლო თანამდებობის დაკავების გარეშე წარმართავდა რომაულ სულიერებას. ავგუსტუსთან მეგობრობა იყო ის განძი, რომლის წყალობითაც იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მის გავლენას განსაკუთრებით ზრდიდა ის ფაქტი, რომ ხშირად უხდებოდა ავგუსტუსის მნიშვნელოვან დავალებათა შესრულება, ხელმძღვანელობდა დიპლომატიურ მისიებს, აწარმოებდა მოლაპარაკებებს ავგუსტუსთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებთან.

მეცენატის ავტორიტეტეტს ემსახურება კორნელიუს ტაციტუსის თხრობა. „ანალებში“ იგი იწერს, კრისპუსი იყო რომის სახელოვანი ისტორიკოსის სალუსტიუს კრისპუსის დის შვილიშვილი, რომელიც იშვილა და მისცა თავისი სახელი. კრისპუსს გზა ხსნილი ჰქონდა მაღალი მაგისტრატურებისკენ, მაგრამ გაჰყვა მეცენატის კვალს და მიაღწია ისეთ გავლენას, რომ აღემატებოდა მრავალ კონსულს და ტრიუმფგადახდილს. მასში იმალებოდა დიდი სულიერი ძალა იმისათვის, რომ გადაეჭრა მნიშვნელოვანი საკითხები.

ტაციტუსის გადმოცემით, ავგუსტუსს ორი მეგობარი ჰყავდა, ვიპსანიუს აგრიპა, ბრძოლის ველისათვის და გაიუს მეცენატი, არანაკლებ საპასუხისბგებლო საქმეების მრჩევლად. ამ ასპარეზმა მოუტანა მეცენატს იმპერატორის ნდობა და ავტორიტეტი.

ოქტავიანესა და ანტონიუსის დაპირისპირების დროს, მათ შორის მოლაპარაკებას მეცენატი წარმართავდა (ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ჰორაციუსი, რომელიც მისიის შემადგენლობაში შედიოდა).

ცნობილია, რომ ავგუსტუსს იულიუს ცეზარისგან განსხვავებით, სამხედრო საქმეში საკმაოდ მდარე მონაცემები გააჩნდა. თავის სუსტ მხარეს კარგად გრძნობდა და არცერთ სერიოზულ საომარ ოპერაციას სათავეში არ ჩადგომია.აღნიშნული სფერო მინდობილი ჰქონდა მის მეგობარს და სიძეს აგრიპას. ამ ნაკლის მიუხედავად, ავგუსტუსი შეუდარებელი დიპლომატი და ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის დიდოსტატი იყო. მას პოლიტიკური აზროვნების სულ სხვა ტალანტი გააჩნდა. მხედველობაში გვაქვს იმპერატორის მიერ იტალიაში გატარებული რეფორმა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა იმპერიაში შემავალი ხალხების ისტორიაში.

ოქტავიანემ ცალკეულ ტომებად დაყოფილი იტალია რომაული გახადა. მისი გეგმის მიხედვით, მსოფლიო იმპერიას უნდა შეექმნა მთავარი დასაყრდენი და ეს როლი უნდა შეესრულებინათ იტალიელებს. დიონ კასიოსის თანახმად, რეფორმის იდეის ავტორი იყო მეცენატი. რეფორმა ითვალისწინებდა იტალიის დაყოფას თერთმეტ რეგიონად. იტალიაში მცხოვრები ყველა არარომაელი ცხადდებოდა რომის მოქალაქედ (სავალდებულო იყო ლათინური ენის ცოდნა). იტალიის რიგით მცხოვრებს უნდა ერწმუნა, რომ მისი სამშობლო იყო რომის იმპერია და იგი ცხადდებოდა ამ იმპერიის მოქალაქედ.

რეფორმის მიზანი იყო რომანიზაციის პროცესის დასრულება. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, ეს იყო იტალიის მრავალეროვანი

მოსახლეობის რომანიზაციის პროგრამა შემუშავებული არარომაელის (მეცენატის) მიერ იმპერატორის აქტიური თანადგომით (ავგუსტუსის დროინდელ იტალიაში, იტალიკების გარდა ცხოვრობდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზის სხვა ხალხებიც.მრავალი ბერძენი და ფინიკიელი ინარჩუნებდა მშობლიურ ენას სიცილიაში. ფინიკიელები იყვნენ აგრეთვე სარდინიასა და კორსიკაზე. ბერძნებმა ენა დიოკლეტიანეს ეპოქამდე შეინარჩუნეს. ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს. ბერძნული რომში განათლებისა და მეცნიერების ენად ითვლებოდა).

მეცენატისა და ოქტავიანეს ახლო მეგობრობის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს. სვეტონიუსს დაცული აქვს ცნობა, რომლის თანახმად, იმპერატორი ავადმყოფობისას ყოველთვის არჩევდა, ყოფილიყო მეცენატის სახლში,ესკვილინუმზე (რომელიც გარშემორტყმული იყო შესანიშნავი ბაღებით).

მეცენატი ერთადერთია რომის ისტორიაში, რომელსაც თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ იმპერატორზე ზემოქმედებით მრავალ მაღალჩინოსანს აღემატებოდა. იყო ნიჭიერი კარისკაცი და იცოდა, სად რა უნდა ეთქვა და რა გაეკეთებინა.ამ გზით მიიქცია მან იმპერატორის ყურადღება, რომელიც ბოლომდე შეინარჩუნა.ცნობილია, რომ მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე ოქტავიანემ უზარმაზარი ძალმოსილებით აღჭურვა, მაგრამ შეასრულა რა დროებით დაკისრებული ფუნქცია, უარი განაცხადა ამ სფეროში საქმიანობაზე და იმპერატორის საგანგებო დავალებების შესრულებით შემოიფარგლებოდა.

მეცენატმა სახელი და დიდება მოიხვეჭა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი გამოხატული სიყვარულითა და მზრუნველობით. მეცენატის თანამედროვენი იყვნენ რომაული აზროვნებისა და მწერლობის გიგანტები: ციცერონი და ცეზარი. პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორებული მეცენატი კულტურისა და ლიტერატურის სფეროს განვითარებას ჩაუდგა სათავეში. მის გარშემო ჩამოყალიბდა ბერძნულ-რომაული პოეზიის თაყვანისმცემელთა მოზრდილი ჯგუფი, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში მეცენატის წრის სახელითაა ცნობილი.

ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი იყო ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებულ პოეტთა ეპოქა (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი), მეცენატის როლი რომ არა, ბევრი პოეტი მიღწეულ დიდებას ვერ მოიპოვებდა. ოქტავიანეს მსგავსად, ლექსებს წერდა მეცენატიც. მისი ლიტერატურული შემოქმედებიდან არაფერია მოღწეული, მაგრამ ანტიკური ავტორების კრიტიკულ გამონათქვამებს თუ ვენდობით, სხვათა

თხზულებების ღირსებათა ბრწყინვალე შემფასებელი საკუთარი შემოქმედებით ვერ დაიტრაბახებდა. ამ ნაკლის მიუხედავად, არ შურდა სხვების წარმატება. მას გააჩნდა უნარი, შეემჩნია პოეტური ნიჭით დაჯილდოებული უცნობი პერსონები. დახმარებოდა მათ გზის გაკვალვაში(ზოგჯერ ფინანსურადაც). გაწეულ ქველმოქმედებათა გამო, მისი სახელი ისტორიაში შევიდა, როგორც ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველისა.

მეცენატი ეპოქის შვილი იყო. წესრიგი, რომელიც ავგუსტუსმა ჩამოაყალიბა და დააკანონა, მის პოლიტიკურ შეხედულებებს შეესაბამებოდა. მონარქიის ერთგული მსახური ენერგიულად იღვწოდა იმისთვის, რომ რომაული ლიტერატურის ცენტრში ღვთაებრივი ავგუსტუსი მდგარიყო. მისიის მხატვრულად გამოხატვა, ხელოვნების სხვა დარგებისგან განსხვავებით, შეეძლო პოეზიას და იმდროინდელმა დიდმა პოეტებმა უზარმაზარი ხარკი გადაუხადეს ეპოქის მოთხოვნებს. შეიქმნა სახოტბო პოეზიის მრავალი შედევრი, რომლის იდეოლოგიურ წამხალისებლად მეცენატი უნდა მივიჩნიოთ. ამის ნათელი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ „ოქროს საუკუნის“ პოეტები ავგუსტუსის გვერდით ხშირად უძღვნიდნენ ლექსებს მეცენატსაც.

„ოქროს საუკუნის“ უდიდესი პოეტი პუბლიუს ვერგილიუს მარონი (ძვ.წ. 70-19) მეცენატს უახლოეს მეგობრად და მფარველად მიიჩნევდა. სიახლოვის მრავალი ფაქტი დაცული არის პოეტის თხზულებებში. ვერგილიუსის უზარმაზარი მემკვიდრეობიდან გამოჰყოფენ სამს:“ბუკოლიკებს“,“გეორგიკებს“, „ენეიდა“. პოეტმა „გეორგიკებს“ მიუძღვნა მეცენატს. ვერგილიუსი პოემაში გვაუწყებს, რომ თხზულება დაწერა მეცენატის დავალებით, იგი თითქმის თანაავტორადაც კი გამოჰყავს. სვეტონიუსს დაცული აქვს ასეთი ეპიზოდი: აქციუმის ბრძოლაში გამარჯვებიდან დაბრუნებულ ავგუსტუსს, სამი დღე შეუსვენებლად უკითხავდა ვერგილიუსი „გეორგიკებს“, როცა დაიღალა და ხმა დაკარგა, კითხვა გააგრძელა მეცენატმა. „გეორგიკებში“ გამოკვეთილად არის დახატული პატრიოტული იდეების უპირველესი დანიშნულება. მისი აზრით, **სამშობლოს დასაყრდენი არის მიწათმოქმედი**, რომელიც ხნავს მიწას და მოჰყავს მოსავალი. ანალოგიური იდეების გაღრმავებისკენ მოუწოდებდა ოქტავიანე ავგუსტუსი.

რომაული პოეზიის მწვერვალი „ენეიდა“ უშუალოდ იმპერატორის დაკვეთით არის დაწერილი. პოეტმა გააღრმავა მითი იუ-

ლიუსების გვარისა და რომაელების წარმომავლობის შესახებ .“ენეიდა“დატვირთულია ბერძნულ-რომაული ლეგენდარულ-ლიტ-ერატურული მოტივებით. ეს არის განათლებული რომაელის წარ-მოდგენით შექმნილი წარსულის სურათების პოეტური ასახვა (ვერ-გილიუსი ანტიკურ ავტორებს ჰომეროსის დონის პოეტად ჰყავდათ წარმოდგენილი).

ვერგილიუსისა და ავგუსტუსის მიზნები განსხვავებული იყო. აღნიშნავენ, რომ ვერგილიუსი დაკვეთას დიდი ხალისით არ შეხ-ვედრია, მაგრამ ფაქტია, რომ იმპერატორის სურვილით შეიქმნა მსოფლიო ლიტერატურის მშვენება და ამ გამარჯვებაში მეცენატის როლიც უნდა ვიგულისხმოთ (დაკვეთით რომ მრავალი ნაწარმოებია შექმნილი, კარგადაა ცნობილი მსოფლიო ლიტერატურაში).

მეცენატისა და ვერგილიუსის ახლო ურთიერთობის დამადასტურე-ბელია პოეტის ანდერძი. სვეტონიუსის თანახმად, ვერგილიუსმა თა-ვისი ქონების მეთორმეტედი მეცენატს დაუტოვა. ვერგილიუსისა და მეცენატის მეგობრობამ და ოქტავიანეს კეთილგანწყობამ უდიდესი როლი შეასრულა „ოქროს საუკუნის“ პოეზიის აყვავებაში.

„ოქროს საუკუნის“ მეორე დიდი პოეტი იყო კვინტუს ჰორა-ციუს ფლაკუსი (ძვ.წ. 65—8). ჰორაციუსის აღმომჩენად ანტიკური ტრადიცია თვლის ვერგილიუსსა და ვარიუსს, რომლებმაც ძვ.წ. 38 წელს შეამჩნიეს იგი და წარუდგინეს თავიანთ მფარველ მეცენატს. ახალგაზრდა ჰორაციუსს შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებუ-ლი ათენში. ლექსებს წერდა ბერძნულადაც.

ფილიპთან ცეზარის წინააღმდეგ მებრძოლმა ჰორაციუსმა უარი თქვა თავის რესპუბლიკურ იდეებზე და მეცენატის გავლენით აქტიუ-რად ჩადგა ავგუსტუსის მეხოტბეთა რიგებში. ჰორაციუსი იყო ლიბ-ერტინის შვილი. მეცენატის დახმარებით ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა და „ოქროს საუკუნის“ პოეტების მშვენებად გადაიქცა.

მეცენატი ზრუნავდა ჰორაციუსის პირადი ცხოვრების მოწყო-ბაზე. ცნობილია, რომ მეცენატმა მას საჩუქრად გადასცა საკ-მაოდ მოზრდილი ვილა. ჰორაციუსი თან ახლდა მეცენატს ბრუნდიზიუმში,როდესაც იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა მარკუს ანტონიუსთან. მგზავრობისა და მოლაპარაკების სიძნელეებზე მოთხრობილი აქვს პოეტს.

ვერგილიუსის გარდაცვალების შემდეგ რომაული პოეზიის „მეფეპოეტი იყო ჰორაციუსი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქალაქის დაარსებისადმი მიძღვნილი საიუბილეო ჰიმნის დაწერა ავგუსტუს-

მა ჰორაციუსს დაავალა. დავალება პოეტმა შესანიშნავად შეასრულა. ჰიმნით ჰორაციუსმა განიმტკიცა მფარველთა კეთილგანწყობა და მისმა პოეტურმა დიდებამ რამდენიმე საფეხურით აიწია მაღლა. ჰორაციუსი მაღალფარდოვანი სიტყვებით მიმართავდა თავის მფარვე-ლებს: მეცენატსა და ავგუსტუსს. პოეტი არ ერიდებოდა თვალთმაქ-ცობას. მლიქვნელობას მოითხოვდა იმპერიის მსახურების ეტიკეტი.

ჰორაციუსი და მეცენატი გარდაიცვალნენ ძვ.წ. 8 წელს. სვეტო-ნიუსი წერს,ჰორაციუსი გარდაიცვალა მეცენატის სიკვდილიდან 59 დღის შემდეგ. დაკრძალეს მეცენატის გვერდით ესკვილინუმზე.

„ოქროს საუკუნის“ მესამე დიდი პოეტი იყო პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი (ძვ.წ. 43 — ახ.წ. 18). იგი ტრაგიკული ბედით განსხვავდე-ბოდა მეცენატის წრის განებივრებული პანეგირიკოსებისგან. საეჭვო არ არის, რომ ოვიდიუსი არ ემხრობოდა მეცენატის წრის ლიტ-ერატურულ მიმართულებას. შორს იდგა იმპერატორის ღვთაებრივი ნიშნებით შემკობისგან. ნაზონის განსხვავებული ხედვა მიუღებელი იყო ავგუსტუსის პოლიტიკისთვის და ამის გამო ვერ მიიღებდა მე-ცენატიც. შეუთანხმებლობა გაბატონებულ იდეოლოგიასა და თა-ვისუფალ აზრს შორის გახდა ნაზონის სამუდამო გადასახლების მიზეზი. ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, მეცენატს რომ ეცოცხ-ლა, არ არის გამორიცხული, რომ იგი მიაღწევდა ავგუსტუსის გულის მოლბობას და პოეტის გათავისუფლებას, ან მდგომარეო-ბის შემსუბუქებას. რა დანაშაული ჩაიდინა ოვიდიუსმა, უცნობია. ზოგიერთები დანაშაულად მიიჩნევენ დაპირისპირებას მეცენატის წრესთან, რომელიც აიდეალებდა ავგუსტუსის სახელს. მეორე ვერ-სიით, პოეტი შეეწირა სასახლის ინტრიგებს. იმდროინდელ რომში ოვიდიუს ნაზონის დასაცავად ხმა არავის დაუძრავს (მეცენატი გარ-დაცვლილი იყო, რომელსაც შეეძლო ტვირთის შემსუბუქებაც და დამძიმებაც), მისთვის ვერავინ მოიცალა და სასჯელს ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგაც იხდიდა.

ოვიდიუსის სიკვდილით ჩაქრა „ოქროს საუკუნის“ დიდი სამეუ-ლის უკანასკნელი ვარსკვლავი. ვერ ვიტყვით, რომ ოვიდიუსზე რისხვის დამტეხი ვერ ერკვეოდა პოეტის სიდიდეში, მაგრამ სურდა, ეს სიდიდე თავის მორჩილებაში ჩაეყენებინა.

ავგუსტუსის მომდევნო ცეზარებმა ლიტერატურას საერთოდ ამო-აცალეს სული და მომაკვდავის მდგომარეობაში განუსაზღვრეს საო-ცრად შეკვეცილი ასპარეზი.

რომაული სამყარო კაცთმოძულეობის ეპოქაში შევიდა. სისხლის

მდინარეების ადიდებამ ლიტერატურისა და მშვენიერების თაყვანისცემის ხატი დაამსხვრია და მეორე რიგში გადაისროლა. დიდი რომაული პოეზია წარსულის საკუთრება გახდა და რჩეულთა ვიწრო წრეში ჰპოვა თავშესაფარი. რომში აღარ დარჩა ადგილი ჰორაციუსის „ოდებისა“ და ოვიდიუსის „სიყვარულის ხელოვნებისთვის“. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მუზებმა უარი თქვეს „მარადიული ქალაქის“ მსახურებაზე, მაგრამ სიმაღლე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ავგუსტუსის ეპოქაში, დარჩა“ოქროს საუკუნის“ პოეზიის ტკბილ მოგონებად. რომში მოხდა საოცრება, რომლის წარმმართველი იყო საშუალო დონის პოეტი, ეტრუსკების მეფეთა შთამომავალი, გაიუს ცილნიუს მეცენატი.

მართალია, მეცენატი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული შემოქმედებითი მონაცემებით, მაგრამ, როგორც ვთქვით, მას სხვა უნარი ჰქონდა: გააჩნდა დახვეწილი კარისკაცის ნიჭი, რომელმაც იცოდა, სად უნდა ეთქვა და სად გაჩერებულიყო. ამ უნარის წყალობით შეინარჩუნა მან სახელი და დიდება.რომ არ ყოფილიყო მეცენატი, ადვილი შესაძლებელია, რომ არც რომაული ლიტერატურის მრავალი შედევრი შექმნილიყო. ამ კუთხით იგი მსოფლიო ლიტერატურაში უიშვიათესი მოვლენაა და ამიტომაც იქცა მისი სახელი პოეზიის მფარველის კოგნომენად.

ბიბლიოგრაფია

სანიკიძე ლ., ანტიკური ქვეყნების ისტორია (პუნიკური ომები), 1965.

ქავთარია გ., ჰანიბალი, 1979.

წერეთელი ალ., ძველი რომი,1957.

ჰეროდოტე, ტ. 1. 1975.

Геродот, История, М., 1972.

Ливий Тит , История Рима. Т. 1. М., 1989.

Светоний Транквилл, Жизнь двенадцати цезарей, М., 1964.

Корнелий Тацит, Анналы, М., 1969.

Страбон, География, М., 1964.

Плутарх, Сравнителъные жизнеописания, Т 1-3, М.,1961 -1964.

Хрестоматия по античной литературе. Т, 2, М., 1965.

Античная лирика, М., 1968.

Вергилий, Вуколики, Георгики, Энеида, М., 1971.

История римской литературы. М., 1959.

Моммзен Т., Римская история, М., 1936.

Машкин Н. А., История Древнего Рима, М., 1949.

Принципат Августа, М. Л.,1949.

Немировский, История раннего Рима и Италии, Воронеж, 1962.

Немировский А. И., Нить Ариадны. Воронеж, 1989.

Залеский Н.Н., Этруски в северной Италии, Л., 1959.

Залеский Н. Н., К истории этрусской колонизации Италии в 7-4 вв, 1965.

Шишмарев В. Ф., Избранные статьи, Л., 1972.

Маяк И. Л., Рим первых царей, М., 1983.

Гердер, Идеи к философии и истории человечества, М., 1977.

Маияни, Этруски начинают говорить, М., 1966.

Вуриан Я., Моухова Б.,Этруски, М., 1977.

Кондратов А. М., Этруски – Загадка номер один, М., 1977.

Карл Крист, История времен римских императоров от Августа до Константина. Т, 1. Ростов-На-Дону, 1997.

Э. Добльхофер Знаки и чудеса, М., 1963.

Дирингер Д., Алфавит, М., 1963.

Георгиев В., Исследования по сравнительно-историческому языкознанию. М., 1958

Тайны древних письмен. Проблемы дешифровки. Сборник статей. М., 1976.

М. Паллотино, Образы и реальность этрусской цивилизации, Культура и искусство Этрусков, Рим, 1989.

Верве Г., Тираны Греции. Ростов на Дону, 1997.

Н. Я. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в образовании средиземноморской культуры (Материалы по яфетическому языкознанию), Лейпциг, 1920.



ნათელა არველაძე

ემირ ბურჯანაძე — შემოქმედი მამულიშვილი

ემირ ბურჯანაძე, უწინარესად, ქრისტიანი გალხდათ, მსასოებელი დედა ეკლესიისა; ემირ ბურჯანაძე პიროვნება გახლდათ, გამომხატველი ამაღლებული სულისა და ნათელი გონებისა; ემირ ბურჯანაძე მამულიშვილი იყო, ერთგული და თავდადებული ტრფიალი თავისი სამშობლოს მთა-ბარისა, კულტურისა, ისტორიისა; ემირ ბურჯანაძე მოქალაქე გახლდათ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ქომაგი თავისი ქვეყნის ქალაქებისა, დაბა-სოფლებისა, ეკლესია-მონასტრებისა; ემირ ბურჯანაძე ჭეშმარიტი ხელოვანი გახლდათ, მეხოტბე ქართული ანბანისა, მწერლებისა, ციხე-კოშკებისა; ემირ ბურჯანაძე განსწავლული კაცი იყო, მცოდნე ლიტერატურისა, ბიბლიისა, ქართული და მსოფლიო პერალდიკისა; ემირ ბურჯანაძე თავისი სვეგამწარებული ერის ჭირისუფალი იყო, არ ჰყოლია სხვა კერპი, გარდა სარწმუნოების, საქართველოსი და მხატვრობისა...

მან იცხოვრა, როგორც უმწიკვლო ქრისტიანმა, უებრო მამულიშვილმა ღირსეულმა მოქალაქემ და ხელოვანმა, მას საქართველოს წყლული აჩნდა გულისფიცარზე და დღენიადაგ იმას დუდუნებდა — «ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე». მან საქართველოს თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა უმთავრესი შესაწირი — საკუთარი სიცოცხლე. როცა მასზე ვინმე უმეცარმა, ურწმუნო და უთვისტომო ყრმამ აღმართა ხელჯოხი, მას ერთადერთი დიადემა — ღირსება — შეელახა და... იქ შეწყდა მისი, როგორც მამულიშვილისა და მოქალაქის მაჯისცემა! დანარჩენი, რაც მოხდა, მისი გულის ფეთქვის შეჩერება — უკვე განგების განჩინება გახლდათ.

ემირი რაინდი იყო, ამ ინსტიტუტის კოდექსის შეგნებული დამცველი, მთელი შინაგანი მზაობით ატარა მოყვასის სიყვარული, სიკეთის გაღების უნარი, შეჭირვებულის თანალმობის ძალი. მეგობრობის ნიჭით დაჯილდოებულმა, თუ ამ გზაზე რაიმე უნებლიეთ

შესცოდა, მწამს, უზენაესი უთუოდ მიუტევებს, რადგანაც იშვიათი უნარით, იყო დაჯილდოებული — მთელი არსებით, უსიტყვოდ და დაუყვედრებლად გაეზიარებინა მეგობრის ურვა, უშურველად გაეღო მისთვის მადლი, გაენაწილებინა უკანასკნელი ლუკმა, გასხივოსნებულს აღენიშნა სხვისი წარმატება.

ემირი ვერ იარსებებდა მხოლოდ კერძო ყოფით, რადგანაც ბუნებით გამორჩეულს, თავად განგებამ დაანათლა ერის ცხოვრების გულისგულს ყოფნა, თავისი თაობის მძიმე ჯვრის ვაჟკაცური ტარება, სხვა რჩეულთა მსგავსად. ისინი საქართველოს მსასოებელთა ორდენის რაინდები იყვნენ და არ უძებნიათ სხვა ჩინ-მედლები. არაფერი გააჩნდა (საკუთარი ბინაც კი!), ფუფუნებით ცხოვრება არ სურდა, მხოლოდ სულიერი სიმშვიდე, სამუშაო ადგილი (მაგიდა) და მასალა (ქაღალდი, ფუნჯი, საღებავი, კალამი!) უნდოდა, რათა საკუთარი ხილვები სახატავ ფურცლებზე გადაეტანა. სილამაზის ფასი იცოდა. სულ ერთიანად ქაღალდსა და ფუნჯს მინდობილი, შინაგანად გასხივოსნებული, ასე მგონია, გულში მღეროდა მრავალჟამიერს, შენ ხარ ვენახს, ძველ ქართულ სანადიმო სიმღერებსა თუ ქალაქურ ფოლკლორს. როცა მუშაობით გულს იჯერებდა, მეგობრებთან უყვარდა მოლხენა, სიმღერის ფასი იცოდა, ეროვნულ ტრადიციებს ეტრფოდა, თავადაც მგალობელი კაცი ეთქმოდა. საეკლესიო საგალობლების, კახური, რაჭული, სუფრული მღავალჟამიერის, იმერული იავ-ნანას, საესტრადო ქართული სიმღერების ეშხიანი შემსრულებელიც იყო და ჩინებული მოქართულეც. მეგობრებთან მუსაიფი უყვარდა და კამათიც. ყოველი თავშეყრა მაინც საქართველოზე, მის აწმყოსა თუ მომავალზე ფიქრითა და მსჯელობით მთავრდებოდა. ყოფითი პრობლემები არ აღელვებდა, მათ ვერც ამჩნევდა. ყოფაზე ამაღლებულმა იცხოვრა, ხელმოკლედ და ხელგაშლილად.

მისი გრაფიკული ნახატების შექმნა მხოლოდ გლეხკაცის მუხლჩაუხრელ შრომას თუ შეეტოლება. ჩანაფიქრს ფურცელზე გამრჯე ხელით რომ გადაიტანდა, მერე რუდუნებით ამუშავებდა ყოველ დეტალს, ხაზს, რკალს, რგოლს, შტრიხს. ის შეპყრობილივით ფიქრებში იყო დანთქმული. ბერულ ლოცვას ჰგავდა მისი გარინდება, იდუმალება, სა-

კუთარ თავთან განმარტოება. დიდხანს და საგულდაგულოდ გამოჰყავდა თითოეული ასო-ნიშანი, ფიგურა თუ პროფილი. როგორც მევენახე ჩაიმუხლავს 35-40-ჯერ ვაზის ყოველ ძირთან, ემირიც ისე ჩაჰკირკიტებდა თითოეულ ხაზს, კონტურს, დეტალსა თუ შტრიხს. ხატვა ემირის ბედისწერა იყო. სნეულმა ბოლოხანს ორმოცი ნამუშევარი შექმნა, ქაღალდს გაანდო ფიქრი, ტანჯვა, სიხარული თუ მღელვარება; ის მიიცვალა, როგორც ჯარისკაცი ბრძოლის ველზე; ის მიიცვალა, როგორც შემოქმედი საკუთარ ხილვებთან განმარტოებული; ის აღესრულა, როგორც განდეგილი ლოცვების კითხვის ჟამს...

* * *

ემირ ბურჯანაძე თავდახრილი სამუშაო მაგიდასთან ფუნჯით ხელში — ასეთი შემორჩა ჩემს მეხსიერებას ეს ახოვანი, ძველი ქართველებივით მხარბეჭიანი და ნათელი სხივით განათლებული, სანდომიანი სახის ინტელექტუალი. მან, ჯერ კიდევ აღურიცხავი, ურიცხვი გრაფიკული ნამუშევარი შექმნა. თითოეული გრაფიკული ფურცელი გამოხატავს ავტორის ნიჭიერებას, ოსტატობას, აზრებს, გრძნობებს, ხილვებს, მსოფლგანცდას და განსწავლულობას. მათი ერთობლიობა კი, თვალნათლივ წარმოაჩენს ჟამთა ქროლვას, რომელიც გამოხატა მხატვარმა და რომელმაც შეიწირა მისი სევდიანი, მდიდარი, უფრო მეტად კი, დაფიქრებული ადამიანური სამყარო.



მისი მრავალფეროვანი შემოქმედება, შესაძლებელია, რამდენიმე ციკლით განისაზღვროს: საქართველოს თემა — ღვთისმშობლის წილხვედრისა და წმინდა გიორგის ქვეყნის მოტივი; გარდამოცემა უფლის კვართსა და სვეტიცხოველზე; ბუნება, ქალაქები, უბნები, უმთავრეს ქალაქთა გერბები, ვაზისა და ღვინის თემა; თბილისის თემა — ემბლემა, დროშა, გასაღები, ვარიანტები, ქალაქის სამახსოვრო ემბლემები, სხვადასხვა სახის სამახსოვრო ნიშნები; ქართული მითოლოგია, თქმულებები, ლეგენდები, ოქროს საწმისი; ქართული ანბანის უსასრულო ვარიაციები; წიგნის გრაფიკა, კლასიკოსთა და თანამედროვე მწერალთა გრაფიკული ფურცლები (მარტო ვეფხისტყაოსნის ოთხი ვარიანტი აქვს შექმნილი), საფირმო და სა-

საქონლო ნიშნები და ემბლემები, სხვანი და სხვანი — ჯერ კიდევ დაუთვლელი და აღურიცხავი, უსისტემოდ არსებული.

მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი შემოქმედებისა, მისთვის თბილისის თემა მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. მას ემირმა 15 წლის განმავლობაში განუზომელი ენერგია, ფიქრი და ოსტატობა შეალია. ბოლოს კი მივიღეთ ასეთი ხატოვანი, ჭეშმარიტად სიმბოლო-ნიშნები, ჩვენი დედაქალაქის არსის გამომხატველი გერბი, დროშა და გასაღები.

უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც საქართველოს დედაქალაქს აქვს ემირ ბურჯანაშის შექმნილი სიმბოლური ნიშნები. თითქმის 16 საუკუნის თბილისს თავისი წარმომავლობის, ჟამთა სვლის, მნიშვნელობის, კულტურული მონაპოვრის მიმანიშნებელი გამოხატულება ამშვენებს ამ ჩინებული ემბლემის სახით. მასში გაერთიანებულია ჭეშმარიტ მამულიშვილთა, თბილისის დამაარსებელთა, მშენებელთა თუ ამაღორძინებელ თაობათა მისწრაფებები, გულისფეთქვაც კი. გერბის ავტორი ეფუძნება ჰერალდიკის ტრადიციულ გააზრებასაც და ემიჯნება კიდეც მას. მისთვის ამოსავალი გახდა ქართული დარბაზების ნატიფი „უბრალოება“, ფუნქციური დატვირთვა და სიმბოლურ ნიშანთა დამუშავების ოსტატობა.

სხივით ამობრწყინებული, შეკრული წრე სამყაროს მთლიანობის ხატებად აღიქმება. ბიბლიური შვიდი რიცხვი — შვიდი ვარსკვლავი, ათინათივით ბრწყინავს ცის კაბადონზე; ძლიერი, მკვრივი, გაშლილი და გალაღებული ასო-ნიშანი „თანი“, აღმართულა შეკრული წრის გულისგულში. მისი ფრთის ქვეშ ამოტვიფრულია მრგვლოვანი წარწერა „თბილისი“. „თანი“ ქმნის თაღსაც, დედაბოძსაც, ფრთოსანსაც, ხოლო რკალი გამოყოფს ფრინველის კადნიერ პოზასაც და იგრძნობა კიდეც უშიშრად გარინდული ფრთოსნის თვალთაგან გამომკრთალი ამაყი მზერა, პიროვნულ ღირსებას გულოვნად რომ გაგრძნობინებს. ძალზე ფაქიზად და ზუსტად არის მხატვრის მიერ გააზრებული უმთავრესი მიზანი და დანიშნულება **დედაქალაქისა**. ის დედასავით მზრუნველი და დამცველია კაცობრიობის იმ ნაწილისა, რომლის სატახტო ქალაქადაც არის ხელთდასხმული. ეს მისია გამოსახულია მეტად ფაქიზი ნიუანსით — **მფარველის** პოზით.

მიმინოს ტანი, ძველი ქართული კრამიტის კლასიკური წყობით, მკვიდრად ნაგებ გალავანსაც, ციხე-კოშკსაც და ფარსაც ჩამოგავს. ასოციაციით ბუდესაც მოგაგონებს, სადაც ასეთივე ღირსეულები იბარტყებენ; მუხის ფოთლოვანი, აყვავებული რტო რკალად ეხვევა ტანს, საუკუნეთა წრთობისა და გამძლეობის ნიშნად. მთლიანი კულტურა, საგულდაგულოდ დამუშავებული ნიუანსებით, ამაღლებულ მშვენიერებასაც და მარადიულ განახლებასაც გამოხატავს. შავი და თეთრი ფერის ტრადიციული შეხამება, კლასიკური გამოსახვის შემწეობით, დასრულებულ და ქაოსისაგან თავდახსნილ სამყაროს მიანიშნებს, ამასთანავე, სივრცეში უსასრულო, თავისუფალი ნავარდის შესაძლებლობასაც გულისხმობს. ამ სიმბოლომ იტვირთა და გამოხატა ყველა ღირსეული თაობისა და კონკრეტულ პიროვნებათა სულისკვეთებაც — ვახტანგ გორგასლის ხელთდასხმიდან მოყოლებული, დავით აღმაშენებლის დროინდელი ქართველების მიერ გადახდილი დიდგორის ომისა თუ შემდგომ საუკუნეებში თბილისის გადარჩენისათვის თავდადებული ყოველი მებრძოლისა.



ემბლემის ერთი ვარიანტით ხოხობია გამოსახული გონიოთი ხელში. აქაც სიამაყე გამოკრთის ნახატში. თავისუფალი და ღირსეული ფრთოსანი ლაღად მიაბიჯებს, თითქოს, აღმშენებლობისთვის მზადყოფნას ამჟღავნებს. სემანტიკური ნიშანი გადადის საკრალურ-სიმბოლურ ნიშანში და ავლენს მოვლენის არსს — მშენებელია ის ფრთოსანი, რომელმაც, ლეგენდის მიხედვით, სათავე დაუდო ქალაქს.

ემირი, თითქოს, ელოლიავება, შესტრფის და შეჰხარის თბილისის ემბლემას, რადგანაც დედაქალაქისადმი მისი გრძნობაც ჩაქსოვილია ამ გრაფიკულ ნამუშევარში. მასაც შეეძლო პოეტივით ეთქვა თბილისზე — „სულთქმა ხარ ჩემი“...

77 წლის თავისუფალი ოსტატი და ნიჭიერი შემოქმედი მივაბარეთ მშობლიურ მიწას, მაგრამ იგი მისი ახლობლების ხსოვნას მუდამ ლაღ და სიცოცხლით სავსე პიროვნებად შემორჩება.

3 ნოემბერი, 2014 წ.

ჩვენი ავტორები

გიორგი ბიძინას ძე გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერი; ავტორია მონოგრაფიებისა: ქართული ზმნის უღვლილების სისტემა (1988), ქართული სალიტერატურო ენა (ისტორია და თანამედროვეობა), (2009), ბედი ქართული ენისა ათასწლეულთა მიჯნასთან (2009), ქართული ზმნა (2010), იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი და ცხოვრების გზა (2011) და სხვ.; 300-ზე მეტი სამეცნიერო და კრიტიკულ-პუბლიცისტური ნაშრომისა.

ანზორ ბაგრატის ძე თოთაძე

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, დემოგრაფი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დემოგრაფიული პრობლემების კვლევის ცენტრის დირექტორი; ავტორია მონოგრაფიებისა: საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე (1999), საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა (2009), კავკასიის მოსახლეობა (თანაავტ. პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე, ინგლ. ენაზე, ნიუიორკი, 2009); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

გრიგოლ ნიკოლოზის ძე რუხაძე

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პატროლოგი; ავტორია მონოგრაფიებისა: ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის (2000), მსოფლიო საეკლესიო კრებები/დოგმატური ღმრთისმეტყველება (მესამე გამოცემა, 2008), საღმრთისმეტყველო ლექსიკონი-ცნობარი (2010) და სხვ.; სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილებისა.

ბორის შაქროს ძე დარჩია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1960-2006 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოცემული აქვს ცხრა წიგნი: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციები გაგრძელებების მიხედვით (1975); ვახტანგ მეექვსის პოეტური მემკვიდრეობა (1986); იაკობ შემოქმედელი (2009); რუსთველოლოგიური გამოკვლევები (2010); ბაგრატ ბატონიშვილი (მწერლის თხზულებითურთ), (2011); სალაღობო და ნაღვლიანი ამბები (2012) და სხვა.

გულბაათ ვიქტორის ძე რცხილაძე

პოლიტოლოგი და გერმანისტი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი. თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების ინსტიტუტის დამთავრების (1995 წ.) შემდეგ ჯერ სტაჟორად, შემდგომ – საერთაშორისო საკითხების რეფერენტად მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატში, აგრეთვე, ახორციელებდა პრეზიდენტის თარჯიმნის ფუნქციებს (2003 წლამდე). 2009 წელს დააარსა ანალიტიკური ცენტრი „ევრაზიის ინსტიტუტი“. არის ავტორი მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიისა რუსულ-ქართული ურთიერთობების, პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკის თემებზე. გამოსცა 2 მონოგრაფია.

იოსებ სერგოს ძე არჩვაძე

სტატისტიკოსი, პუბლიცისტი, ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი. 1978-2006 წლებში მუშაობდა საქართველოს სტატისტიკის სამსახურში. დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (2003 წ.). გამოქვეყნებული აქვს ორ ასეულზე მეტი პუბლიცისტური სტატია; ძირითადი სამეცნიერო და პუბლიცისტური შრომები: „საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები“ (1992 წ.), „ეკონომიკა და დრო“ (2000 წ.), „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ (2010 წ., თანაავტორობით), „თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა: განვითარების დონისა და მოწყვლადობის ზოგიერთი ასპექტი“ (2012 წ.) და სხვ.

ვალერიან მამიას ძე დოლიძე

ისტორიის დოქტორი. მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის თანამდებობაზე. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს წარმოადგენს – პოლიტიკური ცვლილებები და დემოკრატიზაცია, პოლიტიკური პარტიები, პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური განვითარება, ისტორიის როლი თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესწავლაში.

გრანი ემელიანეს ძე ძაგთარია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ავტორია მონოგრაფიებისა: ძმები გრაკჰუსები(1990), ჰანიბალი(1979), სამყაროს შვიდი საოცრება (1996), ფარნავაზი (1999), აზონი (2000), ქუჯი (2000), ძველი საბერძნეთი (2005), სერტორიუსი (2003); მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილისა.

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №4 (14), 2014
(на грузинском языке)

РЕЗЮМЕ

ГИОРГИ ГОГОЛАШВИЛИ

ИЛИА ЧАВЧАВАДЗЕ И ИАКОБ ГОГЕБАШВИЛИ

Илиа Чавчавадзе и Иакоб Гогебашвили являются выдающими грузинскими деятелями XIX века. В статье рассказывается об их взаимоотношениях. Они, исходя из общенациональных интересов, стояли рядом; защищали позиции друг друга; общими усилиями боролись с врагами грузинского дела. Их взаимоотношения служат примером того, каким должно быть отношение сынов Отечества к общенародному делу и национальным деятелям.

АНЗОР ТОТАДЗЕ

КОЛИЧЕСТВО НАСЕЛЕНИЯ ТБИЛИСИ В 1226 ГОДУ

На определенных этапах истории довольно сложно определить количество населения Тбилиси. Относительно точными данными мы не располагаем, фактически, до XIX века. Только путём анализа отдельных данных и сличения различных численных показателей становиться возможным сделать более-менее достоверные выводы. В нашей исторической науке сравнительно точным считается следующее количество населения Тбилиси в 1226 году – 100 тысяч человек, что связывают с мученической казнью 100 тысяч человек во время взятия Тбилиси Джалаледином. Автор, на основе анализа соответствующих косвенных данных и сохраненных в исторической литературе грузинских и иностранных справок, обосновывает, что в Тбилиси, столице Грузии с восьми миллионным населением, в 1226 году проживало приблизительно 150 тысяч человек.

ГРИГОЛ РУХАДЗЕ

ОБЗОР ГРУЗИНСКИХ СОБЫТИЙ

Автор в данной статье обозревает политические, социальные и общественные вопросы: соглашение об ассоциации, инициатива коллаборационистов националов, новый кадр украинской власти, прииск Сакдриси, заявление Президента России, пресс-конференция премьера.

БОРИС ДАРЧИА

НАУКА И ПОРЯДОЧНОСТЬ

В статье критически рассмотрена изданная в 2014 году книга Ростома Чхеидзе «Вахтанговская сага, хроника жизни Вахтанга Челидзе», где с насмешкой и непочтительно упоминаются наши известные ученые – Александ Барамидзе и Гиви Микадзе; показано, что такого рода отношение к этим заслуженным деятелям является необоснованным и несправедливым.

ГУЛБААТ РЦХИЛАДЗЕ

ОПРОС 2014: ОТНОШЕНИЕ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ К НАТО И США

Опрос Института Евразии (ноябрь 2014 г.) был произведен в масштабе Грузии с целью исследования отношения населения к НАТО и США. Итоги опроса показали, что это отношение неоднозначное, а если бы в данный момент проводился плебисцит о вступлении Грузии в НАТО, «за» однозначно проголосовало бы не более 32 процентов избирателей.

ИОСИФ АРЧВАДЗЕ

ПОЛИТИЧЕСКАЯ ОРИЕНТАЦИЯ НАСЕЛЕНИЯ ГРУЗИИ

анализирует итоги опроса, проведённого Институтом Евразии касательно отношения населения Грузии к НАТО и США. Итоги опроса показали, что это отношение неоднозначное, а если бы в данный момент проводился плебисцит о вступлении Грузии в НАТО, «за» однозначно проголосовало бы не более 32 процентов избирателей. И. Арчвадзе высоко оценил уровень проведенного опроса. В его статье, в частности, говорится: «С большим интересом ознакомился с результатами опроса - «Отношение населения Грузии к НАТО и США», проведенного Институтом Евразии всего несколько недель назад (в середине ноября 2014 года). Данный опрос не относится к числу рядовых конъюнктурных исследований, которым столь большое внимание уделяют современные СМИ. Этот опрос является резонансным, прежде всего, своей тематикой, так как касается актуальной, фактически судьбоносной для нашей страны проблемы. Хочу отметить довольно высокий, академический уровень проведения исследования, что подразумевает *правильное определение выборки и высокую репрезентативность*. Количество 1781 респондентов вполне достаточно для получения убедительного, надежного результата. Для сравнения скажу, что эта цифра составляет 52% от количества респондентов (всего 3350 домохозяйств), которые выбираются для исследования доходов и расходов домохозяйств по Грузии и отдельным регионам, а им ведь приходится заполнять кратно большее число вопросников и формуляров. Так что, итоги исследования имеют достаточно высокую легитимность. С учетом этого,**результаты опроса можно считать моральным противовесом проведенному в 2008 году параллельно президентских выборов плебисциту** (тогда, как известно, в процессе подведения результатов, почему-то четыре раза подскакивал процент населения, поддерживающего вступление в НАТО…). В выборке исследования почти с «баллистической точностью» учтено гендерное соотношение (в опросе – мужчины/женщины: 48.5/51.5%, в населении Грузии – 47.7/52.3%). Также достаточно точное совпадение наблюдается между возрастным распределением респондентов и населения Грузии».

ВАЛЕРИАН ДОЛИДЗЕ

МАЙДАН И ПЕРСПЕКТИВА РАСПРОСТРАНЕНИЯ УКРАИНСКОГО СЦЕНАРИЯ В СТРАНАХ ЮЖНОГО КАВКАЗА

В статье предпринята попытка дать ответ на вопрос –возможно ли распространение украинского сценария в Грузии, Армении и Азербайджане?Автор сравнивает политическое функционирование южно кавказских республик с Украиной и приходит к выводу, что в Грузии, Армении и Азербайджане отсутствуют необходимые и достаточные условия для повторения майдана в этих странах.

МАРУТ ВАРДАЗАРЯН

КРИЗИС НА УКРАИНЕ И АРМЯНО-ГРУЗИНСКИЕ ОТНОШЕНИЯ

Автор анализирует текущие дела в армяно-грузинских отношениях и о перспективах этих отношений на фоне кризиса на Украине и связанных с ней глобальных процессов. Автор приходит к следующим основным выводам: 1. Трансформация внутренних проблем постсоветских государств в международную конкуренцию может привести к хаосу (в Украине сигналом к этому стало “Восточное партнерство” с ЕС) и не следует ставить страны перед жестким выбором. 2. События на Украине продемонстрировали недостатки политики ЕС на постсоветском пространстве. Соглашения об ассоциации с ЕС не подразумевает в перспективе вступления в ЕС. По этому поводу Брюссель неоднократно заявлял, что ни одной страны Южного Кавказа таких перспектив нет. Даже считавшейся самой прозападной в нашем регионе Грузии в ходе переговоров с ЕС в конце 2011г. не удалось внести в текст Соглашения об ассоциации пункт о возможности в перспективе вступления в ЕС. 3. Что касается Армении, то Договор о зоне всеобъемлющей свободной торговли особых перспектив не обещает, так как для вступления на европейский рынок нужно выпускать конкурентоспособную по европейским стандартам продукцию, которой у нас нет. В политическом плане выбор Армении обусловлено желанием обеспечении собственной

безопасности, так как в отличии от соседних стран, региональная геополитическая ситуация больше влияет на Армению по причине закрытых границ.

Армения и Грузия должны учитывать последствия последних событий, сотрудничество двух братских народов является велением времени, оно продиктовано последними геополитическими и цивилизационными процессами.

ГРАНИ КАВТАРИА

ЭТРУСКИ И РИМЛЯНЕ

В статье рассматривается главная сфера многосторонней деятельности выдающего политического деятеля (по происхождению этруска) Римской Империи Гай Цилний Мецената: влияние на звёзд римской поэзии «Золотого века». В вводной части статьи речь идет о связи этрусков с внешним миром (с Грецией и Римом) и той роли, которую они выполнили в истории Италии доримского периода.

Scientific and Social Journal
„SAMI SAUNJE“ (Three Treasures) №4 (14), 2014
(in Georgian)

SUMMARY

GIORGI GOGOLASHVILI
ILIA CHAVCHAVADZE AND IAKOB GOGEBASHVILI

Ilia Chavchavadze and Iakob Gogebashvili were outstanding Georgian public figures of the 19th century. The article focuses on their relationship with one another. With Georgian national interests in mind, they stood side by side; defended each other's positions and jointly fought against the enemies of Georgian affairs. Their relationship was an example of how public figures can and should cooperate and handle national causes.

ANZOR TOTADZE
THE POPULATION OF TBILISI IN 1226

It has been difficult to determine the precise population of Tbilisi during certain periods of history. In fact, there is no reliable data until the 19th century. Only by analyzing multiple sources and comparison of various numerical criteria, it is possible to makea somewhat reliable conclusion. Utilizing Georgian historical science,it is believed the population of Tbilisi was approximately 100thousand people in 1226. The number is based on the execution of 100 thousand people during the capture of Tbilisi by Jalal ad-Din Mingburnu. The author analyzed indirect evidence and Georgian and foreign historical documents and concluded that in 1226, the capital of 8 million Georgia, Tbilisi was inhabited by about 150 thousand people.

GRIGOL RUKHADZE
NATIONAL EVENTS REVIEW

The author of this article reviews the political, social and public

affairs of Georgia: the Association Agreement, an initiative of collaborationist Nationals, a new frame of the Ukrainian government, Sakdrisi mine, the statement of the President of Russia and the press conference the Prime Minister.

BORIS DARCHIA
SCIENCE AND INTEGRITY

The article criticizes a book authored by Rostom Chkheidze *"Vakhtang Saga, The Chronicles of Vakhtang Chelidze"* published in 2014. The book mentions our famous scientists Alexandre Baramidze and Givi Mikadze with mockery and disrespect. The article demonstrates that this kind of attitude towards the well-deserved personalities is unfounded and unfair.

GULBAAT RTSKHILADZE
2014 SURVEY: GEORGIAN PEOPLE'S POSITION REGARDING NATO AND UNITED STATES

In 2014, the Eurasia Institute conducted a study in Georgia to gage the public's perception on NATO and the United States. The results of the survey showed the Georgian peoples' viewpoints vary greatly. The Eurasia Institute concluded that at the given time if a plebiscite were to be held in Georgia only 32 percent would support Georgia's accession to NATO.

IOSEB ARCHVADZE
DOCTOR OF ECONOMIC SCIENCES, STATISTICIAN
Political Orientation of Georgian Population

The author analyzes the results of a poll, conducted by the Eurasia Institute to gage public perception on NATO and the United States. The survey results showed that Georgian people's viewpoints vary, and if plebiscite were to be held on accession of Georgia in NATO, only 32 %

wouldbe in favor of it. J. Archvadze praised the level of the survey. In his article he stated: "I reviewed the results of the survey of the Georgian people's position towards NATO and the United States, conducted by the Institute of Eurasia with great interest just a few weeks ago (November 2014). This poll is not an ordinary conjunctural analysis, to which so much attention is paid by today's media. This survey is rather resonant and even crucial for our country's problems. I want to highlight high, academic level of the study, which involves the high and correct sampling of respondents. 1,781 respondents are sufficient to produce credible and reliable results. For comparison, I would say that this figure represents 52% of the respondents (total 3350 households) that are normally selected for the research of household income and expenditure analysis in various regions of Georgia. The respondents are required to fill out multiple questionnaires and forms. So, the results of the research have a high legitimacy. With this in mind, the survey results can be considered as a moral counterweight of the plebiscite that was held the same time as the presidential elections in 2008. Then, during the final count the results somehow jumped up to four times the percentage of the population who supported integration into NATO. The survey sample reflects the gender ratio (in the survey-male/female: 48.5/51.5%, Georgia's population 47.7/52.3%) almost with " ballistic accuracy". Also there is an exact match between the age distribution of respondents and population of Georgia ".

VALERIAN DOLIDZE

MAIDAN AND THE PROSPECT OF UKRAINIAN SCENARIO IN THE COUNTRIES OF THE SOUTH CAUCASUS

The author attempts to answer a question: Is it possible to carry out the Ukrainian scenario in Georgia, Armenia and Azerbaijan? The author compares the political functions of the South Caucasian republics with Ukraine and comes to a conclusion. He states that in Georgia, Armenia and Azerbaijan there are no necessary and sufficient conditions for a repeat of Maidan.

MARUT BARDAZARYAN

CRISIS IN UKRAINE AND ARMENIAN AND GEORGIAN RELATIONSHIPS

The author analyses the status of Armenian-Georgian relations. He reviews the prospects for these relations with the consideration of the crisis in Ukraine and global processes associated with it. The author comes to the following conclusion: 1. Transition of post-Soviet states with their internal problems into the international competition could lead to chaos (in Ukraine "Eastern Partnership" with the EU triggered this). No country should be faced with the type of hard choice. 2. Events in Ukraine demonstrated the shortcomings of EU's policy in the post-Soviet space. An Association Agreement with the EU does not imply a perspective of EU membership. Considering these issues, Brussels repeatedly stated, that no country of Southern Caucasus had a perspective of becoming EU member. Even Georgia, which is considered to be the most pro-Western country in the Caucasian region, was unable to add a paragraph on the possibility of becoming a member state of the EU during the Association Agreement negotiations in 2011. In the case of Armenia, comprehensive Free Trade Zone prospects are not promising. The requirement to enter the European market is to be able to produce European standard competitive products that Armenia is not able to do. From the political aspect, Armenia's choice is due to a desire to ensure its security because in contrast to the neighboring countries, the regional geopolitical situation effects Armenia more due to closed borders.

Armenia and Georgia should consider the implications of recent events. The cooperation between the two brotherly countries is the order of the day. It is dictated by the latest geopolitical and civilization processes.

GRANI KAVTARIA

ETRUSCANS AND ROMANS

The article discusses the main sphere of multilateral activities of a prominent political figure of the Roman Empire (of ancient Etruscan lineage) Gaius Maecenas – his influence on the startsof the Golden Age Roman poetry. The introductory part of the article discusses the connection of the Etruscans with respect to the outside world (Greece and Rome) and the role that they performed in the pre-Roman period of Italian history.

სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი
„სამი საუნჯე“ №4(14), 2014

გამომცემელი შპს „სამი საუნჯე“
სამტრედია, დავით აღმაშენებლის ქ. № 409.
ელ. ფოსტა: samisaunje@sinergia.ge
ტელ.: 298-26-34, 599-19-68-23

❖

Научно-общественный журнал
«САМИ САУНДЖЕ» (Три сокровища) №4(14), 2014
(на грузинском языке)

❖

Scientific and Social Journal
“SAMI SAUNJE” (Three Treasures) №4(14), 2014
(in Georgian)

❖

პატივცემულო მკითხველებო, გთხოვთ გაითვალისწინოთ,
ყოველი გამოწერილი ნომერი ჟურნალის
თანადგომასა და სამი საუნჯის დაცვას ნიშნავს.

ჟურნალზე ხელმოსაწერად დაუკავშირდით
გამავრცელებელ სააგენტოებს —
თბილისში: „მაცნე“, 214-74-22; „ელვა.ჯი“, 238-26-73(74);
აგრეთვე შეგიძლიათ თანხა (7 ან 14 ლ.)
ჩარიცხოთ შპს „სამი საუნჯის“ ანგარიშზე:
TBCBGE 22, GE18 TB79 6263 6060 1000 01
და ჟურნალი თქვენს მისამართზე მოგეწოდებათ;
ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და
რაიონების ფილიალებს დაუკავშირდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე
მითითებული ნომრების საშუალებით.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.01.2015. ტირაჟი 300.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47.

ფასი 3,50 ლ.

ISSN 2233-338X

www.sinergia.ge; samisaunje@sinergia.ge